



Murman Papashvili, Tatia Mtvarelidze

A HISTORICAL ESSAY BY BERNARD EUGÈNE
ANTOINE ROTTIERS

**ON THE CHRISTIAN RELIGION IN
GEORGIA AND ITS NEIGHBORING
COUNTRIES**



Gori State University

2024

მურმან პაპაშვილი, თათია მთვარელიძე

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეს
ისტორიული ნარკვევი

ქრისტიანული რელიგიის შესახებ
საქართველოსა და მის მეზობელ
ქვეყნებში



გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024



ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. [SP-23-1524 – ვატიკანის Propaganda Fide-ს არქივში დაცული ორენოვანი ისტორიული ნარკვევი – „საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის შესახებ“]. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [SP-23-1524 – “On the Christian Religion in Georgia and its Neighboring Countries” – a bilingual historical essay preserved in the Propaganda Fide Archive of the Vatican].

Opinions expressed in the book are those of the authors and do not necessarily reflect those of the Foundation.

პროექტის სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის საქართველოს საელჩოს წმინდა საყდართან, პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივსა და თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდს მრავალმხრივ განეული დახმარებისთვის.

სამეცნიერო რედაქტორი: გიორგი სოსიაშვილი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი.

რედაქტორი: მარიამ შენგელია, ფილოლოგი.

რეცენზენტები: გონელი არახამია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ნუგზარ ბარდაველიძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი.

დიზაინი: ნინო ქუთათელაძე

დაკაბადონება: ირინე სტროგანოვა

ყდაზე გამოყენებულია დეტალი ბერნარ როტიეს, ლითოგრაფ შარლ მოტესა და გეოგრაფ შარლ პიკეს ავტორობით, 1820 წელს პარიზში გამოქვეყნებული რუკიდან – Passage du Caucase par le colonel Rottiers.

© მურმან პაპაშვილი

© თათია მთვარელიძე

ყველა საავტორო უფლება დაცულია. ამ გამოცემის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის - ფოტოპირის გადაღებით და მაგნიტურ მონეობილობაზე ჩანერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლებების მფლობელის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-8-7242-6

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 53, გორი, საქართველო

ტელ.: +995 370 27 24 13

ელფოსტა: contact@gu.edu.ge



ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე

ჟ. ვან გენკის გრაფიურა სერ თომას ლოურენსის ნახატის მიხედვით წიგნიდან „როდოსის ძეგლთა აღწერილობა“ (1830)



წარმოშობით ბელგიელი ოფიცერი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე საქართველოში 1811-1818 წლებში მსახურობდა. კონსტანტინოპოლის ლათინთა ტიტულარული პატრიარქის თხოვნით, მას, როგორც კათოლიკეს, დაევალა საქართველოში ქრისტიანული, უწინარესად, კათოლიკური რელიგიის იმდროინდელი მდგომარეობის შესწავლა. ავტორმა ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა. მან სათანადო წყაროებისა და საკუთარი დაკვირვების საფუძველზე შექმნა ნარკვევი, რომელშიც წარმოადგინა საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების მიერ გავლილი ისტორიული გზის ზოგადი სურათი. ამ კონტექსტში ავტორმა მეტი ყურადღება დაუთმო საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის სარწმუნოებრივი ურთიერთობების განვითარებას XIII საუკუნიდან მოყოლებული 1818 წლის ჩათვლით. დღემდე უცნობი მრავალი ახალი ფაქტის, მოვლენისა თუ პროცესის ამსახველი ეს ნაშრომი როტიემ მოხსენების სახით 1819 წლის 2 იანვარს იტალიურ და ფრანგულ ენებზე წარუდგინა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“. ეს წყარო გვაძლევს საინტერესო დაკვირვების საშუალებას ქართულ-ევროპული ურთიერთობის რიგ ასპექტებზე, საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების მიერ გავლილ გზასა და მისი მომავლის ავტორისეულ ხედვაზე. ასევე, წარმოაჩენს საქართველოში ქრისტიანობის ისტორიის სპეციფიკურ ინტერპრეტაციებს ევროპელი ავტორის მხრიდან, რომელიც, გარდა მდიდარი სამხედრო გამოცდილებისა და წარმატებული კოლექციონერული საქმიანობისა, ღრმა თეოლოგიური განათლებითაც გამოირჩეოდა.

წარმოდგენილი წყარო დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული თემებით დაინტერესებულ მკვლევრებს, ასევე საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის.



Bernard Eugène Antoine Rottiers, a Belgian by origin, officer, and colonel in the Russian army, served in Georgia from 1811 to 1818. As a Catholic, he was assigned by the titular patriarch of the Latins of Constantinople to examine the current state of the Christian, primarily Catholic, religion in Georgia. Drawing from appropriate sources and his observations, Rottiers created an essay presenting a general overview of the historical path of the Christian religion in Georgia. The author particularly emphasized the evolution of religious relations between Georgia and the Holy See from the 13th century to 1818.

Containing various new facts, events, and previously unknown actions, this work was presented by Rottiers in the form of a report on January 2, 1819, in Italian and French, to the Congregation for the Evangelization of Peoples (*De Propaganda Fide*). This work allows us to make interesting observations on numerous aspects of Georgian-European relations, as well as the adventure of the Catholic faith in Georgia and its future from Rottiers' point of view. The source also offers a specific reflection on Christianity in Georgia by a European author who, in addition to rich military experience and successful collecting activities, was famous for his comprehensive theological education.

This presented source will greatly assist researchers interested in these topics and will also appeal to a broad range of readers.

შინაარსი

პირველი ნაწილი

შესავალი.....	9
ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე და საქართველო.....	13
ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე (ბიოგრაფიული ცნობები).....	14
როტიე საქართველოს შესახებ.....	19
როტიეს კოლექციები.....	52
როტიეს „ქართული კოლექციის“ კვალდაკვალ.....	57
ქრისტიანობის ისტორიული გზა საქართველოში ბერნარ როტიეს რელაციონეს მიხედვით (ფაქტები, ანალიზი, დასკვნა).....	65

მეორე ნაწილი

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე, ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში (თარგმანი იტალიური ენიდან).....	79
BERNARD EUGÈNE ANTOINE ROTTIERS, DELLA RELIGIONE CRISTIANA NELLA GIORGIA E NEI PAESI CIRCONVICINI.....	113
ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე, ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში (თარგმანი ფრანგული ენიდან).....	133
BERNARD EUGÈNE ANTOINE ROTTIERS, DE LA RELIGION CHRÉTIENNE EN GÉORGIE ET DANS LES PAYS CIRCONVOISINS.....	162
ბიბლიოგრაფია.....	181
პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებლები.....	184

შესავალი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით, 2022 წლიდან გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს „ვატიკანის Propaganda Fide-ს საისტორიო არქივში დაცული ქართული და საქართველოსთან დაკავშირებული წყაროების სამეცნიერო კვლევა“ (საგრანტო ხელშეკრულება HE-22-2353), რომლის მიზანია პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის სხვადასხვა საარქივო ფონდში დაცული წყაროების მოძიება და შესწავლა. ამ ორი წლის განმავლობაში პროექტის სამუშაო ჯგუფმა პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში შეისწავლა როგორც უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებულ საარქივო ფონდში (SC-Giorgia) დაცული, ისე სხვა – მცირე მოცულობის ფონდებში გაბნეული დოკუმენტები. ამ მიმართულებით ჯგუფი ისევ განაგრძობს მუშაობას, რომლის შედეგებიც განმაზოგადოებელი მონოგრაფიის სახით 2025 წელს გამოქვეყნდება.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ზემოხსენებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში მიკვლეული ერთ-ერთი ბილინგვური (იტალიურ-ფრანგული) წყარო, მისი ქართული თარგმანი და ანალიზი. ნაშრომის გამოცემა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2023 წლის კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა, რამაც შესაძლებელი გახდა ამ ერთობ საინტერესო ნარკვევის ფართო საზოგადოებამდე მიტანა. მოხსენება სათაურით „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“, რომელსაც თან ერთვის რამდენიმე კონტექსტური წერილი, შესრულებულია იტალიურ (34 ხელნაწერი გვერდი) და ფრანგულ (29 ხელნაწერი გვერდი) ენებზე. ეს ნარკვევი, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით რელაციონეს წარმოადგენს, ეკუთვნის რუსეთის არმიის პოლკოვნიკს, წარმოშობით ბელგიელს, ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეს, რომელიც 1811-1818 წლებში საქართველოში მე-20 დივიზიის შტაბის უფროსად მსახურობდა. ამავე წყაროს თანახმად, ეს რელაციონე თუ მოხსენება ბერნარ როტიემ პროპაგანდა ფიდეს 1819 წლის ზაფხულის მიწურულს წარუდგინა.

თავის დროზე სახელგანთქმულმა ქართველმა ისტორიკოსმა, დიდმა მამულშიველიმა და კათოლიკე სასულიერო პირმა, მიქელ თამარაშვილმა თავის ცნობილ ნაშრომში – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ – ერთი ფაქტის დასადასტურებლად როტიეს ამ ვრცელი რელაციონედან სულ 21 სტრიქონი (გვ. 500-501) მოიხმო, ხოლო თავის მეორე ნაშრომში – „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ – 6 სტრიქონით დაიმონმა იგი ერთ-ერთი ქართველი კათოლიკეს ვინაობის დასაზუსტებლად (გვ. 704). ასე რომ, იტალიურ და ფრანგულ ენაზე შესრულებული დედნები და მათგან წარმოებული თარგმანი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

ჩვენ წინაშეა დღემდე სპეციალისტებისათვის უცნობი ფაქტების, თარიღების, კათოლიკე მისიონერების, სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენების, კათოლიკე მამებისადმი რუსეთის საოკუპაციო მმართველების ორჭოფული დამოკიდებულების, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ქართველ კათოლიკეთა მიერ რომისადმი უფრო მეტი ნდობის გამომხატველი გრძნობების შემცველი ვრცელი რელაციონე. ცხადია, ამგვარი სიახლეების ამსახველი წყაროს პუბლიკაცია დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოში კათოლიკობის ისტორიის, ქართულ-ევროპული ურთიერთობების, ქართულ-ევროპული იდენტობის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს. უფრო მეტიც, რელაციონეში წამოჭრილი თემები მიეკუთვნება პრობლემათა ისეთ კატეგორიას, რომლის გააზრებაც მხოლოდ მასში მოხმობილი ფაქტების საფუძველზეა შესაძლებელი. ეს კი წინამდებარე წყაროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

შემოთავაზებული წყაროს პუბლიკაციას თან ახლავს გამოკვლევა, რომელიც საკმაო საფუძვლიანობით აანალიზებს მასში მოტანილ უცნობ ფაქტებს და სრულდება განმაზოგადებელი დასკვნით, რომელიც მკვლევართა ინტერესს გამოიწვევს.

წინამდებარე ნაშრომის მეცნიერულ მნიშვნელობას უდავოდ ზრდის ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეს ცხოვრებისა და საქართველოში მის კოლექციონერულ საქმიანობასთან დაკავშირებული, დღემდე ჩვენი სინამდვილისათვის სრულიად უცნობი ფაქტების კვლევა-ანალიზი. მასში დადასტურებული ფაქტები თუ მიგნებები სათავეს უდებს ახალ კვლევას, რომელიც როტიეს მიერ საქართველოდან წაღებული სიძველეების მიკვლევის საფუძველად შეიძლება იქცეს.

გიორგი სოსიაშვილი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი





საქართველოს რუკა

ბ. ე. ა. როტიეს წიგნიდან „მოგზაურობა
თბილისიდან კონსტანტინოპოლში“, 1829.

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე

და საქართველო

ბელგიელი პოლკოვნიკი – ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე, რომლის კალამსაც ეკუთვნის ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული რელაციონე „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“, ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრებითა და საქმიანობით გამოირჩეოდა. მიუხედავად მისი საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა, რაც ოჯახთან ერთად თბილისში გატარებული თითქმის რვა წლის გარდა, ჩვენი ქვეყნის შესახებ შექმნილ მის რამდენიმე ნაშრომსაც მოითვლის, ქართული სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისთვის როტიეს ცხოვრება, მოღვაწეობა და, რაც მთავარია, მისი კავშირი საქართველოსთან ნაკლებადაა ცნობილი და მხოლოდ აქა-იქ მიმოხეული მწირი და ფრაგმენტული ცნობებით შემოიფარგლება.

რამდენადაც როტიეს ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა, წიგნში წარმოდგენილი ნარკვევის მიღმაც, ჩვენი ქვეყნის ისტორიის არსებითად მნიშვნელოვან პერიოდსა და მოვლენებს თანხვდება, მის მიერ შემონახული ცნობები კი როგორც ისტორიულ-პოლიტიკური, ისე კულტუროლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და სხვა კუთხით უნიკალურ, თუმცა დღემდე შეუსწავლელ საკვლევ მასალას წარმოადგენს, ნაშრომზე მუშაობისას გადავწყვიტეთ, სიღრმისეულად შეგვესწავლა ამ მართლაც საინტერესო და მრავალნახნაგოვანი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა, რამაც როტიეს საქართველოსთან კავშირის შესახებ ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ფაქტები აღმოგვაჩენინა და ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისთვის განუზომელი ღირებულების მქონე – დაკარგული ქართული საგანძურის კვალზეც გაგვიყვანა.

სწორედ ამიტომ მკითხველს სრულად ვთავაზობთ ჩვენეულ კვლევას როტიეს – არა მხოლოდ როგორც პოლკოვნიკის, არამედ როგორც კოლექციონერისა და მკვლევრის შესახებ, რაც ქართული სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისთვის აქამდე ნაკლებად ან სრულიად უცნობ, თავად როტიესთვის კი სამხედრო სამსახურზე არანაკლებ ღირებულ ამპლუას წარმოადგენდა.

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე

ბიოგრაფიული ცნობები

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე – როგორც ბიოგრაფები ახასიათებენ, „თავ-გადასავლების მოყვარული, რისკიანი და საინტერესო კაცი“, ¹ დაიბადა 1771 წელს, ბელგიის ქალაქ ანტვერპენში. სწავლობდა ბორნემში – იმ პერიოდისთვის საკმაოდ პოპულარულ, კარმელიტთა ლათინურ სკოლაში, რის შემდეგაც სწავლა ლუვენის უნივერსიტეტში, თეოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. როტიე სასულიერო კარიერისთვის ემზადებოდა – დედის სურვილის ასრულებას და მღვდლად შედგომას აპირებდა, თუმცა, თავისი დაუდევარი ხასიათიდან გამომდინარე და ოჯახის მეგობარი სასულიერო პირის რჩევით, სწავლას თავი დაანება და სამხედრო სამსახურში ჩადგა. სამხედრო კარიერა 1789 წელს ავსტრიისა და ჰოლანდიის ჯარში დაიწყო, ოფიცრის წოდება მოიპოვა და 1792 წლის 6 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო ჯემაპესის ბრძოლაში, რომელშიც დაიჭრა კიდევ, რის შემდეგაც იძულებული გახდა, ჰოლანდიაში გადასულიყო. ² ჰოლანდიაში მონაწილეობდა ფრანგების წინააღმდეგ აჯანყებებში, რის გამოც 1795 წელს ინგლისში მოუწია გაქცევა ჰოლანდიის მომავალ მეფე ვილიამ I-თან ერთად.

ბერნარ როტიემ 1796 წელს იქორწინა ბრედაში დაბადებულ პლაცია მილოტზე, რომელთანაც 7 შვილი შეეძინა.

1797 წელს როტიე ინგლისის სამხედრო სამსახურში ჩადგა – გენერალ-კვარტირმაისტერის თანაშემწის წოდებით, 1798 წელს კი ირლანდიაში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებშიც იღებდა მონაწილეობას. 1799 წელს პოლკოვნიკ დონალდ მაკდონალდის პოლკში მსახურობდა და მონაწილეობდა ინგლისელების მიერ წარმოებულ ლაშქრობაში ჩრდილოეთ ჰოლანდიაში. ამ სამხედრო ოპერაციისას, რომელშიც დაიჭრა კიდევ, განსაკუთრებული ძალისხმევა გამოავლინა, რამაც მას პირველი სერიოზული სამხედრო აღიარება მოუტანა. ³

1799-1800 წლებში როტიე აქტიურად ცდილობდა ინგლისისა და ავსტრიის მთავრობათა დარწმუნებას – ემოქმედათ ფრანგებისაგან ბელგიის გასათავისუფლებლად და საამისოდ სხვადასხვა სამხედრო პროექტს სთავაზობდა – მათ შორის, ბელგიელ ლტოლვილთა 3 000-კაციანი პოლკის შექმნას, რო-

¹ Halbertsma R. B., *Scholars, Travellers, and Trade: The Pioneer Years of the National Museum of Antiquities in Leiden, 1818-1840*, Routledge, 2003, გვ. 49.

² A.J. van der Aa, *Biographisch Woordenboek der Nederlanden*, Deel 16, 1874, გვ. 499.

³ იქვე, გვ. 501.

მელიც ავსტრიის სამხედრო სამსახურში ჩადგებოდა.⁴ ამის შემდეგ, როგორც ბიოგრაფები გვამცნობენ, როტიე ესპანეთის ომში 1808-1809 წლებში ბრიტანეთის ჯარის მეთაურის, გენერალ ჯონ მურის არმიას შეუერთდა და გარკვეული ხანი იქ დაჰყო.⁵

როტიეს ცხოვრების პირველი პერიოდის მთელი რიგი მონაკვეთები ბუნდოვანებითაა მოცული, რის გამოც როტიეს ბიოგრაფთა შორის გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. არსებობს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის მიერ ჰოლანდიის ოკუპაციის შემდეგ როტიემ სამი წელი პარიზში – ტყვეობაში გაატარა,⁶ 1806 წელს კი ტყვეობას თავი დააღწია და რამდენიმე წელი ნაპოლეონ I ბონაპარტეს ძმის, საფრანგეთის ვასალი ნიდერლანდების მეფის – ლუი I ბონაპარტეს ჯარში მსახურობდა, აღმირალ დე ვინტერის შტაბის უფროსად.⁷

ნაპოლეონ I ბონაპარტესა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს შორის დადებული ტილზიტის ზავის (1807) შემდეგ, 1808 წლის ბოლოს, რუსეთის საიმპერატორო კარმა მეფე ლუი I-ს თხოვნით მიმართა, გაეგზავნა ჰოლანდიელი ოფიცრები რუსეთის ჯარში სამსახუროდ. ბიოგრაფთა ცნობით, სწორედ ამ ოფიცრებს შორის აღმოჩნდა ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეც. რუსეთში წასვლის მიზეზებზე თავად როტიეც საუბრობს თავის ნაშრომში „მოგზაურობა თბილისიდან კონსტანტინოპოლში“ და შესავალშივე აღნიშნავს, რომ, არაერთი სხვა ოფიცრის მსგავსად, XIX საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა იგი აიძულა, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-სთვის თავშესაფარი ეთხოვა, რასაც ევროპის სხვა ქვეყნებში ვერ მიიღებდა.⁸ ამდენად, 1809 წლიდან ბერნარ როტიე ე.წ. ცარის ამალის კვარტირმაისტერების კორპუსში მაიორის წოდებით ირიცხება, 1811 წელს კი ლეიტენანტ-პოლკოვნიკის წოდებასაც იღებს.⁹

1809-1811 წლებში პოლკოვნიკი როტიე რუსეთში იმყოფება, მისი ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობს და ელიტარული ფენისთვის ხელმისაწვდომი ყველა

⁴ Duchense A., „Techniciens d'autrefois et d'hier (V): Comment B. Rottiers (1771-1858), en servant la Hollande, l'Angleterre et la Russie, devient doyen des généraux pensionnés de Belgique“, *Revue Belge d'Histoire Militaire*, 17/2, 1967, გვ. 130-131.

⁵ A.J. van der Aa, *Biographisch Woordenboek der Nederlanden*, Deel 16, 1874, გვ. 500.

⁶ Halbertsma R. B., *Scholars, Travellers, and Trade: The Pioneer Years of the National Museum of Antiquities in Leiden, 1818-1840*, Routledge, 2003, გვ. 49.

⁷ ბიოგრაფთა ნაწილი ამ ცნობების ჭეშმარიტებას ეჭვქვეშ აყენებს. მიმოხილვისთვის იხ. Duchense A., „Techniciens d'autrefois et d'hier (V): Comment B. Rottiers (1771-1858), en servant la Hollande, l'Angleterre et la Russie, devient doyen des généraux pensionnés de Belgique“, *Revue Belge d'Histoire Militaire*, 17/2, 1967, გვ. 132

⁸ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 5-6.

⁹ Duchense A., „Techniciens d'autrefois et d'hier (V): Comment B. Rottiers (1771-1858), en servant la Hollande, l'Angleterre et la Russie, devient doyen des généraux pensionnés de Belgique“, *Revue Belge d'Histoire Militaire*, 17/2, 1967, გვ. 132.

პრივილეგიით სარგებლობს. 1811 წელს, საკუთარი სურვილით, ოჯახთან ერთად საქართველოში ჩამოდის და გენერალ დიმიტრი ორბელიანის დაქვემდებარებაში მყოფ მე-20 დივიზიაში აგრძელებს სამხედრო სამსახურს, 1814 წელს კი ამ დივიზიის შტაბის უფროსი ხდება. ამ პერიოდში პოლკოვნიკი აქტიურად მონაწილეობს რუსეთის ჯარის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ.¹⁰

1811 წლიდან 1818 წლამდე როტიე ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობს. როტიეს საქართველოსთან კავშირის შესახებ, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების საფუძველზე, ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მისი რვანლიანი ცხოვრების დეტალებს ფაქტობრივად არ ვიცნობთ: დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი თბილისის საზოგადოებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პატივსაცემ ფიგურად ითვლებოდა; მისი საინჟინრო ცოდნა და მხაზველის უნარები ჯარს დიდ დახმარებას უწევდა სხვადასხვა სამხედრო ოპერაციისას; და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – იგი დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, გეოგრაფიის, წეს-ჩვეულებებისა თუ მოსახლეობის ყოველდღიურობის მიმართ, მეცნიერული ინტერესით სწავლობდა საქართველოსთან, ქართულ ენასა და კულტურასთან, რელიგიურ ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც მოგვიანებით საკუთარ ნაშრომებში ასახა კიდევ. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდთანაა დაკავშირებული მისი სერიოზული დაინტერესება სიძველეთა კოლექციონერობით – „შეაგროვა უამრავი გრავირებული ქვა, მონეტები და მედლები საქართველოში – ოქროს საწმისის ქვეყანაში – ანტიკურ კოლხეთში“.¹¹

1818 წელს როტიემ თხოვნით მიმართა იმპერატორ ალექსანდრე I-ს რუსეთის სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, რაც იმპერატორმა დაუკმაყოფილა კიდევ. როტიე თავადვე საუბრობს საქართველოდან ჰოლანდიაში დაბრუნების მიზეზებზე და აღნიშნავს, რომ თავისი სამშობლოს გათავისუფლების შემდეგ მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა იყო, დაბრუნებულიყო და ემსახურა თავისი ქვეყნისთვის, რასაც თან ერთვოდა დედის ფაქტორი, რომელიც ჯერაც ცოცხალი იყო და ანტვერპენში ცხოვრობდა.¹² თუმცა ვფიქრობ, გარდა ზემოხსენებული მიზეზებისა, როტიეს საქართველოდან წასვლას მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი, მერკანტილური მიზეზიც ჰქონდა – სიძველეებით ვაჭრობის დაწყება ევროპაში, რომელიც ამ პერიოდში სიძველეთა ნამდვილ შავ ბაზრად ქცეულიყო.

¹⁰ Duchense A., „Techniciens d'autrefois et d'hier (V): Comment B. Rottiers (1771-1858), en servant la Hollande, l'Angleterre et la Russie, devient doyen des généraux pensionnés de Belgique“, *Revue Belge d'Histoire Militaire*, 17/2, 1967, გვ. 133.

¹¹ იქვე, გვ. 133.

¹² Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 8.

1818 წელს საქართველოდან წასული როტიე მომდევნო ორ წელს მოგზაურობაში ატარებს: თბილისიდან კონსტანტინოპოლში ჩადის, რასაც დეტალურად მოგვითხრობს ნაშრომში „მოგზაურობა თბილისიდან კონსტანტინოპოლში“, ¹³ კონსტანტინოპოლიდან ათენის, რომის, ნეაპოლის, საფრანგეთისა და ინგლისის გავლით, 1820 წელს ნიდერლანდებში ჩადის და თან ჩააქვს ამ მოგზაურობისას შეკრებილი სიძველეთა პირველი კოლექცია, რომელსაც ლაიდენის ანტიკური ხელოვნების ახალგაზრდულ მუზეუმს მიჰყიდის. როტიეს ამ ორწლიანი მოგზაურობის დეტალებსა და მის კოლექციონერულ საქმიანობაზე ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, აქ კი მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: მიუხედავად მის მიერ უკან, ევროპაში დაბრუნების დასახელებული მიზეზისა – ემსახურა საკუთარი სამშობლოს ჯარში, და, მიუხედავად იმისა, რომ მეფე ვილიამ I-მა, რუსეთის იმპერატორის საშუამავლო წერილის საფუძველზე, იგი პოლკოვნიკის სტატუსითვე მიიღო ჰოლანდიის არმიაში, როტიეს აქტიური სამხედრო საქმიანობა მომდევნო წლებში აღარ გაუგრძელებია და მთლიანად კოლექციონერობითა და სიძველეებზე „ნადირობით“ იყო დაკავებული, რაშიც პირველ წლებში ნიდერლანდების სამეფო კარის დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობდა.

ნიდერლანდების მესვეურთა მხარდაჭერა როტიესა და მისი ოჯახისადმი რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული, თუმცა მათგან უმთავრესი მეფე ვილიამის კომერციული და ინდუსტრიული გაფართოების პროგრამაში როტიეს ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება იყო. მეფეს სურდა, სავაჭრო ქსელი გაეფართოებინა აღმოსავლეთის მიმართულებით, მათ შორის, შავი ზღვის რეგიონში. ხელისუფლების ნდობა თავისი კომერციული მიზნებისთვის როტიემაც მშვენივრად გამოიყენა და 1822 წელს ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმს სიძველეთა მეორე კოლექციაც მიჰყიდა, რომელიც მისმა ვაჟმა, ჟან როტიემ შეაგროვა საბერძნეთში ექსპედიციისას.

1825-1826 წლებში როტიემ მისი მთავარი პროექტი – საბერძნეთში, კუნძულ როდოსსა და სხვა კუნძულებზე სამეცნიერო ექსპედიცია განახორციელა, ნიდერლანდების მეფის დავალებითა და სახელმწიფოს ხარჯებით, ¹⁴ რისი

¹³ AJ van der Aa-ს ცნობით, როტიეს ეს წიგნი ეფუძნება რუსეთის მთავრობისადმი წარდგენილ მის მოხსენებას, რომელიც რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის დავალებით შეიქმნა: სანამ სამშობლოში დაბრუნდებოდა, იმპერატორმა როტიეს დაავალა, ეწარმოებინა ერთგვარი სამეცნიერო მოგზაურობა რუსეთის სხვადასხვა მხარესა და შავი ზღვის სანაპიროებზე, ამ კვლევის შედეგები კი მოხსენების სახით მისთვის წარედგინა (იხ. A.J. van der Aa, *Biographisch Woordenboek der Nederlanden*, Deel 16, 1874, გვ. 501).

¹⁴ Halbertsma R. B., „From Antiquarianism to Scholarship – Classical Archaeology in the Netherlands, 1600–1840“, *Collecting Antiquities from the Middle Ages to the End of the Nineteenth Century: Proceedings of the International Conference Held on March 25-26, 2021 at the Wrocław University Institute of Art History, Kraków-Wrocław 2021*, გვ. 41.

შედეგებიც მოვიანებით, ნაწილობრივ წარმოადგინა 1830 წელს გამოცემულ ნაშრომში – „როდოსის ძეგლთა აღწერილობა.“¹⁵

მედიტერანული ექსპედიციისას როტიეს საფრანგეთის მთავრობისგანაც დაავალებული ჰქონდა, დაეთვალთმეობინა და აღწერა ალჟირის სანაპირო და ნავსადგური, რისი ამსახველი მოხსენებაც მან საფრანგეთის მესვეურთ წარუდგინა. თუმცა ვინაიდან ფრანგმა გენერლებმა – ბურმონმა და კლემ ალჟირში საკუთარი გეგმების განხორციელებაში მასთან თანამშრომლობა არ ისურვეს, როტიემ შური იძია იმით, რომ ალჟირთან დაკავშირებული მათი გეგმები გაასაჯაროვა და გამოაქვეყნა ჟურნალში *Révue des Révues*, რითაც საფრანგეთის მთავრობასთან ურთიერთობა დაეძაბა.¹⁶

1830 წელს, ბელგიის რევოლუციის დროს, როტიე ანტვერპენში ცხოვრობდა. იგი სამხედრო ოპერაციებში არ მონაწილეობდა, თუმცა ბოლომდე მეფე ვილიამ I-ის მხარდამჭერი იყო. 23 ოქტომბერს, ანტვერპენის დაბომბვისას, მისი სახლი დაინგრა, რასაც მისი კოლექციის ნაწილიც შეენირა, რომელიც ანტიკური და თანამედროვე ხელოვნების არაერთ ნიმუშს ითვლიდა.¹⁷

1830 წელს – ნიდერლანდებისაგან ბელგიის საბოლოოდ გამოყოფის შემდეგ, ან უკვე გენერალი როტიე ბრიუსელში დასახლდა, სადაც მომდევნო ათწლეულები გაატარა. სამწუხაროდ, თითქმის არაფერი ვიცით ბრიუსელში ცხოვრების პერიოდში როტიეს საქმიანობის შესახებ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გენერლის პენსიით საზრდოობდა და 1858 წლის 6 ივლისს, 87 წლის ასაკში იქვე გარდაიცვალა. მის დაკრძალვას არაერთი ადამიანი ესწრებოდა – პატივს მიაგებდნენ, როგორც „ბელგიის გადამდგარ გენერალთა მეთაურსა“ და ბელგიის დიდებაში განსაკუთრებული წვლილის მქონეს. იგი სამხედრო პატივით დაკრძალეს პორტ დე ლუვენის გარეთ – ბრიუსელის დიდ სასაფლაოზე.

გარდაცვალების შემდეგ ბერნარ როტიეს სახელი დიდი ხნით მიეცა დავიწყებას, თუმცა მის მიერ შექმნილ კოლექციებს ღირებულება დღემდე არ დაუკარგავს და უკვე ორი საუკუნეა, მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებს ამკობს „როტიეს კოლექციები“, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩვენთვის აქამდე უცნობ ქართულ ნიმუშებსაც მოიცავს.

¹⁵ Rottiers B.E.A., *Description des monumens de Rhodes*, Bruxelles, 1830.

¹⁶ A.J. van der Aa, *Biographisch Woordenboek der Nederlanden*, Deel 16, 1874, გვ. 501.

¹⁷ იქვე, გვ. 502.

როტიე საქართველოს შესახებ

საქართველოში გატარებული თითქმის რვანლიანი პერიოდი ბერნარ ეჟენ ანტუან როტიემ ნამდვილად ნაყოფიერად გამოიყენა საიმისოდ, რომ, ერთი მხრივ, მეტ-ნაკლებად სიღრმისეულად გასცნობოდა ჩვენი ქვეყნისა და, ზოგადად, კავკასიის რეგიონის ისტორიულ წარსულს, კულტურას, ლანდშაფტსა თუ ადგილობრივთა ზნე-ჩვეულებებს, მეორე მხრივ კი – დაეგროვებინა სათანადო ცოდნა და გამოცდილება პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვის ჩამოსაყალიბებლად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ყოფნისას როტიე ერთმნიშვნელოვნად რუსეთის პოლიტიკის გამტარებლად გვევლინება, რასაც იგი საქართველოს ინტერესებთან თანხვედრაში მოიაზრებს. გარდა სამხედრო სამსახურით განპირობებული პოლიტიკური მოტივებისა, რასაც თან ერთვოდა საერთაშორისო ასპარეზზე დასავლეთის კავკასიასთან ურთიერთობით განპირობებული მოტივებიც, საქართველოში გატარებულმა წლებმა და კავკასიაში მიღებულმა გამოცდილებამ როტიეს სამეცნიერო ინტერესები კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა, რაც შემთხვევითი სულაც არ არის: მას საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, ფლობდა ლათინურ და ბერძნულ ენებს, კარგად იცნობდა ანტიკური სამყაროს ისტორიასა და კულტურას, ამდენად – მისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მდიდარი ანტიკური წარსულის მქონე კავკასია, რომელსაც იგი „ადამიანთა მოდემის პირველ სამშობლოს“ უწოდებს.¹⁸

როტიეს ინტერესი საქართველოს მიმართ ბევრი ფაქტორით იყო განპირობებული. ამ ფაქტორთაგან, თავისთავად ცხადია, უპირველესი მისი სამსახურებრივი მოვალეობა იყო, რასაც თან ერთვოდა სამეცნიერო ინტერესები და კოლექციონერული მიზნები. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ მის ნაშრომთა შორის მოგვეპოვება საქართველოს შესახებ შექმნილი ნაშრომებიც და არაერთი ცნობა, რომელთაგანაც ზოგიერთი, შესაძლოა, უნიკალურ წყაროს წარმოადგენდეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის მკვლევართათვის.

როტიეს სამეცნიერო საქმიანობას მეტ-ნაკლებად იცნობდნენ მე-19 საუკუნის ქართველოლოგები, მის შესახებ ცნობებს ეპოქის ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც ვხვდებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, როტიეს კავშირი საქართველოსთან და განსაკუთრებით, მისი ნაშრომები და ცნობები საქართველოს შესახებ ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის. ამიტომაც ქვემოთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვადგენთ ბერნარ როტიეს იმ ძირითადი ნაშრომებისა თუ ცნობების მოკლე მიმოხილვას, რომლებიც საქართველოს უკავშირდება.

¹⁸ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople, Bruxelles, 1829*, გვ. 7.

„ანგარიში საქართველოსა და მისი მმართველობის ქვეშ მყოფი
ქვეყნების შესახებ – მისი უმაღლესობის, იმპერატორის ამაღლის
კვარტირმანისტარების კორპუსის ვიცე-პოლკოვნიკ როტიესგან“ (1815)¹⁹

1815 წელს როტიე წერს ანგარიშს საქართველოს შესახებ, რომელიც რუსეთის იმპერატორისთვისაა გამიზნული. შესავალში იგი აღნიშნავს, რომ ტემპლის ციხეში გატარებული ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ, იგი რუსეთის სამსახურში გამოიძახეს, რამაც საშუალება მისცა, ბონაპარტეს შურისძიებისგან ცოტაოდენ ამოესუნთქა. მანაც თავისი მსახურება და გული რუსეთის იმპერატორს – ალექსანდრე I-ს მიუძღვნა, რომელმაც გულმონყალები უბოძა თავშესაფარი. სწორედ იმპერატორის ბრძანებით გაიგზავნა საქართველოში, სადაც გულისყურით აკვირდებოდა ადგილობრივთა და მეზობელ ხალხთა ყოფასა და რეგიონის საერთო ვითარებას, მათ შორის – ადმინისტრაციული მოწყობისა და ვაჭრობის მიმართულებით. ამიტომაც, როგორც იმპერატორის გულმოდგინე მსახურმა, გადანყვიტა, აქ მიღებული ცოდნა, გამოცდილება და თავისი დაკვირვებები მისი უმაღლესობისთვის წარედგინა მხოლოდ ერთი – რუსეთის კეთილდღეობის მიზნით.²⁰

ბუნებრივია, რომ როტიეს ეს ნაშრომი პრორუსული განწყობებითაა განმსჭვალული: იგი ქართველების ხასიათს რუსეთისთვის საფრთხედ მიიჩნევს და წარმოადგენს მისეულ ხედვას, თუ როგორ უნდა დათრგუნოს რუსეთმა ეს ხასიათი. ხშირად საუბრობს რუსი ჯარისკაცების სიქველზე – ამბობს, რომ ის რუსი ჯარისკაცები, რომლებიც კავკასიაში მსახურობენ, საუკეთესო არიან მსოფლიოში. რუსეთის ჯარს ადარებს ქსენოფონის, ლუკულუსისა და პომპეუსის ჯარებს, რომლებიც „ამ ადგილებში ებრძოდნენ ამ ხალხების წინაპრებს, რომლებიც ისეთივე ბარბაროსები იყვნენ, როგორებიც ახლა არიან ქართველები“²¹ და საჭიროდ თვლის რუსი ჯარისკაცების წახალისებას დამატებითი სიკეთეებით.

როტიეს ეს ანგარიში დაწერილია ფრანგულ ენაზე და რვა ნაწილისგან შედგება:

პირველი ნაწილი ეთმობა საქართველოში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების აღწერას 1812 წლიდან რუსეთ-სპარსეთს შორის 1813 წლის 12 (24) ოქტომბერს დადებულ გულისტანის საზავო ხელშეკრულებამდე. აღსანიშნავია, რომ როტიე ამ ოპერაციებში თავადვე მონაწილეობდა, რომელ-

¹⁹ „Mémoire sur la Géorgie et sur les pays qui dépendent de son gouvernement. Par le Lieutenant-colonel Rottiers, du corps des quartiers-maitres de la suite de sa majesté l'empereur (1815)“, *AKAK*, V, Tiflis, 1873, გვ. 965–982.

²⁰ იქვე, გვ. 965.

²¹ იქვე, გვ. 966.

თა შესახებაც იგი თვითმხილველის თვალთ, თუმცა აშკარა ანტიქართული განწყობით მოგვითხრობს და მოვლენათა მისეულ შეფასებებს წარმოადგენს.²²

მეორე ნაწილში როტიე საუბრობს კავკასიაში რუსეთის მიერ ახალდაპყრობილი ტერიტორიების შესახებ და აღწერს იმ სოფლებს, დასახლებებსა თუ გეოგრაფიულ პუნქტებს, რომლებიც 1812-1813 წლებში განხორციელებული სამხედრო ოპერაციებისას გაიარა.²³

მესამე ნაწილში რუსეთის მიერ მტკვარზე დაგეგმილი სანაოსნო პროექტის შესახებ გვანვდის ინფორმაციას. პოლკოვნიკი იძლევა მდინარე მტკვრის საკმაოდ დეტალურ, გეოგრაფიულ და ფიზიკურ აღწერილობას და აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა იდეა სანაოსნო არხის საშუალებით შავი და კასპიის ზღვების ერთმანეთთან შეერთებისა, რაც უტოპიურ იდეად მიაჩნია და წარმოადგენს არგუმენტებს მტკვრის ნაოსნობისთვის გამოუსადეგარობის სასარგებლოდ და, შესაბამისად, ზემოხსენებული პროექტის სანაღამდეგოდ.²⁴

მეოთხე ნაწილში როტიე აღფრთოვანებით მიმოიხილავს კასპიის ზღვაზე არსებულ ესკადრას, მეხუთე ნაწილში კი აღწერს სალიანის ოლქსა და მტკვრის შენაკადებს შორის მოქცეულ კუნძულს, რომელსაც სპარსელების შესაკავებლად მნიშვნელოვან სამხედრო პუნქტად და პერპექტიულ ეკონომიკურ რეგიონად მიიჩნევს მელვინეობისა და თევზჭერის განვითარების თვალსაზრისით.²⁵

მეექვსე თავში როტიე თურქეთთან საზღვრების შეცვლის აუცილებლობას წარმოაჩენს და აღნიშნავს, რომ ბუნებრივი საზღვრები საუკეთესო საშუალებაა მეტი დაცულობისთვის. ამ თავში პოლკოვნიკი მიმოიხილავს ბათუმის ხელსაყრელ მდებარეობასა და მის საზღვაოსნო შესაძლებლობებს, საუბრობს თურქეთთან საზღვრების გადანევის მისეულ ხედვაზე, რაც ერთი მხრივ, ააყვავებს და ახალ სიცოცხლეს მისცემს თბილისიდან ბათუმამდე გზისპირა რეგიონებს, რომლებიც ძირითადად გავერანებულია, მეორე მხრივ კი – გადაჭრის ბევრ პრობლემას, როგორიცაა, მაგალითად, შავი ჭირი, რომელიც ოთხი წელია მძვინვარებს საქართველოში და ასევე, როგორიცაა სამარცხვინო ტრადიცია მონებით ვაჭრობისა, რომლითაც განსაკუთრებით გამოირჩევა ქალაქი ფოთი. რუსეთისთვის კი, როტიეს აზრით, ეს ყველაფერი მომგებიანი იქნება იმ თვალსაზრისით, რომ იგი გახდება შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილის მთავარი აქტორი ვაჭრობის მიმართულებით. ამავე თავში როტიე ვრცლად საუბრობს ლაზების შესახებ, რომელთა გამოყენებაც, ენისა და რელიგიური წარსულის გათვალისწინებით, ხელსაყრელად მიაჩნია

²² „Mémoire sur la Géorgie et sur les pays qui dépendent de son gouvernement. Par le Lieutenant-colonel Rottiers, du corps des quartiers-maitres de la suite de sa majesté l'empereur (1815)“, *AKAK*, V, Tiflis, 1873, გვ. 965-967.

²³ იქვე, გვ. 968-971.

²⁴ იქვე, გვ. 971-973.

²⁵ იქვე, გვ. 973-975.

რუსეთის სასარგებლოდ; ასევე, აქვე გვანვდის ინფორმაციას ნალკაში განსახორციელებელი აუცილებელი ნაბიჯებისა და ლეკების შესახებ, რომელთაც თურქეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობა, მისი აზრით, მაქსიმალურად უნდა შეეზღუდოთ.²⁶

მეშვიდე ნაწილში როტიე საუბრობს შირვანისა და შაქის სახანოების შემოერთების აუცილებლობაზე, იძლევა ამ მხარეების გეოგრაფიულ და, ნაწილობრივ, ისტორიულ აღწერილობას; აქვე, ამ ტერიტორიების შემოერთებისა და სიტუაციის დასტაბილურების შემთხვევაში, რუსეთის მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებლის პერსპექტივებზე საუბრობს.²⁷

მერვე თავში როტიე წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებს შიდა მმართველობის მოწყობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოდან ამ ეტაპზე არაკეთილგონივრული საქციელი იქნება, ვინაიდან ქვეყანაში მთელი რიგი ადმინისტრაციული რეფორმებია გასატარებელი. ეს რეფორმები ხელს შეუწყობს ქართველთა ნდობის დაბრუნებას, რასაც ახალციხეში განხორციელებულმა სამხედრო ოპერაციამ და სხვა ფაქტორებმა აშკარა ზიანი მიაყენეს. როტიეს თვალსაზრისით, საქართველოში აუცილებელია შემდეგი ზომების მიღება: 1. საქართველოში უნდა დაინიშნოს ქართველი მმართველი, რომელსაც, ერთი მხრივ, საკმარისი გავლენა ექნება ქართველ ხალხზე, მეორე მხრივ კი, გააზრებული ექნება რუსეთის უპირატესობა და იმოქმედებს მისი კეთილდღეობისთვის; 2. ქვეყნიდან უნდა განიდევნონ საჯარო მოხელეები, რომლებიც ხალხს მექრთამეობითა და მფლანგველობით ალიზიანებენ; 3. აუცილებელია, ქართველებმა თვითონვე შექმნან იუსტიციის სათათბირო და ასე გადაჭრან მათი სადავო საკითხები, ისე როგორც ეს მათი მეფეების პერიოდში იყო; 4. ვაჭრებმა უნდა შექმნან საბჭო, რომელიც დაიცავს მათ ინტერესებს და დააბალანსებს რუსეთიდან და სპარსეთიდან საქონლის მიმოქცევას; ეს ხელს შეუშლის ფულის გადინებას, რაც აქამდე უკონტროლოდ ხდებოდა და ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს. როტიეს აზრით, ასევე აუცილებელია საბაჟო რეფორმის გატარება; 5. მოურავები და ბოქაულები ამჟამინდელივით ვისიმე მფარველობით კი არ უნდა დაინიშნონ, არამედ ისინი რეგიონმა უნდა აირჩიოს, რითაც მოსახლეობას აღარ ექნება მათი უსაქციელობის გამო ხელისუფლების მიმართ საყვედურის მიზეზი, ვინაიდან თავად მოსახლეობის წარმომადგენლები იქნებიან ისინი. აქვე როტიე წარმოადგენს მოსაზრებას, რომ შესაძლოა უკეთესი იყოს ამ პოზიციებზე იმ სამხედრო მოსამსახურეთა დანიშვნა, რომლებიც სამშობლოსთვის ბრძოლაში დაიჭრენ

²⁶ „Mémoire sur la Géorgie et sur les pays qui dépendant de son gouvernement. Par le Lieutenant-colonel Rottiers, du corps des quartiers-maitres de la suite de sa majesté l'empereur (1815)“, *AKAK*, V, Tiflis, 1873, გვ. 975-977.

²⁷ იქვე, გვ. 977-979.

და სამხედრო სამსახურს ველარ აგრძელებენ და დასძენს, რომ ამით აღ-
მოიფხვრება მოსახლეობის მტრული განწყობა ხელისუფლების მიმართ.

როტიე აღნიშნავს, რომ მხოლოდ ამ ღონისძიებების გატარების შემთხვე-
ვაში, ქართველი ხალხი ირწმუნებს, რომ „რუსეთმა მამობრივი მფარველობის
ქვეშ მიიღო ეს ქვეყანა, რომელიც ვერ ახერხებდა მტერთან გამკლავებასა
და საკუთარი სუვერენიტეტის დაცვას.“²⁸ ამასთან, ეს რეფორმები შეამცი-
რებს რუსეთის ხარჯებს სამომავლოდ და დაეხმარება მას, უკან დაიბრუნოს
ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში გაღებული ხარჯები. მხოლოდ მას შემდეგ,
რაც საქართველოში შეიქმნება ადგილობრივთაგან დაკომპლექტებული მილი-
ცია, სომეხთა ქვეითი ჯარი და ქართველ-აზერბაიჯანელთა კავალერია, რუ-
სეთი შეძლებს თავისი ჯარის ნაწილის გაყვანას ამ ქვეყნიდან ისე, რომ სა-
მომავლოდ მხოლოდ 5000 რუსი ჯარისკაციც საკმარისი იყოს თბილისის
სიახლოვეს.

ანგარიშის ბოლოს როტიე აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიებები კეთილდღეო-
ბას მოუტანს საქართველოს და რუსეთის ერთგულად აქცევს მას, რაც რუსე-
თისთვის ასე მნიშვნელოვანია. ბოლოს კი დასძენს, რომ შეეძლო უსასრულოდ
გაეგრძელებინა საუბარი, მაგრამ თუ საჭირო გახდება, მზადაა დანარჩენი პი-
რადად მოახსენოს საიმპერატორო კარს.²⁹

„მოგზაურობა თბილისიდან კონსტანტინოპოლში“ (1829)³⁰

1829 წელს ბრიუსელში გამოიცა წიგნი „მოგზაურობა თბილისიდან კონსტან-
ტინოპოლში“. როგორც სატიტულო გვერდი გვამცნობს, წიგნის ავტორი – რო-
ტიე არის „მეთაური, სხვადასხვა ორდენის რაინდი, არაერთი აკადემიის წევრი
და სხვა“. ნაშრომში წარმოდგენილია 1818 წელს თბილისიდან კონსტანტინო-
პოლში როტიეს მოგზაურობის აღწერა და ეპოქის ისტორიულ მოვლენათა
ავტორისეული შეფასება.³¹

ფრანგულ ენაზე გამოცემული ეს საკმაოდ ვრცელი ნაშრომი მეტად საინტე-
რესო წყაროს წარმოადგენს მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ზოგა-

²⁸ „Mémoire sur la Géorgie et sur les pays qui dépendant de son gouvernement. Par le Lieu-
tenant-colonel Rottiers, du corps des quartiers-maitres de la suite de sa majesté l'empereur
(1815)“, *AKAK*, V, Tiflis, 1873, გვ. 978.

²⁹ იქვე, გვ. 979-981.

³⁰ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829.

³¹ მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი 1829 წელს გამოიცა, იგი როტიეს 1818 წლის
მოგზაურობის შთაბეჭდილებებსა და ისტორიულ მოვლენებს ასახავს, შესაბამი-
სად, შინაარსობრივი ქრონოლოგიის თვალსაზრისით, იგი წინ უსწრებს როტიეს
რელაციონებს „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ
ქვეყნებში“, რომელიც 1819 წელს დაიწერა. ნაშრომში წარმოდგენილი განხილვისას
ჩვენც შინაარსზე დაფუძნებული ქრონოლოგიის პრინციპს მივყევით.

დი ვითარების საერთო სურათის აღსადგენად, განსაკუთრებით – ისტორიულ-პოლიტიკური, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული კუთხით და დასაბუთებით, რომ ქართულ ენაზე მისი სრული თარგმანი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ამიტომაც ქვემოთ წარმოვადგენთ ძალიან მოკლე ინფორმაციას წიგნის ფორმატის, შინაარსისა და იმ მონაკვეთების შესახებ, რომლებიც საქართველოს უკავშირდება და განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის.

როტიე ნაშრომის პირველივე თავში გვანვდის ცნობებს საკუთარ თავზე, თბილისში ყოფნისა და იქიდან გამგზავრების მიზეზებზე, დაგეგმილ მოგზაურობაზე, მის მიზანსა და მთავარ გამოწვევებზე. აქედანვე ვიგებთ, რომ ავტორი, ალექსანდრე I-ის ბრძანებით, საქართველოში 1811 წლის დასაწყისში ჩამოსულა – გენერალ ორბელიანის³² დაქვემდებარებაში მყოფ მე-20 დივიზიონში გაუგრძელებია სამსახური. მისი ჩამოსვლის ერთ-ერთი მოტივი, გარდა სამხედრო სამსახურისა, კავკასიის რეგიონზე, მის მცხოვრებთა წეს-ჩვეულებებსა და ადგილობრივ კულტურაზე დაკვირვებაც ყოფილა. ამასთან დაკავშირებით როტიე წერს: „ეს აღმოსავლეთი – ადამიანთა მოდგმის პირველი სამშობლო, დღემდე დიდ სიმპათიას იწვევს იმ ადამიანთა შთამომავლებში, რომლებითაც შორეული დასახლებები აღავსო. დასავლელებს ყოველთვის აქვთ მზერა მიმართული იმ უზარმაზარი სანახებისკენ, საიდანაც ისინი ევროპაში ჩამოვიდნენ. საკუთარი ოჯახის ამბებივით აინტერესებთ მათ აქედან ჩასული სიახლეები; ახალი ძეგლის აღმოჩენა მათთვის იგივეა, რაც მამა-პაპების საფლავის აღმოჩენა.“³³

როტიე გვამცნობს, რომ ეს განცდა მას ყოველდღიურად ახალი ძალით ავსებდა და ამიტომაც ამ საკითხებზე დიდხნიანი ფიქრის შემდეგ, როგორც კი გარემოებებმა ამის საშუალება მისცეს, ნაშრომზე მუშაობაც დაიწყო, რასაც ავტორი სარისკო საქმეს უწოდებს. აქვე აღნიშნავს, რომ 1813 წლის გულისტანის ზავის შემდეგ გადაწყვიტა, ესარგებლა მშვიდობით და არ ეჩქარა სამშობლოში დაბრუნება, რათა განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი და მხოლოდ ამის შემდეგ – 1818 წელს მიიღო დაბრუნების გადაწყვეტილება. როტიე აქვე აღნიშნავს, რომ მას შეეძლო დარჩენილიყო „დედამინის ამ უმშვენიერეს ადგილას“, ³⁴ რაც მისი ოჯახის კეთილდღეობისთვისაც სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ დედისა და სამშობლოს ფაქტორმა გადააწყვეტინა დაბრუნება.

ნაშრომიდან ვიგებთ, რომ ავტორს ასევე შეეძლო რუსეთისა და გერმანიის გავლით დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში, მაგრამ კონსტანტინოპოლის გავლით დაბრუნება არჩია: თბილისიდან იგი მცხეთაში გაემგზავრა, საიდანაც

³² დიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანი (1763-1827) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენის მფლობელი.

³³ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 7.

³⁴ იქვე, გვ. 8.

გორსა და ქუთაისში ჩავიდა, ამის შემდეგ კი ფოთიდან ზღვის საშუალებით – ტრაპიზონის, სინოპისა და სხვა პუნქტების გავლით, კონსტანტინოპოლში ჩააღწია, რამაც მას საშუალება მისცა საკუთარი თვალთა ენახა ანტიკური სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი ადგილები.³⁵

როტიეს ცნობით, გარდა ზემოხსენებული მიზეზისა, ამ მარშრუტს სხვა მოტივიც მოედებნებოდა – მას სურდა, შეეკრიბა ინფორმაცია ოტომანთა დაქვემდებარებაში მყოფი რეგიონების მდგომარეობის შესახებ, რაც ევროპელთათვის ნაკლებადაა ხელმისაწვდომი: შეექმნა ამ სანაპიროთა ზუსტი ჩანახატები, მოენიშნა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო პუნქტები, აღენერა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტები, ექსპორტ-იმპორტის პრინციპები, ადგილობრივ ხალხთა ზნე და ნეს-ჩვეულებები, რაც მისთვის რთულ ამოცანას წარმოადგენდა და დიდ გამბედაობას მოითხოვდა.³⁶

მოგზაურობა ავტორისთვის სარისკო და სახიფათოც კი ჩანდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შავი ზღვა და მისი მშფოთვარე ბუნება იყო, მეორე მხრივ კი – „ველურ აზიელთა“³⁷ ფაქტორი. ამას ემატებოდა ისიც, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე კი არა, მთელ ოჯახზეც უნდა ეზრუნა. ამ მოგზაურობაში მას თან ახლდა მეუღლე, ქალიშვილი და სამი ვაჟი, რომელთაგან უმცროსი 10 წლისა იყო. ამ რისკს თავად არ გასწევდა, რომ არა მისი მეუღლის მხარდაჭერა, რომელმაც გადაწყვიტა, ქმართან და შვილებთან ერთად წასულიყო ამ მოგზაურობაში. როტიე აღნიშნავს, რომ მოგზაურობისას დიდ დახმარებას უწევდა მას უფროსი ვაჟი, რომელმაც თურქული ენა იცოდა და მამას თარჯიმნობდა. ამიტომაც ავტორი განსაკუთრებულ მადლიერებას გრძნობს საკუთარი ოჯახის მიმართ.

პირველი თავის ბოლოს როტიე აღნიშნავს, რომ მოგზაურობისას იგი ინიშნავდა მნიშვნელოვან მოვლენებსა თუ საკითხებს და მოგვიანებით, სწორედ ამ ჩანიშვნების საფუძველზე დაიწერა ეს წიგნი, რომელსაც შესაძლოა, მეთოდოლოგიური თუ სხვა კუთხით ბევრი ნაკლიც ჰქონდეს, ვინაიდან ინფორმაციის გადასინჯვის დრო არ ჰქონდა. აქვე დასძენს, რომ თემატურად დალაგების შემთხვევაში, ამ წიგნის წერას ვერასდროს დაასრულებდა, ამიტომაც შეარჩია სამოგზაურო ჟანრის ფორმატი და იმედს იტოვებს, რომ „ინტერესი, რომელიც დღეს მიმართულია ამ რეგიონისკენ, სადაც უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სამხედრო მოვლენებს აქვს ადგილი“, ამ ნაშრომისადმი მკითხველის მიმღებლობასა და კეთილგანწყობას განაპირობებს.³⁸

³⁵ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople, Bruxelles, 1829*, გვ. 9.

³⁶ იქვე, გვ. 10.

³⁷ იქვე, გვ. 10.

³⁸ იქვე, გვ. 11.

მართლაც, სამეცნიერო და ფართო საზოგადოება საკმაო ინტერესით შეხვდა ამ ნიგნს, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გამოცემისთანავე ჰპოვა ნაშრომმა გამომხაურება.³⁹

ბერნარ როტიეს ნაშრომი „მოგზაურობა თბილისიდან კონსტანტინოპოლში“ 26 თავისგან შედგება. მას თან ახლავს კავკასიის რეგიონისა და საქართველოს რამდენიმე რუკა და ქართული ანბანი – სამივე სახეობით. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ცხრა თავი, რომელიც საქართველოს აღწერას ეთმობა: როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველი თავი ერთგვარ შესავალს წარმოადგენს, რომელშიც საუბარია მოგზაურობის ხასიათზე, ნაშრომის შექმნის მოტივებსა და წინაპირობებზე;⁴⁰ მეორე თავში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის მიმოხილვა უძველესი დროიდან ქრისტიანობის შემოსვლამდე. ნიგნში მოცემული ისტორიული ანალიზი ეფუძნება იულიუს ფონ კლაპროთისა და ჟაკ ფრანსუა გამბას ნაშრომებს, ისევე როგორც როტიეს მიერ მოძიებულ უამრავ სხვა წყაროსა თუ ნაშრომს, რომელთაგანაც აღსანიშნავია ჟან შარდენისა და იოჰან გიულდენშტედტის ნაშრომები. როტიეს თქმით, მან იტვირთა ამ და სხვა წყაროთა შეჯერების მძიმე საქმე, ამას თან დაურთო საქართველოში რვანლიანი ცხოვრებისას მიღებული ცოდნა და გამოცდილება, რამაც უფლება მისცა რიგ შემთხვევებში, ჩაესწორებინა კიდეც წინამორბედთა მოსაზრებები და საქართველოსა და მიმდებარე ქვეყნების მეტ-ნაკლებად სრული აღწერილობა წარმოედგინა თავის ნიგნში.⁴¹

როტიე საქართველოს ისტორიის თხრობას, კლაპროთის ნაშრომზე დაყრდნობით, პეროდოტესეული ცნობით იწყებს, რომელიც კოლხთა წინაპრად ეგვიპტის ლეგენდარულ მეფეს – სესოსტრისს ასახელებს, რასაც მოჰყვება საქართველოს ისტორიიდან მთელ რიგ მოვლენათა აღწერა. ამავე თავში იგი ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“ – ერთ-ერთ ხელნაწერს, რომელიც გელათის მონასტერშია დაცული და რომლის საფუძველზეც ავტორი წარმოადგენს ქართველთა თარგამოსისგან წარმოშობის ლეგენდას.

ძალიან საინტერესოა ამ თავში მოცემული „ქართველ მეფეთა კატალოგი“, რომლის შესახებაც როტიე შემდეგ ინფორმაციას გვანვდის: რაკილა ვახტანგისეულ ხელნაწერში ქართველ მეფეთა სია მეფე ვახტანგით მთავრდება, მან უმჯობესად მიიჩნია ნაშრომში წარმოედგინა სხვა, უფრო სრული სია – ნინოწმინდის მონასტერში დაცული ქრონიკებიდან, რომელიც ქართველთა შორის პოპულარობით სარგებლობს და მასში, ქართველთა უკანასკნელი მეფის ჩათვლით, ყველა მეფეა წარმოდგენილი.⁴²

³⁹ იხ. Journal des voyages, découvertes et navigations modernes , 1829, ტ. 42 (126), გვ. 56-85.

⁴⁰ იხ. Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 5-11.

⁴¹ იქვე, გვ. 13.

⁴² იქვე, გვ. 27.

როტიეს მიერ წარმოდგენილი „მეფეთა კატალოგის“ ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. 299 – ახ. წ. 1800 წლებს მოიცავს – მეფე ფარნავაზიდან გიორგი მე-თორმეტის ჩათვლით. სიაში დასახელებულია 97 მეფე ქრონოლოგიური რიგითობის მიხედვით და მითითებულია მათი გამეფების თარიღი, მმართველობის ხანგრძლივობა და მოკლე ინფორმაცია თითოეულის შესახებ.⁴³ როტიე დასძენს, რომ ეს სია მეთოდითა და სტილით მას მოაგონებს საფრანგეთის ისტორიის შესახებ ცნობილი სახელმძღვანელოების ავტორის – კლოდ ლე რაგუას მეთოდს, რომელიც საფრანგეთის მონარქიის უწყვეტი ისტორიის წარმოჩენაზეა ორიენტირებული და აქვე აღნიშნავს, რომ ქართველთა მონარქიაც, „რომელსაც ამდენხნის უწყვეტი ისტორია აქვს და რომელიც უეცრად შეწყდა, ისეთივე კანონიერია, როგორიც სხვები“.⁴⁴

მესამე თავში როტიე გვთავაზობს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას, რომელიც, თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენი ნაშრომის მთავარი საკვლევი დოკუმენტის – პროპაგანდა ფიდეს არქივში დაცული მისივე რელაციონეს⁴⁵ მოკლე ვერსიას წარმოადგენს. ამავე თავში ცალკე პარაგრაფადაა მოცემული ქართული ენის ძალიან მოკლე დახასიათება, რომელიც, ავტორის თქმით, მარი ბროსეს „სააზიო ჟურნალში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიას ეფუძნება⁴⁶ და დანართის სახით წარმოდგენილია ქართული ანბანი. როტიე აღნიშნავს, რომ ეს ანბანი გადმოღებულია ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ სტამბაში გამოცემული ეგზემპლარიდან და, თავისთავად, უფრო სანდოა, ვიდრე ევროპაში გამოცემულ წიგნებში მოცემული ანბანი.⁴⁷ აქვე საუბარია ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებზე, რომელთაგან როტიე საუკეთესოდ მიიჩნევს მისიონერთა მე-14 პრეფექტის – ჯიროლამო და ნორჩას მიერ შედგენილ გრამატიკას, რომელიც ხელნაწერის სახით ინახებოდა გორის კათოლიკურ მონასტერში.

ქართული ენის საილუსტრაციოდ, ავტორი წარმოადგენს წმინდა ნინოს ლოცვას ქართულ და ლათინურ ენებზე და დანანებით აღნიშნავს, რომ ლათინური ანბანით უწევს ქართული ტექსტის წარმოდგენა ტიპოგრაფიულ ნიშანთა არარსებობის გამო და ამავე მიზეზით ფილოლოგთათვის ესოდენ საინტერესო საკითხების შესახებ მხოლოდ მწირი საუბრით შემოიფარგლება.⁴⁸

მომდევნო თავში როტიე გვანვდის ინფორმაციას ადგილობრივ მუსლიმთა შესახებ და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლეკებს. ავტორი

⁴³ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 28-36.

⁴⁴ იქვე, გვ. 37.

⁴⁵ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 369r-414v.

⁴⁶ იგულისხმება მარი ბროსეს სტატია – „Notice sur la langue géorgienne“, რომელიც 1827 წელს გამოქვეყნდა (იხ. *Journal Asiatique*, ტ. X, გვ. 351-379).

⁴⁷ იქვე, გვ. 44.

⁴⁸ იქვე, გვ. 45.

ALPHABET GEORGIEN.

<i>Majuscules.</i>	<i>Minuscules.</i>	<i>Cursives.</i>	<i>Noms.</i>	<i>Majuscules.</i>	<i>Minuscules.</i>	<i>Cursives.</i>	<i>Noms.</i>
Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	<i>an</i>	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	<i>tar</i>
Ⴆ	Ⴇ	Ⴈ	<i>ban</i>	Ⴉ	Ⴊ	Ⴋ	<i>oun</i>
Ⴌ	Ⴍ	Ⴎ	<i>gan</i>	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ	<i>phie'</i>
Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	<i>don</i>	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ	<i>phar</i>
Ⴘ	Ⴙ	Ⴚ	<i>en</i>	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	<i>khan</i>
Ⴟ	Ⴀ	Ⴁ	<i>vin</i>	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ	<i>gan</i>
Ⴅ	Ⴆ	Ⴇ	<i>zen</i>	Ⴈ	Ⴉ	Ⴊ	<i>ker</i>
Ⴋ	Ⴌ	Ⴍ	<i>he</i>	Ⴎ	Ⴏ	Ⴐ	<i>chin</i>
Ⴑ	Ⴒ	Ⴓ	<i>tan</i>	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	<i>tchin</i>
Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	<i>in</i>	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	<i>tzan</i>
Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	<i>kan</i>	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	<i>tzill</i>
Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	<i>lash</i>	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ	<i>tsil</i>
Ⴟ	Ⴀ	Ⴁ	<i>man</i>	Ⴉ	Ⴊ	Ⴋ	<i>ltchar</i>
Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	<i>nar</i>	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ	<i>chan</i>
Ⴇ	Ⴈ	Ⴉ	<i>hie'</i>	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	<i>char</i>
Ⴋ	Ⴌ	Ⴍ	<i>on</i>	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	<i>jhan</i>
Ⴏ	Ⴐ	Ⴑ	<i>par</i>	Ⴘ	Ⴙ	Ⴚ	<i>hae'</i>
Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	<i>jan</i>	Ⴟ	Ⴀ	Ⴁ	<i>hoe'</i>
Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	<i>rahe</i>	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	<i>pha.</i>
Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	<i>san</i>				

ქართული ანბანი

როტიეს ნიგნიდან „მოგ ზაურობა
თბილისიდან კონსტანტინოპოლში“, 1829.

საუბრობს 1812 წლის კახეთის აჯანყებისა და მანავთან გამართულ ბრძოლაზე, რომელშიც თავადაც იღებდა მონაწილეობას გენერალი დიმიტრი ორბელიანის ხელმძღვანელობით, რომლის გენეალოგიასა და მოკლე ბიოგრაფიას იქვე წარმოადგენს. როტიე დასძენს, რომ კავკასიელ ხალხთა ერთიანობა, განსაკუთრებით კი – ლეკების კავშირი საქართველოსა და რეგიონის მუსლიმ მოსახლეობასთან, ყველაზე დიდ ბარიერს წარმოადგენს რუსეთისთვის ახალშემოერთებულ მხარეებში მშვიდობის დამყარების პროცესში. ავტორი ცალკე პარაგრაფად გამოყოფს დალესტინის სოფელ აკუშას აღწერას, რომელსაც გენუელთა კოლონიად მოიხსენიებს.⁴⁹

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა როტიეს ნაშრომის მეხუთე თავი, რომელშიც წარმოდგენილია რუსეთის მპყრობელობის ისტორია საქართველოში.⁵⁰ ავტორი ამ საკითხზე საუბარს იწყებს მეფე არჩილისა და ვახტანგ VI-ის ეპოქიდან, საუბრობს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე და უფრო ვრცლად განიხილავს მეფე ერეკლეს ეპოქას. აქვე წარმოადგენს გეორგიევსკის ტრაქტატის ფრანგულ, თავისუფალ თარგმანს.⁵¹

ამას მოჰყვება გიორგი XII-ის ეპოქის მოკლე მიმოხილვა, რასაც თან ახლავს 1799 წლის 23 ნოემბერს დადებული მეორე ტრაქტატის ფრანგული თარგმანი. აღსანიშნავია, რომ როტიესთან წარმოდგენილ ამ ფრანგულ ტექსტს იმონებებს და მის ქართულ თარგმანს წარმოგვიდგენს პლატონ იოსელიანი ნიგნში „ცხოვრება მეფის გიორგის მეათცამეტისა“.⁵²

ამ და სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა მიმოხილვის შემდეგ როტიე წარმოადგენს ვრცელ მონათხრობს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის – მარიამის საქართველოდან გაძევებისა და ლაზარევის მკვლელობის ცნობილი ეპიზოდის შესახებ.⁵³ საგულისხმოა, რომ ეს მონაკვეთი, რომელშიც ავტორი, მისივე თქმით, წარმოგვიდგენს მარიამ დედოფლის ტრაგედიას,⁵⁴ მთელ ნიგნში გამოირჩევა მხატვრული სტილითა და ბელეტრისტული მახასიათებლებით, რაშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს პერსონაჟთა დახასიათება, დიალოგები და მოქმედების დრამატული განვითარება. ამ თავის ბოლოს როტიე აღნიშნავს, რომ ეს ამბავი მას უკარნახა ამ მოვლენის თვითმხილველმა, დედოფლის სასახლის ახლოს მდებარე წმ. გიორგის სამლოცველოს მღვდელმა – ონისიმე

⁴⁹ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 46-60.

⁵⁰ იქვე, გვ. 61.

⁵¹ იქვე, გვ. 64-67.

⁵² „აჰა თვით ჰაზრნი და მუხლნი ტრაქტატისა ამის, რომელიცა იპოება დაბეჭდილსა ფრანციზულად ნიგნსა შინა როტიესსა [...]“ – პლ. იოსელიანი, *ცხოვრება მეფის გიორგის მეათცამეტისა*, Tiflis, 1893, გვ. 68-69.

⁵³ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 73-83.

⁵⁴ იქვე, გვ. 73.

იოსელიანმა, რომელიც 10 წლის შემდეგაც კი თვალზე ცრემლმომდგარი მოუთხრობდა მას მარიამ დედოფლის დაპატიმრების ამბავს.⁵⁵

აღსანიშნავია, რომ მარიამ დედოფლის ეპიზოდი როტიემ წიგნის გამოცემამდე, 1827 წელს ცალკე ნაშრომად გამოაქვეყნა *Journal Asiatique*-ში სათაურით „ბიოგრაფიული ჩანახატი მარიამის – საქართველოს უკანასკნელი დედოფლის შესახებ“.⁵⁶ 1859 წელს როტიეს ვაჟმა – ვიქტორმა კიდევ ერთხელ დაბეჭდა მამის ეს ნაშრომი ჟურნალში *La Flandre Illustrée* სათაურით „Marie, dernière reine de Géorgie“.⁵⁷ როტიეს ეს ნაშრომი, რომელიც 1829 წელს გამოცემულ მის წიგნში „მოგზაურობა თბილისიდან კონსტანტინოპოლში“ მცირე დამატებებით შევიდა, ქართულად ალექსანდრე ჭყონიამ თარგმნა და 1894 წლის „მომბის“ მე-7 ნომერში გამოაქვეყნა სათაურით „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ“.⁵⁸

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, სწორედ როტიეს ამ ნაშრომმა შთააგონა არაერთი ქართველი და უცხოელი მწერალი, რომლებმაც მარიამ დედოფლის შესახებ ძალიან საინტერესო მხატვრული ნაწარმოებები შექმნეს,⁵⁹ რაზედაც თავად როტიე წინასწარმეტყველურად შენიშნავს: „ამ ტრალიკულმა ამბავმა, თავის დროზე ისეთი დიდი აღრევა მოახდინა, ისეთი დიდი ხმაურობა ასტეხა, რომ შეუძლებელია, იგი დავიწყებულ იქმნას და ოდესმე იქნებ ისტორიამაც და პოეზიამაც შეამკოს იგი მომხიბლავის ფორმებით და ჰარმონიულის ლექსებითა...“.⁶⁰

მომდევნო თავში როტიე საუბრობს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, ევროპის ქვეყნების ჩართულობაზე კავკასიაში მიმდინარე პროცესებში, კავკასიელ ხალხთა საერთო მდგომარეობაზე საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში და წარმოადგენს საკუთარ შეფასებებსა და თვალსაზრისს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები ისე, რომ ეს ორივე მხარისთვის სასიკეთო იყოს.⁶¹ რო-

⁵⁵ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 82.

⁵⁶ Rottiers B., „Notice biographique sur Marie, dernière reine de Géorgie“, *Journal Asiatique*, სერია 1, ტ. 10, გვ. 367-379.

⁵⁷ იხ. Duchense A., „Techniciens d'autrefois et d'hier (V): Comment B. Rottiers (1771-1858), en servant la Hollande, l'Angleterre et la Russie, devient doyen des généraux pensionnés de Belgique“, *Revue Belge d'Histoire Militaire*, 17/2, 1967, გვ. 135.

⁵⁸ „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ“ (როტიერისა), აღ. ჭყონიას თარგმანი, ჟურნ. *მომბე*, 1894, N7, გვ. 1-11.

⁵⁹ იხ. პაპავა თ., პაპავა ა., *მარიამ – უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი*, buenos airesi, 1956, გვ. 164; Imerlishvili I., „The last queen of Georgia Maria“, in *European Scientific Journal*, December 2013, vol. 2, გვ. 394.

⁶⁰ „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ“ (როტიერისა), აღ. ჭყონიას თარგმანი, ჟურნ. *მომბე*, 1894, N7, გვ. 2.

⁶¹ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 84-103.

ტიე განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობისა და ვაჭრობის საკითხებს, აქაც საუბრობს შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი არხის პროექტის შესახებ და წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებს ამ და სხვა თემებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამ თავის გარკვეული ნაწილი ეფუძნება 1815 წელს როტიეს მიერ იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი წარდგენილ მოხსენებას,⁶² რომელიც ზემოთ განვიხილეთ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში წარმოდგენილი ხედვა მთელ რიგ საკითხებზე განსხვავდება როტიეს ზემოხსენებული ანგარიშის სულისკვეთებისგან: ანგარიშისაგან განსხვავებით, წიგნში ავტორი ამჟღავნებს პროქართული განწყობებით გამოირჩევა.

ისტორიული ანალიზის ელემენტების მქონე ამ მიმოხილვითი თავების შემდეგ როტიე უშუალოდ მოგზაურობის ამბის მოყოლას იწყებს. წიგნის მეშვიდე თავში იგი მოგვითხრობს თბილისიდან კონსტანტინოპოლისკენ გამგზავრების ამბავს,⁶³ საიდანაც ვიგებთ, რომ პოლკოვნიკ-კოლექციონერს თბილისი ოჯახთან ერთად 1818 წლის 18 მაისს დაუტოვებია. ამინდის, ბუნებისა და გარემოს საკმაოდ მხატვრული აღწერის შემდეგ როტიე გვამცნობს, რომ მოგზაურობისას მას თან ახლდნენ ქართველი და რუსი პირები, გარკვეულ მანძილზე კი მისი თანამგზავრები იყვნენ საქართველოს კათოლიკე მისიონერთა პრეფექტი – ფილიპო და ფორანო და მისივე თანამემამულე – ცნობილი მოქანდაკე და არქიტექტორი იოსებ კამბერლენი, რომელიც სამშობლოსკენ მიმავალ როტიეს დიდი ნოსტალგიით გამოემშვიდობა.⁶⁴ თბილისიდან როტიე თავის ოჯახთან ერთად, რუსების ესკორტის თანხლებით, მცხეთაში ჩავიდა. ამ მგზავრობას იგი დეტალურად მოგვითხრობს – სატრანსპორტო საშუალებების მიმოხილვისა თუ გზად შემხვედრი მცენარეების აღწერითურთ. ასევე წარმოადგენს მცხეთის ლანდშაფტისა და ისტორიის, ტაძრებისა და მონუმენტების მოკლე აღწერილობას და განაგრძობს მარშრუტის მიმოხილვას. აქედანვე ვიგებთ, რომ გორისკენ მიმავალი როტიე მუხრანში შეჩერდა, სადაც როგორც თავად ამბობს – „ბაგრატიონთა ჩამომავალმა პრინცმა მუხრან-ბატონმა“ მას სასახლე დაათვალიერებინა, სადამოს კი უკვე გორში იყო.⁶⁵ ძალიან ამაღელვებელია მონაკვეთი, რომელშიც როტიე საუბრობს მისი მასპინძლის – გორის მმართველის ოჯახის ტრაგედიის შესახებ, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ერთადერთი ქალიშვილი – 3 წლის როზალია გარდაცვლია. ავტორი გვამცნობს, რომ ადგილობრივმა კათოლიკე მღვდელმა იგი ბავშვის საფლავზეც კი წაიყვანა და ლათინური ეპიტაფია აჩვენა, რომელსაც როტიე წიგნში ფრანგულ თარგმანთან ერთად წარმოადგენს.

⁶² „Mémoire sur la Géorgie et sur les pays qui dépendant de son gouvernement. Par le Lieutenant-colonel Rottiers, du corps des quartiers-maitres de la suite de sa majesté l'empereur (1815)“, *AKAK*, V, Tiflis, 1873, გვ. 965-982.

⁶³ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 104-126.

⁶⁴ იქვე, გვ. 106-107.

⁶⁵ იქვე, გვ. 110.

როტიეს მოგზაურობის შემდეგი პუნქტი უფლისციხე აღმოჩნდა, სადაც მას თავადმა წერეთელმა უმასპინძლა. ავტორი დაწვრილებით აღგვინერს წერეთლების სასახლესა და სუფრის ადათს, კერძებსა თუ ღვინოს, ნეს-ჩვეულებებსა და გარემოს და ძალიან საინტერესო ინფორმაციას იძლევა ადგილობრივთა ყოფითი დეტალების შესახებ.⁶⁶

უფლისციხიდან ქუთაისისკენ მარშრუტის აღწერისას როტიე საუბრობს სურამის შესახებ და აღნიშნავს, რომ 1811-1812 წლების ეპიდემიის გამო დაცარიელებული და მტერთაგან იავარქმნილი ეს ადგილი ისეთივე შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც შერკულანეუმი – პომპეიში. აქვე ახსენებს გზად შემხვედრ გეოგრაფიულ პუნქტებს – ზედუბანს, მდინარე ყვირილასა და სხვ., რის შემდეგაც გადადის ქუთაისის აღწერაზე.⁶⁷ ავტორი მიმოიხილავს ქუთაისის ლანდშაფტსა და ღირსშესანიშნაობებს, საუბრობს კაპუცინ მისიონერთა ტაძრისა და სამყოფელის, გელათის მონასტრისა და დავით აღმაშენებლის საფლავის შესახებ და აქვე იძლევა დარუბანდის კარის მოკლე აღწერილობას, რასაც მოსდევს გენერალ კურნატოვსკისთან სტუმრობის ეპიზოდი.⁶⁸

ამავე თავში როტიე ბელეტრისტური სტილით მოგვითხრობს ადგილობრივ მონადირესთან შეხვედრისა და კურდღელზე ნადირობის მისთვის უცნაური ტრადიციის, პრომეთესა და კავკასიონის, ანტიკური ცნობებისა და ადგილობრივი თქმულებების შესახებ, რასაც მოსდევს მისი მარშრუტის შემდეგი პუნქტების – სოფელ მარანისა და კეთილარის აღწერა ანტიკურ ავტორთა ცნობების ფონზე.⁶⁹

საინტერესოა, რომ წიგნის მეშვიდე თავს თან ახლავს ორი დანართი: პირველ მათგანში როტიე წარმოადგენს საკუთარ დაკვირვებებს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა მხარეთა ბუნებისმეტყველების შესახებ, დეტალურად მიმოიხილავს საქართველოსა და მისი შემოგარენის კლიმატს, წიაღისეულს, ფლორასა და ფაუნას, წარმოგვიდგენს თბილისიდან ქუთაისამდე გზად შემხვედრ მცენარეთა ჩამონათვალს, საუბრობს საკვებად ვარგისი და სამედიცინო მოხმარების სახეობებზე და სხვ., რაც ამ კონკრეტულ მონაკვეთს ძალიან საინტერესო წყაროდ აქცევს შესაბამის დარგთა მკვლევართათვის.⁷⁰ მეორე დანართში კი მიმოხილულია არანაკლებ საინტერესო თემა – საქართველოში ეპიდემიებისა და ენდემურ დაავადებათა ისტორია, რაც ასევე არაერთ ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.⁷¹

⁶⁶ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 114-116.

⁶⁷ იქვე, გვ. 117.

⁶⁸ იქვე, გვ. 118.

⁶⁹ იქვე, გვ. 120-126.

⁷⁰ იქვე, გვ. 127-149.

⁷¹ იქვე, გვ. 150-152.

როტიეს წიგნის მომდევნო თავი ფოთისა და მიმდებარე პუნქტების აღწერას ეთმობა. ავტორი საუბრობს ფოთის პორტის, პალიასტომის ტბის, მდინარე ფაზისის, შავი ზღვის, სავაჭრო ურთიერთობებისა და მონებით ვაჭრობის ტრადიციის შესახებ, ასევე მიმოიხილავს ფოთის ანტიკურ წარსულს, ძველი კოლხეთის შესახებ ანტიკურ წყაროებს და დანახებით აღნიშნავს, რომ მან ადგილზე ვერაფერი ნახა იქიდან, რასაც ძველი ავტორები აღწერდნენ და რაც ამ ადგილის ანტიკური წარსულიდან იქნებოდა შემორჩენილი. როტიე მოგვითხრობს ფოთის მმართველთან – ომარ ალასთან შეხვედრის ამბავს და აქვე წარმოადგენს ჩვენთვის მეტად საინტერესო ეპიზოდს ფოთის პორტში ერთ-ერთი ადგილობრივისგან შეძენილი სიძველეების შესახებ, რაზედაც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.⁷²

მეცხრე თავში როტიე წარმოადგენს ბათუმისა და ტრაპიზონისკენ გზად შემხვედრი პუნქტებისა და მოვლენების აღწერილობას. აღნიშნავს, რომ იგი ამ ადგილებში მოგზაურობისას არიანეს თხზულებას⁷³ კითხულობდა და ადგილთა იდენტიფიცირებას ახდენდა, რის საფუძველზეც შეადგინა რამდენიმე რუკა, რომლებსაც წიგნში დანართის სახით წარმოგვიდგენს.

ავტორი აქვე გვთავაზობს გზად შემხვედრი წმინდა ნიკოლოზის ე.წ. ციხე-სიმაგრის აღწერილობას, რომელიც სრულიად უადგილო ადგილას აუგია რტიშჩევს საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ვრცლად საუბრობს ბათუმის ყურესა და პორტის შესახებ, რომელსაც უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტად მიიჩნევს, როგორც ტრაპიზონის ერთადერთ დამაკავშირებელს ანაპასთან; საუბრობს ბათუმის სახელწოდების ეტიმოლოგიისა და ანტიკური ისტორიის შესახებ, რასაც მოსდევს ადგილობრივ კომენდანტ – ომარ ბეისა და მის სასახლეზე საუბარი. როტიე აქვე წარმოადგენს საკუთარ ხედვას და სტრატეგიას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს რუსეთის ჯარის შესვლა ამ ადგილებში არა ხმელეთის, არამედ ზღვის საშუალებით. ჩვენთვის საინტერესოა ასევე ავტორის მიერ ლაზების დახასიათება და დაკვირვებები, რასაც თან ახლავს ბათუმიდან ტრაპიზონისკენ გზად შემხვედრ ანტიკურ ნაგებობათა მცირე აღწერილობა.⁷⁴

წიგნის მომდევნო თავები უკვე ოსმალეთის ტერიტორიის აღწერას ეთმობა. მათში როტიე საქართველოსა და აქ მიმდინარე მოვლენებზე პირდაპირ აღარ საუბრობს, თუმცა ის ვრცელი მიმოხილვა, რომელიც მომდევნო შვიდ თავშია წარმოდგენილი, ძალიან საინტერესო ცნობებს გვანვდის მთელი რეგიონის საერთო პოლიტიკური ვითარების შესახებ. საქართველოსთან დაკავშირებული ბოლო ეპიზოდი, რომელსაც როტიე წიგნში წარმოაგენს, მეფე სოლომონ

⁷² Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 153-169.

⁷³ იგულისხმება II საუკუნეში მოღვაწე ბერძენი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის, არიანე ფლავიუსის თხზულება „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“.

⁷⁴ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 172-192

II-ს უკავშირდება: ავტორი აღფრთოვანებას ვერ მალავს მასზე საუბრისას და მოგვითხრობს, ტრაპიზონში ჩასულმა თუ როგორ მოიხილა სოლომონის საფლავი, რომელსაც დეტალურად აღწერს წიგნის მე-10 თავში.⁷⁵

როტიეს „მოგზაურობა თბილისიდან კონსტანტინოპოლში“ შესაძლოა არაერთ მცდარ ან დამახინჯებულ ინფორმაციას შეიცავდეს, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება, მეორე მხრივ კი, მოგზაურობიდან 10 წლის შემდეგ შექმნილ ნაშრომში ფაქტების სიზუსტესთან დაკავშირებული პრობლემა შეიძლება იყოს, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ ბელგიელი პოლკოვნიკ-კოლექციონერის ეს ნაშრომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენი ქვეყნის ისტორიის, საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ეთნოგრაფიის, ბუნებისმეტყველებისა თუ ყოველდღიურობის რეკონსტრუქციისა და შესწავლისათვის. ამიტომაც დასაანანია, რომ ამ კონტექსტში ნაშრომი ჯეროვნად არაა შესწავლილი ქართული სამეცნიერო საზოგადოების მიერ, რისთვისაც, უპირველესად, ქართულ ენაზე მისი სრულად თარგმნა და გამოცემაა საჭირო. იმედს ვიტოვებთ, უახლეს მომავალში ბერნარ როტიეს წიგნს „მოგზაურობა თბილისიდან კონსტანტინოპოლში“ ქართულ ენაზეც ვიხილავთ.

„ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“ (1819; 1827)⁷⁶

როტიეს ნაშრომი სახელწოდებით „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“, რომლის ხელნაწერსაც პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში მივაკვლიეთ და რომელიც წინამდებარე ნაშრომის შესწავლის მთავარ საგანს წარმოადგენს, 1819 წლითაა დათარიღებული. მიუხედავად იმისა, რომ რელაციონე მცირე ცვლილებებითა და კომენტარებით თავად როტიემ გამოაქვეყნა 1827 წელს *Journal Asiatique*-ში,⁷⁷ ფრანგულ ენაზე, ტექსტის პირველადი ხელნაწერი, ისევე როგორც ნაშრომის შინაარსი და ხელნაწერის ვატიკანში მოხვედრის ისტორია დღემდე შეუსწავლელი იყო და მისი ქართული თარგმანიც აქამდე არ მოგვეპოვებოდა. შესაბამისად, ნაშრომის ისტორიული ანალიზი და დოკუმენტის საარქივო ისტორია, რელაციონეს ტექსტისა და ქართული თარგმანის თანხლებით, ამ გამოკვლევის წყალობით, პირველად ხდება ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისთვის.

⁷⁵ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, Bruxelles, 1829, გვ. 193-229

⁷⁶ Rottiers B.E.A., *De la religion chrétienne en Géorgie et dans les pays circonvoisins*, ASPF, SC-Gorgia, vol. 5, ff. 369r-414v.

⁷⁷ Rottiers B.E.A., „De la religion chrétienne en Géorgie et dans les pays circonvoisins“, *Journal Asiatique*, Octobre 1827, გვ. 184-217 და Novembre 1827, გვ. 282-298.

როტიეს რელაციონე უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში კათოლიკური მისიებისა და, ზოგადად, საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური ვითარების შესასწავლად. ნაშრომის ღირებულებას ისიც განსაზღვრავს, რომ იგი უცხოელი ავტორების მიერ საქართველოს რელიგიური ისტორიის შესახებ შექმნილ ნაშრომთა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ვრცელ და დეტალურ ანალიზად გვევლინება. ამასთან, ნაშრომში კარგად იკვეთება საქართველოს ვატიკანთან კავშირისა და ქართულ-ევროპული ურთიერთობების საერთო სურათი და ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი და რიგ შემთხვევებში – აქამდე უცნობი დეტალები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, რასაც მკითხველი წარმოდგენილ ნაშრომში პროფ. მურმან პაპაშვილის ისტორიული კვლევა-ანალიზიდან გაეცნობა. აქ კი ერთგვარ არქეოგრაფიულ ძიებას წარმოვადგენთ და ჩვენ მიერ ჩატარებული საარქივო კვლევის საფუძველზე, რელაციონეს პროპაგანდა ფიდეს არქივში მოხვედრის ისტორიის რეკონსტრუქციას შევცდებით.

პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის ფონდის SC-Giorgia⁷⁸ მე-5 ტომში დაცულია ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეს საქართველოსთან კავშირის ამსახველი დოკუმენტების ვრცელი შეკვრა,⁷⁹ რომელთა შორისაც არის როტიეს რელაციონე „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“.

როტიეს სახელთან დაკავშირებული ამ საარქივო კოლექციის ქრონოლოგია 1819 წლის 2 იანვრიდან ამავე წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს და როტიეს პროპაგანდასთან კავშირის შემდეგ სურათს ქმნის:

საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, 1819 წლის 2 იანვარს, კონსტანტინოპოლში მყოფი ბერნარ როტიე წერილობით მიმართავს კონსტანტინოპოლის კათოლიკე არქიეპისკოპოსს და დანართის სახით უგზავნის რელაციონეს „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“. ორიგინალი დოკუმენტი ფრანგულ ენაზეა დაწერილი, თუმცა მას თან ახლავს იტალიური თარგმანი, რომელიც, სავარაუდოდ, პროპაგანდაში უნდა

⁷⁸ პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული საქართველოსთან დაკავშირებული მასალების ნაწილი თავმოყრილია 7 ტომად სათაურის ქვეშ – Georgia და განეკუთვნება საარქივო ფონდს სახელწოდებით *Scritture riferite nei Congressi* (კოლექციის საძიებო ინდექსი: SC-Giorgia). ფონდი SC, რომელსაც ქართული მასალების შემცველი შვიდტომეული განეკუთვნება, შედგება 1451 ტომისგან და მოიცავს იმ დოკუმენტებს, რომლებიც კონგრეგაციის ყოველკვირეულ შეხვედრებზე განიხილებოდა, ვინაიდან ეს წერილები წმინდა კონგრეგაციისთვის მეორეხარისხოვან დოკუმენტებად მიიჩნეოდა და მთავარი შეხვედრების დროს მათ, ძირითადად, არ განიხილავდნენ. ფონდში დაცული მასალები მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით, ვინაიდან მათი უმრავლესობა მისიონერთა ყოველდღიურობის ამსახველ ინფორმაციას გვაწვდის.

⁷⁹ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 345r-414v

იყოს შესრულებული.⁸⁰ როტიეს ამ წერილიდან ირკვევა, რომ ეს ნაშრომი ბერნარ როტიეს კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის თხოვნით დაუწერია,⁸¹ რასაც თავად ავტორიც აღნიშნავს რელაციონებში.⁸² აქვე იგი ასახელებს ახალციხის პროვიკარს დონ პაოლო შაგულანტის⁸³ და მოკლედ საუბრობს საქართველოს მისიონებთან მისი დაპირისპირების თაობაზე.⁸⁴ ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ კონსტანტინოპოლში ყოფნისას, როტიეს გადაუწყვეტია გზიდან გადაეხვია და რომში ჩასულიყო, რათა პირადად მოეხსენებინა რომის პაპისთვის საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების მდგომარეობის შესახებ. ამისთვის იგი კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსს საშუამდგომლო წერილს სთხოვს რომელიმე სამოციქულო კომისართან, რომელიც როტიეს პაპ პიუს მეშვიდესთან შეხვედრაში დაეხმარება.⁸⁵

მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ როტიეს ზემოხსენებული წერილის⁸⁶ ჩვენეულ ქართულ თარგმანს:

*კონსტანტინოპოლის რომაელ კათოლიკე მონსინიორ
არქიეპისკოპოსს*

მონსინიორ,

მაქვს პატივი, თქვენს უწმინდესობას დანართის სახით წარმოვუდგინო მონახაზი საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების მდგომარეობის შესახებ უძველესი დროიდან დღემდე. არ შემეძლო უარი მეთქვა, დამეკმაყოფილებინა თქვენი სურვილი, რომელიც შეეხებოდა საკითხს, რაზედაც [საუბარს] ჩემი პროფესიული [კომპეტენცია] არ იმსახურებს, თუმცა თავს იმით ვინუგეშებ, რომ შევძელი მიზნისთვის მიმელწნა ზედმინევნითი ჭეშმარიტების [წარმოჩინებით] იმ მხარეებში

⁸⁰ იხ. ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 345-346v – როტიეს წერილი კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსისადმი ფრანგულ ენაზე; SC – Giorgia, vol. 5, ff. 347r-348v (როტიეს წერილის იტალიური თარგმანი).

⁸¹ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 347r

⁸² ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 413r

⁸³ იგულისხმება პავლე შაჰყულიანი / ჭილიმუზაშვილი.

⁸⁴ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 347v

⁸⁵ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 348r

⁸⁶ საარქივო ტომში წარმოდგენილია ტექსტის ორიგინალი ფრანგულ ენაზე (ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 345r-346v), რომელსაც თან ახლავს იტალიური თარგმანი (ASPF, SC-Giorgia, vol. 5, 347r-358v).

გაბნეული მისიონების რეალური მდგომარეობის შესახებ, რომლებშიც ჩემი სამსახურის გამო მიმოვდიოდი რამდენიმე წლის განმავლობაში. ახალციხის შესახებ მონაკვეთი, რომელიც ჩემი სინდისის კარნახით შევითანე ამ ნაშრომში, ცოტა ბუნდოვნად მოგეჩვენებათ იმ საეჭვო პიროვნებასთან კავშირში, რომელიც მასში არ არის დასახელებული; ეს კი იმიტომ, რომ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, თავიდან ამერიდებინა საჯარო სკანდალი, რაც შესაძლოა მომხდარიყო, თუ ეს ნაშრომი ოდესმე ცუდ ხელში ჩავარდებოდა. აქ კი დავასახელებ მას იმ ფორმით, რომელიც ახლა მოსახერხებელია. მას ჰქვია დონ პაოლო, რომელიც არის პროვიკარი ამ განაპირა პროვინციისა და რომელიც ძალიან სახიფათოა, მისი ნაწერებიდან კი ისე ჩანს, თითქოს გულმოდგინებით იყოს სავსე. ეს გამჭრიახი კაცი გამოიყენა ეშმაკმა საიმისოდ, რომ თავს დასხმოდა საქართველოს მისიონებს, რომლებსაც ასე კარგად მართავდნენ ყოვლად პატივცემული კაპუცინი მამები, და გარდაუვალი განადგურების საფრთხით დამუქრებოდა მათ. ამ სუბიექტის წინააღმდეგ მრავალი საჩივარი არსებობს – თვით საკუთარი მოვალეობის შესრულების მიმართულებითაც კი, და იგი სძულს თავის სამწყსოს. სიტყვიერად უკვე მოვახსენე თქვენს უწმინდესობას მისი ნაკლებად გულმონყალე ხასიათის ზოგიერთი იმ მახასიათებლის შესახებ, რომლებიც არ მომწონს: „ამპარტავანია – სასონარკვეთისგან აღმოხდა მესამე ხარისხის ერთ სასულიერო პირს, ვინაიდან მას აუკრძალა ეკლესიაში შესვლა, – ეს ახალგაზრდა კაცი ამ ბოლო დროს ისე მოიცვა ზიზღმა და ამპარტავნებად, რომ ამ კაცის არ ნახვა, როდესაც საქმე ეხება რჩევას ან ღარიბი ქრისტიანების დახმარებას, ყველაზე დიდი რამ არის, რაც შეიძლება არსებობდეს მისიონერისთვის აზიაში“.

იმ სიყვარულმა და კეთილგანწყობამ, რომელიც მაქვს წმინდა სარწმუნოების ჭეშმარიტ მსახურთა მიმართ, რაც ბევრჯერ დამიმტკიცებია ჩემს სამშობლოში (ბელგიაში) თვით ყველაზე მძიმე დევნათა დროსაც კი, აქედან ნასვლისას გადამაწყვეტინა, გზიდან გადამეხვია და რომში ჩავსულიყავი საიმისოდ, რომ პირადად წარმედგინა ბევრი რამ და მეპასუხა იმ ინფორმაციით, რისი მიღებაც სასურველია ამ შორეულ მხარეებში სარწმუნოების სასიკეთოდ.

ამისთვის, თქვენს უწმინდესობას თუ შეუძლია, მიბოძოს წერილი რომში რომელიმე სამოციქულო კომისრისთვის [წარსადგენად], რომელიც, თქვენი რეკომენდაციის მიხედვით, მოიღებს მოწყალებას და მომანიჭებს წყალობას, რათა ვეამბორო ჩვენი წმინდა მამის პიუს მეშვიდის ფერხთ – დაე, ღმერთმა დიდხანს დაიცვას [იგი].

გთხოვთ კურთხევას და საკუთარ თავს ვაძლევ იმის პატივს, რომ გამოგიცხადოთ ღრმა პატივისცემა და ურყევი სიყვარული.

კონსტანტინოპოლის პერა

2 იანვარი, 1819

უმდაბლესი და უმორჩილესი მონა

როტიე⁸⁷

საარქივო კოლექციის მომდევნო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ 1819 წლის ივლისში ბერნარ როტიე უკვე რომში იმყოფება. ამ ინფორმაციას გვანდის გენერალური დესპანის, კარდინალ ლორენცო ლიტას 1819 წლის 20 ივლისით დათარიღებული წერილი⁸⁸ პროპაგანდას მდივნის – მონსინიორ პედიჩინისადმი.⁸⁹ კარდინალი ლიტა მონსინიორ პედიჩინის უგზავნის როტიეს რელაციონეს,

⁸⁷ წერილს თან ახლავს შემდეგი საარქივო ჩანაწერი: „საქართველო; 2 იანვარი, 1819; როტიე წარმოადგენს ანგარიშს იმ სკანდალისა და ბოროტების შესახებ, რაც დონ პაოლო პროვიკარამა ჩაიდინა ძველი კაპუცინი მისიონერი მამების წინააღმდეგ“.

⁸⁸ ASPF, SC- Giorgia, vol. 5, f. 353r.

⁸⁹ ლორენცო ლიტა / Lorenzo Litta (1756-1820) – იტალიელი კარდინალი, დიპლომატი და ლიტერატორი. საგულისხმოა, რომ 1791 წელს ის პაპ პიუს VI-ის დავალებით საფრანგეთში დიპლომატიური მისიით გაიგზავნა ნაპოლეონ ბონაპარტესთან. აღსანიშნავია, რომ 1794-1797 წლებში, როგორც სამოციქულო წუნციო, იმყოფებოდა პოლონეთში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებებში პოლონეთის მე-სამე დანაწილებისას კათოლიკეთა საეკლესიო ორგანიზაციის გარანტიის დაცვის მიზნით. 1797-1799 წლებში სამოციქულო ელჩის საგანგებო მისიით იმყოფებოდა რუსეთში, სადაც, იმპერატორ პავლე I-ის სურვილისამებრ, რუსეთის იმპერიის ლათინური და ბერძნულ-კათოლიკური, ანუ რუსინების ეკლესიის ინტერესებს იცავდა. რომში დაბრუნდა პაპ პიუს VII-ის არჩევისთანავე, 1801 წელს კი კარდინალად და აკრძალულ წიგნთა ნუსხის კონგრეგაციის პრეფექტად აირჩიეს. გარდა სასულიერო კარიერისა, იგი ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა – არის რამდენიმე წიგნის ატორი და ჰომეროსის „ილიადას“ იტალიურ ენაზე მთარგმნელი. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის ბოლო წლებში (1814-1818) იყო პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის პრეფექტი, 1816 წლიდან აღმოსავლური ეკლესიის წიგნთა რედაქტირების კონგრეგაციის პრეფექტი, 1818-1820 წლებში კი ეპისკოპოსთა საცხოვრისის კონგრეგაციის (Congregatio super residentia episcoporum) პრეფექტი და მისი უწმინდესობის გენერალური დესპანი – კარდინალი ვიკარიუსი (Herberman G., *The Catholic Encyclopedia*, ტ. 9, გვ. 294-295). 1819 წელს სწორედ ამ პოზიციიდან უნდა გზავნიდეს იგი მოცემულ წერილსა და დანართებს, მათ შორის – როტიეს წერილებსა და მოხსენებას, იმ პერიოდისთვის პროპაგანდას მდივანთან – მონსინიორ პედიჩინისთან. ლიტასთან კავშირი არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. ის, როგორც რუსეთში ლათინ კათოლიკეთა და უნიატთა ინტერესების გამტარებელი თავისი დესპანობისას, ცხადია, ახლა დაინტერესდებოდა რუსული ხელისუფლების პოლიტიკით კათოლიკეთა მიმართ საქართველოში. კარლო მარია პედიჩინი / Carlo Maria Pedicini (1769-1843) – იტალიელი კარდინალი, წმინდა საყდართან დაახლოებული მარკიზი პედიჩინის ოჯახიდან, რომელმაც 1783-1792 წლებში განათლება მიიღო სამართლისა და დიპლომატიის მიმართულებით.

მის თანმხლებ წერილებს და სთხოვს, ეს მასალები გადაეცეს კარდინალ პრე-ფექტს მომდევნო ორშაბათის კრებამდე,⁹⁰ რომელზეც განიხილება ახალციხისა და დონ პავლე შაჰყულიანის საკითხი. ლორენცო ლიტა წერილში აღნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ახალციხისა და დონ პავლესთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად. ამავე წერილში აღ-ნიშნულია, რომ კარდინალი სიამოვნებით გაეცნო ამ მასალებს, რომლებიც რომში ახლახან ჩამოსული როტიესგან მიიღო.⁹¹

ქვემოთ წარმოვადგენთ ლორენცო ლიტას წერილის თარგმანს:

20 ივლისი, 1819

ბატონი როტიესგან, ბელგიის კათოლიკე დიდგვაროვნისგან, მისი უდიდებულესობის – რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი პოლკოვნიკისგან, რომელიც ახლახან ჩამოვიდა რომში, კარდინალ-მა ლიტამ მიიღო თან დართული რელაციონე საქართველოს მი-სიონების შესახებ, სადაც სახელოვანი ბატონი გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებოდა და ჰქონდა შესაძლებლობა, დაჰკვირ-ვებოდა იქაური კათოლიციზმის მდგომარეობას. ამ ფურცლების სია-მოვნებით ნაკითხვის შემდეგ კარდინალი წერილობით გადმოსცემს მათ პროპაგანდას წმინდა კონგრეგაციას და სთხოვს თქვენს წმინდა ღირსებას – გადასცეს ისინი გასაცნობად მის წმინდა ღირსებას, კა-რდინალ პრეფექტს ორშაბათის მომდევნო კრებამდე, რადგანაც ეს [ფურცლები] შეიცავს ზოგიერთ ისეთ ცნობას, რაც შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს. განსაკუთრებით, X საეჭვო საკითხის გადანყვეტა-

კარლო პედიჩინი 1792 წლიდან, პაპ პიუს VI-ის დროს, მსახურობდა სხვადასხვა თა-ნამდებობაზე – სამოციქულო სეგნატურას უმაღლესი ტრიბუნალის შიდა პრელა-ტად და რეფერენდარად, რიტების კონგრეგაციის კონსულტანტად, სახელმწიფო კომისიის წევრად, წმინდა მსახურების კონსულტანტად და სხვ.; 1814-1823 წლებში იყო პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის მდივანი, 1823 წელს კი კარდინალად ეკურთხა, რის შემდეგაც სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოზიციაზე მსახურობდა, მათ შორის: პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის პრეფექტად (1831-1834), რიტების კონგრეგაციის პრეფექტად (1831 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე), აღმოსავლეთ ეკლესიის წიგნთა რედაქტირების კონგრეგაციის პრეფექტად (1832) და სხვ. (Canonici C., *Dizionario Biografico degli Italiani*, 2015, ტ. 82, გვ. 76-78). 1819 წელს, განსახილველი წერილის მიღებისას, კარლო მარია პედიჩინის პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის მდივნის სტატუსი აქვს.

⁹⁰ 1819 წლის 20 ივლისის შემდგომი ორშაბათი 26 ივლისს ემთხვევა. შესაბამისად, კრება უნდა გამართულიყო 26 ივლისს. 1819 წლის 26 ივლისის კრების მასალებ-ში, რომლებიც პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივშია დაცული, შაჰყულიანის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები არ გვხვდება. სავარაუდოდ, საქმის განხ-ილვა მომდევნო კრებებისთვის გადაიდო.

⁹¹ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 353r

ში – უნდა ჩანაცვლდეს თუ არა ახალციხეში სომეხი ეპისკოპოსი და უნდა აირჩეს თუ არა დონ პაოლო დავით შაგულიანტი.⁹² იგივე კარდინალი სარგებლობს შემთხვევით და გიგზავნით ზოგიერთ წერილს, რომლებიც პროპაგანდას საქმეებს შეეხება და უდასტურებს თქვენს წმინდა ღირსებას [თქვენდამი] გულითადი პატივისცემის გულწრფელ გრძნობებს.

ჭეშმარიტი მსახური
კარდინალი ლორენცო ლიტა⁹³

საარქივო კოლექციის მომდევნო დოკუმენტი 1819 წლის აგვისტოთი თარიღდება და ბერნარ როტიეს ეკუთვნის: საქართველოს მისიონების აღწერილობა, რომელიც სქემის სახითაა მოცემული, მოიცავს იმ პერიოდისთვის საქართველოს ოთხ ქალაქში არსებულ მისიონთა და იქ მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა ჩამონათვალს, როტიეს მიერ თითოეული მისიონერის შეფასებასა და რჩევებს საქართველოს მისიონებში გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ.⁹⁴ ფრანგულენოვან დოკუმენტს წინ უძღვის ტექსტის იტალიური თარგმანი.⁹⁵ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში არაა განსაზღვრული არც წერილის მიზნობრიობა და არც ადრესატი, კოლექციაში არსებული მომდევნო წყარო გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ როტიემ ეს მასალა პროპაგანდას პრეპრეზენტის – კარდინალ ფრანჩესკო ფონტანასთვის⁹⁶ მოამზადა, სავარაუდოდ – რომის პაპთან, პიუს VII-თან შეხვედრის იმედით.

⁹² იგულისხმება პავლე შაჰყულიანი/ჭილიმუზაშვილი.

⁹³ მარცხენა ქვედა აშიაზე მითითებულია, რომ წერილი განკუთვნილია პროპაგანდას მდივნის – მონსინიორ პედიჩინისათვის გადასაცემად (ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 353r).

⁹⁴ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 357r-358v.

⁹⁵ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 354r-356r.

⁹⁶ *ფრანჩესკო ლუიჯი ფონტანა / Francesco Luigi Fontana (1750-1822)* – იტალიელი კარდინალი, ბარნაბიტების ორდენის წევრი, ფილოსოფოსი და თეოლოგი, მჭევრმეტყველების პროფესორი. ბარნაბიტების კოლეგიის დირექტორი 1797-1801 წლებში. 1801 წელს თავისი ორდენის გენერალურ პროკურატორად დაინიშნა და ამავე წლიდან მსახურობდა რიტებისა და ინკვიზიციის წმინდა კონგრეგაციის კონსულტანტად. 1802 წელს აღმოსავლური ეკლესიის წიგნთა რედაქტირების კონგრეგაციის მდივანი გახდა, 1804 წელს პაპ პიუს VII-ს, პირადი თეოლოგის სტატუსით, თან ახლდა საფრანგეთში. 1806 წლიდან ბარნაბიტთა ორდენის ხელმძღვანელი იყო. ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართული ბულას გამო, 1811-1814 წლები საფრანგეთში, ვინსენის ციხეში – ტყვეობაში გაატარა. გათავისუფლების შემდეგ, რომში დაბრუნებული 1814 წელს განსაკუთრებულ საეკლესიო საქმეთა კონგრეგაციის მდივნად დაინიშნა, 1816 წელს კი კარდინალობა მიენიჭა. 1816-1818 წლებში იყო აკრძალულ წიგნთა ნუსხის (Index) კონგრეგაციის პრეფექტი, 1818 წლიდან კი სიცოცხლის ბოლომდე პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის პრეფექტად მსახურობდა (Boutry

წარმოვადგენთ როტიეს ზემოხსენებული წერილის ქართული თარგმანს:

ავგისტო, 1819⁹⁷

საქართველოს მისიონები

ქალაქი / რუსეთი	თბილისში	ყოვლად პატივცემული პადრე ფილიპო და ფორანო – მისიონების პრეფექტი
		ყოვლად პატივცემული პადრე ონოფრიო დომენიკელთა ორდენიდან, თბილისში დაბადებული და პოლონეთის ერთ-ერთი მონასტრის წევრი
		ფრატრე კარლო და ვივარო
	გორში	ყოვლად პატივცემული პადრე მარიო კოლონიელი
		ყოვლად პატივცემული პადრე ჩელესტინო და მონტასოლა
	ქუთაისში	ყოვლად პატივცემული პადრე ჯუზეპე დალა კოლა
		ფრატრე ბერნარდინო და ჩივიტა კასტელანა
ქალაქი / თურქეთი		-----

შენიშვნები

თბილისის მისიონში მხოლოდ ერთი მღვდელმსახური უნდა ჩავთვალოთ – ყოვლად პატივცემული პადრე ფილიპო. პადრე ონოფრიო მისიონებს არ მიეკუთვნება – თავისი მონასტრიდან მოვლინებული, დროებით იმყოფება თბილისში; ამასთან, იგი მოხუცი და სნეულია.

გორში ყოვლად პატივცემული პადრე მარიო, რომელიც ძალიან მოხუცია, მისიონის მთელ სიმძიმეს საკუთარ თავზე იღებს, ვინაიდან პადრე ჩელესტინომ ვერასდროს შეძლო ესწავლა ქართული ენა. სხვა მხრივ, იგი საუკეთესო სასულიერო პირია, მაგრამ ამ ქვეყნისთვის გა-

Ph., *Souverain et Pontife: recherches prosopographiques sur la curie romaine à l'âge de la restauration, 1814-1846*, Rome: École française de Rome, 2002, გვ. 383-384).

⁹⁷ საარქივო ტომში წარმოდგენილია ტექსტის ორიგინალი ფრანგულ ენაზე (ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 357r-358v), რომელსაც თან ახლავს იტალიური თარგმანი (ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 354r-356r).

მოსადეგი არ ჩანს და მე მჯერა, რომ უკეთეს სამსახურს გასწევს არქიპელაგის⁹⁸ მისიონებში – მისი სურვილისამებრ.

პადრე ჯუზეპე ერთადერთი მღვდელია ქუთაისის მისიონში, შესაბამისად, ამ სამ მისიონში რომელიმე მღვდელი რომ გარდაიცვალოს, კათოლიკეები პასტორის გარეშე დარჩებიან.

ახალციხის მონასტერი, რომელიც უმნიშვნელოვანეს ნოვოციატად უნდა ჩაითვალოს, სადაც ევროპიდან ჩამოსული სასულიერო პირები ქართულ ენას შეისწავლიდნენ, ამჟამად მიტოვებულია, და ეს ასე საჭირო მონასტერი დგას დიდი საფრთხის წინაშე, რომ აღმოჩნდეს თურქების ხელში, თუ დაუყოვნებლივ არ გაიგზავნება იქ ორი მღვდელი ერთ საერო პირთან ერთად და, რა თქმა უნდა, დონ პაოლო უნდა მოშორდეს ამ ქალაქს; თუ ასე არ მოხდა, ახალი განხეთქილებების უნდა გვემინოდეს, როგორც ხდებოდა ეს იმ დროს, როდესაც ღირსი ფრატრე კარლო იცავდა ამ მონასტერს. ეს ყოჩაღი საერო პირი, რომელსაც ქალაქში კარგად იცნობენ, შეიძლება ასევე დაბრუნდეს და დიდი სარგებლის მომტანი იყოს ახალი სასულიერო პირებისთვის, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გაიგზავნონ იქ. ახალციხეში ერთწლიანი სწავლის შემდეგ, ამ პადრეებიდან ერთ-ერთი შესაძლოა გაიგზავნოს გორში, საიდანაც შეიძლება გამონვეულ იქნას პადრე ჩელესტინო და მონტასოლა და გაიგზავნოს ქუთაისში ან თბილისში – საჭიროებისამებრ, სხვა პადრეების დასახმარებლად, რომლებიც დიდ დახმარებას საჭიროებენ.

ადვილი გასაგებია, რომ მისიონების მუდმივად და სრულად შესანარჩუნებლად, ერთი წლის შემდეგ საჭირო გახდება ახალციხეში ორი პადრეს გაგზავნა, რათა მიხედონ მონასტერს და იყონ იმ ერთი პადრეს პასუხისმგებლობისა და მართვის ქვეშ, რომელსაც იქ ექნება მცველის ხარისხი და რომელიც კონსტანტინოპოლის წმინდა ლუიჯის სახელობის კაპუცინთა მონასტრის დაქვემდებარებაში იქნება. ცუდი არ იქნება, თუ საქართველოს მისიონის პრეფექტი მიიღებს ნებართვას კაპუცინთა ორდენში მორჩილებად მიიღოს ერთი ან ორი ქართველი კათოლიკე, რომლებიც სასწავლებლად და ნოვოციატის მისაღებად გაიგზავნებიან ახალციხის მონასტერში. დროთა განმავლობაში, ისინი დიდ სარგებელს მოიტანენ და მოგვიანებით, შესაძლოა, ასწავლონ ქართული ენა ევროპიდან ჩამოსულ პადრეებს.

და ბოლოს, ღვთისა და ეკლესიის სადიდებლად და ამ ღირსეული მისიონერებისადმი მაღლიერების ნიშნად, შესაბამისი ქმედება იქნება,

⁹⁸ იგულისხმება საბერძნეთის არქიპელაგი – ეგეოსის ზღვაში მდებარე ბერძნული კუნძულები.

თუ ღირსი და პატივსაცემი პადრე ფილიპო და ფორანოს კარგად ცნობილი ღვაწლი დაგვირგვინდება – ამ ტიპის მისიონერთა ეპისკოპოსის ხარისხში აყვანით. ეს ღირსეული მოხუცი მყარად იდგა ათასგვარ არეულობასა და ეკლესიის მტრებს შორის. მან სასწაულები ჩაიდინა ყოველგვარი რესურსის გარეშე და ახლაც აღაფრთოვანებს ყველას, ვინც კი მას იცნობს. მისი მტრების სიძულვილი სიყვარულად გარდაქმნა და თვით სქიზმატიკებიც კი, რომლებიც მას უდიდეს პატივს სცემენ, პირველები იქნებიან, ვინც ამგვარ ჯილდოს მიესალმებიან, რაც გამოარჩევს მის მსგავს მისიონერებს, ვინც აგერ უკვე ოცი წელია მარტოდმარტო უმკლავდება ყველაფერს.

*Ad maiorem Dei gloriam*⁹⁹

სწორედ კარდინალი ფრანჩესკო ფონტანას მისამართითაა დაწერილი როტიეს შემდეგი, ფრანგულენოვანი წერილი,¹⁰⁰ რომელიც 1819 წლის 28 აგვისტოთია დათარიღებული და ამავე წლის აგვისტოშივე შექმნილი ზემოხსენებული დოკუმენტის (ff. 357r-368v) ერთგვარ დამატებას წარმოადგენს: აქ როტიე პროპაგანდას პრეფექტს წარუდგენს დამატებით შენიშვნებსა და შეთავაზებებს საქართველოს მისიონთა სასიკეთოდ. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს საკითხები მოგვიანებით გაახსენდა და ამიტომაც წარმოადგენს დამატების სახით.¹⁰¹ როტიეს შეთავაზებები შეეხება სამ მთავარ საკითხს: 1. ახალციხის მისიონის შენობის წმინდა ფრანცისკეს ორდენის კაპუცინთა მონასტრად გარდაქმნასა და იქ ნოვიციატის დაარსებას, რაც სამომავლოდ ადგილობრივების სასულიერო განათლებასა და მათ მისიონერებად მომზადებას უზრუნველყოფს. აქვე საუბარია იმ სიკეთეებზე, რომლებიც, მონასტრის დაარსების შემთხვევაში, ახალციხის მისიონერებმა შეიძლება მიიღონ რომის წინააღმდეგ რუსეთის მიერ შემუშავებული სისტემის პირობებში;¹⁰² 2. მისიონის პრეფექტის – ფილიპე და ფორანოსთვის ეპისკოპოსის ხარისხის მინიჭებას და სამომავლოდ მისიონის პრეფექტებისთვის ამ სტატუსის შენარჩუნებას, რაც, ერთი მხრივ, კონსტანტინოპოლიდან მირონის ჩამოტანის აუცილებლობას მოხსნის, მეორე მხრივ კი – ადგილზე მღვდლების ხელდასხმას გახდის შესაძლებელს;¹⁰³ 3. კონსტანტინოპოლში არსებული საქართველოს მისიონერთა სახლის გაყიდვი-

⁹⁹ ღვთის სადიდებლად.

¹⁰⁰ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 360r-363v.

¹⁰¹ ASPF, SC- Giorgia, vol. 5, f. 360r.

¹⁰² ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 360r-360v.

¹⁰³ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 361r.

სა და საქართველოს მისიონერთათვის, საჭიროების შემთხვევაში, ლუი წმინდას მონასტერში დარჩენის შესაძლებლობის საკითხს.¹⁰⁴

კარდინალი ფრანჩესკო ფონტანასადმი როტიეს წერილის ქართული თარგმანი:

პოლკოვნიკ როტიეს აქვს პატივი, გამოხატოს თავისი
პატივისცემა მისი უწმინდესობის –
კარდინალი ფონტანას მიმართ

რამდენადაც სხვა ისეთი საკითხებიც გაახსენდა, რომლებიც სასიკეთო იქნება განსაკუთრებით – საქართველოს მისიონერებისათვის, და ზოგადად – მათი გაფართოებისა და კეთილდღეობისთვის ამ ქვეყნებში, [როტიე] აძლევს თავისუფლებას საკუთარ თავს საიმისოდ, რომ ქვემოთ წარმოადგინოს ისინი.

1. თუკი ახალციხის მისიონი, რომლის შენობაც დიდი და ტევადია, წმინდა ფრანცისკეს კაპუცინთა ორდენის მონასტრად გარდაიქმნება, საქართველოს პრეფექტისა და რომში ორდენის გენერალური პროკურატორის დაქვემდებარების ქვეშ, ეს მონასტერი, რომელსაც ეყოლება თავისი მცველი და ნოვიციატის წინამძღვარ-მასწავლებელი, შეძლებს დროთა განმავლობაში სამი მისიონის – თბილისის, გორისა და ქუთაისის მისიონებისთვის – მოამზადოს სასულიერო პირები, რომელთა დიდი საჭიროებაც დგას. თვალნათელია, რომ ამ ქვეყნების კათოლიკე პირთა ბევრი ბავშვი ერიდება რომში წასვლას თავისი მონოდების აღსასრულებლად – სიმშორისა და დიდი ხარჯების გამო. ამ მონასტრის სიახლოვე კი მათ ყოველგვარ ბარიერს მოუხსნიდა და დარწმუნებული ვარ, მოკლე ხანში ყოველი მხარიდან მოაწყდებიან მას ისინი, ვინც განმსჭვალულნი არიან წადილით შეუერთდნენ რელიგიურ სახელმწიფოს. უწინ კაპუცინ მისიონერთა შორის იყო რამდენიმე ქართველი, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი გულმოდგინებით, მაგრამ ომები და ჭირი, რაც ყოველთვის ანადგურებდა ოჯახებს, მაშინ ისეთ ბარიერებს არ ქმნიდა, როგორც დღეს და მათ მშობლებსაც უკეთ შეეძლოთ მათი საჭიროებების მოგვარება, ისევე როგორც რომში წამოსასვლელად დიდი ხარჯების გაღება. თუმცა, ეს არ უნდა გახდეს მიზეზი იტალიიდან ზოგიერთი კაპუცინი მამის იქ გაგზავნისგან თავის შეკავებისა, ამის პრაქტიკა ყოველთვის იყო და მათი იქ ყოფნა მუდამ საჭირო და აუცილებელია.

¹⁰⁴ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 361v-362r.

2. თუკი ღირსი და პატივსაცემი მამა ფილიპო და ფორანო მიიღებს ეპისკოპოსის ხარისხს თავისი მრავალწლიანი და მძიმე ღვაწლისთვის დამსახურებული ჯილდოს სახით, ეს ღირსება მომავალშიც სამუდამოდ უნდა შენარჩუნდეს მათთვის, ვინც მის მიმდევრებად დასახელდებიან; ამგვარად აღარ იარსებებს საფრთხე ან სირთულე ახალციხის მონასტერში ახალი მღვდლების ხელდასახმელად.

3. თუკი მისიონთა პრეფექტს ეს სტატუსი ექნება მომავალში, აღარ იარსებებს წმინდა მირონის კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანის ვალდებულება, რასაც, ჩვეულებრივ, თან ახლავს ხოლმე მისი ურწმუნოთა ხელში ჩავარდნის საფრთხე.

4. დიდი სიკეთე, რაც შედეგად მოჰყვება ახალციხეში მუდმივი მონასტრის დაარსებას, არის ის, რომ იტალიელი ან ქართველი მისიონერები ამ მონასტრიდან, რომელიც ახლოსაა რუსეთის საქართველოს საზღვართან, რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ სხვა მისიონერებში წასასვლისას შეურაცხყოფას აღარ ნაანყდებიან, როგორც ეს შესაძლოა მოხდეს პირდაპირ რომიდან გაგზავნილთა შემთხვევაში; განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეიმუშავა სისტემა იეზუიტთა წინააღმდეგ და იმ ყოველივეს წინააღმდეგ, რაც პირდაპირ რომიდან მომდინარეობს, აუცილებელია მოქმედება ყველა შესაძლო ზომის გათვალისწინებითა და სიფრთხილით.

5. საქართველოს მისიონერებს კონსტანტინოპოლში საკუთრებაში აქვთ ერთი სახლი დამხმარე ნაგებობებით, რომელიც დაარსდა საქართველოს მისიონერთა მოხმარებისთვის, როცა ისინი გადი-გამოდიან ამ ქალაქს. კონსტანტინოპოლის ხშირი ხანძრები ყოველდღიურად უქმნის საფრთხეს ამ ქონებას. იგი ერთხელ უკვე დაინვა და ხელახლა აშენდა დიდი ხარჯების ფასად; ხშირი რემონტი, რასაც საჭიროებს იგი, განაპირობებს იმაზე მეტ [ხარჯს], ვიდრე შემოსავალი აქვს. ამიტომ იმაზე მეტად სასურველი ჩვენთვის არაფერი უნდა იყოს, ვიდრე გაყიდვა ამ ქონებისა, რომლის შენარჩუნებასაც იქ ალბათ შევძლებდით, [დამატებითი] სკუდები რომ გვექონდეს რომიდან.

ქრისტიანობის ინტერესიდან გამომდინარე, ახალციხის მონასტრის სასარგებლოდ მისი გაყიდვა ოცი ათასად ამ მისიონერებს ყოველწლიურად მცირე და უფრო უსაფრთხო შემოსავალსა და ნაკლებ ვალაუფალობას მოუტანდა.

მისიონერები კონსტანტინოპოლში არ დაიკარგებიან; იქიდან გამომდინარე, რომ მცირე დროს ატარებენ და სულ რამდენიმე დღით რჩებიან იქ, ადვილად შეძლებენ მოგვარდნენ წმინდა ლუის მისიონის კაპუცინებთან დღიურად ორი თურქული პიასტრის დამატების ფასად – საცხოვრებლისა და კვებისათვის, როგორც მოიქცნენ 1815 წელს

ყოვლად პატივცემული მამები – ჯუზეპე და ჩელესტინო და ფრატრე ბერნარდინო, როდესაც საქართველოსკენ გზად კონსტანტინოპოლი გაიარეს.

მე ამ საკითხზე აღარ შევჩერდები, რადგან ღირსი მამა ვალენტინო, რომელიც კონსტანტინოპოლში წმინდა ლუის [ორდენის] ყოფილი ხელმძღვანელია და რომელიც ეს-ესაა ჩამოვიდა ამ ქალაქიდან, შეძლებს ყველა საჭირო განმარტება გააკეთოს.

პოლკოვნიკი იმედოვნებს, რომ აქ წარმოდგენილი დაკვირვებები, მათ შორის – მცდარიც, რომლებიც ნაკარნახევია წმინდა გულმოდგინებიდან მისი უმაღლესობის – კარდინალი პრეფექტის თხოვნაზე, საკმარისი იქნება სრული წარმოდგენის შესაქმნელად იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ მისიონთა სასიკეთოდ. თუმცაღა, თუკი საკითხთან დაკავშირებით მაინც დარჩა რამე ისეთი, რაც დამატებით ინფორმაციას საჭიროებს, მისმა უწმინდესობამ იქნებ რაც შეიძლება მალე ამცნოს ეს, ვინაიდან მისი (როტიეს) გამგზავრების [დრო] ძალიან მოახლოებულია.

ვია დელა კროჩე, N41

28 აგვისტო, 1819

საარქივო ფონდის SC-Giorgia მე-5 ტომში დაცული – როტიესთან დაკავშირებული ამ კოლექციის მომდევნო დოკუმენტი¹⁰⁵ საარქივო ჩანაწერს წარმოადგენს, რომლიდანაც ირკვევა, რომ 1819 წლის 20 ივლისს კარდინალი ლიტა პროპაგანდას მდივანს უგზავნის როტიეს რელაციონეს საქართველოს შესახებ. დოკუმენტთა დაარქივების სპეციფიკის გათვალისწინებით, საარქივო დოკუმენტების თანმიმდევრობა, ცხადია, ზუსტად არ თანხვდება მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიას, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ, თუმცა აქვე შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ეს ჩანაწერი მიემართება კარდინალი ლიტას 20 ივლისით დათარიღებულ ზემოხსენებულ წერილს (f. 353r), რომლითაც მან როტიეს ფრანგულ ენაზე შესრულებული რელაციონე პროპაგანდას მდივანს – პედიჩინის გაუგზავნა და სთხოვა ამ მოხსენების კარდინალი პრეფექტის – ფრანჩესკო ფონტანასთვის გადაცემა.

მეხუთე ტომში დაცული როტიესთან დაკავშირებული მასალების მომდევნო და ბოლო დოკუმენტი როტიეს ზემოხსენებული რელაციონეა – „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“. ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს ისტორია ანტიკურობიდან მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და კათოლიკე მისიონერთა ისტორია, მისიონების აღწერილობა, სამხრეთ კავკასიის ზოგადი პოლიტიკური ისტორია, საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელო-

¹⁰⁵ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 364v.

ვანი საკითხები და სხვა არაერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი, რომლებსაც მკითხველი მონოგრაფიაში წარმოდგენილი რელაციონეს ტექსტის ქართულ თარგმანსა და ნაშრომის ისტორიულ ანალიზში გაეცნობა. მოხსენება შესრულებულია ფრანგულ ენაზე (ff. 369r-384v)¹⁰⁶, თან ახლავს იტალიური თარგმანი (ff. 385r-414v)¹⁰⁷ და საარქივო მინაწერი (f. 414v), რომელიც გვამცნობს, რომ ჩვენთვის საინტერესო ნარკვევი „არქივში შევიდა მონსინიორ მდივნის – პედიჩინისგან, 1819 წლის 1 ოქტომბერს“.

ჩვენ მიერ წარმოებული საარქივო კვლევის საფუძველზე, ბერნარ როტიეს ნარკვევის „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“ საარქივო ისტორია და ქრონოლოგია ამგვარად გამოიყურება:

1818 წელს სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი როტიე თბილისიდან კონსტანტინოპოლისკენ მიემგზავრება. 1818 წლის ბოლოს როტიე კონსტანტინოპოლშია, სადაც, კონსტანტინოპოლის კათოლიკე არქიეპისკოპოსის დავალებით, ფრანგულ ენაზე წერს რელაციონეს „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“, რომელსაც 1819 წლის 2 იანვარს კონსტანტინოპოლის პერადან უგზავნის არქიეპისკოპოსს – თანდართულ პირად წერილთან ერთად.¹⁰⁸ საგულისხმოა, რომ წერილში როტიე სთხოვს არქიეპისკოპოსს, უშუამდგომლოს შესაბამის პირთან, რათა რომში

¹⁰⁶ ხელნაწერი დოკუმენტის ზოგადი აღწერა: საარქივო იდენტიფიკატორი – ASPF, SC-Giorgia, ff. 369r-384v; ფურცლების რაოდენობა: 18 ფ. აქედან – 16 ხელნაწერი ფურცელი; ფურცლის ორსავე მხარეს ნაწერი; ფურცლის ზომა: 195 x 310; ნაწერის ზომა: 150x195 (370r), 150x235 (370v-383v), 150x170 (384r); ხელწერა: ფრანგული ენა, ლათინური ანბანი, შავი მელანი; 1 სვეტი; სტრიქონების რაოდენობა: 20 (f. 370r), 23 (ff. 370v-383v), 16 (f. 384r); ხელნაწერი აკინძულია ძაფით; აქვს ოქროსფერი კიდეები; რამდენიმე ფურცელზე შეინიშნება ლაქა. ხელნაწერი დანომრილია ყოველი ფურცლის მარცხენა (კენტი გვ.) და მარჯვენა (ლუწი გვ.) ზედა აშიებზე კონკრეტული გვერდის აღმნიშვნელი ციფრის მითითებით, 1-დან 29-ის ჩათვლით. თითოეულ გვერდზე საწერი სივრცე დახაზულია – უმელნო ჰორიზონტალური ხაზებით.

¹⁰⁷ ხელნაწერი დოკუმენტის ზოგადი აღწერა: საარქივო იდენტიფიკატორი – ASPF, SC-Giorgia, ff. 385r-414v; ფართო ფორმატის გადაკეცილი ფურცლები აკინძულია ძაფით, რვეულის პრინციპით და მოთავსებულია თხელი ფურცლის ყუაში. ფურცლების რაოდენობა: 28 ფ.; ფურცლის ორსავე მხარეს ნაწერი; ფურცლის ზომა: 195 x 267; ნაწერის ზომა: 158x213 (388r), 166x235 (388v-413r), 165x95 (413v); ხელწერა: იტალიური ენა, ლათინური ანბანი, შავი მელანი; 1 სვეტი; სტრიქონების რაოდენობა: 18 (f. 388r), 22 (ff. 388v-413r), 7 (f. 413v); ყოველი აბზაცის დასაწყისი აღნიშნულია აშიაზე გამოტანილი პირველი სიტყვით; ხელნაწერის ზოგიერთ მონაკვეთი ნაშლილ-გადახაზულია და ჩასწორებულია სხვა სიტყვებით; რამდენიმე მონაკვეთი ძირითადი ტექსტისგან გამოყოფილია ნაწერზე ხაზგასმით; კოროზიული მელანი; რამდენიმე ფურცელზე შეინიშნება ლაქა; დოკუმენტის ყუაზე (f. 414v) დატანილია საარქივო ჩანაწერი: *Giorgia; Passato in Archivio da Monsignore Pedicini Segretario il 1 Ottobre 1819; Della Religione Christiana Nella Giorgia („საქართველო; არქივში შემოვიდა მდივნის – მონსინიორ პედიჩინისგან, 1819 წლის 1 ოქტომბერს; ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოში“).*

¹⁰⁸ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 345r-346v.

ჩასულმა პაპ პიუს VII-თან შეხვედრა მოახერხოს. კონსტანტინოპოლიდან როტიე ათენის გავლით ჩადის რომში – 1819 წლის ზაფხულში, სადაც იგი, დიდი ალბათობით, კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის შუამდგომლობით ხვდება კარდინალ ვიკარიუსს – ლორენცო ლიტას, რომელსაც თავის ნარკვევს¹⁰⁹ გადასცემს. 1819 წლის 20 ივლისს კარდინალი ლიტა როტიეს რელაციონეს საკუთარ წერილთან¹¹⁰ ერთად უგზავნის პროპაგანდას მდივანს – კარლო მარია პედიჩინის, რათა მდივანმა იგი პროპაგანდას პრეფექტს – კარდინალ ფრანჩესკო ფონტანას გადასცეს 26 ივლისამდე, ანუ მომდევნო კრებამდე, რომელზეც დონ პავლე შაჰყულიანისა და ახალციხის საკითხი უნდა განიხილოს. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ რა მოხდა ამ კრებაზე, თუმცა დოკუმენტის საარქივო კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ პროპაგანდას პრეფექტსა და როტიეს შორის პირადი კომუნიკაცია და თანამშრომლობა შედგა: 1819 წლის აგვისტოში, ალბათ, კარდინალი ფონტანას თხოვნით, როტიე ამზადებს საქართველოს მისიონის აღწერილობას¹¹¹ და საკუთარ შენიშვნებთან ერთად წარადგენს პროპაგანდაში, 28 აგვისტოს კი რომში, ვია დელა კროჩეს N41 მისამართიდან წერილს¹¹² სწერს კარდინალ ფონტანას, რომლითაც დამატებით შენიშვნებს წარუდგენს საქართველოს მისიონთან დაკავშირებით და ამცნობს, რომ ძალიან მალე მიემგზავრება რომიდან. რაც შეეხება როტიეს ნაშრომს „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“, იგი 1819 წლის 1 ოქტომბერს გადაეცა პროპაგანდას არქივს მდივანი პედიჩინისგან, რითაც როტიესთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის – რელაციონე დაარქივდა და როტიეს ე.წ. საქმე პროპაგანდაში დაიხურა.

როტიეს რომში ვიზიტის სხვა და, შესაძლოა, უფრო რეალურ მიზეზებზე, რაც მის კოლექციონერულ საქმიანობას უკავშირდება, მომდევნო თავში ვისაუბრებთ. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ როტიეს რომის პაპთან შეხვედრის სურვილის ძირითადი მოტივი – საქართველოს მისიონის კეთილდღეობა მისი კოლექციონერული „ავანტიურების“ შუქზე ოდნავ საეჭვო მოსჩანს: როგორც ცნობილია, იტალიაში ყოფნისას მან თავისი კოლექცია მნიშვნელოვნად გაამდიდრა ანტიკური არტეფაქტებით და, როგორც ირკვევა, საკმაო სარგებელიც ნახა თავისი კოლექციის ნაწილის გაყიდვით, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ვატიკანის კეთილგანწყობისა და კოლექციონერული საქმიანობისთვის სასარგებლო და საჭირო კონტაქტების მოძიებაც უნდა ყოფილიყო. თუმცა ეს სრულებით არ ამცრობს როტიეს რელაციონეს მნიშვნელობას, რომელიც ქართული წყაროთმცოდნეობისთვის ძალზე საინტერესო მონაპოვრად გვევლინება.

¹⁰⁹ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 369r-414v.

¹¹⁰ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 364v.

¹¹¹ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 357r-358v.

¹¹² ASPF, SC-Giorgia, vol. 5, ff. 360r-363v.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარწმუნოების გავრცელების წმინდა კონგრეგაციაში წარდგენილი მოხსენება როტიემ 1827 წელს *Journal Asiatique*-ის¹¹³ მე-11 და მე-12 ნომრებში ორ ნაწილად გამოაქვეყნა. ჟურნალში დაბეჭდილი ძირითადი ტექსტი შინაარსობრივი თვალსაზრისით ხელნაწერის ტექსტისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, თუმცა სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირებულია და თან ახლავს კომენტარები, რომლებიც რელაციონებში წარმოდგენილი არ არის. ხელნაწერისგან განსხვავებით, სტატიად ქცეული ფრანგული ტექსტიდან ამოღებულია ის მონაკვეთები, რომლებშიც როტიეს სუბიექტური დამოკიდებულება ჩანს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. ტექსტი ასევე „გაწმენდილია“ რელიგიური პათეტიკის შემცველი ფრაზეოლოგიისაგან, ბელგიზმებისა და არქაიზმებისაგან, რაც როტიეს მოხსენების ორიგინალს – ხელნაწერ ტექსტს ჭარბად ახასიათებს. აქედან გამომდინარე, ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომი სტილისტური და შიგადაშიგ – შინაარსობრივი დეტალების დამაზუსტებელი ცვლილებების თვალსაზრისით, გარკვეულ სხვაობას ავლენს, რაც, თავისთავად, აკადემიური რედაქტირების შედეგია.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის კომენტარები როტიეს არ ეკუთვნის, მათი ავტორია ცნობილი ორიენტალისტი, „სააზიო საზოგადოების“ ხელმძღვანელი და ჟურნალის რედაქტორი – ანტუან ჟან სენ მარტენი. ამ კომენტარებში როტიეს ტექსტში წარმოდგენილი ისტორიული ინფორმაციის წყაროდ ხშირად მოხმობილი თავად სენ მარტენის ნაშრომი „ისტორიული და გეოგრაფიული მემუარები სომხეთის შესახებ“,¹¹⁴ რომელიც პარიზში 1818 წელს გამოიცა. რედაქტორი ასევე ხშირად იმონებს იულიუს ფონ კლაპროთის წიგნს „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807 და 1808 წლებში“,¹¹⁵ როგორც თავისი ზემოხსენებული ნაშრომის ერთ-ერთ წყაროს და აღნიშნავს, რომ როტიეს ცნობები საქართველოს ისტორიიდან ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“ ეფუძნება, რომლებიც რედაქტორს კლაპროთის წიგნიდან აქვს ნათარგმნი ფრანგულ ენაზე.¹¹⁶ როგორც ჩანს, 1819 წელს, პროპაგანდას კონგრეგაციაში წარსადგენ რელაციონებზე მუშაობისას, როტიე კლაპროთისა და სენ მარტენის ზემოხსენებული წიგნებით ხელმძღვანელობდა. სენ მარტენის კომენტარები, რომლებიც როტიეს რელაციონეს ერთვის თან, ერთი მხრივ, განმარტავს და დამატებით ინფორმაციას გვანჭდის ავტორის მიერ ციტირებული ისტორიული პირებისა თუ მოვლენების, გეოგრაფიული სახელების, სიტყვათა ეტიმოლოგიისა და სხვა ფილოლოგიურ თუ

¹¹³ Rottiers B.E.A., „De la religion chretienne en Géorgie et dans les pays circonvoisins“, *Journal Asiatique*, Octobre 1827, გვ. 184-217 და Novembre 1827, გვ. 282-298.

¹¹⁴ Saint-Martin A.J., *Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie*, Paris, 1818.

¹¹⁵ Klaproth J.V., *Reise in den Kaukasus und nach Georgien: Unternommen in den Jahren 1807 und 1808 etc.*, Halle und Berlin, 1812-1814, გვ. 64-86.

¹¹⁶ Rottiers B.E.A., „De la religion chretienne en Géorgie et dans les pays circonvoisins“, *Journal Asiatique*, Octobre 1827, გვ. 196.

ისტორიულ საკითხთა შესახებ, მეორე მხრივ კი, წარმოგვიდგენს ცნობილი ორიენტალისტის სამეცნიერო დაკვირვებებსა და მოსაზრებებს ამა თუ იმ ასპექტის თაობაზე, რის გამოც როტიეს რელაციონეს ტექსტისგან დამოუკიდებლად, საკუთრივ რედაქტორის კომენტარებიც საინტერესო და მნიშვნელოვან საკვლევ მასალად გვევლინება ქართველოლოგთათვის.

„როდოსის ძეგლთა აღწერილობა“

1830 წელს ბრიუსელში გამოიცა ბერნარ როტიეს უდავოდ ყველაზე ცნობილი ნაშრომი „როდოსის ძეგლთა აღწერილობა“, ¹¹⁷ რომლის განსაკუთრებულ ღირებულებას საერთაშორისო სამეცნიერო კონტექსტში განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ როტიეს მიერ წიგნში აღწერილი ძეგლების გარკვეული ნაწილი მომდევნო ეპოქაში განადგურდა და, შესაბამისად, მისი ნაშრომი ერთ-ერთ ყველაზე უფრო სანდო და ზუსტ წყაროს წარმოადგენს ამ ძეგლების არქიტექტურისა თუ ისტორიის მკვლევართათვის. თუმცა ნაშრომს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს ჰოლანდიელი მხატვრისა და გრაფიკოსის – ჰანს ვიტდუკის მიერ შესრულებული 175 ესკიზი და გრაფიურა, რომლებიც როტიეს დაკვეთითა და ინსტრუქტაჟით ადგილზე შესრულდა და უნიკალურ წყაროს წარმოადგენს შუა საუკუნეების იმ ნაგებობათა არქიტექტურის შესწავლისა და რეკონსტრუქციისთვის, რომლებიც კუნძულ როდოსზე დღეს აღარ არსებობს. ¹¹⁸

როგორც ცნობილია, როტიემ 1826 წელს კუნძულ როდოსზე 5 თვე გაატარა – საბერძნეთის კუნძულებზე განხორციელებული იმ ცნობილი ექსპედიციის ფარგლებში, რომელიც ჰოლანდიის მეფის უშუალო ხელშეწყობით შედგა 1824-1826 წლებში. წიგნი „როდოსის ძეგლთა აღწერილობა“ სწორედ ნიდერლანდების მეფეს – ვილიამ I-ს ეძღვნება. ნაშრომში აღწერილია როტიეს როდოსზე მოგზაურობის 15 დღე, თითოეული დღის ამსახველი ეპიზოდი კი ცალკე თავადაა წარმოდგენილი.

ცხადია, როტიეს ეს ნაშრომი მთლიანად ეთმობა კუნძულ როდოსის სიძველეებისა და საერთო ვითარების აღწერას, თუმცა მასში ვხვდებით რამდენიმე საინტერესო ცნობას საქართველოს შესახებ, რომლებსაც ქვემოთ წარმოვადგენთ:

წიგნის მეოთხე თავში, რომელშიც კუნძულ როდოსზე მდებარე, აგიოს გეორგიოსის სახელით ცნობილი ადგილი და მასთან დაკავშირებული მოვლე-

¹¹⁷ Rottiers B.E.A., *Description des monumens de Rhodes*, Bruxelles, 1830.

¹¹⁸ Halbertsma R. B., „From Antiquarianism to Scholarship – Classical Archaeology in the Netherlands, 1600–1840“, *Collecting Antiquities from the Middle Ages to the End of the Nineteenth Century: Proceedings of the International Conference Held on March 25-26, 2021 at the Wrocław University Institute of Art History, Kraków-Wrocław 2021*, გვ. 65.

ნებია მიმოხილული, ვხვდებით ერთ ამაღელვებელ ცნობას ქართველი ქალების შესახებ: ადგილობრივი მღვდელი როტიესა და მის თანამგზავრ დიმიტრის, რომელიც ნაშრომში მთხრობელ-პერსონაჟადაა წარმოდგენილი, უამბობს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციის შესახებ და დასძენს, რომ მათ ტაძარში ხშირია თურქი ქალების ფარული ვიზიტებიც. თუმცა, მღვდლის თქმით, ეს ქალები თურქები კი არა, ქრისტიანებად დაბადებული და შემდეგ თურქეთში მონად გაყიდული ქართველი ქალები არიან, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი ბავშვობის სარწმუნოება. მღვდელი აღნიშნავს, რომ უსამშობლოდ დარჩენილი ეს ქალები ჩვენი ტაძრის საკურთხეველთან მუხლმოყრით ეძიებენ სასოებასო.¹¹⁹

ჩვენთვის საინტერესო მეორე მონაკვეთს წიგნის მეშვიდე თავში ვხვდებით, რომელშიც როტიე მოგვითხრობს კუნძულ როდოსზე, თურქი მთავრის სახლში ქართველ ყმანვილთან შეხვედრის ამბავს: „ცოტა ხანში იჩ-ოლლანი გამოვიდა, რომელმაც შარბათი გამოიტანა, ჩემ წინ ცალი ფეხით ჩაიმუხლა და ჭიქა მომანოდა. როგორც კი ეს ბიჭი დავინახე, მისი ნაკვთებიდან მივხვდი, რომ ქართველი უნდა ყოფილიყო. შარბათი რომ შევსვი, სანამ პირს ვინმენდდი მის მიერ მოწოდებული საოცარი სურნელის მქონე ამოქარგული ხელსახოცით, ბიჭს ჩუმად ვკითხე: „kartouli witsi, Bitscho“? (ქართული იცი, ბიჭო?). „Witsi bat-tone“ (კი, ვიცი, ბატონო) – მიპასუხა მან. არ შემეძლო შემეკავებინა ცხოველი ინტერესი ამ ახალგაზრდა კაცის მდგომარეობის მიმართ, რომლის სამშობლოშიც ამდენ ხანს ვიცხოვრე და გულში ჩემი სურვილებიც დავუტოვე ორი დღის წინ უწმინდესი მამის მიერ გამოთქმულ სურვილს, რომ ამიერიდან მხოლოდ თავისუფალ და დამოუკიდებელ ქართველებს შევხვედროდით თურქეთში!“¹²⁰

როგორც ამ მონაკვეთებიდანაც ჩანს, ბერნარ როტიეს საქართველოსა და ქართველების მიმართ ინტერესი საქართველოს გარეთაც არ განელებია. პირიქითაც კი მოხდა – საქართველოს დატოვებიდან თითქმის 10 წლის შემდეგ, მან საქართველოსა და კავკასიის შესახებ შექმნილი თავისი ჩანაწერების სამეცნიერო დამუშავება და გამოქვეყნება დაიწყო.

ზემოთ წარმოვადგინეთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ცნობა, რომელსაც ბერნარ როტიე თავის სხვადასხვა ნაშრომსა თუ წერილში გვანვდის საქართველოს შესახებ. მონოგრაფიაში მკითხველი როტიეს აქამდე გამოუქვეყნებელ რამდენიმე წერილსაც გაცნობა, თუმცა ვფიქრობთ, როტიეს შემოქმედებაში საქართველოს თემა ამით არ უნდა ამოწურულიყო, რაზედაც მომავალში, ახალი კვლევის ფარგლებში უფრო დაბეჯითებით ვისაუბრებთ – მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად შევისწავლით როტიეს პირად არქივსა და მის კოლექციებში დაცულ მასალებს.

¹¹⁹ Rottiers B.E.A., *Description des monumens de Rhodes*, Bruxelles, 1830, გვ. 143.

¹²⁰ იქვე, გვ. 228.

როტიეს კოლექციები

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეს მიერ მოპოვებული ანტიკური და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები დღეს ევროპის სხვადასხვა დიდ მუზეუმსა თუ კერძო კოლექციაში ინახება, მათ შორის, ყველაზე დიდი რაოდენობით – ლაიდენის ანტიკური ხელოვნებისა და გენტის უნივერსიტეტის მუზეუმებში.

როგორც ცნობილია, საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, როტიე ჯერ კონსტანტინოპოლში გაჩერდა, შემდეგ კი ათენისკენ აიღო გეზი. მისივე ცნობით, სწორედ კონსტანტინოპოლში ყოფნისას გადაწყვიტა, პირდაპირ სამშობლოში კი არ დაბრუნებულიყო, არამედ იტალიაში – კერძოდ კი, ვატიკანში ჩასულიყო და პირადად მოეხსენებინა რომის პაპისთვის საქართველოსა და მიმდებარე მხარეებში რელიგიური კუთხით არსებული ვითარებისა და იმ გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც ამ რეგიონში არსებული მისიონერები იდგნენ.¹²¹ როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდა ამ მოტივისა, როტიეს სხვა – მის კოლექციონერულ საქმიანობასთან დაკავშირებული მოტივებიც უნდა ჰქონოდა, რასაც ადასტურებს მისი მოგზაურობის მარშრუტი და ხანგრძლივობა, საქართველოდან და კონსტანტინოპოლიდან წაღებული ნუმისმატური კოლექციის იტალიაში გაყიდვისა და ადგილზე ანტიკური ნიმუშების შეძენის ფაქტები, ისევე როგორც ამ მოგზაურობისას ათენში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები და, ზოგადად, იმ პერიოდის ცნობილ კოლექციონერებთან ურთიერთობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიაში ჩასვლამდე როტიეს სიძველეებით ვაჭრობის მიმართულებით უკვე ჰქონდა გამოცდილება, მისი კოლექციების თავგადასვლის ათვლის წერტილად 1820 წელია მიჩნეული – როდესაც ლაიდენის ანტიკური ხელოვნების ახალდაფუძნებული მუზეუმის ხელმძღვანელმა – კასპარ რუვენსმა ნიდერლანდების განათლების, ხელოვნებისა და მეცნიერების მინისტრისგან – ანტონ ფალკისგან ოფიციალური წერილი მიიღო, რომლითაც სამინისტრო ლაიდენის მუზეუმს შესასყიდად სთავაზობდა ბერნარ როტიეს კოლექციას. წერილს თან ერთვოდა მოკლე სია ანტიკური ხელოვნების იმ ნიმუშებისა, რომლებიც კოლექციონერს საბერძნეთიდან და იტალიიდან წამოეღო და იმ დროისთვის ანტვერპენში, საკუთარ სახლში ინახავდა.¹²²

ცნობილმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა – კასპარ რუვენსმა ადგილზე გულდასმით შეისწავლა და შეაფასა როტიეს კოლექცია, რომელშიც მრავლად იყო ბერძნული კერამიკის ნიმუშები, ბარელიეფები, ლეკითოსები, სხვადასხვა ზომის ქანდაკებები, ტერაკოტის, მარმარილოსა და ბრინჯაოს ნივთები, ფრაგმენტები და ეგვიპტური ხელოვნების რამდენიმე ნიმუში.

¹²¹ ASPF, SC-Giorgia, vol. 5, f. 348r.

¹²² Halbertsma R. B., *Scholars, Travellers, and Trade: The Pioneer Years of the National Museum of Antiquities in Leiden, 1818-1840*, Routledge, 2003, გვ. 49.

ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმი 1818 წელს დაარსდა და ამ დროისთვის იგი საკმაოდ მწირ კოლექციას ფლობდა. ამდენად, როტიეს შეთავაზება მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა მუზეუმის ისტორიაში – ფასზე შეთანხმების შემდეგ, ნიდერლანდების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, მუზეუმმა პირველი დიდი კოლექცია შეიძინა, რომელიც *როტიეს I კოლექციის* სახელითაა ცნობილი.¹²³

როტიეს აღნიშნული კოლექცია ბევრ კითხვას აჩენს, ვინაიდან მისი მოპოვების ამბავიც ბოლომდე ცნობილი არ არის მკვლევართათვის. საკოლექციო ნუსხაში, რომელიც როტიემ ნიდერლანდების მთავრობას წარუდგინა, ნიმუშების გარკვეულ ნაწილს მითითებული აქვს წარმომავლობის ადგილი, თუმცა საკმაოდ დიდი ნაწილი მსგავსი მითითების გარეშეა წარმოდგენილი. ეს და კიდევ სხვა არაერთი ფაქტი თუ მოცემულობა, სრულიად საფუძვლიან ეჭვს აჩენს, როტიეს პირველი და მომდევნო კოლექციების სანდოობის მიმართ, რაზედაც ქვემოთ გავამხვილებთ ყურადღებას.

როტიეს პირველი კოლექციის მოპოვების ჩვენთვის ცნობილი ისტორია კი ამგვარია: 1819 წელს ბერნარ როტიე ოჯახთან ერთად გაემგზავრა კონსტანტინოპოლიდან საბერძნეთში. ათენში მან რამდენიმე თვე დაჰყო, სადაც დაუახლოვდა ავსტრიის ვიცე-კონსულ გეორგ გროპიუსსა და ფრანგ დიპლომატს – ლუი ფოველს. ორივე მათგანი პარალელურად კოლექციონერულ საქმიანობას მისდევდა და ზედმინევნით კარგად იცნობდნენ ამ მიმართულებით არსებულ შესაძლებლობებს, რამაც, დიპლომატიურ წრეებთან მათი ახლობლობისა და იმ პერიოდის საბერძნეთში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე, გზა გაუხსნა როტიეს სერიოზული კოლექციის შესაკრებად.¹²⁴

1819 წლის მარტში, ზემოხსენებულ დიპლომატებთან ერთად, ათენში არსებული სხვა დიპლომატიური კორპუსების ხელშეწყობითა და ფოველის პოლიტიკური გავლენების წყალობით, როტიემ ათენის შემოგარენში (გლიფადა, ვულა, აგიოს ნიკოლაოსი და სხვ.) არქეოლოგიური გათხრები და ანტიკურ სიძველეებზე ნადირობა დაიწყო.¹²⁵ ეს ე.წ. არქეოლოგიური გათხრები, რომლებიც როტიეს დაფინანსებით რამდენიმე წერტილში მიმდინარეობდა, უშედეგო აღმოჩნდა და, როგორც მოგვიანებით მისივე პარტნიორები აღნიშნავდნენ, რაკი ვერაფერ ღირებულს ვერ მიაკვლია, როტიემ ადგილობრივთაგან ძალიან

¹²³ Leiden Rijksmuseum van Oudheden, Geschiedenis en collectie, Bernard Eugene Antoine Rottiers (<https://www.rmo.nl/museumkennis/geschiedenis-en-collectie/bernard-eugene-antoine-rottiers-1771-1857/>; 25.09.2024).

¹²⁴ Halbertsma R. B., *Scholars, Travellers, and Trade: The Pioneer Years of the National Museum of Antiquities in Leiden, 1818-1840*, Routledge, 2003, გვ. 50-51.

¹²⁵ Halbertsma R. B., „From Antiquarianism to Scholarship – Classical Archaeology in the Netherlands, 1600–1840“, *Collecting Antiquities from the Middle Ages to the End of the Nineteenth Century: Proceedings of the International Conference Held on March 25-26, 2021 at the Wrocław University Institute of Art History, Kraków-Wrocław 2021*, გვ. 40.

იაფად შეიძინა ანტიკური ხელოვნების ნიმუშები და საკუთარ აღმოჩენად გაასალა.¹²⁶

ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმი 1821 წლიდან ინახავს როტიეს პირველ კოლექციას, რომლის შეძენაც მუზეუმის მიერ გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად შევიდა მის ისტორიაში.

1822 წელს როტიემ ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმს ახალი კოლექცია შესთავაზა, რომელიც *როტიეს II კოლექციის* სახელითაა ცნობილი და რომლის ავთენტურობაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ექცა თავსატეხად მუზეუმის ხელმძღვანელს – კასპარ რუვენსს. სამინისტროსადმი გაგზავნილ წერილში როტიე მიუთითებდა, რომ 200 ბერძნული ნიმუშისგან შედგენილი კოლექცია მისმა ვაჟმა – ჟან როტიემ სასწაულებრივად აღმოაჩინა მაშინ, როდესაც შავი ზღვისკენ ოთხთვიან ექსპედიციაში იმყოფებოდა.¹²⁷ თუმცა მოგვიანებით, ამ კოლექციის მოპოვების ისტორია როტიესეული ვერსიისგან განსხვავებული აღმოჩნდა: 1821 წელს ჟან როტიე მართლაც გაემგზავრა შავი ზღვისკენ ექსპედიციაში ბელგიელ გემთფლობელთან – ჟან-ბაპტისტ დე ლესკლუზთან ერთად. ექსპედიციაში დე ლესკლუზი თავისი ორი გემით წავიდა და შავი ზღვის სანაპიროებისკენ მიმავალმა, ამავე წლის 25 ივნისს ათენთან – პირეას პორტში ჩაუშვა ლუზა. ერთ-ერთ ამ გემზე – „ტრიტონზე“ იმყოფებოდა ჟან როტიეც, როდესაც საბერძნეთის თურქთა ბატონობისგან განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ პორტამდეც მიაღწია. დე ლესკლუზმა დროებით დაივიწყა თავისი ექსპედიციის მიზანი და აჯანყებაში მამულის ფუნქციით ჩაერთო – თურქების თავდასხმების დროს თავისი გემებით 1000-ზე მეტი ბერძენი დევნილი გადაიყვანა კუნძულ სალამისზე. ხოლო როდესაც იძულებული გახდა, საფრთხეების თავიდან ასარიდებლად პირეას პორტი დაეტოვებინა, კუნძულ ზეასთან ჩაუშვა ლუზა, სადაც ბერნარ როტიეს ძველი პარტნიორები – დიპლომატები იმყოფებოდნენ. სწორედ მათგან შეუძენია ჟან როტიეს ზემოხსენებული 200 ბერძნული ნიმუში, რომლებიც *როტიეს მეორე კოლექციის* სახელით დღემდე ინახება ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმში.¹²⁸

ამავე მუზეუმშია დაცული *როტიეს III კოლექცია*, რომელიც ყოფილმა პოლკოვნიკმა ნიდერლანდების სახელმწიფოს დაკვეთითა და ფინანსებით შეკრიბა 1824-1826 წლებში განხორციელებული ე.წ. მედიტერანული ექსპედიციისას. ამ პერიოდისთვის როტიეს უკვე იცნობდნენ სახელოვნებო სამყაროში როგორც კოლექციონერს, თავგადასავლების მოყვარულ კაცსა და კარგ

¹²⁶ Bastet F. L., Brunsting H., *Corpus signorum antiquorum*, Zutphen, 1982, გვ. 8.

¹²⁷ Halbertsma R. B., *Scholars, Travellers, and Trade: The Pioneer Years of the National Museum of Antiquities in Leiden, 1818-1840*, Routledge, 2003, გვ. 54.

¹²⁸ Halbertsma R. B., „Overblyfselen van kunst en beeldhouwwerk – 19de-eeuwse archeologische expedities naar het Middellandse Zeegebied“, *Tijdschrift voor Mediterrane Archeologie*, N60, 2019, გვ. 8.

ორგანიზატორს, მაგრამ სამეცნიერო წრეებში გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია მინისტრი ფალკის გადაწყვეტილებამ – როტიესთვის მიენდო საბერძნეთის კუნძულებზე არქეოლოგიური გათხრების წარმოების საქმე. საინტერესოა, რომ ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელი რუვენსი, რომელიც პირველი პროფესორი იყო მსოფლიოში არქეოლოგიის მიმართულებით, ამ ექსპედიციის დაგეგმვაში მონაწილეობას არ იღებდა და ამის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით შეატყობინეს. რუვენსი უკმაყოფილებით შეხვდა ხელისუფლების გადაწყვეტილებას – დილეტანტი როტიესთვის მიენდო არქეოლოგიური ექსპედიციის ბედი, მაგრამ რაკილა ველარაფერს შეცვლიდა, ვრცელი წერილობითი ინსტრუქცია მოუშადა ბერნარ როტიეს, რომელშიც დეტალურად აღწერდა, როგორ უნდა ემუშავათ არქეოლოგიური გათხრებისას, რა პერიოდისა და ტიპის ანტიკური ნიმუშები უნდა მოეძებნათ და ეყიდათ ადგილობრივთაგან, სად უნდა მიეკვლიათ შუა საუკუნეების ხელნაწერებისა და ხელოვნების ნიმუშებისთვის, რაზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება და ა.შ. ამავე ინსტრუქციის ნაწილი იყო ანტიკური ტაძრებისა და მონუმენტების ესკიზების მომზადება, რისთვისაც ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა ზემოთ უკვე დასახელებული მხატვარი – ვიტდოკი. მიუხედავად ამისა, როტიემ ექსპედიციაში თითქმის სრულიად უგულბელყო რუვენსის მითითებები და ორწლიანი „მუშაობის“ შედეგად, საკმაოდ მწირი მონაპოვრით დაბრუნდა უკან. ამ ექსპედიციისას როტიემ 5 თვე დაჰყო კუნძულ როდოსზე, რის შესახებაც მოგვითხრობს ზემოხსენებულ ნაშრომში „როდოსის ძეგლთა აღწერილობა“. ექსპედიციას თან სდევდა არაერთი სკანდალი, მათ შორის – უკანონო არქეოლოგიური გათხრების წარმოებისთვის როტიეს მიმართ ადგილობრივ მმართველთა მიერ მიღებული შესაბამისი ზომები, რის გამოც როტიეს კუნძულის დატოვება მოუხდა. როდოსიდან მან კუნძულ მილოსზე გადაინაცვლა, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში აწარმოებდა ე.წ. არქეოლოგიურ გათხრებს იმ ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც აფროდიტე მილოსელის ქანდაკება იყო აღმოჩენილი. ხმელთაშუა ზღვის ექსპედიციის ამბავი დღემდე ბუნდოვანებითაა მოცული, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ როტიემ, მიუხედავად ოფიციალური მისიისა, ეს ორი წელი სათავესოდ გამოიყენა, რის შედეგადაც ნიდერლანდების მთავრობას მოუხდა ელიარებინა, რომ შეცდომა დაუშვა მისთვის ექსპედიციის საქმის მინდობით.¹²⁹

ექსპედიციიდან დაბრუნებულმა როტიემ არაერთგზის სცადა ურთიერთობა გამოესწორებინა ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელთან – რუვენსთან, რომელიც როტიეს არასანდო ადამიანად და დილეტანტად მიიჩნევდა, რაზედაც ღიად წერდა და საუბრობდა კიდევ. როტიემ ამ ურთიერ-

¹²⁹ Halbertsma R. B., „From Antiquarianism to Scholarship – Classical Archaeology in the Netherlands, 1600–1840“, *Collecting Antiquities from the Middle Ages to the End of the Nineteenth Century: Proceedings of the International Conference Held on March 25–26, 2021 at the Wrocław University Institute of Art History, Kraków-Wrocław 2021*, გვ. 41.

თობის აღდგენა ვერ შეძლო, თუმცა მის მიერ საბერძნეთის კუნძულებიდან ჩამოტანილი, მოსალოდნელზე გაცილებით მწირი და, რუვენსის შეფასებით, საკმაოდ დაბალი ღირებულების მქონე არქეოლოგიური მასალა ლაიდენის მუზეუმმა მაინც მიიღო და დღემდე იქ ინახება როტიეს მესამე კოლექციის სახელით.

ეს სამი დიდი კოლექცია როტიეს, როგორც კოლექციონერის, მთავარ მონაპოვრად ითვლება, თუმცა არანაკლებ ღირებულია გენტის უნივერსიტეტის მუზეუმში დაცული კოლექცია, რომელიც როტიეს მეორე კოლექციის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და რომელიც გენტის უნივერსიტეტის მუზეუმში დელესკლუზის საშუალებით მოხვედრილა.¹³⁰

გარდა ზემოხსენებული კოლექციებისა, როტიეს სახელთან დაკავშირებული ხელოვნების ნიმუშები მსოფლიოს არაერთ სხვა მუზეუმსა თუ კერძო კოლექციაში მოიპოვება. ბერნარ როტიე მთელი ცხოვრების განმავლობაში მისდევდა კოლექციონერულ საქმიანობას და გარდა ანტიკური ხელოვნების ნიმუშებისა, იგი აქტიურად იყო ჩართული ცნობილ მხატვართა ტილოების ყიდვა-გაყიდვის საქმეშიც ვიტდოკის მიერ შესრულებული ილუსტრაციები და გრავიურები კი დღემდე სახელოვნებო საბაზრო მიმოქცევაშია და აუქციონებზეც ხშირად ჩნდება.

და მაინც – ბერნარ როტიეს კოლექციების სანდოობის საკითხი დღემდე ბევრ კითხვას ბადებს. ეს კითხვები ჯერ კიდევ მის თანამედროვეებს გაუჩნდათ იმ არაერთგვაროვანი ცნობების გამო, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში თავად როტიე იძლეოდა ერთი და იმავე ნიმუშის წარმომავლობისა თუ ქრონოლოგიის შესახებ: არაერთი ნივთი, რომელსაც როტიე ანტიკური ხელოვნების ნიმუშად ასაღებდა, მოგვიანო ხანის არტეფაქტი ან, საერთოდაც, ასლი აღმოჩნდა, რაზედაც თავად კოლექციონერიც დაუფარავად საუბრობდა.¹³¹ ამიტომაც ხელოვნების ისტორიაში ბერნარ როტიე ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავანტიურისტი კოლექციონერის სახელით შევიდა. შესაბამისად, როტიეს კოლექციებში დაცული ნიმუშების დიდი ნაწილის ავთენტურობის საკითხი დღემდე ბუნდოვანებითაა მოცული, რაც სხვა ხელშესახებ მიზეზებსა თუ ფაქტებთან ერთად, გვაფიქრებინებს, რომ მის კოლექციებში ჩვენთვის აქამდე უცნობი ქართული წარმომავლობის ნიმუშებიც უნდა ვეძიოთ.

¹³⁰ Halbertsma R. B., *Scholars, Travellers, and Trade: The Pioneer Years of the National Museum of Antiquities in Leiden, 1818-1840*, Routledge, 2003, გვ. 54.

¹³¹ იქვე, გვ. 55-56.

როტიეს „ქართული კოლექციის“ კვალდაკვალ

ქართული სამეცნიერო თუ ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე კოლექციონერულ საქმიანობას საქართველოში ყოფნის დროსაც ეწეოდა. მკვლევარნი მიუთითებენ, რომ მან რუსეთის იმპერიაში დაიწყო ხელოვნების ნიმუშთა შეგროვება და სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მიღებული საკმაოდ მაღალი კომპენსაციით, თურქეთსა და საბერძნეთში სიძველეთა პირველი დიდი კოლექცია შეკრა. თუმცა, როგორც კასპარ რუვენსის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, რომელშიც იგი როტიესთან საუბრის შინაარსს ჰყვება, ბელგიელ კოლექციონერს ჯერ კიდევ რუსეთის სამხედრო სამსახურში ჩადგომამდე ჰქონია კოლექციონერული საქმიანობის გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით რუვენსი წერს: „ანტვერპენში მითხრეს, რომ ფერწერული ტილო უყიდა და ხელოვნების აკადემიისგან მოუთხოვია ავთენტურობის დამადასტურებელი დოკუმენტი. როდესაც ამის საფუძველზე ნახატის ასლი შეასრულებინა, ორიგინალი ტილო ინგლისში გაყიდა, ასლი კი სერტიფიკატის საშუალებით ორიგინალად გაასალა რუსეთში. მახსოვს ბატონი როტიეს მონათხრობი, თუ როგორ მოსწონდა ახალგაზრდობაში სასულიერო პირთა შეცდომაში შეყვანა ყალბი სიძველეების შესაღებით.“¹³²

როტიეს ბიოგრაფიისა და მისი ნაშრომების შესწავლისას გაგვიჩნდა ეჭვი, რომ პოლკოვნიკი, რომელიც თითქმის 8 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა და აქ ყოფნისას საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს ისტორია, გაიაზრა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის მნიშვნელობა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში, პოლკოვნიკი, რომელიც საქართველოდან წასვლისთანავე ანტიკური სიძველეებით ვაჭრობის საქმით დაკავდა და ცნობილ კოლექციონერად იქცა, საქართველოდან ხელცარიელი არ წავიდოდა. ამაში გვარწმუნებს ზემოთ მოტანილი ცნობაც, რომელიც, გარდა როტიეს კოლექციების ავთენტურობის მიმართ ეჭვის საფუძვლისა, იმასაც ადასტურებს, რომ ბერნარ როტიე საქართველოში ჩამოსვლისას უკვე მისდევდა ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობის საქმეს და, შესაბამისად, სრულიად მოსალოდნელი იქნებოდა, რომ მდიდარი ანტიკური წარსულის მქონე ქვეყანაში მოხვედრისას ადგილობრივი სიძველეების მიმართ ინტერესი გასჩენოდა.

და მართლაც, 1929 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მოგზაურობა თბილისიდან კონსტანტინოპოლში“ როტიე თავად მოგვითხრობს საქართველოში ყოფნისას შეგროვებული ნუმიზმატური კოლექციის შესახებ და ფოთიდან კონსტანტინოპოლისკენ გამგზავრების ეპიზოდის აღწერისას აღნიშნავს:

¹³² რუვენსის მიერ ვან ევეიკისადმი მიწერილი წერილი (15 აგვისტო, 1826), ლაიდენის მუზეუმის არქივი, N 17.1.1/2.

„გზად ერთი სასიამოვნო შეხვედრა მქონდა. ერთი მეგრელი, რომელიც ფოთში ამ მხარისთვის დამახასიათებელი გრძელი ნავით მოვიდა სიმინდის იმ სახეობის გადასაცვლელად, რომელსაც „კუკურუზს“ უწოდებენ (ესპანური სიმინდი), პორტში მომიახლოვდა და შემომთავაზა ერთი ქვა, რომელსაც ყიდდა. ეს იყო იაგუნდის [იაკინთის] საკმაოდ დიდი გემა. ულამაზესი. თავის ბუნებრივ მდგომარეობაში იყო. ამოზნექილი ნაწილი გაპრიალებული ჩანდა და ბერძნულ საჭრეთელს მასზე ოსტატურად ამოეჭრა ჰერმესი [მერკური] კერიკეონით [მაცნის კვერთხით] ხელში. ეს პატარა ნივთი ისეთი ძვირფასი ჩანდა, რომ მიუხედავად ჩემი გამოცდილებისა ამ სახის გარიგებებში, ვერ დავმალე აღტაცება ნივთის ფასის კითხვისას. ყმანვილმა ეს შენიშნა და სამი დუკატი მომთხოვა. მივეცი: ეს ნივთი ასიც ღირდა. მაგრამ ეს მე გაკვეთილად მივიღე: სიძველეებით მოვაჭრე ხომ თავისი ტაქტიანობითა და შეუვალობით გადის ფონს. [...] გარდა გრავირებული ქვების კოლექციისა, ექვსი წელი ვიმუშავე საიმისოდ, რომ შემეგროვებინა სხვა – გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი კოლექცია: ექვსასზე მეტი მონეტა შევკრიბე – პართული, არსაკიდების, სასანიდების, ქუფური, ხალიფური და საქართველოს ძველ მეფეთა მონეტები. სურამში ერთმა რაბინმა მომიყიდა ორი პართული მონეტა – ერთი მნასკირესის, აპოლონიატიდის მეფისა და ერთიც არტაბანისა. ეს უკანასკნელი ძალიან იშვიათია. 1820 წელს რომში ყოფნისას ჩემი კოლექცია გადავეცი ბარონ დე ბლაკას – საფრანგეთის ელჩს წმინდა საყდარში, თუმცა იმ პირობით, რომ აღწერა გამოქვეყნდებოდა და მასში მოხსენიებული იქნებოდა ის, ვინაც კოლექცია ამდენი ძალისხმევით შეაგროვა (იგულისხმება როტიე – თ.მ.). ამის შემდეგ ცნობილი ორიენტალისტი – ბატონი რენო (Reinaud) იყო დაკავებული ამ საქმით.“¹³³

როტიეს ამ ცნობას ადასტურებს თავად ფრანგი ორიენტალისტის – ჟოზეფ ტუსან რენოს (Joseph Toussaint Reinaud) წერილიც, რომელსაც იგი 1820 წელს რომიდან უგზავნის თავის მასწავლებელს – ასევე ფრანგ ლინგვისტსა და ორიენტალისტს ბარონ სილვესტრე დე სასის (Antoine Isaac Silvestre de Sacy). ახალგაზრდა რენო ამ წერილით დე სასის აწვდის ინფორმაციას როტიეს ტექსტში დასახელებული დიპლომატისა და კოლექციონერის, იმ დროისთვის წმინდა საყდართან საფრანგეთის ელჩის – ჟან კაზიმირ დე ბლაკას მდიდარი კოლექციის შესახებ, რომელიც მის კაბინეტში ინახება და როგორც რენო აღნიშნავს, მკვლევართათვის ხელმისაწვდომია. წერილიდან ირკვევა, რომ ბარონ დე ბლაკას აღმოსავლური კოლექცია ქართულ ნუმიზმატურ მასალასაც მოიცავს, რაც კვლევის თვალსაზრისით საინტერესო სიახლედ მოსჩანს წერილის ავტორისთვის:

¹³³ Rottiers BEA, *Itinéraire de Tiflis à Constantinople, Bruxelles, 1829*, გვ. 165-167.

„ქართულ მედლებს¹³⁴ სიახლის მიმზიდველობა ექნებათ. ბატონი პოლკოვნიკი როტიე, რომელმაც ნაწილობრივ შექმნა ეს კოლექცია და რომელიც საქართველოში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მსახურობდა რუსულ ჯარში, გაეცნო ამ ქვეყნის ძველ მწერალთა შემოქმედებას, ჩამოაყალიბებს ლეგენდების განმარტებასა და მათთან დაკავშირებულ ცნობებს, რომლებსაც ქართველი ისტორიკოსები გვანვდიან.“¹³⁵

ზემოთ წარმოდგენილი ცნობებიდან ირკვევა, რომ როტიეს საქართველოდან საკმაოდ მდიდარი ნუმიზმატური კოლექცია წაუღია, რომელიც 600 ძველი მონეტისგან შედგებოდა და მათ შორის იყო ქართული მონეტებიც. ამავე წყაროებიდან ვიგებთ, რომ გარდა მონეტების კოლექციისა, მას გრავირებული ქვების კოლექციაც შეუგროვებია საქართველოში ყოფნისას. მონეტების კოლექცია როტიემ რომში ვიზიტისას – 1819 წელს გაყიდა, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც აქტიურად ცდილობდა ვატიკანთან დაახლოებასა და რომის პაპთან შეხვედრას. ამავე ცნობებიდან ვიგებთ, რომ ქართული მონეტების შემცველი კოლექცია რომში ბარონ დე ბლაკას შეუძენია¹³⁶ და ამ კოლექციის შესწავლაც დაწყებულა ორიენტალისტთა მიერ იმ პირობით, რომ კოლექციის აღწერილობა ცალკე ნაშრომად გამოქვეყნდებოდა. მართლაც, 1928 წელს პარიზში ორ ტომად გამოიცა რენოს ვრცელი ნაშრომი სახელწოდებით „ბარონ დე ბლაკას კაბინეტის მუსლიმურ ძეგლთა აღწერილობა“, ¹³⁷ რომელშიც ფრანგი ორიენტალისტი აქცენტს აკეთებს ბარონ დე ბლაკას კოლექციაში დაცულ მუსლიმურ მონეტებსა და გრავირებულ ქვებზე, მაგრამ თითქმის არაფერს ამბობს იმ ქართულ ნიმუშებზე, რომლებსაც 1820 წლის წერილში ახსენებს. თუმცა ავტორი წიგნის შესავალში აღნიშნავს, რომ დე ბლაკას კოლექცია მოიცავს სხვა აღმოსავლურ ნიმუშებსაც, რომლებიც მუსლიმური არ არის, „მაგალითად, სომხურ და ქართულ ქვებსა და მონეტებს“. ¹³⁸ აქვე იმასაც დასძენს, რომ ბარონ დე ბლაკას ყველაზე მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა „გრავირებული ქვები და მონეტები, რომლებიც პოლკოვნიკმა როტიემ შეკრიბა“. ¹³⁹

¹³⁴ ალბათ, იგულისხმება მონეტები.

¹³⁵ Reinaud J.T., *Lettre à M. le Baron Silvestre de Sacy sur la collection de monuments orientaux de S. Exc. M. le Comte de Blacas*, Paris, 1820, გვ. 14.

¹³⁶ აქვე საინტერესოა რუვენსის ერთი ცნობა, საიდანაც ვიგებთ, რომ როტიეს ბარონი დე ბლაკაც არ დაუნდვია და მისთვისაც შეუსაღებია ერთი ყალბი გრავირებული ქვა (იხ. რუვენსის მიერ ვან ევიკისადმი მიწერილი წერილი (15 აგვისტო, 1826), ლაიდენის მუზეუმის არქივი, N 17.1.1/2).

¹³⁷ Reinaud J.T., *Description des monumens musulmans du cabinet de M. le Duc de Blacas*, Paris, 1828.

¹³⁸ Reinaud J.T., *Description des monumens musulmans du cabinet de M. le Duc de Blacas*, Paris, 1828, ტ. I, გვ. v.

¹³⁹ იქვე, ტ. I, გვ. iv.

სამწუხაროდ, დანამდვილებით არ ვიცით, რა ბედი ენია როტიეს კოლექციაში დაცულ ამ ქართულ ნიმუშებს. როგორც ცნობილია, ბარონ დე ბლაკას ნუმიზმატური კოლექცია მისმა მემკვიდრეებმა ბრიტანეთის მუზეუმს მიჰყიდეს. ბრიტანეთის მუზეუმის ელექტრონულ კატალოგში, ქართულ კოლექციაში მართლაც იძებნება ერთი ქვა ქართული წარწერით, რომელიც მუზეუმს ბარონის შვილისგან – ლუის დე ბლაკასგან შეუძენია 1866 წელს: ესაა მე-18 საუკუნის ქვის ბეჭედი, რომელსაც ამოტვიფრული აქვს წარწერა „მამასახლისი გაბრიელ“¹⁴⁰ და რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ როტიესეული ქართული კოლექციიდან მოხვდა ჯერ დე ბლაკას ოჯახში, შემდეგ კი – ბრიტანეთის მუზეუმში. ბარონ დე ბლაკას მიერ როტიესგან ნაყიდი კოლექციიდან სხვა ქართული ნიმუშები ბრიტანეთის მუზეუმის ელექტრონულ კატალოგში არ იძებნება, თუმცა ეს არ გამორიცხავს მათი მუზეუმში არსებობის შესაძლებლობას.

როტიეს კოლექციებში ქართული ნიმუშების არსებობის დამადასტურებელმა ცნობებმა, რომლებსაც თავად როტიე და მისი თანამედროვეები გვანვდიან, კიდევ მეტად გაგვიძაფრა ვარაუდი იმის შესახებ, რომ, გარდა მის მიერ დასახელებული ნიმუშებისა (მონეტები და გრავირებული ქვები), შესაძლოა მას საქართველოდან სხვა მასალებიც წაეღო. ამ ვარაუდმა ლაიდენის ანტიკური ხელოვნებისა და გენტიის უნივერსიტეტის მუზეუმებთან დაგვაკავშირა და მათთან თანაშრომლობით ახალ კვლევას ჩაუყარა საფუძველი.¹⁴¹ როტიეს კოლექციების ადგილზე გაცნობამ და კატალოგების საფუძვლიანმა შესწავლამ კიდევ უფრო მკაფიო გახადა ჩვენი ვარაუდი: თურქეთის, საბერძნეთისა და იტალიის ტერიტორიაზე როტიეს მიერ მოძიებულ თუ ნაყიდ ნიმუშებს კოლექციონერის მიერ მუზეუმისთვის წარდგენილ კატალოგებშივე აქვს მითითებული აღმოჩენისა თუ შეძენის ადგილი. თუმცა როტიეს პირველსა და მეორე კოლექციებში დაცულია ანტიკური ხელოვნების არაერთი ნიმუში, რომელთა წარმომავლობისა თუ მოპოვების ადგილის შესახებ კოლექციონერი არაფერს ამბობს. შესაბამისად, მუზეუმისთვის უცნობია როტიეს კოლექციებში არსებული ათეულობით ანტიკური არტეფაქტის წარმომავლობა. თუ გავიხსენე-

¹⁴⁰ ექსპონატი N1866,1229.136.

სამწუხაროდ, ექსპონატის ილუსტრაციის გამოქვეყნების უფლება მუზეუმისგან დროულად ვერ მივიღეთ, თუმცა ექსპონატის ფოტო ყველასთვის ხელმისაწვდომია მუზეუმის ღია წვდომის პლატფორმაზე, შემდეგ ბმულზე: <https://www.britishmuseum.org/collection/object/W—1866-1229-136> (22.10.2024).

¹⁴¹ 2024 წლის ივნისში სამუშაო მისიით ვიმყოფებოდი ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმში. შეხვედრისას დაიგეგმა ერთობლივი პროექტის განხორციელება ლაიდენის ანტიკური ხელოვნებისა და გენტიის უნივერსიტეტის მუზეუმებთან თანამშრომლობით – როტიეს კოლექციებში ქართული მასალების მოკვლევის მიზნით. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის ლაიდენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმის კოლექციების განყოფილების რეგისტრატორს – კიმ ონდერვატერს როტიეს კოლექციების კატალოგების მოძიებასა და შესწავლაში გაწეული დახმარებისათვის.

ბთ ბერნარ როტიეს ავანტიურებით აღსავსე ცხოვრებას და მოგების მიზნით სიძველეთა გაყალბების არაერთ ფაქტსაც მოვიშველიებთ, სრულიად საფუძვლიანი გახდება ეჭვი იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ამ ნიმუშთა წარმომავლობის ადგილი საქართველო იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ როტიეს კოლექციებში ნამდვილად მოიძებნება ქართული მასალები, რასაც ზემოთ მოტანილი ცნობებიც ადასტურებს და სამუზეუმო კატალოგებიც, „როტიეს ქართულ კოლექციას“ ჯერჯერობით მაინც პირობით სახელწოდებად ვტოვებთ, თუმცა დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ პირობითობას მოშლის ჩვენი სამომავლო კვლევა, რომელიც 1818 წელს როტიეს მიერ საქართველოდან წაღებული, ჩვენთვის აქამდე უცნობი სიძველეების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

თათია მთვარელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი





ბერნარ როტიეს, ლითოგრაფ შარლ მოტესა და გეოგრაფ შარლ პიკეს
ავტორობით, 1820 წელს პარიზში გამოქვეყნებული რუკა სახელწოდებით –
Passage du Caucase par le colonel Rottiers.

ქრისტიანობის ისტორიული გზა საქართველოში ბერნარ როტიეს რელაციონეს მიხედვით

ფაქტები, ანალიზი, დასკვნა

წინამდებარე კვლევა ეფუძნება, როგორც უკვე თავის ადგილას ითქვა, რუსეთის არმიის პოლკოვნიკის, წარმოშობით ბელგიელის, ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეს ნარკვევს სახელწოდებით - „ქრისტიანული რელიგია საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“.¹ როგორც ავტორი გვაუწყებს, მან ეს ნაშრომი შეასრულა კონსტანტინოპოლის კათოლიკეთა ტიტულარული მთავარეპისკოპოსის დავალებით. კერძოდ, მას დაევალა, შეესწავლა კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოში. ამ ძიებებს როტიემ „...თავისი რამდენიმე წლის პირადი დაკვირვების ნაყოფიც დაურთო...“² და მოგვცა უმთავრესად საქართველოში ქრისტიანობის წარსულისა და მისი თანამედროვე მდგომარეობის საერთო სურათი ჩვენს ქვეყანაში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის ზოგადი ისტორიის კონტექსტში.

როგორც რელაციონეს სახელწოდებიდან ვხედავთ, მის ავტორს მიზნად აქვს, წარმოადგინოს ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობა საქართველოსა და მის მიმდებარე მხარეებში. აქედან გამომდინარე, ის 11 ხელნაწერ გვერდს³ უთმობს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის მოკლე წარმოდგენას დავით IV აღმაშენებლის მეფობის ჩათვლით. ავტორს ჩინებულად ესმის, რომ ქრისტიანობის მიღებამდე, როგორც სხვა ხალხებს, ასევე ქართველებს ჰქონდათ წარმართული რელიგია. იმისათვის, რომ აჩვენოს ქართული სამყაროს რელიგიური ევოლუციის პროცესი, ის იბერიის სამეფოს წარმოშობის კონტექსტში⁴ წარმოაჩენს ამ სამეფოში არსებული წარმართული პანთეონის მოკლე სურათს. ამის საჭიროებას ავტორი მოკლედ ხსნის იმით, რომ ეს „...იძლევა ანტიკურობის გულმოდგინე გაგების საშუალებას“.⁵ ამ სურათს მაღალი ეფექტურობით წარ-

¹ ASPF. SC-Georgia, vol. 5, ff.387- 413v.

² Ibid., f. 412.

³ Ibid., ff. 388-399.

⁴ Ibid., ff.388-391.

⁵ Ibid., f.388.

მოაჩენს და მკითხველს ისტორიული ფაქტების მოხმობით არწმუნებს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა და წარმართული რელიგიური კულტები უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. ამით მკითხველისთვისაც ნათელი ხდება, რომ საქართველო საკუთარი კულტურის ელემენტების საფუძველზე მიიღო ქრისტიანობა და იგი უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა.

თავისებურად გადაწყვეტილი ქრისტიანობამდელი სახელმწიფოებრივი და რელიგიური ისტორიის ძირეულ მომენტებს, რომელთაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ ნარკვევის შესავალი, ავტორი იმისთვის იშველიებს, რომ გამოკვეთილად აჩვენოს, თუ როგორ იშვა ქრისტიანული საქართველო. როტიე იმ აზრისაა, რომ სამეგრელოში, ანუ „...ძველ კოლხეთში...“ ქრისტიანული სარწმუნოება იქადაგა ქრისტეს მოციქულმა ანდრიამ, ხოლო იბერები მოაქცია წმინდა ნინომ.⁶ ამ ფაქტის მოხმობით ავტორმა მკითხველს, უფრო ზუსტად, წმინდა ტახტს, აჩვენა, რომ საქართველო (კოლხეთი) სამოციქულო სტატუსის მატარებელი ქვეყანაა. ამის წარმოდგენა წმინდა საყდარს შეახსენებდა, რომ პეტრე მოციქულის ძმა, ანდრია მოციქული არის საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის მქადაგებელი.

ყოველივე ეს რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნის კონტექსტშია წარმოდგენილი, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფება საქართველო და თვით წმინდა ნინოც დევნილია.⁷ მართალია, ავტორი საგანგებოდ არ ჩერდება, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის მშობლიურ ენაზე დამწერლობის არსებობას, მაგრამ მკითხველს ამზადებს იმის აღსაქმელად, რომ ქართველებს ქრისტიანობის მიღებამდე შვიდი საუკუნით ადრე ჰქონდათ დამწერლობა. ამ დასკვნის გამოტანა ადვილია მისი ცნობიდან. ის წერს: „იბერთა პირველ მეფედ აღიარებული ფარნაოზი იესო ქრისტეს წინ 299⁸ წელს გარდაიცვალა. მან თავის სამეფოში კარგი კანონები შემოიღო. ქვეშევრდომები კლასებად დაყო და გააუმჯობესა⁹ დამწერლობა, რომლითაც დღეს ქართველი მღვდლები სარგებლობენ.“¹⁰ ამ ცნობაში მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ავტორი ემხრობა და წარმოაჩენს იმ მოსაზრებას, რომ ფარნავაზმა ქართული დამწერლობა კი არ შექმნა, არამედ მხოლოდ გააუმჯობესა იგი.

საქართველოში ქრისტიანობა გარეშე მტრებთან მუდმივ ბრძოლაში განაგრძობდა განვითარებას. ავტორის გაგებით, ქრისტიანობა იყო ის მაორგანიზებელი ძალა, რომელმაც საგარეო მტრების წინააღმდეგ საკმარისი შინაგანი

⁶ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 391.

⁷ Ibid., ff. 391-392.

⁸ ფარნავაზ I-ის გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. ისტორიოგრაფიაში დასახელებულია 206, 219, 234, 237 წლები.

⁹ „Introdusse buone leggi nel suo Regno, divise in classi li suoi sudditi, e migliorò la scrittura usata anche al giorno d'oggi fra li sacerdoti Giorgiani“.

¹⁰ ASPF. SC-Georgia, vol. 5, ff. 391-392.

ენერგია გამონასკვა. ამასთან დაკავშირებით როტიე დაასკვნის: „საუკუნეების მანძილზე ქრისტიანულმა რელიგიამ საქართველოში დიდი პროგრესი განიცადა და სპარსელები, ამ რელიგიის მუდმივი მტრები, აწყობდნენ მრავალ ექსპედიციას ამ ქვეყნის დასაპყრობად, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.“¹¹ არაბობის ხანაში საქართველომ, მიიჩნევს ავტორი, სარწმუნოების დასაცავად დიდი მსხვერპლი გაიღო, მან არგვეთის მთავრების, დავით და კონსტანტინე მხეიძეებისა და ქრისტეში ქართველთა ურყეობის სიმბოლოს, წმინდა მოწამე არჩილ ქართლის ერისმთავრის (718) მარტვილობაზე გაიარა.¹² ამ გზის ურყევ გაგრძელებად ის თვლის დავით აღმაშენებლის მიერ ურწმუნოებზე გამარჯვებას, რის შედეგად საქართველო „...დიდი ხნის განმავლობაში სრული სიმშვიდით ტკბებოდა...“.¹³ როტიეს მიაჩნია, რომ დავითს, სრულად სამართლიანად უწოდებენ „...ეკლესიების აღმდგენელს...“, რადგან ყველა „...ასეთი შენობების (იგულისხმება ეკლესიების – მ.პ.) უმეტეს ნაწილს მისი მეფობის თარიღი აზის...“.¹⁴ აქედან გამომდინარეობს ავტორის დასკვნა, რომ მხოლოდ დავითის დროს „...სრულიად გაუქმდა ცეცხლის თაყვანისცემა,¹⁵ ხოლო ქრისტიანულმა რელიგიამ მთლიანად უპირატესობა მოიპოვა.“¹⁶ ის აქვე წუხილს გამოთქვამს და დაასკვნის: „სამწუხაროდ, საძაგელმა სექტამ (იგულისხმება 1054 წლის სქიზმა – მ.პ.) უკვე დაასნებოვნა ქართველი სამღვდელთა და, როგორც ქართველების, ასევე ბერძნებისა და რუსების გონებაში საძირკველი ჩაუყარა განხეთქილების იმ მარცვალს, რომელსაც ერთ დღეს ლათინებისაგან მათი გამოყოფა უნდა მოჰყოლოდა.“¹⁷ თუმცა მისთვის უცნობია, წარმოიშვა თუ არა მცხეთასა და რომს შორის განხეთქილება სქიზმისთანავე, ანუ 1054 წელს, და არც იმას მიუთითებს, თუ როდის მოხდა აღნიშნულ ეკლესიათა გაყოფა. მოტანილი ფაქტებიდან იმის თქმა შეიძლება, რომ 1054 წლის სქიზმამ, რომელშიც იგი ცალმხრივად კონსტანტინოპოლის ეკლესიას სდებს ბრალს, როტიეს აზრით, ქართველებისა და რუსების სამღვდელთა დაასნეულა და, შესაბამისად, ეკლესიათა განყოფაც მოხდა. იმის გათვალისწინებით, რომ როტიეს საქართველო-რომის რელიგიური კავშირის საწყის ეტაპად მიაჩნია XIII საუკუნე, როცა შავიზღვისპირეთში ახალშენები დააარსეს გენუელებმა და ორ მხარეს შორის დამყარდა სულიერი კავშირები მისიონერების მეშვეობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავტორი ეკლესიათა ერთობის დარღვევის კონკრეტულ

¹¹ ASPF., SC-Georgia, vol. 5, ff. 396-197.

¹² Ibid., f.398.

¹³ Ibid.

¹⁴ Ibid., f.399.

¹⁵ ავტორის ეს აზრი, რა თქმა უნდა, მცდარია.

¹⁶ Ibid.

¹⁷ Ibid.

მონაკვეთად 1054 წელს მიიწინეს.¹⁸ მისი აზრით, ქართულმა სამღვდელოებამ სწორედ ამის შემდეგ გაიზიარა ბერძნული სქიზმის „შეცდომები“, რომელთა აღმოსაფხვრელად მოეწოდებოდა კათოლიკე მისიონერები საქართველოს, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი. ერთი სიტყვით, ავტორი წმინდა ნინოს მიერ დაარსებულ ეკლესიას რომის ეკლესიასთან ერთობაში დიდ სქიზმამდე მოიაზრებს, მაგრამ არსად მიუთითებს, თუ ოფიციალურად როდის მოხდა მათი გაყოფა.

როტიე ქართველთა გონებაში სქიზმის მარცვლის აღმოცენების მიზეზად ასახელებს საგარეო ფაქტორს, ანუ მუდმივ ომებს, რომელთაც საქართველოს ჯერ ბიზანტია, ხოლო შემდეგ – სპარსეთი და ოსმალეთი ატეხდა თავს. „ამ ქვეყანას (საქართველოს – მ.პ.), – წერს ავტორი, – პირველი საუკუნეებიდან დღემდე არასოდეს ჰქონია ორმოცდაათი წლის მუდმივი სიმშვიდე, რამაც არა მარტო დიდად შეაფერხა პროგრესი, არამედ ასევე ხელი შეუწყო იმას, რომ მისი (ქართველების – მ.პ.) და სომხების სამღვდელოება დარჩა ღრმა უმეცრებაში,¹⁹ რომელშიც ისინი დღემდე იმყოფებიან და ამის გამო არიან მგრძნობიარენი იმ „შეცდომების მიმართ“, რომლებიც აშორებს მათ ჭეშმარიტი (კათოლიკური – მ.პ.) რელიგიისა და ეკლესიისაგან.“²⁰ ცხადია, დასავლეთისაგან, უფრო სწორედ, რომისაგან მოწყვეტამ, რამაც პროგრესის მიღმა დატოვა საქართველო, მისი აზრით, განაპირობა ის, რომ სქიზმის გააზრება და აღმოფხვრა ქართველებისა და სომხების ცნობიერებაში ვერ მოხერხდა. ამის მიზეზს ის ხედავს იმაში, რომ ეკლესიების გაყოფის შემდეგ საქართველოსთან წმინდა ტახტის კონტაქტი იყო სპორადული და ორ ეკლესიას შორის ოფიციალური კომუნიკაცია შეწყდა.

მართალია, თავად როტიე არ ასახელებს, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ „ღრმა უმეცრებაში“ ქართველთა მიერ ბერძნული სქიზმისადმი, ანუ ბიზანტიური ტრადიციისადმი, მიმდევრობა იგულისხმება. მისი აზრით, ეს პროცესი უფრო გააღრმავა ისტორიულმა მოვლენებმა, კერძოდ, სპარსელებისა და თურქების მუდმივმა შემოსევებმა, „...რომლებიც დღემდე არ წყვეტენ ამ ქვეყნის (საქართველოს – მ.პ.) ნგრევასა და მოსახლეობის ხოცვას, რაც ამ ხალხს დიდი ხნის განმავლობაში მწყემსის გარეშე სტოვებდა.“²¹ ცხადია, ავტორის მიერ მოხმობილი პროცესის ფონზე, ქართული ეკლესია მისი პირველი მღვდელმთავრის გარეშე არასოდეს დარჩენილა, მაგრამ, ჩვენი აზრით, როტიე ზემოხსენებულზე ყურადღებას ამახვილებს იმისთვის, რომ აჩვენოს, თუ როგორ შეავსეს ეს სიცარიელე კათოლიკე მისიონერებმა. ამის დედააზრი ისაა,

¹⁸ ამის შესახებ დანვრ. იხ: მურმან პაპაშვილი. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბილისი, 2019, გვ. 129-164.

¹⁹ როტიე გულისხმობს სქიზმაში დარჩენას.

²⁰ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f.399.

²¹ Ibid.

რომ სპარსელებისა და თურქებისაგან მუდმივ ნგრევაში მყოფ საქართველოს დამცველებად და რწმენაში განმამტკიცებლად წმინდა ტახტის წარმომადგენლები მოევლინენ. ახლა მოვუსმინოთ თვით წყაროს: „ამან (სპარსელებისა და თურქების განუწყვეტელმა შემოსევებმა და ნგრევამ – მ.პ.) მისი (ქართველების – მ.პ.) ნაწილი კერპთაყვანისმცემლებად (უნდა გავიგოთ მუსლიმებად – მ.პ.) აქცია და ის მცირერიცხოვანი მორწმუნეები (ქრისტიანები – მ.პ.), რომლებიც დარჩნენ ლათინურ ეკლესიასთან გაერთიანებულნი, თავიანთ უცვლელ შეუპოვრობას რწმენისადმი უმაღლოდნენ იმ საერო პირთა მითითებებს, რომლებიც მუდამ მათთან იყვნენ ისე, რომ ხანდახან კათოლიკე მღვდელი არც ჰყავდათ, რათა რწმენაში განემტკიცებინა ისინი.“²² ამის არგუმენტად მას მოჰყავს XIII საუკუნის ბოლოს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გენუელთა მიერ ახალშენების დაარსების ფაქტი.²³ რელაციონეს ავტორმა იცის, რომ კათოლიკობამ გზა საქართველოში XIII საუკუნის შუა წლებიდან გაიკვლია, რასაც აკავშირებს გენუელების ზემოხსენებულ კოლონიებთან, რომელთა სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი აფხაზეთით იფარგლებოდა.²⁴ მოვუსმინოთ თვით წყაროს: „მხოლოდ XIII საუკუნეში, როდესაც ვაჭრობამ მიიზიდა გენუელები შავ ზღვაზე, იმ მორწმუნეებმა (მართლმადიდებლებმა – მ.პ.) მიიღეს სულიერი დახმარება, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში მოკლებულნი იყვნენ. მღვდლებმა (კათოლიკე მისიონერებმა – მ.პ.) არა მხოლოდ საქართველოში მიაღწიეს, არამედ შეაღწიეს კავკასიაშიც, სადაც ააღორძინეს რელიგია (კათოლიკური სარწმუნოება – მ.პ.)“.²⁵ ამასთან კავშირში ავტორი აგრძელებს: „მიიჩნევენ, რომ იმ ადგილას²⁶ იყო კათოლიკური ეკლესია, რომელსაც გენუელი მღვდლები ემსახურებოდნენ და რომელიც თურქებმა მთლიანად გაანადგურეს. მთებში შეგიძლიათ ნახოთ მრავალი მოტოვებული ეკლესია და სამლოცველო, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ შემორჩენილია. მცხოვრებლები მათ უყურებენ, როგორც წმიდათაწმიდას და ამტკიცებენ, რომ ზოგიერთ ამ ეკლესიაში პერგამენტზე დანერილი ლათინური რიტის წიგნების ნახვა შეიძლება. მეორე მხრივ, უეჭველია, აბაშის (იგულისხმება აფხაზეთის – მ.პ.) მოსახლეობა ინახავს ამ წიგნებს და მათ უცხოელებს უჩვენებენ, რომელთაც შეუძლიათ შეაღწიონ მათ შორის. ამბობენ, რომ ეს მათი წინაპრების წიგნებია და თუ იქ მღვდელი (იგულისხმება კათოლიკე მღვდელი – მ.პ.) მივა, ვინც იცის მათი წაკითხვა, მისგან ისინი (აფხაზები – მ.პ.) მიიღებენ

²² ASPF., SC-Georgia, vol. 5, f.400.

²³ პაპაშვილი მ., *საქართველო-რომის ურთიერთობა*, თბილისი, 1995, გვ. 90-91.

²⁴ Соина Н. С. (2019). Историография Генуезских средневековых оборонительных сооружений Азово-Черноморского Бассейна. Вестник БГТУ им. В.Г. Шухова, №11, с. 73.

²⁵ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 400.

²⁶ კონტექსტის მიხედვით უნდა იყოს აფხაზეთი.

კატეხიზმოს“.²⁷ საგულისხმოა და საყურადღებო იმის აღნიშვნაც, თუ როგორ იყენებდნენ აფხაზები ამ წიგნებს თავიანთი ქრისტიანობის დამადასტურებელ დოკუმენტად. „ერთ დღეს გამოჩნდა თურქი მოლა, – წერს ავტორი, – და აჩვენეს მას ისინი (ლათინურ ენაზე დაწერილი წიგნები – მ.პ.), მაგრამ როცა გახსნა ისინი, ვერ შეძლო მათი წაკითხვა და ამის შესახებ მერე დაასკვნეს, რომ მათი წინაპრები არასოდეს ყოფილან მაჰმადიანები და არ მიიღებდნენ მათ ყურანს. რა თქმა უნდა, თურქები ყველაფერს აკეთებენ, რათა მიიზიდონ ისინი და ირწმუნონ ისლამი, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ აღწევენ.“²⁸ იმის საპირისპიროდ, რომ აფხაზები ქრისტიანობას არჩევდნენ მუსლიმობას, მას მოაქვს შემდეგი ფაქტი: „მათ შორის (აფხაზებს შორის – მ.პ.) ჯერ კიდევ ცნობილია გენუელების სახელი და მოსჩანს რამდენიმე დანგრეული ციხე, რომელიც მათ მთებში ეკავათ. ტიტულით არისტოკრატმა გენუელმა რაფაელ სკასიმ²⁹ (Raffaele Scassi), რუსეთის სამეფო სამსახურის მრჩეველმა, 1814 წელს შეაღწია მათ შორის და რამდენიმე ხნის უნახავებმა მას ჰკითხეს: რა დაემართათ გენუელებს“.³⁰ ამის იქით ავტორის საუბარი არ მიდის. მოტანილი ფაქტიდან კი იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მიუხედავად კავშირის განწყვეტისა, აფხაზები თავს მიაკუთვნებდნენ გენუელთა რელიგიას, ანუ კათოლიკობას. ეს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, უფრო ახლოსაა ავტორის იდეასთან, ვიდრე სინამდვილესთან.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამ გამოიწვია საქართველოსა და წმინდა ტახტს შორის კავშირის განწყვეტა, ავტორს ფაქტის სახით მოაქვს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ გენუელების განდევნა შავიზღვისპირეთის სამხრეთის მიმართულებიდან (1461 წ.). მის თანახმად, ამის შემდეგ ოსმალებმა აიღეს ტრაპიზონი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკე იყო.³¹ „...მთელი ლაზეთი იძულებული გახდა, – წერს როტიე, – კავკასიონის კალთებამდე განდგომოდა [ქრისტიანულ] სარწმუნოებას. ასე რომ, დღეის-დღეობით ვერ იპოვით იძულებითი რენეგატების შთამომავლებს შორის ქრისტიანობის ვერავითარ კვალს. ამ ქალაქში (იგულისხმება ტრაპიზონი – მ.პ.) მხოლოდ კონსტანტინოპოლიდან კავკასიამდე შეგიძლიათ ნახოთ ჭეშმარიტი რელიგიის დიდმშვენიერების ნაშთები.“³² როტიეს ძირითადი აქცენტი გადააქვს კათოლიკეების დევნაზე, რომელსაც თურქების კვალდაკვალ შურისძიებით

²⁷ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 400.

²⁸ Ibid.

²⁹ ამ პიროვნების შესახებ ჯერჯერობით სხვა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელით.

³⁰ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 401.

³¹ Ibid.

³² ASPF, SC-Georgia, vol. 5, f. 402.

აღვსილი გრიგორიანი სომხებიც ახორციელებდნენ³³ და ხაზს უსვამს შემდეგ ფაქტს: „...არ არსებობს შევიწროების სახეები, რომელიც მათ (თურქებმა და გრიგორიანმა სომხებმა – მ.პ.) არ განახორციელეს ამ ქალაქის (ტრაპიზონის – მ.პ.) კათოლიკეების მიმართ, რომელთაც ბოლო ხანებში თურქებმა წაართვეს სამი ეკლესია და მონასტერი.“³⁴ მიუხედავად ამისა, ავტორის თანახმად, ტრაპიზონის კათოლიკეებს შეუნარჩუნებიათ ერთი ეკლესია, რომელიც მათთვის ჯერ ვერ წაურთმევიათ გრიგორიან სომხებს.³⁵ აქვე დაზუსტებულია, თუ სად მდებარეობს ეს ეკლესია, რომ მას უჭირავს ადგილი მათი „...უძველესი სასაფლაოს შუაში, სადაც მრავალი მონამე განისვენებს, რომლებიც სხვადასხვა დროს დაკრძალეს, რაზეც მოწმობს მრავალი წარწერა.“³⁶ ამ ეკლესიას ახლა წინამძღოლობას უწევდა ვენეციის წმინდა ლაზარეს თემის მღვდელი დონ მინასი (Minas Medies), რომელიც ოსმალეთში საფრანგეთის კონსულის მფარველობის ქვეშ წარმატებით განაგრძობდა საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საკუთრივ ამ თემის უშუალო მფარველობა საფრანგეთის მეფემ იწეობდა, რათა დაეცვა კათოლიკური სარწმუნოება. რაც საგულისხმოა, აქ მორწმუნეები უფრო მეტი მგზნებარებით აღნიშნავდნენ ლუი წმინდას დღესასწაულს, ვიდრე საფრანგეთში.³⁷ ყოველივე ეს იმ კონტექსტშია წარმოდგენილი, რომ ადრესატებს შეახსენოს, საქართველოს ეს ძირძველი ტერიტორიის მოსახლენი „...რომის წმინდა საყდრის ერთგულები...“³⁸ იყვნენ და რომთან კავშირი ნიადაგ სურდათ.

ამ მოვლენაზე ხაზგასმას ლოგიკურად მოსდევს სუბიექტური აზრი, თუ რა მიზნით გადანყვიტა 1626 წელს პროპაგანდამ, პაპ ურბან VIII-ის (1623-1644) თაოსნობით გაეგზავნა კათოლიკე მისიონერები საქართველოში, კერძოდ, ქართლის სამეფოში, ოდიშის სამთავროსა და ახალციხეში. სრულიად მართებულია აზრი, რომ მისიონერების გამოგზავნის ინიციატივა ქართული მხარიდან მომდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით ავტორის აზრი ასეთია: „ეს მომდინარეობდა თავად მაცხოვრებლების გულმოდგინებიდან, რომლებმაც არ დაივინყეს, რომ მათ წინაპრებს ჰყავდათ მღვდლები ევროპიდან და ისინი დიდი ხნის განმავლობაში ევედრებოდნენ რომის კარს გამოეგზავნათ მღვდლები, რადგან მათი სომეხი მღვდლები ხშირად რჯულგანდგომილები იყვნენ და უფრო მეტიც, დაქორწინებულებიც.“³⁹ ამასთან კავშირში ყურადღებას იქცევს ის ასპექტი, თუ რატომ სურდათ ქართველებს კათოლიკე მისიონერთა

³³ ASPF, SC-Georgia, vol. 5, f. 402.

³⁴ Ibid.

³⁵ Ibid.

³⁶ Ibid.

³⁷ Ibid.

³⁸ Ibid.

³⁹ Ibid.

მონვევა. „ესენი (ქართველები – მ.პ.), – წერს ავტორი, – საჭიროებენ განათლებულ და თავისი სახელმწიფოსადმი სრულიად თავშენიწიულ ადამიანებს, რომელთაც, თავიანთი სამწყსოს ხსნისა და კეთილდღეობის გარდა, სხვა ინტერესი არ ექნებათ, როგორც იმ მისიონერებს, რომელთაც მათი დაჟინებული თხოვნით დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე რომის კარი აგზავნიდა...“.⁴⁰ აქედან ირკვევა, რომ როტიემ კარგად იცის თეატინელი მისიონერების საქართველოში (1632-1701 წწ.) საქმიანობის შესახებ. და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ავტორი სრულიად მართებულად უსვამს ხაზს თეატინელ მისიონერთა მაღალი განათლების დონეს იმჟამად საქართველოში მოღვაწე კაპუცინ მამებთან შედარებით. ეს ინფორმაცია ფასეულია იმდენად, რამდენადაც წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა იმედს აღვიძებდა საქართველოში კათოლიკე მისიონერების უანგარო მოღვაწეობა განათლების, ქვეყნის კეთილდღეობისა და ქართული კათოლიკური თემის განვითარებისათვის. მეტიც – ავტორი ანიჭებს რა კათოლიკურ სამყაროს უპირატესობას, აქვე ირიბად მიგვანიშნებს, რომ ქართველების, უფრო ზუსტად, ქართველი კათოლიკეების მიერ მისიონერების მონვევა გააჩნდა იმ საყრდენს, რომელზეც დაშენდებოდა ქართულ-ევროპული იდენტობა. ამ მიზნით 1628-1752 წლებს შორის კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში ის ყველაზე წარმატებულ დროდ მიიჩნევს. ამის არგუმენტად მოაქვს სხვადასხვა დროს თბილისში, გორსა და ქუთაისში კათოლიკური ეკლესიების აგება, რომელთა შორის უმშვენიერესად იტალიური არქიტექტურით აგებულ თბილისის ეკლესიას მიიჩნევდა.⁴¹

აგრძელებს რა ამ საკითხზე მსჯელობას, ავტორს საქართველო-წმინდა ტახტს შორის ურთიერთობაში იმ ბზარზე გადააქვს აქცენტი, რომლის შედეგად 1752 წელს კათოლიკეებს თბილისში ეკლესია ჩამოართვეს და აქედან მისიონერები ახალციხეში განდევნეს. ამის ძირითად მიზეზად ის მიიჩნევს საქართველოს პატრიარქ ანტონ I-ის (1744-1755; 1764-1788) ფარულ კათოლიკობას⁴² და მის შედეგად განვითარებულ მოვლენებს, რომლის შესახებ გვანვდის ვრცელ ინფორმაციას. რამდენადაც იგი შეიცავს ფაქტობრივ სიახლეებს და ავტორისეულ შეფასებას, მას სრულად მოვიტანთ. ის წერს: „ამ ავანტიურის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს პატრიარქი ფარულად იყო მოქცეული კათოლიკურ სარწმუნოებაზე. ეს სახელგანთქმული წინამძღვარი, სახელად ანტონი,⁴³ მეფე იესეს ვაჟი და მეფე თეიმურაზის⁴⁴ ნათესავი, იშვიათი ნიჭის

⁴⁰ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 405.

⁴¹ Ibid.

⁴² დანვრ. იხ: მურმან პაპაშვილი, ელდარ მამისთვალისშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი, ხათუნა ჩაფიჩაძე, *საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII ს-ის 70-იანი წლები – XVIII ს.),* თბილისი, 2020, გვ.202-216.

⁴³ საქართველოს კათოლიკოსი ანტონ I ბაგრატიონი (1744-1755; 1764-1788).

⁴⁴ ქართლის მეფის თეიმურაზ II (1744-1762).

ადამიანი იყო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუდამ მუსაიფობდა [კათოლიკე] მამებთან და რომელმაც თავის სამღვდელოებას შეგნებულად გააცნო რა სახელოვანი პრეფექტის ჯიროლამო და ნორჩას მაგალითი, დაუფარავად ქადაგებდა უქორწინლობის მოძღვრებას, რომელიც მათი წმინდა ფუნქციების შესატყვისი იყო. მაგრამ წამხდარი ბერი, მეფის მოძღვარი, იყო მიზეზი იმისა, რომ ქართველები არ შეერთებოდნენ ისევ თავიანთი მამების პირვანდელ სარწმუნოებას.⁴⁵ როგორც ვხედავთ, ავტორი ქართველთა თავდაპირველ აღმსარებლობად კათოლიკობას მიიჩნევდა, მაგრამ უფრო სწორია ვთქვათ, რომ მას მხედველობაში აქვს სქიზმამდელი ეკლესიათა ერთობა, როცა რომის პაპის პრიმატი საცილობლად არ მიიჩნეოდა.

ერთი სიტყვით, ავტორისათვის ქართველთა მიერ კათოლიკობის მიღება ალიქმებოდა, როგორც წინაპართა სარწმუნოებასთან დაბრუნება. სწორედ ამ კონტექსტში წარმოაჩინა მან საქართველოს კათოლიკოს ანტონ I-ის როლი. როტიე მასში ხედავს პროკათოლიკე ქართველთა სულს და დიდი ადგილობრივი მასშტაბის სასულიერო მესვეურს, რომელიც დასავლეთის მიმართულებით მოძრაობდა. ავტორი საკმაოდ ვრცლად აღწერს, თუ რა შედეგი მოჰყვა ყოველივე ამას: პირველი, კათოლიკეებს წაართვეს ეკლესია და მონასტერი თბილისსა და გორში; მეორე, თბილისსა და გორში მოღვაწე კათოლიკე მამები გააძევეს ახალციხეში; მესამე, პატრიარქი ანტონ I, რომლის წინააღმდეგ “ენით უთქმელი საშინელებები გამოიგონეს”, რუსეთში გადაასახლეს, ხოლო მრავალი ეპისკოპოსი გადააყენეს; მეოთხე, ანტონ კათოლიკოსის მიერ კათოლიკობაზე გადასვლამ მთელი ანტიკათოლიკური ძალები გააერთიანა სქიზმატი ბერძენი და სომეხი გრიგორიანების თაოსნობით; მეხუთე, კათოლიკე მამა ჯიროლამო და ნორჩა, რომელიც საჯაროდ ამხელდა ბერძენ სქიზმატიკოს და სომეხ გრიგორიანელ სასულიერო პირთა უხამსი ცხოვრების წესებს, ახალციხეში განდევნეს და იქ მის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის ხრიკებს აწყობდნენ, რათა თურქების რისხვა დასტყვობოდა თავს.⁴⁶

ყოველივე ამას ავტორი ისეთი ექსპრესიით აღწერს, რომ მკითხველში აღძრავს უდიდეს თანაგრძნობას პროკათოლიკური განწყობის ანტონ კათოლიკოსის მიმართ. ეს უკანასკნელი ავტორს მიაჩნდა იმ პიროვნებად, რომელსაც შეეძლო დაეახლოებინა და გაეერთიანებინა ორივე ეკლესია. რეგრესულმა ძალებმა ეს ჩაშალეს, რის გამოც უფალმა შური იძია და, ავტორის მიხედვით, 1752 წელს აღმოსავლეთ საქართველოს შავი ჭირის უბედურება დაატეხა თავს. ამ პროვიდენციალურ ახსნას ის ამგვარად გადმოგვცემს: „ამ წელს (იგულისხმება 1752 წელი – მ.პ.) შავმა ჭირმა ისე გაანადგურა საქართველო, რაც ღვთის რისხვის ცხადი ნიშანი იყო, მცხოვრებთა მესამედი დაიხოცა და მეფის ვერაგი მღვდელი-მოძღვარი (ალბათ, იგულისხმება ზაქარია გაბაშვილი

⁴⁵ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 406.

⁴⁶ ASPF. SC-Georgia, vol. 5, ff. 406-407.

– მ.პ.) ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა.⁴⁷ უნიატი ანტონ კათალიკოსი ამის შემდეგაც არ ავინყდება როტიეს და მას საბოლოოდ ასეთ შეფასებას აძლევს: „რვანლიანი გადასახლების შემდეგ პატრიარქი მოიხმეს და თავის თანამდებობაზე აღადგინეს. ის რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა და ყოველთვის არაორაზროვნად ამოწმებდა რომის ეკლესიასთან თავის შეერთებას, სინანულს იმის გამო, რომ ვერ მიაღწია წარმატებას თავის სასულიერო პირებთან და თავის ხალხთან ერთად...“.⁴⁸

ანტონის ამგვარი წარმოსახვა, რაც ვატიკანის არქივში დაცული სხვა მასალების ინფორმაციებთან თითქმის სრულ თანხმობაშია,⁴⁹ ავტორს სჭირდება იმისათვის, რომ აჩვენოს, თუ რეგრესული ძალების მიზეზით რა პესპექტივა იქნა ხელიდან გაშვებული ეკლესიათა უნიისა და ქართულ-დასავლური იდენტობის გზაზე. ვერ შეძლო რა კრიტიკულად ეფიქრა და რეალურად აღექვა ამ ყოველივეს მიზეზი, ავტორი პასუხს უფალს მიანდობს. საკუთრივ კი გულისტკივილით წერს, რომ რუსებმა შემოსვლისთანავე თბილისის კათოლიკეთა ეკლესია, რომელიც ამ უკანასკნელთ 1752 წელს წაართვეს, ფურაჟის საწყობად აქციეს, რაც თბილისში მის ყოფნამდე (1818 წ.) გრძელდებოდა.⁵⁰ ამ ეკლესიას გუმბათი და ორნამენტები მოაცილეს, რათა იგი სრულიად შესატყვისი ყოფილიყო საწყობის დანიშნულებასთან.⁵¹ „...ამ სამარცხვინო ავანტიურისა...“ და ანტონ კათალიკოსის ფარული კათოლიკობისადმი დამოკიდებულების გამო უფალმა, ავტორის აზრით, „...გადაწყვიტა ქართული სამეფო ტახტი მოესპო. სამუდამოდ განედევნა ამ ქვეყნიდან მეფის შთამომავლები, რომელიც აქ ორი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში მბრძანებლობდნენ. როცა რუსული ჯარები საქართველოში შემოვიდნენ დევნის მიზნით, მათი სამეფო ბრწყინვალეობა თანდათან ჩაქრა, როგორც თოვლი დნება მზეზე. 1783 წელს ქვეყანა საბოლოოდ დამორჩილდა რუსეთს, ხოლო სამეფო ოჯახი პენსიებით პეტერბურგში გაგზავნეს, რათა დაუდევარ უმიზნო ცხოვრებას [ისინი] შეეყვანა რიგით პირთა კატეგორიაში, რომლებიც დედამიწაზე მილიონობით არიან.“⁵²

მოვლენების ამგვარი მოტივაციის შემდეგ, როტიე ერთმანეთს ადარებს კათოლიკური მისიების მდგომარეობას საქართველოში 1811-1815 წლებში, რათა წარმოაჩინოს მათ მიერ მიღწეული წარმატებები. პირველ რიგში განიხილავს კათოლიკეთა მდგომარეობას ახალციხეში და ხაზს უსვამს, რომ აქ კათოლიკე

⁴⁷ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 407.

⁴⁸ Ibid.

⁴⁹ *ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე)*, იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალისშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი, 2020, გვ. 79-82.

⁵⁰ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 408.

⁵¹ Ibid.

⁵² Ibid.

მისიონერები „...ყოველთვის სარგებლობდნენ პატივითა და ყურადღებით, როგორც თითოეული კლასის, ზოგადად, მთელი ხალხის ქომაგები“.⁵³ ახალი დეტალებით ამდიდრებს ქართველი კათოლიკე მამის ანტონ თუმანიშვილის საქმიანობას ახალციხესა და კავკასიის ხალხებში; თბილისის კათოლიკეთა ეკლესიას მისი მორთულობის გამო უნიკალურად მიიჩნევს; დომინიკელი მამის – ონოფრიოს, წარმოშობით ქართველის, მოღვაწეობას გორში საეტაპო მნიშვნელობას ანიჭებს; აძლევს რა მაღალ შეფასებას თბილისის მისიონის პრეფექტის, ფილიპე და ფორანოს (ფორანოელის) საქმიანობას, როტიე წერს, რომ ერთ-ერთი ცერემონიის დროს ის „...დააყენეს საქართველოს მთავარეპისკოპოსის გვერდით...“.⁵⁴ ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ქართულ საშინაო დიპლომატიაში გამოყენებული ხერხის ამოსაცნობად. უფრო ვფიქრობთ, რომ ასეთი „კეთილისმყოფელი“ დამოკიდებულება კათოლიკე მამებისადმი, ასევე თავდაპირველი სხვა ფაქტების (თბილისში, გორსა და ქუთაისში კათოლიკური ეკლესიის აშენებისადმი ფინანსური მხარდაჭერა, სკოლის გამართვა თბილისში, თბილისის, გორისა და ქუთაისის ეკლესიებისათვის წლიური პენსიის დანიშვნა)⁵⁵ გათვალისწინებით, მიზნად ისახავდა ქართველ კათოლიკეთა მოგილევის კონსისტორიისადმი დაქვემდებარებისათვის მომზადებას. ამას გარდა, ვფიქრობთ, რუსეთის ადგილობრივ მმართველობას საოკუპაციო ჯარში მომსახურე კათოლიკე ჯარისკაცებისათვის არ სურდა თავისი ანტიკათოლიკურად განწყობილი სახე გამოეჩინა. ამ აზრს როტიეს შემდეგი ინფორმაცია გვეკარნახობს. ის წერს: კათოლიკე მამებისაგან „...მატერიალური და სულიერი დახმარება მიიღო რუსეთის, პოლონეთისა და სხვა პროვინციების ყველა კათოლიკე ჯარისკაცმა, რომლებიც საქართველოს ჯარში მსახურობენ, რასაც ამ მისიონის გარეშე ისინი დიდხანს მოკლებულნი იქნებოდნენ...“.⁵⁶

ავტორი ცალკე და შედარებით ვრცლად განხილავს ქუთაისში კათოლიკეთა მისიონის საქმიანობას. ხშირ შემთხვევაში გვაძლევს დღემდე უცნობ ფაქტებს, რომელთა საფუძველზე ახდენს ამა თუ იმ მოვლენის შეფასებას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ (1772-1815), რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა კაპუცინი მამები, „თავისი მეფობის ბოლო პერიოდში კათოლიკეთა ეკლესიას აჩუქა ქალაქიდან ორი მილის დაშორებით მდებარე პატარა დაბა გეგუთი...“.⁵⁷ ამ ფაქტში ის იკითხება, რომ სოლომონ მეფე, რომელიც მეფობის ბოლო წლებში რუსეთის საპირისპიროდ კათოლიკურ დასავლეთში იკვალავდა გზას, აქ მათ სულიერ წარმომადგენლებს შესაძლო

⁵³ ASPF, SC-Georgia, vol. 5, f. 409.

⁵⁴ ASPF, SC-Georgia, vol. 5, f. 411.

⁵⁵ პაპაშვილი მ., *საქართველო-რომის ურთიერთობა*, თბილისი, 1995, გვ. 305-308.

⁵⁶ ASPF, SC-Georgia, vol. 5, 412.

⁵⁷ Ibid., f. 411.

დახმარებას უწევდა, რაც მისი ევროპული დიპლომატიის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ. „ამ მისიონს, – წერს როტიე, – ღირსეულად უვლის 1815 წელს რომიდან ჩამოსული მამა ჯუზეპე დალა კოლა (Giuseppe dalla Colla), რომელმაც მოკლე დროში ისწავლა ქართული ენა იმ დონემდე, რომ სრულყოფილად ქადაგებს ამ ენაზე და ასრულებს სხვა ფუნქციებს დიდი მონდომებითა და გზნებით და მას ეხმარება ძმა ბერნარდინო ჩივიტა და კასტელანა (კასტელანელი)“.⁵⁸

ავტორი განსაკუთრებულად აფასებს მამა ფილიპე და ფორანოს (ფორანოელის) მოღვაწეობას თბილისის მისიონში. რამდენადაც ეს შეფასება ჩვენი დასკვნისათვის მნიშვნელოვანია, იგი მთლიანად მოგვყავს: „[მისიონს] განსაკუთრებით ბრძნულად და წინდახედულებით მართავდა მათი ღირსეული მეცხრამეტე პრეფექტი მამა ფილიპო და ფორანო, სანიმუშო მისიონერი, უფლისაგან ამალღებული სიკეთით დაჯილდოებული. თუ ვინმეს უნდა დაწვრილებით ყველაფრის ერთმანეთთან შედარება, რაც ამ იშვიათმა ადამიანმა გააკეთა კერძოდ საქართველოს მისიებისა და ზოგადად ყველა კათოლიკეს სასიკეთოდ, ეს ყოველგვარ რწმენას გადააჭარბებს. ამჟამად, რომ ყოვლისშემძლე უფლის დახმარების გარეშე ამდენი წინსვლა შეუძლებელი იქნებოდა იმ ხალხს შორის, რომელიც არათუ არ არის კათოლიკე, არამედ ეკლესიის მტრებიც შეიძლება ეწოდოს. მან იცოდა, თუ როგორ დაეწყნარებინა მისი ბუნებრივი შარისთავები და მდევენელიც შეეცვალა, რომ ჰქონოდა მოწინება და პატივისცემა იმათ მიმართ, ვინც აღმსარებლობდა ჭეშმარიტ რელიგიაზე. რამდენი მიწიერი და სულიერი დახმარება მიიღეს იმ ბერებისაგან რუსეთის, პოლონეთისა და სხვა პროვინციებში დაბადებულმა ყველა გვარდიის კათოლიკე ჯარისკაცებმა, რომლებიც მსახურობენ საქართველოს ჯარში. ისინი ამ მისიონის გარეშე ამას დიდხანს მოკლებული იქნებოდნენ. მამა ფილიპემ გააცნობიერა ფრანგული ენის ცოდნის უპირატესობა და ისწავლა ის, რათა თავად შეძლოს საქმეების წარმოება, რომელიც ზოგჯერ საჭიროებენ მთავრობის ხელმძღვანელებთან განხილვას. ამ საქმის უდიდესი საჭიროებაა და ახლა უკვე აუცილებელი გახდა, რომ ყველა მათგანმა, ვინც მომავალში დაინიშნება პრეფექტებად, იცოდეს ფრანგული ენა და ცოტა რამ მსოფლიოს შესახებ, რათა ნებისმიერ გარემოებაში შეძლონ თავიანთი წმინდა მისიის მიზნის მიღწევა“.⁵⁹

როგორც მოტანილი წყაროდან ვხედავთ, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1801 წლის 12 სექტემბერი) წმინდა ტახტი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა საქართველოს პრობლემას და ნიადაგ ზრუნავდა აქ მისიონის გაძლიერებაზე. ჩვენი ღრმა რწმენით, რუსეთის საოკუპაციო მმართველობამ ნახა რა ქართველი ხალხისა და მაღალი წრეების განსაკუთრებული

⁵⁸ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 412.

⁵⁹ Ibid., f. 413.

პატივისცემა, კეთილი განწყობა კათოლიკეების მიმართ და რომთან კავშირის დაუოკებელი სურვილი, შეცვალა თავისი თავდაპირველი მკაცრი კურსი და ხელსაყრელი პერიოდის დადგომამდე ლოიალური პოლიტიკის გატარებას შეუდგა. ამაში გამოიკვეთა ის ასპექტიც, რომ რუსი მმართველები ქართველ ინტელექტუალთა შორის უფრო ნაკლები ნდობით სარგებლობდნენ, ვიდრე წმინდა ტახტის წარმომადგენელი კათოლიკე მესვეურები.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად დავასკვნით: რვა წლის განმავლობაში საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარში მოსამსახურე როტიეს ჰქონდა საშუალება, გასცნობოდა ჩვენი ქვეყნის ქრისტიანობის ისტორიას და დაკვირვებოდა კათოლიკე მამების საქმიანობას მის თანამადროვე საქართველოში. აქედან გამომდინარე, ავტორის მიერ მოტანილი ცნობები დიდ ნდობას იმსახურებს. მან სხვადასხვა ისტორიული პერიოდის კონტექსტში წარმოადგინა, თუ რა ძირითადი ეტაპები განვლო ქრისტიანობამ საქართველოში 1818 წლის ჩათვლით. ავტორის სწორი დაკვირვებით, საქართველო ქრისტიანობის მიღებას საკუთარი კულტურული და სახელმწიფოებრივი ელემენტების საფუძველზე შეხვდა და ქართული ეკლესია „დიდ სქიზმამდე“ (1054) რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ერთიან ორგანიზმს წარმოადგენდა. დასავლეთისაგან მოწყვეტამ (1453 წლის შემდეგ) პროგრესის მიღმა დატოვა საქართველო, რასაც უფრო აღრმავებდა სპარსეთისაგან და ოსმალეთისაგან მომდინარე განუწყვეტელი საფრთხეები. მიუხედავად ამისა, საქართველოში ქრისტიანობა განაგრძობდა განვითარებას. იგი იყო ის მაორგანიზებელი ძალა, რომელმაც საგარეო მტრების წინააღმდეგ საკმარისი შინაგანი ძალა გამოიწვევა. მის დასაცავად ქვეყანამ დიდი მსხვერპლი გაიღო და გარეშე მტრებისაგან მუდმივ ნგრევაში მყოფ საქართველოს დამცველებად და რწმენაში განსამტკიცებლად წმინდა ტახტის წარმომადგენელი კათოლიკე მისიონერები მოველინენ. ეს, ავტორის გაგებით, წარმოადგენდა ერთიანობის ძიების ახალ ეტაპს, რადგან ქართველები კათოლიკეებთან შეხვედრებს არა უცხო ალიარებით ეკიდებოდნენ, არამედ წარსული ერთიანობის შეგრძნებით. ქართველი პროგრესისტებისათვის (ანტონ I-ისა და მისი მიმდევრების მაგალითით) არ იყო დამახიათებელი კათოლიკობისაგან გარიყვა, ასევე ქსენოფობია, რაც ფარული იდენტობის სახედ შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ ამიტომ მიეცათ კათოლიკე მისიონერებს საქართველოში თავისუფალი მოღვაწეობის არენა. საკუთრივ ქართველთა მიერ კათოლიკობის მიღება როტიესთვის მამა-პაპათა სარწმუნოებასთან დაბრუნებას ნიშნავდა. ეს მოვლენა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის (1801) შემდეგ უფრო რელიეფურად გამოჩნდა, რადგან ქართველებს განსაკუთრებით სურდათ რომთან კავშირის შენარჩუნება და რუს მმართველებს უფრო ნაკლები ნდობით ეკიდებოდნენ. მიუხედავად ამისა, როტიეს კათოლიკეთა მომავალი წარმატებები საქართველოში რუსეთის მმართველობის ქვეშ დაცულად მიაჩნდა. ამის დასტურია მისი შემდეგი სიტყვები: საქართველოს მისიონის აყვავე-

ბა არ დაახანებს, „...თუ პრუპაგანდა არ დააყოვნებს მრავალი ბერმონაზვნის გაგზავნას, რომელთაც იგი ესოდენ მეტად საჭიროებს, რის გარეშეც, მას არ შეუძლია გააგრძელოს ის წარმატებები, რომლებიც მან ასე გონივრულად დააფუძნა უფლის ეკლესიის სადიდებლად.“⁶⁰ ბუნებრივია, კათოლიკე პატრების მიმართ იმ მოზომილი დიპლომატიური მოქმედების ჩარჩოში, რომელსაც თავიდანვე დაადგა რუსეთის ხელისუფლება, ბერნარ როტიემ ვერ ამოიცნო მომავალი ვერაგული გეგმა, რომელიც პრაქტიკულად განხორციელდა 1845 წელს, როცა რუსეთის იმპერატორის დეკრეტით კაპუცინი მამები საქართველოდან გააძევეს.⁶¹

მურმან პაპაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

⁶⁰ ASPF. SC-Georgia, vol. 5, f. 412.

⁶¹ მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი, 1902, გვ. 525.

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე

**ქრისტიანული რელიგიის შესახებ
საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში**

**DELLA RELIGIONE CRISTIANA NELLA
GIORGIA E NEI PAESI CIRCONVICINI**

იტალიური ტექსტი გაშიფრეს, თარგმნეს

და კომენტარები დაურთეს

მურმან პაპაშვილმა და ელდარ მამისტვალიშვილმა

პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივი (ASPF)

ფონდი SC-Georgia, ტომი 5, ფურც. 387-413¹

f. 387r:

ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში

f. 388r:

ვიდრე იბერთა შორის ქრისტიანული რელიგიის შემოსვლის დროზე გადავალთ, აუცილებელია შორეულ საუკუნეებში ამ ბარბაროსი ხალხებისა და კულტის წარმოშობას მივუძღვნათ მოკლე ნარკვევი, რაც იძლევა ანტიკურობის გულმოდგინე გაგების საშუალებას. საქართველოს ისტორია იუნყება, რომ მისი დამაარსებელი იყო ქართლოსი² და რომ ამისი წინაპრები მომდინარეობენ სემისა და იაფეტისაგან, რის გამო ისინი ნახევრად სომხური და ნახევრად ებრაული წარმოშობისანი იყვნენ. იაფეტის ვაჟიშვილებიდან ერთს, სახელად ავენანს,³ ჰყავდა ვაჟიშვილი, სახელად ფანგისი,⁴ რომელიც იყო თორგამოსის მამა, რომლისგან მომდინარეობენ სომხები და სხვა ხალხები, როგორიცაა ქართველები, მოკავანები,⁵ ერიენები,⁶ ლეკები,⁷ მეგრელები⁸ და კავკასიის სხვა ხალხები. როცა ნოეს შვილები გაიყარნენ, რათა თავიანთი ოჯახებისთვის ეძიათ დასახლებები, თარგამოსს

f. 388v:

არარატსა და იმავე ქედის პატარა მთას შორის მდებარე მასსისად⁹ წოდებული პატარა ტერიტორია ეკავა. როცა მისი ოჯახი იქ გამრავლდა, მან გადალახა [მდინარე] არაქსი თავისი [ოჯახის] დიდი ნაწილით და გაემართა ჩრდილოეთისაკენ. აქ მან დაიკავა კავკასიის სამხრეთით მდებარე ყველა ადგილი და მისი გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟიშვილებს შორის უთანხმოების თავიდან აცილების მიზნით, ტერიტორია მათ შორის გაანაწილა. ისინი რვანი იყვნენ.

¹ ASPF, SC-Georgia, vol. 5, ff. 387r- 413v.

² ქართველთა ლეგენდარული წინაპარი, ბიბლიური ნოეს ძის, იაფეტის შთამომავალი, თარგამოსის ძე, ძმათა შორის უხუცესი და მთავარი.

³ უნდა იყოს „ავანანი“.

⁴ ალბათ, თარში, რადგან ქართლის ცხოვრების მიხედვით თარგამოსი არის თარშის ძე.

⁵ უნდა იყოს „მოვაკანები“.

⁶ ალბათ, ჰეროსი.

⁷ უნდა იყოს „ლეკოსი“.

⁸ უნდა იყოს „ეგროსი“.

⁹ დიდი არარატის სომხური სახელწოდება. თურქულად – ბუიუქ-ალრი-დაღი.

უფროსს, სახელად ჰაოსს, სომხები თავიანთ მესაძირკველდ მიიჩნევენ და მისგან მიიღეს მათ ჰაისის¹⁰ სახელი, რაც ჯერ კიდევ მესხიერებაში ჩარჩათ.

როგორც ითქვა, მეორე ვაჟი იყო ქართლოსი, ქართველთა მესაძირკველი.

თარგამოსმა ჰაოსს, როგორც თავის უფროს ვაჟიშვილს, მისცა სამხრეთით მდებარე თავისი სამფლობელოების ნახევარი, ტერიტორია, რომელმაც შემდგომში მეტწილად სომხეთის სამეფო შექმნა, ხოლო ქართლოსს შეხვდა მხარე, რომელსაც ახლა საქართველო ეწოდება და მდებარეობს ამ სამეფოსა და კავკასიას შორის. დანარჩენ ექვს ვაჟს, სახელად ბარდოსს, მოვაკას,¹¹ ლეკოსს, ჰეროსს,

f. 389r:

კავკასისა¹² და ლუგროსს¹³ ნილად ხვდათ მეზობელი მხარეები, რომელთა აქ აღწერა ზედმეტია. საჭიროა მხოლოდ დამატება, რომ ქართულ ენაზე [არსებული] ხელნაწერი ისტორია მოგვითხრობს, რომ მათი შთამომავლებისა და ვასალების გასაბედნიერებლად ისინი ყველაფერში მისდევდნენ უფროსი ძმის, ჰაოსის მაგალითს და ნემროდ¹⁴ ასურელის ვასალებიც იყვნენ. ამ ისტორიაში ასევე საუბარია, რომ სურდათ რა [ვასალებს] ნემროდის მძიმე უღლისაგან თავის დაღწევა, ამ უკანასკნელის ძალები შეიჭრნენ მათ ქვეყანაში და სისხლიან ბრძოლაში ნემროდი მოკვდა ჰაოსის მიერ ნასროლი ისრით. ამ გამარჯვების შემდეგ მათ განდევნეს მტრები ქვეყნიდან და ჰაოსმა თავად გამოაცხადა სომხეთის მამად ან უზუცესად თავი და მისი ძმები მისი ვასალები გახდნენ.

ქართლოსის შთამომავლები თავყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს, ცეცხლს და მისი საფლავიც მალე გახდა თავყვანისცემის ობიექტი და როცა საქმე მათ შორის ფიცის დადებას ეხებოდა, ისინი ქართლოსის აკლდამის სახელით დებდნენ ფიცს.

ყველაზე შორეულ საუკუნეებში ისინი ზედმინევენით იცავდნენ

f. 389v:

მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის უფლებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მომდევნო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოადუნეს ყურადღება მანამ, სანამ არ გაეცნენ ქრისტიანულ რელიგიას. იმ პირველყოფილ დროში ისინი ანთროპოფაგები იყვნენ და ხშირად თავიანთ ღვთაებებს ბავშვებსა და მონებს სწირავდნენ. მხოლოდ ახ. წ. მეორე საუკუნის მინურულის მეფე რაეფმა,¹⁵ რო-

¹⁰ სწორია: ჰაოსი. სომხების ლეგენდარული ეთნარქი და ეპონიმი. ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ძმა.

¹¹ უნდა იყოს „მოვაკანი“.

¹² უნდა იყოს „კავკაზოსი“.

¹³ უნდა იყოს „ეგროსი“.

¹⁴ ნიმროდი / ნებროთი / ნიმრუდი / ნიმვროდი – ბიბლიური გმირი, ქამის ძის ხულის მითიური შვილი. მას მიენერება ბაბილონის სამეფოს დაარსება. მან მთელი ქვეყნიერება დაიპყრო.

¹⁵ საუბარია რეგ I მართალზე. ქართლის (იბერიის) მეფე III საუკუნის II ნახევარ-

მელიც სამეფოს დიდი სიკეთით განაგებდა, აკრძალა ბავშვებისა და მონების შემდგომი მსხვერპლშენიშვნა და ბრძანა, რომ მომავალში მათ მაგივრად ცხოველები შეენიშნათ: ჩვეულებრივ, ამ ხალხებში დაცული იყო მზის, მთვარისა და ცეცხლის თაყვანისცემა და ასეთმა კულტმა ალექსანდრე მაკედონელის¹⁶ გარდაცვალებამდე გაძლო. ამ დროიდან მათ [ახალი] კერპები დაემატა.

იგივე ისტორია¹⁷ იუწყება, რომ სპარსელების დამარცხებისა და ეკატანას¹⁸ (ახლანდელი ჰამადანის) ალების შემდეგ რამდენიმე მაკედონური კოჰორტა,¹⁹ სახელად ვინმე აზოს²⁰ მეთაურობით, გაიგზავნა იბერიების დასადევნად, რომელთა წინამძღოლი ქართლოსიანი სამარა²¹ და

f. 390r:

მისი ძმა²² მოკლეს დარიო კოდომანოს²³ ჯარში დამხმარეს სახით მსახურებისას. იბერთა ძალების განადგურების შემდეგ აზონმა თავისი ძალებით შეაღწია კავკასიის ძირამდე და შეინარჩუნა ეს ქვეყანა, ხოლო ყმანვილი ალმაზი (Almaz), რომელიც მოგვიანებით ცნობილი იყო ფარნაოზის²⁴ (Pharnaos) სახელით, სამარას ძმისწული და მემკვიდრე, თავის დედასთან, რამდენიმე რაზმთან და ქვეყნის მეთაურებთან ერთად მთებში გაიქცა. აზონმა, რომელსაც [ხელში] ჩაუვარდა იბერია, როგორც ჩანს, თავის მხრივ ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, თავი აარჩევინა მეთაურად და ბრძანა იქ ორი კერპი აღემართათ,

ში. ლეონტი მროველის მიხედვით, რევი მფარველობდა ქრისტიანობას. მან აკრძალა ზოგიერთი წარმართული ჩვეულება, განსაკუთრებით, ადამიანთა მსხვერპლშენიშვნა. ამის გამო მას „რევი მართალი“ უწოდეს.

¹⁶ ალექსანდრე III დიდი, მაკედონელი (ძვ.წ. 356-323). მაკედონიის მეფე, გამოჩენილი მხედართმთავარი, მსოფლიო სახელმწიფოს შემქმნელი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიშალა.

¹⁷ ალბათ, გულისხმობს ზემოხსენებულ ქართულ ენაზე არსებულ ხელნაწერ ისტორიას.

¹⁸ ეკატანა – თანამედროვე ჰამადანის ძველბერძნული სახელია. იგი ოდესღაც ძლიერი მიდიის იმპერიის დედაქალაქი იყო.

¹⁹ კოჰორტა – ქვეითი ჯარის რაზმი ძველ რომში.

²⁰ აზო / აზონი – ლეგენდარული პირი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს“ თანახმად, აზო არიან-ქართლის მეფის შვილი იყო. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ მიხედვით, აზონი ბერძენია, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს მმართველად დაუყენებია მცხეთაში.

²¹ ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე მცხეთის მამასახლისი, აღმოსავლეთ საქართველოს მმართველი. ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო ქართლი და მოკლა სამარა მამასახლისი.

²² ალბათ, იგულისხმება მეფე ფარნავაზის მამა, რომელიც იყო სამარას ძმა.

²³ იგულისხმება დარიოს III (კოდომანი), აქემენიანთა დინასტიის სპარსეთის მეფე ძვ. წ. 336-330 წწ. ის ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა სამ დიდ ბრძოლაში და ბაქტრიაში (აღმოსავლეთი სპარსეთი) გაქცეული თავისმა სატრაპმა მოკლა.

²⁴ ქართლის (იბერიის) პირველი მეფე, ძვ. წ. IV-III საუკუნის I ნახევარი. ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

რომელთაგან ერთი ოქროსგან იყო დამზადებული და ერქვა გალცი,²⁵ ხოლო მეორე – ვერცხლისაგან და ეწოდებოდა გაიმი. [აზონმა] უბრძანა ხალხს, თაყვანი ეცათ ამ ცრუ ღვთაებებისათვის და მათთვის ამიერიდან შესანიშნავი შეენიშნათ. მალე აზონი მოკლა ფარნაოზმა, რომელსაც ისტორია იბერიელთა პირველ მეფეს უწოდებს. აქამდე მათ მმართველებს სხვა ტიტული არ ჰქონდათ, გარდა მამასახლისისა, ანუ სახლის უფროსისა. ფარნაოზი იყო უიღბლო დარიოსის ნათესავი დედის მხრიდან, რომელმაც მალულად გაზარდა ის კავკასიაში

f. 390v:

ეკბატანას დამარცხების შემდეგ და სახელი აღმაზი შეუცვალა ფარნაოზით, რომელიც შემდეგ სამუდამოდ დაიტოვა და თავისი მტრების ყველა ფარული ძიებისაგან იფარავდა. ამ დიდი წარმატებით ძლიერ შეპყრობილმა პატივად მიიჩნია საკუთარი ხსოვნის უკვდავსაყოფად კერპის შექმნა, რომელსაც მან თავისი ძველი სახელი აღმაზი²⁶ დაარქვა და იგი გაცსა და გაიმს შორის ქართლოსის საფლავზე აღმართა. იბერთა ეს პირველ მეფედ აღიარებული ფარნაოზი ქრისტეს შობამდე 299 წელს²⁷ გარდაიცვალა. მან თავის სამეფოში კარგი კანონები შემოიღო, თავისი ქვეშევრდომები კლასებად დაყო და გააუმჯობესა დამწერლობა, რომლითაც ქართველი მღვდლები დღესაც სარგებლობენ.

სირიის მეფის ანტიოქეს²⁸ ებრაელთა წინააღმდეგ ომების დროს ამ უკანასკნელთა დიდმა ნაწილმა თავი შეაფარა საქართველოს და აქ დასახლდა.²⁹ მათი შთამომავლები აქამდე მიმოფანტულნი არიან ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში. ისინი ამბობენ, რომ მეტწილად რუბენის³⁰ მოდგმიდან [ტომიდან – მ.პ.] არიან. ძველ ბერძნულ ხელნაწერში, რომელიც ნაპოვნია რაჭის მახლობლად,

²⁵ უნდა იყოს „გაცი“. „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს“ თანახმად, კერპები „გაცი და გაიმი“ აღმართული იყო არმაზის მთაზე. გაცის კერპი დამზადებული იყო ოქროსაგან, ხოლო გაიმი კი – ვერცხლისაგან. ამავე წყაროს მიხედვით, მათ ჩვილ სეფენულებს სწირავდნენ.

²⁶ უნდა იყოს „არმაზი“. იგი წარმოადგენდა სამეფოს მთავარ ღვთაებას.

²⁷ მეფე ფარნავაზის მეფობის ზუსტი წლები უცნობია. მიღებული დათარიღებაა ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული და III საუკუნის I ნახევარი. სახელდება კონკრეტული თარიღებიც: ძვ. წ. 302-237; ძვ. წ. 299-234; ძვ. წ. 284-219; ძვ. წ. 272-206.

²⁸ ალბათ, იგულისხმება ანტიოქე IV ეპიფანე (ძვ. წ. 175-164), რომელმაც ძვ. წ. 170 წელს ილაშქრა იერუსალიმში და შეურაცხყო ებრაული რელიგია, რასაც მოჰყვა იუდეაში დიდი აჯანყება მაკაბელთა მეთაურობით (ძვ.წ. 165). იგი დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ იუდეველთა გამარჯვებით დამთავრდა.

²⁹ ჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს ებრაელთა გადმოსახლება საქართველოში ძვ.წ. 169 წელს. საერთოდ, ებრაული თემი საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. VII საუკუნიდან არსებობდა.

³⁰ უნდა იყოს „რუბენი“, რომელიც იყო ისრაელთა მოდგმის ერთ-ერთი პატრიარქის იაკობის ვაჟი.

კავკასიის მთის ძირში, სიტყვასიტყვით ნათქვამია, რომ ლონგინო,³¹ რომელმაც შუბით დაჭრა იესო ქრისტე, იყო მსხეტიდან³² (Mschett)

f. 391r:

საქართველოს უძველესი დედაქალაქიდან, როგორც მერე იქნება ნაჩვენები.

იესო ქრისტეს მოციქული წმინდა ანდრია, რომელიც ეწვია აზიის მრავალ პროვინციას, სადაც იქადაგა სახარება, კაპადოკიის გავლით სამეგრელოში ჩავიდა, უფრო სწორედ ძველ კოლხეთში, სადაც გარკვეული დრო დაჰყო სარწმუნოების ქადაგებაში. ტრადიცია მიიჩნევს, რომ ამ მეტისმეტად გულმოდგინე მოციქულმა აქედან კავკასიის გავლით მიაღწია დონის (ტანაის) ნაპირებზე, სადაც მოწამებრივად აღესრულა სარმატებისაგან, სკვითი ხალხისაგან, რომელთაგანაც მომდინარეობენ ახლანდელი კოზაკები.³³

როგორც ჩანს, სარწმუნოების ამ პირველ ჩანასახს იბერები [ანდრია მოციქულისაგან] არ ზიარებიან და ღმერთმა მასზე მზრუნველობა მიანდო წმინდა ნინოს და მის თანმხლებ წმინდა რიფსიმესა და გაიანეს, რომლებიც IV საუკუნის დასაწყისში დაიქსაქსნენ, როცა კერპთაყვანისმცემლობა, ქრისტიანობის მუდმივი მტერი, ბოლო ღონეს მიმართავდა მის გასაქრობად და დაასრულა მისი დამკვიდრება. იმპერატორმა გალერიუსმა,³⁴ ბოლო დევნის მთავარმა მამოძრავებელმა, აიძულა თავისი კოლეგა დიოკლეტიანე,³⁵ გამოეცა სისხლიანი განკარგულება, რომლითაც მან აიძულა უფრო სასტიკად

f. 391v:

ედევნა იესო ქრისტეს მიმდევრები, ვიდრე ოდესმე. კიდევ ერთ იმპერატორსა და წინამორბედის კოლეგას მაქსიმიანეს,³⁶ რომელსაც უყვარდა მაგისტრატე-

³¹ უნდა იყოს „ლონგინუსი“. წარმოშობით კაპადოკიელი, წმინდა მონამე ლონგინუსი იყო რომაელი ცენტურიონი. საეკლესიო გადმოცემით, მან ჯვარზე გაკრულ და უკვე აღსრულებულ იესო ქრისტეს ფერდში შუბი უგმირა და ჭრილობიდან გარდამოსულმა სისხლმა და წყალმა მისი სნეული თვალები განკურნა.

³² ცხადია, იგულისხმება მცხეთა. ავტორი ცდება, როგორც ითქვა, ლონგინუსი იყო კაპადოკიელი.

³³ უნდა იყოს „კოზაკები“.

³⁴ რომის იმპერატორი გალერიუსი (305-311) სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს, მაგრამ უშედეგოდ. სასიკვდილო სარეცელზე მან 311 წელს გამოსცა ბრძანება, რომლითაც შეწყდა ყოველგვარი დევნა.

³⁵ რომის იმპერატორს დიოკლეტიანეს (285-305) თავისმა სიძემ, აღმოსავლეთის მმართველმა, გალერიუს უმცროსმა უზიდა, დაეწყო ქრისტიანების დევნა. 303 წელს იმპერატორმა ისმინა თავისი თანაშემწის დაჟინებული თხოვნა და თანამდებობიდან გაათავისუფლა ყველა ქრისტიანი ჯარსა და ხელისუფლებაში. 303 წლის თებერვლიდან 304 წლის იანვრამდე ხელისუფლებამ გამოსცა ოთხი ბრძანება ქრისტიანების წინააღმდეგ, რასაც „დიდი დევნის“ დროს უწოდებენ.

³⁶ იმპერატორ დიოკლეტიანეს თანამმართველი მაქსიმიანე (285-305), რომელიც მმართველობდა დასავლეთში, ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა გალერიუსსა და დიოკლეტიანეს ქრისტიანების დევნაში.

ბი³⁷ და ჯალათები, სძულდა ეკლესია და არასოდეს შეუწყვეტია მისი წამება. ეს მტარვალეები³⁸ გულის მოსაგებად ყოველდღე ახალ აზრებს იგონებდნენ: ქალწულთა მორცხვობა არანაკლებ იდევნებოდა, ვიდრე მათი რწმენა და ამ დროს წმინდა ნინო, დაახლოებით 312 წელს³⁹ მოვიდა მცხეთაში. ეს ქალაქი მაშინ იყო საქართველოს დედაქალაქი, რომელიც მდებარეობს მდ. კოურსა (კირუსი)⁴⁰ და არაგუას (არაგუს)⁴¹ შესართავთან. ეწეოდა რა წმინდა და მკაცრ ცხოვრებას, წმინდა ნინო ავადმყოფთა დახმარების სამსახურში ჩადგა. მან სასწაულებრივ განკურნა მრავალი, მათ შორის იბერთა მეფის მირიანოს⁴² მეუღლე, სახელად ნანა⁴³ დ'ოულისტრაპონტე⁴⁴ (d'oulistraponte), რომელსაც განუკურნებელი სენი შეეყარა. თითქმის ამავე დროს მას უხმო მეფის⁴⁵ მოხუცმა სატრაპმა,⁴⁶ რომელიც მსახურობდა სამეფო კარზე და მძიმედ იყო სნეული. ნინო იქ წავიდა და

f. 392r:

იესო ქრისტეს რწმენისადმი უფრო გმირული გულმოდგინებით შეიარაღებულმა გაბედულად უთხრა მომაკვდავს, რომ თუ არ ირწმუნებდა იესო ქრისტეს, ყოველგვარი წამალი უსარგებლო იქნებოდა. მისი შეგონებებით შეპყრობილმა სატრაპმა მასთან ერთად გაიმეორა სიტყვები და პირჯვარი გადაიწერა – სახელითა მამისათა, ძისათა, სულიწმინდისათა, ადგა ლოგინიდან სრულიად განკურნებული და უმაღლეს წავიდა მეფის სანახავად. ამ უკანასკნელმა უკვე იცოდა მისი მეუღლისა და მრავალ სხვათა განკურნების, ასევე სასწაულების შესახებ, რომლებიც აღასრულეს წმინდანის თანამგზავრებმა სომხეთის სამეფო კარზე, სადაც თავად მეფე და სამეფოს მრავალი დიდებული სასწაულებრივად განკურნეს. სასწაული იყო მოხუცი კაცის⁴⁷ დანახვა, რომლის განკურნებას არავინ ელოდა და მირიანმა, რადგანაც სურდა გაეგო, ასე წარმატებით რო-

³⁷ ძველ რომში უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირები.

³⁸ იგულისხმებიან მაგისტრატები და ჯალათები.

³⁹ წმინდა ნინო 318 წელს შემოვიდა ჯავახეთში. აქედან გამომდინარე, ავტორი უშვებს შეცდომას.

⁴⁰ ცხადია, იგულისხმება მდინარე მტკვარი.

⁴¹ ცხადია, იგულისხმება მდინარე არაგვი.

⁴² ცხადია, იგულისხმება ქართლის (იბერიის) მეფე მირიან III (დაახლ. 284/5-360/1).

⁴³ ნანა დედოფალი (დაახლ. 285-335). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი.

⁴⁴ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა“ მიხედვით, დედოფალი ნანა არის ოლილოტოსისის ასული. ვახუშტი ბატონიშვილი მას მოიხსენიებს შემდეგი ფორმით – „ასული ულიოტორისა პონტოდან“. ვფიქრობთ, ამ ფორმების დამახინჯებულ ვერსიასთან უნდა გვქონდეს საქმე.

⁴⁵ იგულისხმება მირიან მეფის.

⁴⁶ დესპოტი მმართველი.

⁴⁷ იგულისხმება მოხუცი სატრაპი.

გორ კურნავდა ნინო სნეულებს, თავისთან მოუხმო მას. როდესაც [ნინო მეფის წინაშე] წარსდგა და გამოჰკითხეს, მან უპასუხა, რომ ეს ხდებოდა სახარების რწმენითა და იესო ქრისტეს სახელით, რომელიც ჯვარს ეცვა

f. 392v:

ყველა ადამიანისთვის და არა წამლების საშუალებით, და რომ ისინი, ვისი დარწმუნება მან ამაში შეძლო, უეჭველად განიკურნებია. განგებას სურდა, რომ მეფეს, რომელიც ერთ დღეს სანადიროდ წავიდა, ციცაბო და ძნელად მისადგომ ადგილებში გზა აბნეოდა. უცბად დაბნელდა და თითქოს დღე სიბნელეში დაიკარგა. ამ სიბნელის, რომელსაც ის ერთ დღეს ჭეშმარიტ სინათლემდე უნდა მიეყვანა, თავიდან მეფეს შეეშინდა, მაგრამ გაიხსენა, რა დაემართა მეფე ტირიდატს⁴⁸ ნადირობის დროს და მასაც იგივე უბედურება რომ არ დამართნოდა, მხურვალედ მოუხმო ღმერთს, რომლის სახელით ნინომ მრავალი სასწაული მოახდინა და პირობა დადო, რომ მიატოვებდა კერპთაყვანისმცემლობას, რათა მომავალში მისთვის ეცა თაყვანი. მაშინვე ცა განათდა და ის გამოვიდა იმ ლაბირინთიდან, რომელშიც იმყოფებოდა. სახარების ჭეშმარიტებაში დარწმუნებული მირიანი დაბრუნდა თავის სახლში და მიიღო ქრისტიანული რელიგია. ისტორია დასძენს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მან ბიზანტიაში გაგზავნა [წარმომადგენელი] იმპერატორთან თხოვნით,

f. 393r:

გამოეგზავნა ეპისკოპოსი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა რელიგიას, გააძლერებდა და განავრცობდა მას. [იმპერატორმა] კონსტანტინემ მას გაუგზავნა ეუსტაკიო (Eustachio) ანტიოქელი⁴⁹ მრავალი სასულიერო პირის თანხლებით. იმ სიყვარულისა და მოწონების ნიშნად, რომელიც იმპერატორმა შეიგრძნო [მეფე] მირიანის მოქცევის გამო, ამ ეპისკოპოსს დაევალა, მიეტანა მისთვის წმინდა ჯვრის ერთი ლურსმანი⁵⁰ და მრავალი რელიკვია. ამათგან ზოგიერთის ხილვა ჯერ კიდევ შეიძლება ქართლში რუისის ეკლესიაში, საქართველოს პრეზიდენტი⁵¹ მან⁵¹ ასევე მას⁵² გაუგზავნა მისი ვაჟი ბაკასი⁵³ (Bakas), რომელიც კაპადოკიაში აჯანყების დროს დააპატიმრეს და მძევლად იყო კონსტანტინო-

⁴⁸ ალბათ, იგულისხმება სომეხთა მეფე თრდატი (ტირიდატე) III (298-330), რომელმაც სომეხ დიდგვარობასთან ერთად მიიღო ქრისტიანობა 301 წელს და იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

⁴⁹ ცხადია, საუბარია ანტიოქიის პატრიარქ ეუსტათი ანტიოქელზე (280-360). ის იყო ანტიოქიის პატრიარქი 324-330 წლებში.

⁵⁰ მხედველობაშია ლურსმანი, რითაც ქრისტე მილურსმული ჰქონდა ხელები.

⁵¹ იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა (324-337).

⁵² მირიან მეფეს.

⁵³ უნდა იყოს ბაქარი. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა“ თანახმად, ბაქარ მირიანის ძე რომის იმპერატორს კონსტანტინე I დიდს მძევლად ჰყავდა წაყვანილი. როდესაც მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და თავისი საბრძანებელი ახალ სარწმუნოებაზე განამტკიცა, იმპერატორმა ქართველი უფლისწული სამშობლოში დააბრუნა. ბაქარ I ქართლის (იბერიის) მეფე იყო IV საუკუნის 50-60-იან წლებში.

პოლში. წმინდა ჯვრის ლურსმანი, რომელიც მუდამ საქართველოში წმინდად ინახებოდა, შემდეგ მოსკოვში გადასვენეს, როდესაც ეს ქვეყანა 1802 წელს ძალით შეუერთდა რუსეთს და ამჟამად ამ ქალაქის საკათედრო ტაძარშია დასვენებული. მეფე მირიანი თავის ოჯახთან ერთად და იბერიელები, რომლებიც უკვე ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დააყენა, დიდხანს დარჩნენ კათაქმევლებად და მხოლოდ ეპისკოპოსის ეუსტახიოს (Eustachio)⁵⁴ და მისი სამღვდელოების

f. 393v:

მოსვლის შემდეგ ჩვეულებრივ აღსრულდა ნათლობის საიდუმლო წყალში შთაფლვით. ნინომ რამდენიმე მორწმუნე გაგზავნა წმინდა გრიგოლთან,⁵⁵ რომელიც მაშინ ვალაზიაპარში [Valaziapar] დაკავებული იყო მონასტრის აგებით, რომელსაც დღეს ეჩმიაძინი ეწოდება, რათა ეუწყებინა მისთვის თავისი პირველი წარმატებების შესახებ და მოეხსენებინა, რომ იბერთა უმეტესობა მიდრეკილი იყო მიეღო ქრისტიანობა და თხოვდა მას განკარგულებებსა და რჩევებს. წმინდა გრიგოლმა უბრძანა, რომ დაემხო კერპები, როგორც მან ეს თვითონ გააკეთა და მათ ადგილას ჯვრის საპატიო ნიშანი დაედო. ისტორია მოგვითხრობს, რომ მან⁵⁶ სწრაფად დაამხო არამაზდეს⁵⁷ (Aramazdes) ჭეჭა-ქუხილის ქანდაკება, რომელსაც ქალაქიდან აღმოსავლეთით ჰქონდა ტაძარი გორაზე იმ ადგილას, რომელსაც [ქალაქისაგან მდინარე] არაგუა⁵⁸ (Aragua) გამოყოფდა. და [აქაურ] მაცხოვრებლებს წესად ჰქონდათ, ყოველ დილით მათი სახლების სახურავებიდან მისთვის თაყვანი ეცათ. თუ ვინმეს სურდა ამ კერპისათვის მსხვერპლის შეწირვა, ის გადადიოდა მდინარეზე და მსხვერპლს სწირავდა. ეს ადგილი მოგვიანებით მონასტრად იქცა, მაგრამ ამჟამად აღარ არსებობს. იქ დიდებულებმა თავიდანვე გამოაცხადეს

f. 394r:

თავიანთი უკმაყოფილება და მალე ხალხი ღიად დრტვინავდა ამის გამო და კითხულობდნენ, თავიანთი კერპის ნაცვლად რისთვის ეცათ თაყვანი. მათ ნინომ უპასუხა, რომ ქრისტეს ჯვარს უნდა მიაგონ პატივი. ჩანს, ისინი დასთანხმდნენ და ნინომ იმ ადგილას, სადაც კერპი დაანგრეეს, ჯვრის აღმართვა ბრძანა. ხალხი მას ყოველ დილით სახლის სახურავებიდან პატივს მიაგებდა.

⁵⁴ იგულისხმება ეესტათი ანტიოქელი.

⁵⁵ იგულისხმება გრიგოლ განმანათლებელი (დაახლ. 239-326), სომხეთის ქრისტიანული ეკლესიის ფუძემდებელი და პირველი ეპისკოპოსი. ზოგჯერ მისი სახელის მიხედვით სომხურ ეკლესიას გრიგორიანულსაც უწოდებენ. ავტორი წმ. ნინოსა და წმ. გრიგოლის კავშირის შესახებ, ცხადია, ეყრდნობა სომხურ ტრადიციას, რასაც ქართული ტრადიცია არ აღიარებს.

⁵⁶ ე.ი. ნინომ.

⁵⁷ ცხადია, არმაზი – ქართლის (იბერიის) სამეფოს უზენაესი წარმართული ღვთაება. მისი კერპი მცხეთის სამხრეთით მთაზე იდგა.

⁵⁸ ცხადია, მდ. არაგვი.

შემდეგ, როცა წავიდნენ გორაკის სანახავად, ვერაფერი იპოვეს, გარდა ცუდად, ორნამენტების გარეშე გაკეთებული ხის ჯვრისა. ზოგიერთი მას უცერემონიოდ აბუჩად იგდებდა და ამბობდა, რომ ტყე სავსეა ასეთი ხეებით და ისინი ისე წავიდნენ, [რომ ხის ჯვარისთვის თაყვანი არ უციათ]. თუმცა მუდამ მოწყალე ღმერთმა, ნახა რა მათი უპატივცემულობა, რათა ისინი მოექცია თავის რწმენაზე, ზეციდან ჩამოუშვა სვეტი ნათელი, რომელმაც გორაკი საამო სურნელებით აავსო. ამავდროულად გაისმა მრავალი ხმის ჰარმონია, რომელიც გალობდა ჰიმნებსა და ფსალმუნებს და გამოჩნდა ჯვრის ფორმის კაშკაშა შუქი, როგორც ეს კონსტანტინეს ერჟენა ვარსკვლავებით გარემოცულ ბორცვზე დაშვებისას. ამ სასწაულისათვის თაყვანს

f. 394v:

სცემდნენ ჯვარს. [სარწმუნოებაზე] მოქცევამ დიდი წინსვლა განიცადა და ჯვრისადმი ვედრებით მრავალი განიკურნა. წმინდა ნინომ ბევრჯერ მოინახულა საქართველოსა და კავკასიის პროვინციები,⁵⁹ სადაც იქადაგა სახარება და შეინარჩუნა, როგორც ნათქვამია ისტორიაში, თავისი სუფთა ენა და მხოლოდ ჯვარს მინდობილმა ყოველგვარი მორთულობის, ამქვეყნიური და მისი წვრილმანების გარეშე იცხოვრა. მან თავისი ცხოვრება ღმერთს უძღვნა და სამართლიანად იწოდება იბერიის მოციქულად⁶⁰, რადგან ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაანესა ქრისტიანული რელიგია იმ ქვეყნებში, სადაც ეკლესია დარჩა ერთიანი ბერძნული განხეთქილების საბედისწერო ეპოქამდე. იბერიელები ადვილად გამოეყვნენ [ერთიან ეკლესიას] მათი მეფეების კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან მჭიდრო კავშირის გამო, სულიერი და მიწიერი ინტერესებიდან გამომდინარე და როგორც შედეგი, მისდევდნენ მათ როგორც კარგის, ისე ცუდის მხრივ. სხვათა შორის, ვხედავთ, რომ საქართველოს მეფე ვატრანგო I (Watrango I)⁶¹ თავისი მეუღლის⁶² გარდაცვალების შემდეგ მეორედ დაქორწინდა ელენეზე,⁶³ ლეონის ასულზე და ამ

f. 395r:

იმპერატორის მიზაძვით „ცარებს“⁶⁴ ან საქართველოს მეფეებს ყოველთვის აკურთხებდნენ თავიანთი პატრიარქები ტახტზე ასვლის დროს. წმინდა ნინო

⁵⁹ ალბათ, იგულისხმება მთიულეთი.

⁶⁰ ეტყობა, ავტორი იცნობს ძველ ქართულ კონცეფციას, რომლის თანახმად წმინდა ნინო მოციქულთა სწორია (იხ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*, თბილისი, 2019, გვ. 185).

⁶¹ ცხადია, იგულისხმება ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა.

⁶² ავტორს მხედველობაში ჰყავს ვახტანგ გორგასლის პირველი მეუღლე – დედოფალი ბალენდუხტი, სპარსეთის შაჰის ჰორმიზდ III-ის ასული.

⁶³ ვახტანგ გორგასლის მეორე მეუღლე იყო დედოფალი ელენე, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის ლეონ I-ის (457-474) ასული იყო.

⁶⁴ ცხადია, რუსული „Царь“, ე.ი. მეფე.

გარდაიცვალა ჩვენი წელთაღრიცხვით 315 წელს,⁶⁵ ბერძნული სტილით 14 იანვარს, რომელიც ახალი სტილით შეესაბამება მეორე თვის 2 რიცხვს, ქალთა მონასტერში, რომელიც მან დააარსა სილნალიდან ერთ მილზე და დღეს ნინოწმინდა ეწოდება. აქ, სამლოცველოს მთავარი საკურთხეველის მარჯვნივ, არის მისი საფლავი, რომელსაც ადევს წითელი ლაქების მქონე თეთრი მარმარილოს დიდი ქვა და ცნობილია როგორც *Lapis Sancti Stephani* (წმინდა სტეფანეს ქვა). იგი მიწიდან ათი დუიმის სიმაღლისაა. ზოგიერთ ადგილას ქვა ქრისტიანების მუხლმოყრისაგან გაცვეთილია, რადგან მრავალი საუკუნის განმავლობაში დღემდე, განსაკუთრებით მისი გარდაცვალების წლისთავზე, აქ იკრიბება ყველა კლასის ადამიანი. ბარბაროსების შემოსევის გამო მიტოვებულ მონასტერს ემსახურებოდნენ წმინდა ბასილის ორდენის სქიზმატი ბერძენი მღვდელთმსახურები.

f. 395v:

იქ რეზიდენცია აქვს პროვინციის მთავარეპისკოპოსს. მრავალი ეკლესიის გარდა, დღემდე ნახავთ ორ მონასტერს, რომლებიც ამ წმინდანმა დააარსა, ერთს – კავკასიაში ქაშაუსთან (*Kashaous*)⁶⁶ ახლოს, ხოლო მეორეს – საგარეჯოსთან ახლოს, თბილისიდან თორმეტ ლიეზე. პირველი, ძველი დროიდან შემონახულია ვაზის გაშლილი ლერწებისაგან გაკეთებული ჯვარი, რომლითაც წმინდანი ქადაგებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და რომლის ნაწილები შეკრული იყო თმით, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, უწმინდეს ღვთისმშობელს ეკუთვნის. კავკასიის ბარბაროსების შემოსევების გამო ეს მონასტერი მიტოვებული იქნა. ეს ჯვარი ვერცხლის ყუთში ინახება და დაცულია ტფილისის სამიტროპოლიტო ეკლესიაში, მისი სიგრძე შეიძლება იყოს ორ-ნახევარი ფუტი, სიგანე კი – ორ ფუტზე მეტი.

საქართველოში უძველესი ლოცვა, რომელშიც ამ წმინდანს ევედრებიან, შორეული საუკუნეებიდან მოყოლებული ყოველთვის იკითხებოდა ქართულ ეკლესიებში ღვთისმსახურების დროს, რომელიც სიტყვასიტყვით ლათინურად შემდეგნაირად ითარგმნება: „*Servorum verbi Dei socia, et praedicationis Sancti Andreae propagatrix, Iberorumque illuminatrix, atque Tuba Sancti spiritus, Nino, roga Christum Deum ut te rogantium animarum misereatur. Amen.*“⁶⁷

⁶⁵ წმინდა ნინოს გარდაცვალების რამდენიმე განსხვავებული თარიღი სახელდება. უფრო გაზიარებულია, რომ მოციქულთასწორი ნინო გარდაიცვალა 338 წელს.

⁶⁶ დაზუსტება ვერ ხერხდება. შეიძლება იყოს სოფელი „ხოშური“, რომელიც კავკასიის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს.

⁶⁷ ღვთის სიტყვის მსახურთა თანამოაზრეო, წმინდა ანდრიას ქადაგების განმავრცელებლო, იბერთა განმანათლებლო და საყვირო სულიწმინდისა, ნინო, ევედრე ქრისტე ღმერთს, შეიწყალოს შენდამი მავედრებელთა სულები („სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო დედაო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებადა სულთა ჩვენთათვის“).

f. 396r:

ზოგიერთი ქართველი და სომეხი ავტორი, რომელიც ამ წმინდანის მსხეტ-ში⁶⁸ მოსვლაზე საუბრობს, ამბობს, რომ მას ჰყავდა თანამგზავრი, სახელად მანია, რომელიც მის მსგავსად სასწაულებს ახდენდა იბერების ქრისტიანობაზე მოქცევისას; სხვები ამბობენ, რომ მას [ნინოს – მ.პ.] თან ახლდა მისი წმინდა და სიდონია⁶⁹ და წმინდა კაცი სახელად აბრატა.⁷⁰ მაგრამ არც ტფილისში აღმოჩენილ ხელნაწერ ისტორიასა და არც სხვა საეკლესიო ტრადიციებში არ არის ნახსენები, რომ მას ახლდა ვინმე სხვა პირი.

ბერძნული ხელნაწერი, რომელზედაც ითქვა, ადასტურებს იმას, რაც ტრადიციებში გვხვდება ამ წმინდანის წარმოშობის შესახებ, სახელდობრ, მამამისი იყო ვინმე ზაბულონი,⁷¹ რომელთა ჯარში მსახური მხედართმთავარი, რომელიც დაიბადა კაპადოკიაში და ესპანეთში მოინათლა რომაელთა ჯარში მსახურობის დროს.

IV საუკუნის მანძილზე ქრისტიანულმა რელიგიამ საქართველოში დიდ წარმატებებს მიაღწია და სპარსელები, ამ რელიგიის მუდმივი მტრები, აწყობდნენ მრავალ ექსპედიციას

f. 396v:

ამ ქვეყნის დასაპყრობად, მაგრამ ვერ შეძლეს [ქრისტიანობის] წარხოცვა. თუმცა, აქ [იბერიაში – მ.პ.] ცეცხლის თაყვანისცემა ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ ფარულად. დაახლოებით მეხუთე საუკუნის დასაწყისში⁷² აღმოსავლეთ საქართველოში, კახელიას⁷³ (Cachelia) პროვინციაში მოაღწია წმინდა კაცმა სახელად ჯუზეპემ⁷⁴ (ე. ი. იოანე – მ.პ.), რამდენიმე ანაქორეტის თანხლებით, რიცხვით 12, რომლებიც მოვიდნენ ასურეთიდან. ისინი დიდი გულმოდგინებით ქადაგებდნენ ქრისტიანულ რელიგიას და მოაქციეს მრავალი ბარბაროსი ბაგნესტანის⁷⁵ (Bagnestan) მთებში, სადაც წმინდა ნინომ ვერ შეაღწია და ჯუზეპეს⁷⁶ (იოანეს – მ.პ.) აკლდამას ვხედავთ ალავერდის მთავარეპისკოპოსის ეკლესიაში. სქიზმატიკოსი ქართველები მას დიდად ეთაყვანებიან, რაც

⁶⁸ ცხადია, მცხეთაში.

⁶⁹ წმინდა სიდონია იყო ებრაელი მღვდელის აბიათარის ასული.

⁷⁰ უნდა იყოს „აბიათარის“ დამახინჯებული ფორმა.

⁷¹ წმინდა ნინოს მამა ზაბულონი და დედა სოსანა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანებია.

⁷² მიჩნეულია, რომ 12 თუ 13 ასურელ მამათა ჯგუფი საქართველოში მოვიდა VI საუკუნეში.

⁷³ ე. ი. კახეთის.

⁷⁴ იგულისხმება ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, იოსებ ალავერდელი.

⁷⁵ ცხადია, დაღესტნის.

⁷⁶ ე.ი. ასურელი მამა იოსებ ალავერდელი.

გვაეჭვებს, რომ მათი მოძღვრება ცოტათი დასნებოვნებული იყო იმდროინდელი განხეთქილებით.⁷⁷

იმპერატორ იუსტინიანეს⁷⁸ საჭურისი, სახელად ფრუმენტო (Frumento), ასევე მოვიდა კოლხეთის პროვინცია ემერიტიაში⁷⁹ (Emeritia) და იქ იქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც ბარბაროსების მრავალრიცხოვანი შემოსევების გამო თითქმის ჩამქრალი იყო.

რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს ხშირად იპყრობდნენ სპარსელები, რომლებმაც

f. 397r:

ბევრი ზიანი და ბოროტება მიაყენეს განსაკუთრებით რელიგიას, რომელსაც ისინი ყოველთვის სასტიკად დევნიდნენ და მხოლოდ 642 წელს სტეფანე I-მა⁸⁰ (Stefano I) გააძევა ისინი. თუმცა სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან იმავე საუკუნის შუა ხანებში მუჰამედის მემკვიდრეებმა მიიღეს რა ხალიფას, მუჰამედის დიდი ვიკარის სახელი, ყველა მხარეში თავიანთი იარაღის შიში გაავრცელეს. საქართველოც მათი ამბიციის ობიექტი გახდა, რადგან სპარსეთი, რომელიც ჭეშმარიტ რელიგიას ასეთი მრისხანებით დევნიდა, განხეთქილების გამო მათთვის ღია დარჩა, წინააღმდეგობის გარეშე დაეუფლნენ ამ დიდ სამეფოს და აქედან გაგზავნეს საქართველოში მუჰამედის შვილიშვილი სახელად მირვანი,⁸¹ ცნობილი როგორც ყრუ. ამან სხვადასხვა საჩუქრით შეძლო სამეფო ოჯახის ორი მთავრის, სახელად დავითი და კონსტანტინე,⁸² გადაბირება და აიძულა ისინი, უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე, მაგრამ ნახა რა, რომ მათ მხოლოდ მოჩვენებით თქვეს უარი თავის რელიგიაზე, მისი მუქარისაგან თავის დაღწევის მიზნით, მან ისინი ნელ-ნელა, სასტიკი წამებით მოკლა. მან ჩაიდინა

f. 397v:

უთვალავი საშინელებანი, გაანადგურა ეკლესიები და დახოცა ყველა, ვინც ქრისტიანის სახელს ატარებდა. მეფე მირმა,⁸³ რომელიც იმ დროს მეფობდა, ვერ შეძლო ასეთი მრისხანე ძალისა და ფანატიკოსი მეომრებისადმი წინააღმდეგობის გაწევა და თავის სამღვდელოებასთან, ქვეყნის დიდებულებთან და

⁷⁷ ვფიქრობთ, გულისხმობს ქრისტოლოგიურ უთანხმოებებს ნესტორის სწავლების გამო, რომელიც 431 წელს ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო.

⁷⁸ იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I დიდი (527-565).

⁷⁹ ე. ი. იმერეთში.

⁸⁰ უნდა იყოს სტეფანოზ I, ქართლის ერისმთავარი (დაახლ. 590/591-604/605).

⁸¹ არაბთა სარდალი 735-737 წწ. მარვან II იბნ მუჰამედი. ის, ქართული წყაროებით ცნობილია, როგორც მურვან ყრუ.

⁸² საუბარია არგვეთის მთავრებზე დავით და კონსტანტინე მხეიძეებზე, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ არგვეთში შეჭრილი არაბი სარდლის მურვან ყრუს წინააღმდეგ.

⁸³ საუბარია VIII ს-ის I ნახევარში ქართლის ერისმთავარ მირი სტეფანოზის ძეზე (გარდ. 738).

ხალხის ნაწილთან ერთად დაიხია კავკასიაში, დაიკავა შესასვლელი თავისი ლაშქრით, რომელიც ძლიერ პოზიციებზე განლაგა. ის მანამდე დარჩა იქ, სანამ სარჩო-საბადებელს მოკლებული მტერი იძულებული არ გახდა, უკან დაეხია და საქართველო დაეტოვებინა. შემდეგ მეფე მირი დაბრუნდა მსხეტ-ში⁸⁴ (Mschett), მალევე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა სტეფანეს⁸⁵ (Stefano) ვაჟი არჩილ II.⁸⁶ საქართველოში გარკვეული დროის განმავლობაში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ დანაკარგებისაგან ძლივს აღდგენილს, ახალი შემოსევის საფრთხე დაემუქრა. VIII საუკუნის დასაწყისში გამ გამ ასიმმა,⁸⁷ მუჰამედის კიდევ ერთმა ნათესავმა და შთამომავალმა, განახორციელა მორიგი შემოსე-ვა და ნაჯახით ხელში ყველა აიძულა, რომ [ქრისტიანულ] რელიგიაზე უარი ეთქვა. მან არჩილი ეშმაკურად იგდო ხელთ, მუქარა არ დაუზოგავს, არც და-პირება დაუკლია, რათა ებიძგებინა, მუსლიმობა

f. 398r:

მიელო, მაგრამ მეფე ერთგული დარჩა და 718 წელს⁸⁸ საზარელი წამებით სიკვდილი ამჯობინა. მას ქართული და სომხური ეკლესია პატივს მიაგებს, როგორც მარტვილს. ამავე საუკუნის მიწურულს სარკინოზი, სახელად აბულ კასიმი, დაბრუნდა საქართველოს გასანადგურებლად, ასზე მეტი ტყვე წაიყ-ვანა, მათ შორის თავადები და დიდებულები და გაგზავნა სპარსეთის შაჰთან, რომელიც ამაოდ ცდილობდა, მათ უარი ეთქვათ [ქრისტიანულ] რელიგიაზე. სამეფო ოჯახის თაყაღმა, სახელად გობრონმა,⁸⁹ მათ მისცა სიმტკიცისა და ურყეობის მაგალითი და ფანატიკოსმა ტირანმა ყველას თავი ცუდით გააგ-დებინა.

საქართველო დიდი ხნის განმავლობაში სრული სიმშვიდით ტკბებოდა ბერძენი იმპერატორების დახმარებითა და მფარველობით, რომლებმაც ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ურწმუნოთა [საომარ] წამონყებებს ამაოდ ჩაეველო.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში ურწმუნოებმა მრავალჯერ სცადეს სასტიკი შემოსევები, მაგრამ, საბედნიე-

⁸⁴ ე. ი. მცხეთაში.

⁸⁵ უნდა იყოს სტეფანოზი.

⁸⁶ ქართლის ერისმთავარი არჩილ სტეფანოზის ძე (668-718; 719-745; 748-760).

⁸⁷ ამ სახელის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არმენიის ამირა ასიმ იბნ ნუმან ალ-ბაჰილი, რომელიც არმენიის ამირად იჯდა 712-720 წლებში.

⁸⁸ არჩილ მეფის ცხოვრებისა და მისი მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ ზუსტი თარიღი არ გაგვაჩნია. ასახელებენ 718, 745, 761, 784, 787 წლებს. ავტორი, როგორც ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მითითებულ 718 წელს ემყარება.

⁸⁹ ქართველი აზნაური, რომელიც აბულ კასიმის საქართველოში ლაშქრობისას ხელმძღვანელობდა ყველისციხის დაცვას. 914 წელს აბულ კასიმმა ის 133 მხედართან ერ-თად სიკვდილით დასაჯა ქრისტიანული სარწმუნოების არდათმობის გამო.

როდ, მეფე დავით II-მ⁹⁰ მათ დაასწრო და დაამარცხა, მათ შორის, დურბეზი (Dourbez), არაბი უფლისწული, რომელიც მის სახელმწიფოს თავს

f. 398v:

დაესხა სარკინოზთა ჯარით. ამ მეფის ხსოვნას საქართველოში პატივს სცემენ და მას ეკლესიების აღაშენებელს უწოდებენ და არა უსაფუძვლოდ, რადგან ასეთი შენობების უმეტეს ნაწილს მისი მეფობის თარიღი აზის და მხოლოდ მაშინ მოელო სრულიად ბოლო ცეცხლის თაყვანისცემას, ხოლო ქრისტიანულმა რელიგიამ საერთო უპირატესობა მოიპოვა. სამწუხაროდ, საძაგელმა ფოტიოსმა⁹¹ უკვე დაასწებოვნა ქართველი სამღვდელოება და როგორც ქართველების, ასევე ბერძნებისა და რუსების გონებაში საძირკველი ჩაუყარა განხეთქილების იმ მარცვალს, რომელსაც ერთ დღეს ლათინებისგან მათი გამოყოფა უნდა მოჰყოლოდა.

დავით II გარდაიცვალა 1130⁹² წელს და დაკრძალეს გელათის ულამაზეს მონასტერში კოტაისთან (Cotais)⁹³ ახლოს, რომელიც მან დააარსა. მისი საფლავის გვერდით ახლაც ჩანს დარუბანდის ცნობილი რკინის კარის ერთი ნაწილი, რომელიც მან აქ მოიტანა, როცა ეს ქალაქი ურწმუნოების ხელიდან დაიხსნა.

აქ მოვიტანეთ მხოლოდ ის შემოსევები, რომლებიც ძირითადად მიზნად ისახავდნენ ქრისტიანულ რელიგიაზე შეტევას და შემოთავაზებული მიზნიდან გადახვევა იქნებოდა მრავალი სხვა ომისა და თავდასხმის თხრობა, რომლებიც

f. 399r:

თავად ბერძენმა იმპერატორებმაც განახორციელეს სხვადასხვა დროს. საკმარისი იქნება მკითხველისთვის აღვნიშნო, რომ ამ ქვეყანას, რომლის მოკლე ისტორიული ნარკვევის გადმოცემას მხოლოდ რელიგიასთან დაკავშირებით შევეცადეთ, პირველი საუკუნეებიდან დღემდე, არასოდეს ჰქონია ორმოცდაათი წლის მუდმივი სიმშვიდე, რამაც არამარტო დიდად შეაფერხა პროგრესი, არამედ ასევე ხელი შეუწყო იმას, რომ მისი და სომხების სამღვდელოება დარჩა ღრმა უმეცრებაში, რომელშიც ისინი დღემდე იმყოფებიან და მიდრეკილნი არიან იმ სცდომებისადმი, რომლებიც აშორებს მათ ჭეშმარიტი რელიგიისა და ეკლესიისგან.

დაახლოებით გასული საუკუნის შუა ხანებში⁹⁴ ღმერთმა მათ გამოუგზავნა პატრიარქი, რომელიც კათოლიკურ ეკლესიასთან მათი გაერთიანების წინადადეს წარმოადგენდა. მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალა ასეთი სასარგებლო სამუშაოს აღსრულებას, ქვემოთ იქნება აღწერილი.

⁹⁰ საუბარია დავით IV აღმაშენებელზე (1089-1125).

⁹¹ იგულისხმება კონსტანტინოპოლის პატრიარქის ფოტიოსის (858-867 და 877-886) 867 წლის სქიზმა.

⁹² ეს შეცდომაა. უნდა იყოს 1125 წელი.

⁹³ ცხადია, ქუთაისი.

⁹⁴ იგულისხმება XVIII საუკუნის შუა ხანები.

ჯერ კერპთაყვანისმცემელი სპარსელების, შემდეგ მუჰამედის მიმდევრი სპარსელებისა და თურქების არაერთგზისი შემოსევები, რომლებიც დღემდე არ წყვეტენ ამ ქვეყნების ნგრევასა და მათი მოსახლეობის ხოცვას, ხშირად ტოვებდნენ ამ ხალხებს დიდი ხნის განმავლობაში სულიერი მწყემსის გარეშე. ამან მისი ნაწილი

f. 399v:

თითქმის კერპთაყვანისმცემლად აქცია და ის მცირერიცხოვანი მორწმუნეები, რომლებიც დარჩნენ ლათინურ ეკლესიასთან გაერთიანებულნი, თავიანთ უცვლელ შეუპოვრობას რწმენისადმი უმაღლოდნენ იმ საერო პირთა მითითებებს, რომლებიც მუდამ მათთან იყვნენ ისე, რომ ხანდახან კათოლიკე მღვდელი არც ჰყავდათ, რათა რწმენაში განემტკიცებინა ისინი.

მხოლოდ XIII საუკუნეში, როდესაც ვაჭრობამ მიიზიდა გენუელები შავ ზღვაზე, იმ მორწმუნეებმა (ე.ი. მართლმადიდებლებმა – მ.პ.) მიიღეს სულიერი დახმარება, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში მოკლებული იყვნენ. მღვდლები არა მხოლოდ საქართველოში ჩავიდნენ, არამედ შეაღწიეს კავკასიაშიც, სადაც ააღორძინეს [ქრისტიანული] სარწმუნოება. თავად არაბებმა,⁹⁵ რომლებიც დღეს ისევ კერპთაყვანისმცემლობაში ჩაეშვნენ, ისინი თავაზიანად მიიღეს.

გორში ინახება XV საუკუნით დათარიღებული სახლების ნასყიდობის რამდენიმე აქტი,⁹⁶ რომელთა შორის შეიძლება აღნიშვნა იმისა, რომ ტიფლისის ქუჩას იმ დროს ფრანკების ქუჩა ერქვა და ამჟამად ცოტა შორს ვხედავთ ნისქვილის ნანგრევებს, რომელთა შორის განირჩევა დიდი ქვა, სადაც მცხოვრებნი მიდიან, სანთლებს ანთებენ და

f. 400r:

ღმერთს ევედრებიან, როცა მათ ციებ-ცხელება ეწყებათ. ამბობენ, რომ ამ ადგილას კათოლიკური ეკლესია იყო, რომელსაც გენუელი მღვდლები ემსახურებოდნენ და რომელიც თურქებმა მთლიანად გაანადგურეს. მთებში შეგიძლიათ ნახოთ მრავალი მიტოვებული ეკლესია და სამლოცველო, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ შემონახულია: მაცხოვრებლები მათ უყურებენ, როგორც

⁹⁵ ფრანგულ ტექსტში წერია: „Ovubes“, ანუ „ოვუბეზი“, რაც რუსული სახელდების „ობეზის“ ოდნავ დამახინჯებული ფორმაა. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარეც, უეჭველად, აფხაზებთან იგივდება.

⁹⁶ ჩვენ, ყველა ხელშასახები წყაროების მიხედვით, დაზუსტებით ვიცით, რომ კათოლიკე მისიონერებმა გორში მოღვაწეობა დაიწყეს 1628 წელს (იხ. მამისთვალისვილი ე. გორის ისტორია I, თბილისი, 2018, გვ. 406-408). მანამდე გორში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის შესახებ სხვა ინფორმაცია უცნობი იყო. თუ მოტანილი წყაროს ცნობა სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ უნდა ემოღვაწათ ფრანცისკელ ან დომინიკელ მისიონერებს. ეს უკანასკნელნი კი საქართველოში მოღვაწეობდნენ 1233-1370 წლებში (დანვრ. იხ: პაპაშვილი მ. საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბილისი, 1995, გვ. 83-111).

წმიდათაწმიდას და ამტკიცებენ, რომ ზოგიერთ ამ ეკლესიაში პერგამენტზე დანერილი ლათინური რიტის წიგნების ნახვა შეიძლება.

მეორე მხრივ, უეჭველია, აბაშის (Abasci)⁹⁷ მოსახლეობა ინახავს ამგვარ წიგნებს⁹⁸ და უჩვენებენ მათ უცხოელებს, რომელთაც შეუძლიათ შეაღწიონ მათ შორის, ამბობენ, რომ ეს მათი წინაპრების წიგნებია და თუ იქ [კათოლიკე] მღვდელი მოვა, ვინც იცის მათი წაკითხვა, ისინი მიიღებენ მის მოძღვრებას. ერთ დღეს [მათთან] გამოჩნდა თურქი მოლა და აჩვენეს მას ისინი,⁹⁹ მაგრამ როცა გახსნა, ვერ შეძლო მათი წაკითხვა და ამის შესახებ შემდეგ დაასკვნეს, რომ მათი წინაპრები არასოდეს ყოფილან მაჰმადიანები და არ მიიღებდნენ მათ ყურანს. რა თქმა უნდა, თურქები დიდი ხანია აკეთებენ ყველაფერს, რათა გადაიბირონ ისინი თავიანთ სარწმუნოებაზე, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწიეს.

f. 400v:

მათ შორის ჯერ კიდევ ცნობილია გენუელების სახელი და მთებში შეგიძლიათ ნახოთ რამდენიმე დანგრეული ციხე, რომელიც მათ ეკავათ. სენიორის ტიტულით რაფაელ სკასი (Raffaele Scassi) გენუელმა, რუსეთის სამეფო კარის სამსახურის მრჩეველმა, შეაღწია მათ შორის 1814 წელს და რამდენიმე ხნის უნახავებმა ჰკითხეს: „რა დაემართათ გენუელებს?“.

კავკასიის მრავალრიცხოვან ხალხთა შორის ოსები, რომლებიც ცხოვრობენ ამ ვეება მთიანი მასის ცენტრის მხარეს, ძველ დროში ქრისტიანები იყვნენ და მათ სოფლებში ვხედავთ მრავალ ეკლესიას, რომლისადმი ჯერ კიდევ აქვთ დიდი თაყვანისცემა. და როდესაც საქმე ეხება რამე სიტყვის მიცემას ან რაიმე საზეიმო დაპირებას, რაკი მათ არც წერა იციან და არც კითხვა, ისინი მიდიან ერთ-ერთ ამ ეკლესიაში და თითოეული კონტრაჰენტი¹⁰⁰ კარში შეჰყოფს ხელებს და ამგვარად დაპირება ხდება წმინდა და ხელშეუხებელი.

იმპერატორ ეკატერინე II-ის მეფობის¹⁰¹ დროს რუსი სამღვდელოება ცდილობდა ამ ხალხის მოქცევისა და გაქრისტიანებას. მაგრამ ეს მისიონერები¹⁰² ისე ცუდად იქცეოდნენ და იმდენად მცირე წინდახედულობით,

f. 401r:

რომ ზოგიერთი მათგანი მხეცურად მოკლეს, დანარჩენი კი გააძევეს უკან მოხმობის უიმედობით. ამ ხალხებში ყველაფერს პირველი შთაბეჭდილება ახდენს და ასეთმა მოვლენამ თავისუფალი ველი დაუტოვა თურქ მოლებს, რომლებმაც იქ ოცი წლის მანძილზე უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს. თავიან-

⁹⁷ ცხადია, იგულისხმებიან აფხაზები.

⁹⁸ იგულისხმება ლათინური რიტის წიგნები, ანუ სწორად რომ ვთქვათ, კატეხიზმო.

⁹⁹ იგულისხმება ლათინური რიტის წიგნები, ანუ კატეხიზმო.

¹⁰⁰ ხელშეკრულების დამდები პირი.

¹⁰¹ რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II დიდი (1762-1796).

¹⁰² იგულისხმება მართლმადიდებელი რუსი მისიონერები.

თი მანერებითა და ბელადებისთვის მირთმეული საჩუქრებით მათ მიაღწიეს, რომ თავიანთი სარწმუნოება თითქმის ყველა ურდოსა და შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოსახლეობაში დაემკვიდრებინათ. ისინი გადმოსხდნენ ანაპში, რათა თარეში განეხორციელებინათ იმ ვრცელ ქედებზე, რომელთა მობინადრენი დღემდე უცნობია.

ახლა დავუბრუნდეთ იმ დროს, როდესაც თავის განსჯაში მიუწვდომელმა ღმერთმა ურწმუნოებს ნება დართო, რომ დაეპყრო ქრისტიანობის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, რამაც თან მოიტანა გენუელთა დაცემა შავ ზღვაზე და მათი სიმაგრეები და ციხეები, რომლებიც განლაგებული იყო სამხრეთ სანაპიროზე, ერთმანეთის მიყოლებით აღებულ იქნა. თურქომანთა მეთაურმა მაომეტ II-მ,¹⁰³ ტირანმა და ბარბაროსმა დამპყრობელმა, გადალახა ანატოლიის მხარე, აიღო ტრაპიზონი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი

f. 401v:

კათოლიკე იყო და მახვილით ხელში აიძულა თითქმის მთელი ლაზისტანი კავკასიონის კალთებამდე განდგომოდა [ქრისტიანულ] რელიგიას. ასე, რომ დღესდღეობით ვერ იპოვით იძულებითი რენეგატების შთამომავლებს შორის ამის [ქრისტიანობის– მ.პ.] ვერავითარ კვალს. ჯერ კიდევ ამ ქალაქში მხოლოდ, კონსტანტინოპოლიდან კავკასიამდე, შეგიძლიათ ნახოთ ჭეშმარიტი რელიგიის დიდმშვენიერების ნაშთები, მიუხედავად ყველა სახის დევნისა და შევიწროებისა, რომელსაც განიცდიდნენ იქ არა მარტო თურქებისაგან, არამედ სომხებისგანაც, უმეცარი და უზენაესის მიერ დასჯილი ერისგან, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო მისი შურისძიების იარაღი მართალთა გამოსაცდელად. არ არსებობს შევიწროების სახეები, რომლებიც მათ არ განახორციელებს ამ ქალაქის კათოლიკეების მიმართ, რომლებსაც ბოლო ხანებში წაართვეს სამი ეკლესია და მონასტერი იქ მმართველი თურქების მოსყიდვით. კათოლიკეები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ეკლესიას, რომელიც საძაგელმა და შურიანმა მღვწეულებმა მათ ჯერ ვერ წაართვეს. იგი მდებარეობს მათი დიდი და უძველესი სასაფლაოს შუაში, სადაც განისვენებს მრავალი მოწამე,

f. 402r:

რომლებმაც სხვადასხვა დროს თავი გასწირეს, რაზეც მრავალი წარწერა მოწმობს. სხვათა შორის ეკლესიის შესასვლელი კარის წინ დადგმულ ქვაზე სომხურ ენაზე ამოკვეთილია [წარწერა]: „ეს არის უმანკო ყმანვილის კარაბელის [Karabelh]¹⁰⁴ საფლავი, რომელიც ოცი წლის ასაკში ეტანჯა და ეწამა იესო ქრისტესთვის. მას ღმერთმა სატუსაღოში დიდი გამძლეობა უბოძა და მოწამეობრივად აღესრულა 1698 წელს.“

¹⁰³ საუბარია ოსმალეთის სულთან მეჰმედ II-ზე (1451-1481).

¹⁰⁴ ალბათ, კარაპეტის.

ეს ეკლესია, რომელსაც განაგებს ვენეციაში სან-ლაზარის ფრიად პატივცემული ბერი მინას მედიესი (Minas Medies)¹⁰⁵ წარმოადგენს ქრისტიანობის დიდებას იმ ბარბაროსულ ქვეყნებში, სადაც ამჟამად იგი მარტო და იზოლირებულად ხარობს ურღვევ სიმშვიდეში, საფრანგეთის კონსულის უშუალო მფარველობის ქვეშ, რომლის შენარჩუნება, ალბათ, მისმა ქრისტიანულმა უდიდებულესობამ¹⁰⁶ მოისურვა, რათა დაიცვან ამავე დროს ჭეშმარიტი რელიგია. ლუი წმინდას¹⁰⁷ დღესასწაული საფრანგეთში შუძლებელი იყო მეტი აღფრთოვანებით ეზიმათ, [ვიდრე აქ] და ამას შესაფერისი დიდება მიანიჭა საფრანგეთის პატივცემულმა კონსულმა ბატონმა დუ გრემ. ამ საზეიმო

f. 402v:

დღეს ყველანი, პატარა ბავშვიდან ღრმად მოხუცამდე, პირქვე ემხოზიან საკურთხევის წინაშე და უზენაესს ევედრებიან მისი უდიდებულესობის¹⁰⁸ სიცოცხლის დაცვას, რომელიც მათი ერთადერთი მფარველია ურწმუნოთა შორის. აქვე მართებულია დავამატოთ, რომ რაღაც დროის მანძილზე სომეხი სქიზმატიკოსები ძალიან დაუახლოვდნენ იმათ, რომლებიც დევნის მიუხედავად რომის წმინდა საყდრის ერთგულები დარჩნენ და არსებობს იმედი, რომ მათი გაერთიანება შორს არ არის და ასევე შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ მათ მღვდელთმთავრებს ეს მგზნებარედ სურთ. თუმცა ხალხი გააფრთხილეს, რომ მათი მღვდლები უმეცრები და რელიგიური კულტის ნივთებით მოვაჭრეები არიან და ამიტომ ისინი მეტად არ ანდობენ მათ შვილების აღზრდას. დიდ სასწავლო ოთახში, რომელიც არის ტრაპიზონის კათოლიკე მღვდლების სახლში და უფრო კოლეჯია, ვიდრე სკოლა, სქიზმატი სომეხების შვილებს გადასახადის გარეშე იღებენ. მისი გახსნიდან ამ პატივცემული დონ მინასის ხელმძღვანელობით, მოსალოდნელია დიდი წარმატებები ეკლესიის სადიდებლად,

f. 403r:

რადგან სწავლების მანერამ, რომელიც ამ ღირსეულმა წინამძღვარმა დანერგა, დაატყვევა ყველა სული ისე, რომ ახლა კათოლიკე მღვდლების მიმართ, რომელთაც ოდესღაც სქიზმატიკოსები საჯაროდ ლანძღავდნენ, [ამ უკანასკნელთა] დამოკიდებულება ღრმა და გულწრფელი პატივისცემით შეიცვალა. ზოგჯერ, როდესაც ვხედავთ სულიწმინდის ძალას, რომელიც მოქმედებს მის მწყემსებზე, არ შეგვიძლია არ გამოვიყენოთ სახარების სიტყვები და არ შევ-

¹⁰⁵ ვერ ხერხდება გვარისა და ვინაობის დადგენა.

¹⁰⁶ იგულისხმება საფრანგეთის მეფე, თუმცა ძნელია ითქვას, რომელ მეფეზეა საუბარი.

¹⁰⁷ საუბარია საფრანგეთის მეფე ლუი IX წმინდაზე (1214-1270). მისი ხსენების დღეა 25 აგვისტო.

¹⁰⁸ იგულისხმება საფრანგეთის მეფე.

ძახოთ: „Qualis est hic, quia ventus et mare obediunt ei“ („ვინ არის იგი, რამეთუ ქარი და ზღვა ემორჩილებიან მას“).

მკითხველის ღვთისმოსავი ცნობისმოყვარეობის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რამდენიმე ცნობის დამატება უძველესი ძეგლების შესახებ, რომელთაც საუკუნებია, დღემდე პატივს სცემდნენ. ტრაპიზონში ჯერ კიდევ ნახავთ ბევრ ძეგლს, რაც მიუთითებს ამ ქალაქში ქრისტიანული რელიგიის უძველეს ბრწყინვალეობაზე. მათ შორის შემოგარენში არის ლამაზი და საკმაოდ დიდი ეკლესია, რომელიც აგებულია იმპერატორ იუსტინიანეს დროს და ეძღვნება წმინდა სოფიოს. ამ დიდებული ეკლესიის ნაწილი 1461 წელს თურქების მიერ ქალაქის აღების შემდეგ მეჩეთად გადაკეთდა.

f. 403v:

ქალაქის შუაგულში მდებარე წმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი უძველესი საკათედრო ტაძარი, სადაც ჯერ კიდევ ნახავთ თვალში საცემი ლამაზი მოზაიკის ნაშთებს, რომლებიც გამოსახავენ ღვთისმშობელს თორმეტ მოციქულთან ერთად, ესეც მეჩეთად გადაკეთდა.

წმინდა გრიგოლისადმი მიძღვნილი ბერძნული სამიტროპოლიტო ეკლესიის გვერდით ნაპოვნია სოლომონ II ემერისელის (Salomone II d'Emerisia)¹⁰⁹ [საფლავი], რომელიც გარდაიცვალა 1815 წლის 19 თებერვალს და რომლის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. წმ. ბასილის ბერძნული ეკლესია, ამ ქალაქის მკვიდრის კარდინალ ბესარიონის¹¹⁰ დაუინებული თხოვნით, იოანე პალეოლოგოსის¹¹¹ დროს აშენდა. ქვაში გამოკვეთილი ბერძნული ეკლესია სახელწოდებით თეოსკეპასტო (Theoskepasto) მაღლიდან გადაჰყურებს ტრაპიზონს და ამტკიცებენ, რომ იქ დაკრძალულია ალექსი კომნენოსი. აქ არის მრავალი უძველესი ეკლესია, რომელიც დარჩა ბერძენთა მფლობელობაში, ასევე ოთხი უძველესი ეკლესია და სომხური რიტის მონასტერი, რომელზეც საუბარი იყო ზემოთ. ძველი აკვედუკი, რომელსაც ოდესღაც ერქვა ევგენი მარტვილის აკვედუკი და რომელიც კვეთს ხეობას თალურად, გამოყოფს

f. 404r:

ქალაქს სოფლებისგან. ეს [აკვედუკი] აღადგინა კარდინალმა ბესარიონმა და სერიოზულად უნდა მის ღირსებას მოხსენიება. იგი ჩინებულად არის შემონახული და ამტკიცებენ, რომ პირველად იმ დრომდე მის ადგილას იყო მხოლოდ ხის არხი.

¹⁰⁹ საუბარია იმერეთის მეფე სოლომონ II-ზე (1789-1810), რომელიც გარდაიცვალა 1815 წლის 20 თებერვალს და დაკრძალეს ტრაპიზონში წმ. გიორგის სახელობის ბერძნული ეკლესიის გალავანში.

¹¹⁰ ბესარიონი (1403-1472) დაიბადა ტრაპიზონში. იყო ნიკეის მიტროპოლიტი (1437-1439). ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1439) გამოვიდა მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის უნიის ინიციატორად. პაპმა ევგენიუს IV კარდინალის რანგზე აიყვანა. იყო კონსტანტინოპოლის ლათინთა ტიტულარული პატრიარქი (1463-1472).

¹¹¹ ცხადია, ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII პალეოლოგოსი (1425-1448).

დიდებით მოსაგონებელი ურბან VIII-ის¹¹² პონტიფიკობის დროს პროპაგანდამ გაგზავნა მისიონერები საქართველოში,¹¹³ სამეგრელოსა და ახალციხის საფაშოში. ეს მომდინარეობდა თვით მაცხოვრებლთა მზრუნველობიდან, რომლებმაც არ დაივინყეს, რომ მათ წინაპრებს ჰყავდათ მღვდლები ევროპიდან და ისინი დიდი ხნის განმავლობაში ევედრებოდნენ რომის კარს [გამოეგზავნათ მღვდლები], რადგან მათი სომეხი მღვდლები ხშირად რჯულგანდგომილები და უფრო მეტიც, დაქორწინებულები იყვნენ. მეტადრე, მათ არ შეეძლოთ ჩაენერგათ ისეთი აუცილებელი მტკიცე რწმენა ქრისტიანებში, რომლებიც ცხოვრობენ ურწმუნოთა შორის და რომლებიც, გარდა სულიერი დახმარებისა, ელიან მათგან რჩევასა და მატერიალურ დახმარებას. ესენი საჭიროებენ განათლებულ და თავისი სტატუსისადმი სრულიად თავშენიწიულ ადამიანებს, რომელთაც თავიანთი სამწყსოს ხსნისა და კეთილდღეობის გარდა სხვა ინტერესი არ ექნებათ, როგორც იმ მისიონერებს,

f. 404v:

რომელთაც მათი დაჟინებული თხოვნით დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე რომის კარი აგზავნიდა ამ იზოლირებულ და ბარბაროსულ¹¹⁴ ქვეყნებში. პირველი [მისიონერები] საქართველოში¹¹⁵ ჩამოვიდნენ დაახლოებით 1626¹¹⁶ წელს ახალციხეში¹¹⁷ რამდენიმე ბერმონაზვნის დატოვების შემდეგ, რომელთაც იქ ააშენეს მონასტერი და ექვსმა¹¹⁸ [მისიონერმა] ჩააღწია გაიში (Gai)¹¹⁹ ესპანელი დონ პიეტრო ავიტაბილეს წინამძღოლობით და ყველა ბერი თეატინელი იყო. ისინი იქ თეიმურაზ-ხანის,¹²⁰ სამეფო ოჯახის უფლისწულისა და ამ პროვინციის გუბერნატორის უშუალო მფარველობით დაბინავდნენ, როგორც

¹¹² პაპი ურბან VIII (1623-1644).

¹¹³ იგულისხმება ქართლის სამეფოში.

¹¹⁴ ამ პერიოდისათვის ამ ცნების ქვეშ იგულისხმება დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანა.

¹¹⁵ უნდა იყოს ქართლის სამეფოში.

¹¹⁶ ავტორი აქ ცდება. პირველი თეატინელი მისიონერები საქართველოში, ქართლის სამეფოში, კერძოდ, ქ. გორში 1628 წლის 14 დეკემბერს ჩამოვიდნენ (იხ. ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, თბილისი, 1987, გვ. 80).

¹¹⁷ ვფიქრობთ, ავტორი აქ ცდება, რადგან თეატინელ მისიონერებს ახალციხეში მისიონი არ დაუარსებიათ და არც ისაა ცნობილი, მათ იქ დაარსეს თუ არა მონასტერი. თუმცა კათოლიკე მამები ხშირად გურიიდან და სამეგრელოდან ახალციხეში მიდიოდნენ, სადაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ქრისტიანებს ამხნევებდნენ. აქ მხოლოდ 1732 წელს დაფუძნდნენ კაპუცინი მისიონერები (დანვრ. იხ: მურმან პაპაშვილი. საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბილისი, 1995, გვ. 281-298).

¹¹⁸ არა ექვსი, არამედ ორი მისიონერი ჩამოვიდა გორში (იხ. ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, თბილისი, 1987, გვ. 80).

¹¹⁹ უნდა იყოს გორში.

¹²⁰ ცხადია, იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I (1625-1632).

ექიმები. ეს წოდება, რომელიც, როგორც წმ. ნინოს, სრულიად შეეფერება მათ, რომელთაც სულების განკურნება ევალებათ. ასევე დევნის დროს მათ ძალუძთ მოძებნონ მფარველები თავიანთი წმინდა იდეის მოწინააღმდეგეებს შორის. მათ [იქ] ააგეს ეკლესია და ხის მონასტერი.

იმავე წელს მამა-პრეფექტმა გაგზავნა ორი მამა მორჩილი ძმის თანხლებით კოტაისში,¹²¹ სადაც ემერიზიის¹²² მეფემ მათ ქალაქის შუაგულში გამოუყო მიწის ნაკვეთი რიონის (ფაზისის) ნაპირზე,

f. 405r:

სადაც ააგეს ეკლესია და ასევე ხის მონასტერი ქვის საძირკველებით, რომლის ნახვაც დღესაც შეიძლება.

1648 წელს¹²³ თეატინელი მამები შეცვალეს წმინდა ფრანცისკის ორდენის კაპუცინებმა და მათი პირველი პრეფექტი იყო მამა ბონავენტურა და სერვიენტო.¹²⁴ 1661 წელს მათ თბილისში დამკვიდრების ნებართვა მიიღეს, სადაც 1678 წელს მათ ჰქონდათ ერთი ეკლესია და მონასტერი, რომელიც შედგებოდა ცხრა მამისა და სამი მორჩილისაგან. მაგრამ გაიზარდა რა მნიშვნელოვნად კათოლიკეთა რიცხვი, მამა კლაუდიო და რეჯომ, მეთორმეტე პრეფექტმა, რომელმაც 1741 წელს მეფისგან მიწის ნაკვეთის გადიდების [ნებართვა] მოიპოვა, აქ ააგო იტალიური არქიტექტურის მშვენიერი ეკლესია გუმბათით და მონასტერი მთლიანად ქვისგან. მათი სასაფლაო გადატანილი იქნა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით მთის ფერდობზე, რომელიც მათ მისცა თეიმურაზ¹²⁵ მეფემ. იგი დღემდე არსებობს.

საქართველოს კათოლიკეებს დიდხანს არ დასცალდათ ასეთი მშვენიერი ეკლესიით ტკობა, რადგან დაახლოებით 1752 წელს მეფემ¹²⁶ მონასტერთან ერთად უკან წაართვა იგი მათ და

f. 405v:

სანამ ის¹²⁷ გორში იმყოფებოდა, განდევნა საქართველოდან¹²⁸ ეს მამები, რომლებიც აქედან უკან ახალციხის მონასტერში დაბრუნდნენ.

¹²¹ უნდა იყოს ქუთაისში.

¹²² ე.ი. იმერეთის.

¹²³ ეს შეცდომაა. თეატინელი მისიონერები კაპუცინებმა შეცვალეს 1661 წელს.

¹²⁴ უნდა იყოს ბონავენტურა სორენტოელი. ამ უკანასკნელს არც კი დასცალდა პრეფექტობა. ის სამეგრელოდან ქართლის სამეფოსკენ მომავალ გზაზე ერთ-ერთი მდინარის გადალახვისას წყალში ჩავარდა და დაიხრჩო (იხ. პაპაშვილი მ. საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბილისი, 1995, გვ. 201).

¹²⁵ იგულისხმება მეფე თეიმურაზ II (1733-1762).

¹²⁶ იგულისხმება მეფე თეიმურაზ II (1733-1762).

¹²⁷ ცხადია, პრეფექტი კლაუდიო და რეჯო.

¹²⁸ იგულისხმება ქართლის სამეფოდან.

ამ ავანტურის მიზეზი გახდა ის, რომ საქართველოს პატრიარქმა¹²⁹ ფარულად მიიღო რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოება. ეს სახელგანთქმული წინამძღვარი სახელად ანტონი, მეფე იესეს¹³⁰ ვაჟი და თეიმურაზ¹³¹ მეფის ნათესავი, იშვიათი ნიჭის მქონე ადამიანი იყო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ნიადაგ მუსაიფობდა [კათოლიკე] მამებთან და რომელმაც შეგნებულად თავის სამღვდელოებას გააცნო სახელოვანი პრეფექტის ჯიროლამო და ნორჩას მაგალითი, დაუფარავად ქადაგებდა უქორწინლობის სწავლებას, რომელიც მათი წმინდა ფუნქციების შესატყვისი იყო. მაგრამ ერთი უკეთური ბერი,¹³² მეფის მოძღვარი, იყო მიზეზი იმისა, რომ ქართველები არ შეუერთდნენ ისევ თავიანთი მამების პირვანდელ სარწმუნოებას. იგი პატრიარქთან აღსარების სურვილის საბაბით მივიდა, აღსარებაში კი მას [ანტონმა] გაუმხილა სამომავლოდ მისი ცვლილების სურვილი და ამით შეძლო პატრიარქისაგან გამოეგლიჯა მისი საიდუმლო. ის დაუყოვლებლივ წავიდა მეფესთან ამის მოსახსენებლად, რომელმაც, ამ ამბის გაგებით გაშმაგებულმა, ბრძანა, რომ

f. 406r:

მისი სახელით ეკლესია და მონასტერი [კათოლიკეებისათვის] წაერთმიათ, იმავეს გაკეთება ბრძანა გორში და სკანდალურად გააძევა იქ მცხოვრები ბერები. მაშინ კათოლიკეების დევნა საყოველთაო გახდა, მაგრამ ისინი ურყევნი დარჩნენ, არც დაპირებებსა და არც დამუქრებებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. პატრიარქი რუსეთში გადაასახლეს, მრავალი ეპისკოპოსი გადააყენეს. ორივე სქესის ბევრმა დიდებულმა, მათ შორის მეფის ასულმა, ფარულად უარყვეს სქიზმატური დოგმები. საბოლოო ჯამში, ყველაფერი, რაც აკლდა, იყო ხელსაყრელი მომენტი, რომ მეფეც მისულიყო იმავე შეხედულებამდე, რომელიც მისთვის და თავისი ხალხისათვის სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ საზიზღარმა მღვდელმა ყველაფერი გააფუჭა. პატრიარქი ანტონი ისეთი იშვიათი დამსახურების კაცი იყო, რომ ქართველთა შორის დიდის სახელი დაიმკვიდრა. არ მოიძებნება ისეთი საძაგლობა, როგორიც არ გამოიგონეს ამ კეთილი მამებისა და, განსაკუთრებით, ამ გულმოდგინე პრეფექტის¹³³ წინააღმდეგ. სომხებმა ისარგებლეს ამ შესაძლებლობით, რათა კათოლიკეების წინააღმდეგ თავიანთი უღმობელი

¹²⁹ იგულისხმება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დიდი ბაგრატიონი (1744-1756; 1763-1788).

¹³⁰ ქართლის მეფე იესე, ალი ყული-ხანი (1714-1716; 1724-1727).

¹³¹ იგულისხმება მეფე თეიმურაზ II.

¹³² ალბათ, იგულისხმება მეფე თეიმურაზ II-ის მოძღვარი ერასტი (იხ. მურმან პაპაშვილი, ელდარ მამისთვალიშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი, ხათუნა ჩაფიჩაძე, საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII ს-ის 70-იანი წლები- XVIII ს.), თბილისი, 2020, გვ. 206).

¹³³ საუბარია გორში კაპუცინთა მისიონის პრეფექტ ჯიროლამო და ნორჩაზე.

f. 406v:

სიძულვილი გადმოეფრქვიათ და არანაკლებად შეუწყვეს ხელი, რომ დევნა სკანდალამდე დაეყვანათ. მათ ირწმუნეს, რომ ეს იყო მომენტი ღირსი პრეფექტის მამა ჯიროლამო და ნორჩას მიმართ ჯავრის ამოსაყრელად, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ღიად ქადაგებდა უხამსი ცხოვრების წინააღმდეგ, რომელსაც ბერძენი და სომეხი სქიზმატიკოსი სამღვდელოება ეწეოდა. მათ გადანყვიტეს და მზაკვრობაც ჩაიდინეს, ახალციხის მონასტერში გაგზავნეს კაცი, რომელსაც დაავალეს, იქ წარედგინა ბიჭუნა და ეთქვა, რომ ის იყო მამათა პრეფექტი. მან ნათქვამს დაამატა, რომ მას უკან აბრუნებდნენ, რადგან აღარ სურდათ მეტად მისი შენახვა. მის შესახებ მრავალი სხვა იმავე ჯურის უკმეხი სიტყვებით ცდილობდნენ თურქების გააფთრებას მის წინააღმდეგ. ბერებმა, პირიქით, ღრმა სიმშვიდე შეინარჩუნეს და მოთმინებით იტანდნენ ყველა შეურაცხყოფას, მორჩილდნენ ღმერთს სიყვარულით, რის გამოც იტანჯებოდნენ.

ამ წელს¹³⁴ შავმა ჭირმა ისევ გაანადგურა საქართველო, რაც ღვთის რისხვის ცხადი ნიშანი იყო. მცხოვრებთა მესამედი დაიხოცა და მეფის ვერაგი მღვდელი-მოძღვარი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო. ბევრმა კათოლიკემ თავი დააღწია მძვინვარე დევნას და ყველამ თავი ახალციხეს შეაფარა.

f. 407r:

რვანლიანი¹³⁵ გადასახლების შემდეგ პატრიარქი¹³⁶ მოიხმეს და თავის თანამდებობაზე აღადგინეს. ის რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა და ყოველთვის არაორაზროვნად ამოწმებდა რომის ეკლესიასთან თავის შეერთებას. სინანული იმის გამო, რომ ვერ მიაღწია წარმატებას თავის სასულიერო პირებთან და თავის ხალხთან ერთად, ერთადერთი მწუხარება იყო, რომელსაც განიცდიდა სიცოცხლის ბოლო წლებში. პატრიარქთან მოწვეული [კათოლიკე] ბერები, რომლებიც, როგორც ჩანს, მოჩვენებითი ექიმები იყვნენ, მას აგონიაში ყოფნისას ეხმარებოდნენ. დროის ამ შუალედში გარდაიცვალა მამა ჯიროლამო და ნორჩა,¹³⁷ რომელმაც მიიღო ჯილდო თავისი გულმოდგინებისთვის, ერთგულებისთვის, რომელიც გამოავლინა მან დევნისას და იმ დამცირებისას, რომლის გადატანაც მოუხდა.

“Beati estis cum maledixerint vobis, et persecuti vos fuerint, et dixerunt omne malum adversum vos mentientes propter me. Gaudete et exultate, quoniam merces

¹³⁴ უნდა ვიგულისხმოდეთ 1755 წელი, როცა გორსა და თბილისში კაპუცინ მამებს ნაართვეს ეკლესია, მონასტერი და ქონება.

¹³⁵ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I რუსეთში გაემგზავრა 1756 წელს. 1757-1762 წლებში იყო ვლადიმირის მთავარეპისკოპოსი. 1763 წელს მეფე ერეკლე II-მ დააბრუნა საქართველოში.

¹³⁶ იგულისხმება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I.

¹³⁷ ამ ცნობის თანახმად, ჯიროლამო და ნორჩა საქართველოში გარდაიცვალა 1788 წელს.

vestra copiosa est in coelis. Sic enim persecuti sunt Prophetas qui fuerunt ante vos. Math. C.V.” („ნეტარნი ხართ თქვენ, როცა დაგინწყებენ გმობას, დევნას და ცრუმეტყველნი დაგნამებენ ყოველგვარ ბოროტს ჩემი გულისთვის. გიხაროდეთ და ილხენდეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში, რადგან ასევე სდევნიდნენ წინასწარმეტყველთაც, რომელნიც თქვენზე უწინარეს იყვნენ.” მათე 5, 11-12).

ბერები მშვიდად დაუბრუნდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, თუმცა მათ ეკლესია და ტფილისის მონასტერი არ დაუბრუნეს და

f. 407v:

იძულებულნი გახდნენ, ეცხოვრათ კერძო სახლში და იქ შეესრულებინათ ღვთისმსახურება. როდესაც [საქართველოში] პირველი რუსული ჯარები შემოვიდნენ, [რუსეთის] მთავრობამ ეს ეკლესია სხვადასხვა მარცვლეულის საწყობად გამოიყენა, რაც დღემდე გრძელდება.

როგორც ჩანს, თავის განსჯაში მიუწვდომელმა ღმერთმა ამ სამარცხვინო ავანტიურის შემდეგ¹³⁸ გადაწყვიტა, მოესპო ქართული სამეფო სკიპტრა, დამცირებული ქართველები უზარმაზარი იმპერიის განუყრელ ნაწილად ექცია და სამუდამოდ განდევნა ამ ქვეყნებიდან მეფის შთამომავლები, რომლებიც აქ ორი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში მბრძანებლობდნენ. სანამ რუსული ჯარები საქართველოში მიაღწევდნენ, მათი სამეფო ბრწყინვალეობა თანდათან ისე ჩაქრა, როგორც თოვლი დნება მზეზე. 1783 წელს ქვეყანა საბოლოოდ დამორჩილდა რუსეთს, ხოლო სამეფო ოჯახი პენსიით პეტერბურგში გაგზავნეს, რათა დაუდევარ უმიზნო ცხოვრებას [ისინი] შეეყვანა რიგით პირთა კატეგორიაში, რომლებიც დედამიწაზე საკმარისზე მეტია: “Deposuit potentes de sede” („დაამხო ტახტთაგან ძლიერნი“). შემდეგ ქართველი სამღვდელოება შეუერთდა და დაემორჩილა რუსეთის სამღვდელოებას.

f. 408r:

ქართველი თავადი ციციანოვი,¹³⁹ ბერების¹⁴⁰ ძველი მეგობარი, რუსეთის სამეფო კარიდან გაგზავნეს გენერალ-გუბერნატორად და საქართველოში ჯარების მთავარსარდლად; მან სამართლიანობის მიღწევა არ დაყოვნა, მაგრამ ეკლესიის დაბრუნება შეუძლებელი იყო, რადგან [იგი] დიდი ხნის განმავლობაში საწყობად გამოიყენებოდა, მისი გუმბათი განადგურებული იყო, ყველა ორნამენტი – ჩამოხსნილი და იგი სრულად შეესატყვისებოდა საწყობის დანიშნულებას. დააკმაყოფილეს ბერების სურვილი, გამოუყვეს მათ კარგი მიწის

¹³⁸ მეტი ალბათობით, ავტორს მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ მეფე ერეკლე II-მ კათოლიკე მამებს არ დაუბრუნა 1755 წელს თეიმურაზ II-ის მიერ ჩამორთმეული ეკლესიები გორსა და თბილისში. ეს ჩანს, ავტორს დიდად სწყინდა და მოვლენას პროვიდენციალური ახსნა მოუძებნა.

¹³⁹ მხედველობაშია 1802-1806 წწ. საქართველოს გუბერნატორი და მთავარსარდალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი).

¹⁴⁰ იგულისხმება – კათოლიკე მამების.

ნაკვეთი ძველი ეკლესიიდან არც თუ ისე შორს, სადაც რუსეთის მთავრობის ხარჯზე ააგეს მონასტერი და ყველაზე ლამაზი ეკლესია თბილისში: “Et exaltavit Humiles” („და ამაღლდა მდაბალნი“).

ახლა საჭიროა განვიხილოთ საქართველოში მისიების დღევანდელი მდგომარეობა და წარმატებები, რომლებიც მიღწეულ იქნა უფლის განგებულებით. ჩვენ დავინწყებთ ახალციხიდან, რადგან იგი საქართველოს¹⁴¹ საზღვრებს გარეთაა და ყოველთვის იყო პირველი ადგილი, საითაც ევროპიდან იგზავნებოდნენ ბერები, სადაც მათ წერთნიდნენ იმ მოვალეობებში, რომლებიც უნდა აღესრულებინათ. წარსულში ისინი აქ¹⁴² სწავლობდნენ ქვეყნის ენას¹⁴³, რაც

f. 408v:

მისიონერებისთვის საქართველოში¹⁴⁴ გადასვლამდე აუცილებელი იყო. მონასტერი და ეკლესია, მტკიცედ ნაგები გალავნით, ქალაქის შუაგულში მდებარეობს. მონასტერი საკმაოდ დიდია და ეკლესია, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გაიზარდა, უზარმაზარია. მთავარი საკურთხეველის სურათი, რომელიც წარმოადგენს ნეტარი ღვთისმშობლის მიძინებას, პატივს მიაგებს ძმა ლორენცო და პიაჩენცას¹⁴⁵ მოგონებას, რომელიც გარდაიცვალა ტფილისში დაახლოებით 1759 წელს. იმ არეულობების დროს, რომლებიც ხშირად არყევდა თურქეთის ამ ნაწილს, ბერები იქ ყოველთვის სარგებლობდნენ პატივითა და ყურადღებით, როგორც თითოეული კლასისა და, ზოგადად, მთელი ხალხის ქომაგები. ყველას შორის დაიკვეხნიდა მამა ანტონიო და ნონიო,¹⁴⁶ რომელსაც ისეთი მორალური გავლენა ჰქონდა ფაშაზე, რომ [მას] ხშირად აღუკვეთია სისხლიანი სიკვდილით დასჯა. სწორედ მან მოიპოვა 1773 წელს ფირმანი ეკლესიის გასადიდებლად. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს მონასტერი იმყოფებოდა მამა ნიკოლა და როსილიანოს¹⁴⁷ მზრუნველობის ქვეშ,

¹⁴¹ იგულისხმება ქართლის სამეფოს საზღვრებს გარეთ.

¹⁴² ე.ი. ახალციხეში.

¹⁴³ ე.ი. ქართულ ენას.

¹⁴⁴ იგულისხმება – ქართლის სამეფოში.

¹⁴⁵ ამ მისიონერის საქართველოში მოღვაწეობა აქამდე ცნობილი არ იყო.

¹⁴⁶ ანტონიო და ნონიოს საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ცნობები პრაქტიკულად არ მოგვეპოვება. მისიონერი მოხსენიებულია ჩვენ მიერ ფონდ SC-Georgia-ს მე-3 ტომში მიკვლეულ ერთ წერილში (268r-269v).

¹⁴⁷ იგულისხმება კაპუცინი მისიონერი ნიკოლა და რუტილიანო, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1792 წელს. ის იყო ცნობილი დასტაქარი და ქართველთაგან დიდად პატივდებული პირი. საქართველოში ჩამოსვლისთანავე პატრი ნიკოლა დაუახლოვდა მეფე ერეკლე II-ს, გიორგი XII-ს, სოლომონ II-სა და სამეფო კარის სხვა წევრებს. საქართველოს ინტერესების დამცველი პატრი ჩაერთო საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ამბებში. პატრი ქართველ პოლიტიკოსებს მოუწოდებდა, რომ ხელი აეღოთ რუსეთის მფარველობაზე, რადგან ამას საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვებოდა. საგულისხმოა, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II-მ ის დიპლომატიური მისიით გააგზავნა პარიზში (დაწვრ. იხ: მურმან პაპაშვილი. პატრი ნიკოლა და რუტილიანო ქართული დიპლომატიის სამსახურში. საქართვე-

რომელიც იქ შავი ჭირით გარდაიცვალა 1813 წელს, [როგორც] ღირსი ძმა კარლო და ვივარო; მაგრამ ამჟამად იგი მიტოვებულია სხვადასხვა ინტრიგის გამო, რომლებიც

f. 409r:

საბოლოო ჯამში დააკნინებს და შეარცხვენს [კათოლიკე] ქრისტიანის სახელს, თუკი არ დაჩქარდება ამ ქალაქებიდან ინტრიგანის¹⁴⁸ გაძევება, რომელიც სა-
თნოების ნილბის ქვეშ უკვე დიდი ხანია ანგრევს საქართველოს მისიონს, ამ-
ცირებს მის ნიშან-თვისებას და საკუთარი მიზნების მისაღწევად ჩვეულებრივ
განასხვავებს ბერებს ერისკაცებისაგან.

თვალ-ყური გეჭიროთ კარგად: “latet anguis in herba” („გველი ბალახში
იმალება“). ის, საპატრიარქო ვიკარის, კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის
შეუთანხმებლად, ცრუ ცნობებს აწვდის რომს, ელამუნება რუს გენერლებს
ქუთაისში, რათა მოიპოვოს მომავალში მათი კეთილგანწყობა, ევედრებოდა
პეტერბურგის არქიეპისკოპოსის (მონსინიორ ჟინჰუვიჩის) გაცნობას... ის ამ-
ბობს, რომ საქართველოს კათოლიკეებს უნდა ჰყავდეთ ეპისკოპოსი, მაგრამ
ასეთი ხარისხი არ შეეფერება უცხოელ კაპუცინებს და ამ ეკლესიების მართ-
ვისათვის საჭიროა ქვეყნის ადგილობრივი მღვდლები. გვინდოდა პიროვნება-
ზე, რომელზეც საუბარია, ამ შეურაცხყოფელი ნაწილის გამოტოვება, მაგრამ
მხედველობაში გვქონდა რა ეკლესიის უპირატესობა და დიდება, ეს საჭირო
ინფორმაცია მხოლოდ იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ დუმილი არ გახდეს
მიზეზი დროულად ბოროტების თავიდან ვერ აცილებისა.

f. 409v:

ახალციხესა და მის შემოგარენში არის სხვა კათოლიკური ეკლესიები, რო-
მელთაც პროვიკარის ხელმძღვანელობით სომეხი მღვდლები ეხმარებიან. მათ
შორის თავი ისახელა დონ ანტონიო ტოუმანომ (Antonio Toumano)¹⁴⁹ თავისი
ღვთისმოსაობითა და რწმენის გავრცელებისადმი თავდადებით.

ლოს მეცნიერებათა აკადემია სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი. ივ.
ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი.
ნელინდელი I, „მეცნიერება“, თბილისი, 2005, გვ. 71-75).

¹⁴⁸ მიქელ თამარაშვილი მართებულად მიიჩნევს, რომ „ეს ინტრიგანი“ ქართველი კა-
თოლიკე, 1798 წელს ახალციხის პროვიკარად დანიშნული პავლე შაჰყულიანია (ჭი-
ლიმუზაშვილი), რომელიც 1813 წლის 24 მაისს დაინიშნა კაპუცინთა მისიონის პრე-
ფექტად (იხ. მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,
ტფილისი, 1902, გვ. 500-501). ეს ენერგიული მოძღვარი დაუცხრომლად იბრძოდა,
ხელთ ეგდო მთელი საქართველოს კათოლიკეთა სულიერი უფროსობა (მურმან პა-
პაშვილი, საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბილისი, 1995, გვ. 303).
თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ რელაციონეს არც ფრანგულ დედანში და არც იტალი-
იურ თარგმანში არსადაა ნახსენები სახელი პავლე, როგორც ეს მ. თამარაშვილის
მიერ მოტანილ თარგმანის ტექსტშია მოცემული (მიქელ თამარაშვილი, ისტორია
კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 501).

¹⁴⁹ იგულისხმება ანტონ თუმანიშვილი (ანტონ თუმანოვი). იგი ჩვენ მიერ მოძიებულ
ბევრ დოკუმენტში ფიგურირებს. მის სახელს ვხვდებით SC-Giorgia ფონდის მე-6

ამ წელს ის¹⁵⁰ წავიდა აბაზებში,¹⁵¹ კავკასიის ხალხში, აბაშების¹⁵² მახლობლად, რათა განემტკიცებინა რწმენაში რამდენიმე კათოლიკე ოჯახი, რომელთაც დიდი ხანია არ მიუღიათ ბერების დახმარება და გაევრცელებინა იგი რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა იმ მხარეებში.

კიდევ უფრო შორს არის არზრუმი, აზიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი, სადაც ჩაგრული და უეკლესიო კათოლიკური რელიგია საკმაოდ დიდ პროგრესს აღწევს. იქ, ვიდრე მის შემოგარენში, მოსახლეობას შორის ათასზე მეტ კათოლიკეს ითვლიან. მთელი სოფლები უდიდესი სიმშვიდით აღმსარებლობენ კათოლიკურ რელიგიას და ეს უპირატესობა უმთავრესად ამ პროვინციის ღირსეული პროვიკარის დონ ჯოვანი სალვიანის ზრუნვისა და კეთილგონიერების დამსახურებაა.

f. 410r:

როგორც ზემოთ ითქვა, მონასტერი და ტფილისის ეკლესია¹⁵³ აშენდა თავადი ციციანოვის გენერალ-გუბერნატორობის დროს, ღირსი მამა ფრანჩესკო ანტონიოს პრეფექტობისას, რომელთანაც ახლანდელი პრეფექტი მამა ფილიპო იყოფდა მისიონის გასაჭირს მისი დიდი ასაკის გამო. თავისი სტილით ეს ეკლესია დღეს უნიკალურია იმ მორთულობების გამო, რომლებიც შემდგომ იქ შესრულდა; მათ შორისაა ფასადის მხარეს, კუთხეებში განლაგებული ორი ლამაზი კოშკი, რომლებიც ქალაქს გადაჰყურებს. მიუხედავად იმისა, რომ ის დიდია, ძლივს იტევს მორწმუნეთა რიცხვს. მამა პრეფექტმა გაითვალისწინა რა [მორწმუნეთა რიცხვის] მოსალოდნელი ზრდა, წამოაყენა წინადადება, რომ [ტაძარი] შეეცნოთ შიდა გალერეით, რომლითაც მხოლოდ ქალები ისარგებლებდნენ და ეს ხერხი მეტად განავრცობს მას. მონასტერი ლამაზი და ფართოა. იგი მთლიანად გადახურულია და ნაშენია გამძლე მასალის კედლით. თუმცა საქართველოში მისიონერების ნაკლებობაა და მონასტერში არის მხოლოდ მამა პრეფექტი და ბერი კარლო და ვივარო, რომელიც ახალციხეში იყო. მათ სკოლას მართავს დონ ბარლამი,¹⁵⁴ ღირსეული სომეხი მღვდელი, პროპაგანდას მოწაფე, მაგრამ ის მალე უნდა გაემგზავროს, რადგან მარდი-

ტომში დაცულ რამდენიმე წერილში, მათ შორის, პაპისადმი მიწერილ ერთ ვრცელ წერილში (ASPF, vol. 6, 177r-185v), რომელშიც იგი მოიხსენიება, როგორც „ახალციხელი სომხის რიგის მღვდელი ტერ ანტონ თუმანოვი, რომელსაცა თვისის სულიერი ექიმობით ვითარცა ჯერ არს დაბრმავება ერის დაუძს თვითოეულთა ასულთა ზედა ბრალი აღსარებით.“

¹⁵⁰ იგულისხმება დონ ანტონ თუმანიშვილი.

¹⁵¹ უნდა იყოს „აბაზებში“.

¹⁵² იგულისხმება აფხაზები.

¹⁵³ ეს ეკლესია აშენდა 1808 წელს.

¹⁵⁴ ეს უნდა იყოს მიქელ თამარაშვილთან ხსენებული ბარლამო განდილი (Barlamo Gandil) (იხ. მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 502; 829).

ნის¹⁵⁵ ეპისკოპოსად დაინიშნა. მისიონერების გარდა, საქართველოში არის კოადიუტორის¹⁵⁶ სახით დომინიკელი მამა ონოფრიო,¹⁵⁷ [იმ] მონასტრისა და ეკლესიის დამაარსებელი, რომელიც ამჟამად გორში მოქმედებს. ის წარმოშობით ქართველია და

f. 410v:

პოლონეთის მონასტერს ეკუთვნის. ამ კეთილმა ბერმა მისიონს დიდი სარგებლობა მოუტანა, განსაკუთრებით თავისი სომხური ენით, რომელსაც ის სრულყოფილად ფლობდა. ბერების მიმართ მოსახლეობის ყველა კატეგორიას განსაკუთრებული პატივისცემა აქვს, ასევე -რუსეთის ხელისუფლებას, როგორც სამოქალაქოს, ასევე სამხედროს, საქართველოს გუბერნატორებს, რომლებიც მათ მიმართ ყველა შესაძლო პატივისცემას ავლენდნენ და იგივე პატივი მიაგეს მამა ფილიპეს,¹⁵⁸ როგორც პრეფექტს, რომელიც ცერემონიის დღეს დააყენეს საქართველოს მთავარეპისკოპოსის გვერდით, რაც ადასტურებს, რომ ამ გულმოდგინე ადამიანების ქცევა წუნდაუდებელია. მეორე მხრივ, თვით კრიტიკა, რომელსაც სქიზმატიკოსები ყოველთვის მიმართავენ, მათი საქმიანობის წინააღმდეგ ვერაფერს აღწევს, მხოლოდ აძლიერებს მათ მიმართ ჯეროვან ქებას.

გორის მისიას ემსახურება მამა მარიო და კოლონია (მარიო კოლონიაელი) (Mario da Colonia),¹⁵⁹ რომელიც ოცდაათი წელია, რაც საქართველოშია და რომელიც თითქმის ოთხმოცი წლისაა, მაგრამ მშვენივრად იყენებს თავის გონე-

¹⁵⁵ მარდინი – ქალაქი აღმოსავლეთ თურქეთში. მას აღმოსავლური კულტურის სამკაულს უწოდებენ.

¹⁵⁶ კოადიუტორი – ასე ეწოდება ეპისკოპოსის ღირსების მატარებელ თანამშრომელს, რომელიც დიოცეზის ეპისკოპოსს ეხმარება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. მას ნიშნავს წმინდა ტახტი.

¹⁵⁷ მამა ონოფრიო ოანჯანოვი (Onophrius Ohandzanow) დაიბადა თბილისში. 17 წელი დაჰყო კაპუცინებთან. უცნობია, რომელ წლებში სწავლობდა პროპაგანდა ფიდეის კოლეჯში. ირკვევა, რომ პოლონეთში შევიდა დომინიკელთა ორდენში. გამოსაცდელი დროის შემდეგ იქვე შედგა მონაზვნად. მოღვაწეობდა სარატოვის პრეფექტურის კათოლიკეთა ეკლესიაში. 27 წლის განშორების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში (იხ. მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი, 1902, გვ. 488-489; 823). ცხადად ჩანს, რომ მისი თაოსნობით დაარსდა გორის მონასტერი და ეკლესია, რომლის აგება 1820 წლისთვის დასრულდა.

¹⁵⁸ უდავოდ ეს არის პატრი ფილიპე და ფორანო (ფორანოელი), რომელიც 1814 წელს დაინიშნა კაპუცინთა მისიონის პრეფექტად. 1815 წლის 23 იანვარს თბილისიდან პროპაგანდასადმი გაგზავნილი მისი ვრცელი წერილი მოწმობს, რომ ის არის კარგი ორგანიზატორი და მოკლე ხანში დიდი პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია (იხ. მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი, 1902, გვ. 501-505). ფილიპე ფორანოელის წერილები მრავლად მოიძებნება ფონდ SC-Gorgia-ს მე-6 ტომში.

¹⁵⁹ ჩანს, მარიო და კოლონია (კოლონიაელი) გორში კაპუცინთა მისიონის პრეფექტიც იყო (იხ. მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი, 1902, გვ. 508).

ბრივ შესაძლებლობებს. ის ამჟამად დაკავებულია შუა ქალაქში, მონასტრის გვერდით მდებარე ულამაზესი ეკლესიის დასრულების ჟინით, რომელსაც იმედოვნებს, რომ სიკვდილამდე დააგვირგვინებს; მაგრამ სამუშაო ხშირად ყოვნდება

f. 411r:

მასალების შესაძენად ფულადი სახსრების უქონლობისა და მუშებისათვის ანაზღაურების გადაუხდელობის გამო.

გორში გარდაცვლილ მეტისმეტად გულმოდგინე მისიონერებს შორის დიდი ღვთისმოსაობით თავი ისახელა მამა ფედელე და რივალტამ (Fedele da Rivalta),¹⁶⁰ რომელიც ორმოცი წელია რაც გარდაიცვალა, თუმცა მაცხოვრებლები ხშირად მიდიან მის საფლავზე და უფლის სადიდებელს აღავლენენ.

მამა ჩელესტინო და მონტასოლა (Celestino da Montasola)¹⁶¹ ამ მისიონის კოადიუტორია.

ქუთაისში, რიონის ნაპირზე მდებარე მონასტერი და ეკლესია ხისგანაა აგებული და რადგან ისინი ძველ დროშია აშენებული, სიძველის გამო, მას მუდმივად სჭირდება შეკეთება, მაგრამ უსახსრობის პრობლემა ყოველთვის აყოვნება და ქვისაგან მისი აშენების პროექტს. როგორც წინამორბედებს, იმერეთის უკანასკნელ მეფეს სოლომონ II-ს, რომელიც ლტოლვილობაში გარდაიცვალა ტრაპიზონში 1815 წელს, განსაკუთრებით უყვარდა მამა კაპუცინები. თავისი მეფობის ბოლო პერიოდში მან [კათოლიკურ] ეკლესიას შემოსწირა ქალაქიდან ორი მილის მოშორებით მდებარე პატარა დაბა გეგუთი.¹⁶² აქ შეიძლება იყოს დაახლოებით ოცამდე მომსახურე ოჯახი, რომელთა რიცხვი 1811, 1812 და 1813 წლებში შავმა ჭირმა შეამცირა. მიწა საკმაოდ

f. 411v:

დიდია და შედგება ტყისა და დაუმუშავებელი მიწებისაგან, რომლებიც დღემდე მცირე მოსავალს აძლევს მონასტერს. ამ მისიონს ღირსეულად უვლის 1815

¹⁶⁰ ფედელე და რივალტას საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ცნობები აქამდე არ მოგვეძებნებოდა. მის წერილებს პროექტის სამუშაო ჯგუფმა ფონდ SC-Giorgia-ს მე-3 ტომში 2024 წელს მიაკვლია. როგორც წყაროებიდან ვიგებთ, მისიონერს სცოდნია ქართული ენა და ენეოდა პედაგოგიურ საქმიანობას გორში. 1775 წლის მიწურულს პატრი ფედელე გაემგზავრა გილანში (სპარსეთში), სადაც მალე ავად გახდა და გარდაიცვალა.

¹⁶¹ ჩელესტინო და მონტასოლას საქართველოს მისიონში მოღვაწეობა დასტურდება ჩვენ მიერ მოძიებულ დოკუმენტებში: ფონდ SC-Giorgia-ს მე-6 ტომში დაცულია როგორც მასთან დაკავშირებული, ისე თავად მისიონერის მიერ პროპაგანდაში გაგზავნილი წერილები. პატრი ჩელესტინო ღრმა მოხუცებულობამდე ცხოვრობდა საქართველოში, ძირითადად, თბილისსა და ქუთაისში. სარგებლობდა პოპულარობითა და ხალხის სიყვარულით. აქტიურად იყო ჩართული ქართველი ახალგაზრდების კოლეჯიო ურბანოში სასწავლებლად გაგზავნის საქმეში.

¹⁶² ეს ფაქტი დღემდე ცნობილი არ იყო.

ნელს რომიდან ჩამოსული მამა ჯუზეპე დალა კოლა (Giuseppe dalla Colla),¹⁶³ რომელმაც მოკლე დროში ისწავლა ქართული ენა იმ დონემდე, რომ სრულყოფილად ქადაგებს ამ ენაზე და ასრულებს სხვა ფუნქციებს დიდი მონდომებითა და გზებით და მას ეხმარება ძმა ბერნარდინო და ჩივიტა კასტელანა (Bernardino da Civita Castellana).¹⁶⁴ და აქვე, ნება მომეცით, აღვნიშნო, რომ ევროპიდან ჩამოსულ მისიონერს ამ მხარეებში დიდი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია, თუ ქართული ენა არ ისწავლა. ამისთვის კარგად გამოიყენებოდა ახალციხის მონასტერი. ღირსი მამა ჯიროლამო და ნორჩა,¹⁶⁵ მეთოთხმეტე პრეფექტი, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, ამ ენას სრულყოფილად ფლობდა, ასევე შეადგინა გრამატიკა¹⁶⁶ იტალიურად და ქართულად ახალი მუშაკებისათვის, რომელიც ინახება გორის მონასტერში. ცუდი არ იქნებოდა ამ ხელნაწერის რომში ჩატანა, რათა ასლები გაეკეთებინათ, ან დაეხმარებინათ. ეს ძალიან დიდი დახმარება იქნებოდა ამ ენის შესწავლის პროცესში მასწავლებელთან, რომელიც გაკვეთილებს ჩაატარებდა

f. 412r:

ახალციხის მონასტერში, ან თუნდაც რომში.

ეს იყო ადრე, როცა შიროვანოს (Chirovano)¹⁶⁷ [ოლქ] შამაგიში (Chamaghi)¹⁶⁸ თბილისიდან სამოც ლიეზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, იყო მისიონი საფრანგე-

¹⁶³ ამ მისიონერის საქმიანობა საქართველოში დღემდე უცნობი იყო. როგორც SC-Giorgia-ს მე-6 ტომში ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში დასტურდება, კაპუცინი ჯუზეპე კოლელი (Giuseppe dalla Colla) 1836-1838 წლებში საქართველოს მისიონის პრეფექტის თანამდებობას იკავებდა და, სავარაუდოდ, საქართველოში გარდაიცვალა კიდეც. მის მმართველობას არაერთგვაროვნად აფასებენ თავად კათოლიკე მისიონერები. აღნიშნულ ტომში დაცულია ჯუზეპე დალა კოლას მიმონერაც სულიერ ძმებთან და წმინდა საყდართან.

¹⁶⁴ ამ მისიონერის საქმიანობა საქართველოში დღემდე უცნობი იყო.

¹⁶⁵ ჯიროლამო მარია და ნორჩას (Girolamo Maria da Norcia) შესახებ აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ იკავებდა გორში კაპუცინთა მისიონის პრეფექტის პოზიციას, 1763 წელს კი ახალციხეში იმყოფებოდა (იხ. მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 380-381). სწორედ მამა ჯიროლამო და ნორჩას მეცადინეობით მიდრკა კათოლიკობისკენ 1757 წელს საქართველოს პატრიარქი ანტონ I ბაგრატიონი (იხ. მურმან პაპაშვილი, ელდარ მამისთვალისძე, ზურაბ გამეზარდაშვილი, ხათუნა ჩაფიჩაძე, საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII ს-ის 70-იანი წლები- XVIII ს.), თბილისი, 2020, გვ. 203). 2024 წელს ჩვენი პროექტის სამუშაო ჯგუფმა SC-Giorgia-ს ფონდის მე-3 ტომში მიაკვლია როგორც უშუალოდ ჯიროლამოს წერილებს, ისე მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. როგორც ირკვევა, მისიონერი აქტიურად ადევნებდა თვალს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და სარგებლობდა ახალციხის მოსახლეობის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

¹⁶⁶ ეს ფაქტი დღემდე უცნობი იყო. ირკვევა, რომ როტიემ საკუთრივ ნახა გორის მონასტერში ეს ხელნაწერი გრამატიკა. აუცილებელია ამ მიმართულებით ძიება ვატიკანის არქივებში.

¹⁶⁷ ცხადია, შიროვანის.

¹⁶⁸ ცხადია, შემახას.

თის კოლეჯიდან მამა-იეზუიტების მზრუნველობის ქვეშ, რომელთაც ჰქონდათ ლამაზი სახლი და ეკლესია მიძღვნილი ფრანჩესკო დე რეჯისადმი.¹⁶⁹ მათ არსებობა შეწყვიტეს, როდესაც ეს ქალაქი საბოლოოდ განადგურდა დაახლოებით 1755 წელს ლეკების შემოსევის დროს. ამ დიდ მიტოვებულ ქალაქში დღესაც ნახავთ ეკლესიის კედლებს და სასაფლაოზე მრავალი საფლავის ქვას, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ერთი ფრანგული წარწერა, რომელშიც მიუთითებულია ბერის სახელი და მისი გარდაცვალების დრო.

როგორც ვნახეთ, ის აყვავებული მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ ეს მისიონები, განპირობებული იყო ამ პატივცემული ბერების დაუცხრომელი გულმოდგინებით, რომელთაგან ზოგი ხუთი ან ექვსი წლის მანძილზე ენეოდა მძიმე შრომას, ხოლო სხვები შავი ჭირით დაიღუპნენ. [მისიონს] განსაკუთრებით ბრძნულად და წინდახედულობით მართავდა მათი ღირსეული მეცხრამეტე პრეფექტი მამა ფილიპე და ფორანო,¹⁷⁰ სანიმუშო მისიონერი, უფლისაგან ამალღებული და სიკეთით დაჯილდოებული. თუკი ჩვენ ყველაფერს დანვრილებით გადმოვცემდით,

f. 412v:

რაც ამ იშვიათმა ადამიანმა კერძოდ გააკეთა საქართველოს მისიებისთვის და, ზოგადად, ყველა კათოლიკეს სასიკეთოდ, ეს ყოველგვარ რწმენას გადააჭარბებდა. ამჟამად, რომ ყოვლისშემძლე უფლის შემწეობის გარეშე ამდენი წინსვლა შეუძლებელი იქნებოდა იმ ხალხს შორის, რომელიც არათუ არ არის კათოლიკე, არამედ ეკლესიის მტრებიც¹⁷¹ შეიძლება ეწოდოს. მან იცოდა, როგორ დაემშვიდებინა საკუთარი ბუნებრივი მოძალადე და ასევე მდევნელიც აეძულებინა, რომ ჰქონოდა მოწინება და პატივისცემა იმათ მიმართ, ვინც აღმსარებლობდა ჭეშმარიტ¹⁷² რელიგიას. ამ ბერებისაგან რამდენი მატერიალური და სულიერი დახმარება მიიღო რუსეთის, პოლონეთისა და სხვა პროვინციების ყველა კათოლიკე ჯარისკაცმა, რომლებიც საქართველოს ჯარში მსახურობენ, რასაც ამ მისიონის გარეშე ისინი დიდხანს მოკლებულნი იქნებოდნენ და ისევ ამ ბერებისაგან იქნება გარკვეული დახმარება.

ღირსმა მამა ფილიპემ¹⁷³ გააცნობიერა ფრანგული ენის ცოდნის უპირატესობა და ისწავლა იგი, რათა შეძლოს თავად გაუძღვეს საქმეებს, რომლებიც ზოგჯერ საჭიროებენ მთავრობის ხელმძღვანელებთან [განხილვას]. უაღრესად საჭიროა და ახლა უკვე აუცილებელი გახდა,

¹⁶⁹ ჟან ფრანსუა რეჟი (ფრანგი წმინდანი 1597-1640) უფრო ცნობილია, როგორც წმინდა იოანე ფრანცისკ რეჟი. ფრანგი მღვდელი იესოს საზოგადოებიდან.

¹⁷⁰ მისი დაულალავი და ხანგრძლივი ენერგიული საქმიანობის შესახებ ვრცელი ცნობები მოგვეპოვება (დანვრ. ი: მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 505-515).

¹⁷¹ ამაში ავტორი, უდავოა, უმთავრესად სომეხ გრიგორიანებს გულისხმობს.

¹⁷² იგულისხმება კათოლიკური რელიგია.

¹⁷³ საუბარია მამა ფილიპე და ფორანოზე.

f. 413r:

რომ ყველა მათგანმა, ვინც მომავალში დაინიშნება პრეფექტებად, იცოდეს ფრანგული ენა და ცოტა რამ მსოფლიო პრაქტიკის შესახებ, რათა ნებისმიერ გარემოებაში შეძლონ თავიანთი წმინდა მისიის ბოლომდე მიყვანა.

ვამთავრებ რა ამ პატარა ნარკვევს, გამოვთქვამ გულწრფელ სურვილებს ამ მისიონის შენარჩუნებისა და აყვავებისათვის იმ იმედით, რომ პროპაგანდა არ დააყოვნებს მრავალი ბერმონაზვნის გაგზავნას, რომელთაც იგი ესოდენ მეტად საჭიროებს, რის გარეშეც მას არ შეუძლია გააგრძელოს ის წარმატებები, რომლებიც მან ასე გონივრულად დააფუძნა უფლის ეკლესიის სადიდებლად. ამ მეშუარის ავტორი, რომელიც ცდილობდა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის სურვილების ასრულებას, დაკავებულიყო საქართველოს ხალხებში კათოლიკური რელიგიის შესახებ სათანადო ძიებებით, რასაც იმ მხარეებში გატარებული რამდენიმე წლის პირადი დაკვირვების ნაყოფი დაურთო და მას სხვა მიზანი არ ჰქონდა ამ პატარა ნაშრომის შექმნაში, გარდა ღვთისა და მისი ეკლესიის დიდებისა. ამიტომ ის იმედოვნებს, რომ უბოძებენ შენდობას, თუკი ზედმეტი მონდომებით შეეხო რაღაც პუნქტს, რომელიც, როგორც ჩანს, მას არ ეხებოდა, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა, შეეტანა იმავე ეკლესიის სასიკეთოდ,

f. 413v:

რათა მიეღწია წყარომდე და გაეგო ჭეშმარიტება, რადგან ცდილობდა, იგი მხედველობიდან არ გამორჩენოდა. ვინაიდან საგანი წმინდა იყო, ჭეშმარიტება და სიმარტივე განუყოფელი უნდა იყოს.

Ad maiorem Dei Gloriam (ღვთის სადიდებლად)

Finis (დასასრული)

f. 414v:

საქართველო

გადაეცა არქივს მონსინიორ მდივანი პედიჩინისგან

1 ოქტომბერი, 1819

ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოში.

f. 387r:

Della religione Cristiana nella Giorgia e nei Paesi Circonvicini

f. 388r:

Prima di venire all'Epoca in cui la Religione Cristiana fu introdotta fra gl'Iberie, è necessario di dare un cenno sull'origine e culto di questi popoli barbari ne' secoli remoti, per quanto è permesso di penetrare il zelo dell'antichità. Riporta la storia della Giorgia, che Kartlos fu il di lei fondatore, e che gli antenati di questo discendevano da Sem e da Japhet, ond'erano la metà di origine Armena e la metà d'origine Ebraica. Uno dei figli di Japhet chiamato Avenan ebbe un figlio per nome Phangis, che fu il padre di Thorgamos, da cui discendono gli Armeni e vari altri popoli, come i Giorgiani, Mokavani, Erieni, Lekki, Mingreliani, ed altri popoli del Caucaso. Allorché li figli di Noè si divisero per cercare stabilimenti alle loro famiglie, Thorgamos

f. 388v:

occupava un piccolo paese posto fra lo stesso Ararath ed una piccola Montagna della medesima catena detta Massis. Accresciutasi la di lui Famiglia passò l'Araxe con una gran parte di essa, e si diresse verso il Nord. Là occupò tutto il tratto di tratto in tratto di Paese al sud del Caucaso, ed affine d'evitare che dopo la di lui morte non avessero a nascere differenze fra i suoi figli divise fra loro il Paese. Erano questi in numero di otto.

Il maggiore chiamato Haos dagli Armeni è riguardato come il loro fondatore, e da esso traggono il nome di Hais, che ritengono ancora.

Il secondo figlio era Kartlos fondatore de'Giorgiani, come si è detto.

Thargamos diede ad Haos, come figliò maggiore la metà delle sue possessioni poste verso il Sud, Paese, che in seguito formò in grand parte il Regno dell'Armenia, e Kartlos ebbe il Paese in oggi detto Giorgia situato fra questo Regno ed il Caucaso. Gli altri sei figli chiamati Bardos, Movakas, Lekkos, Heros,

f. 389r:

Kavkas e Lugros ebbero per loro porzione i Paesi vicini, de'quali è inutile di far qui la descrizione. È necessario di aggiungere solamente, che l'Istoria manoscritta in lingua Giorgiana racconta, che per rendere felici i loro discendenti, e Vassalli, seguirono in tutto l'esempio del loro fratello maggiore Haos e furono ancora vassalli di Nemrod l'Assiro. Dice anche questa storia che avendo voluto scuotere il giogo

¹⁷⁴ წარმოდგენილი იტალიური ტექსტი ზუსტად ასახავს ხელნაწერი დოკუმენტის ტექსტს – ავტორისეული ორთოგრაფიის, სტილისტიკის, პუნქტუაციისა თუ უზუსტობების გათვალისწინებით.

pesante di Nemrod, le di lui forze invasero il loro Paese, che in un combattimento sanguinoso Nemrod fu ucciso con un colpo di freccia da Haos, e che in seguito di tal Vittoria cacciarono i nemici dal Paese, che Haos si fece proclamare Padre o anziano dell'Armenia, e che i di lui Fratelli gli divennero Vassalli.

Li discendenti di Kartlos adorarono il sole, la luna, ed il Fuoco ed il sepolcro di lui divenne ben tosto anch'esso un oggetto di culto, e quando fra loro si trattava di fare un giuramento si giurava= Nel nome del sepolcro di Kartlos.

Ne' secoli più remoti osservarono esattamente la

f. 389v:

legge di non avere che una sola moglie. Quindi per vari secoli si rallentarono in seguito su quest'articolo fino all'epoca in cui fu introdotta fra loro la Religione Cristiana.

Furono antropofagi in que' primitivi tempi, e sovente sacrificarono i fanciulli, e gli sciavi alle loro Divinità. Verso la fine soltanto del secolo duodecimo dopo la venuta di Gesù Cristo, il Re Raef, il quale governò il Regno con molta bontà, proibì di sacrificar più li fanciulli, e gli schiavi, ed ordinò, che in avvenire fossero offerti in loro vece gli animali.

L'adorazione del Sole, della Luna, e del Fuoco fu generalmente osservata da questi popoli, ed un tal culto durò la partita è durata due ore il tempo è bello, speriamo che duri fino alla morte di Alessandro il Macedone. Da quel tempo vi aggiunsero gl'Idoli.

Riportasi nella storia medesima, che dopo la disfatta de Persiani, e la presa di Ecbatana (in oggi Hamadan) un certo per nome Ason alla testa di alcune coorti Macedone venne spedito ad inseguire gl'Iberi, il capo de'quali Samara Kartlossiani

f. 390r:

e con esso il di lui fratello furono uccisi servendo in qualità di Ausiliari nell'armata di Dario Codomano. Ason dopo aver disperse le forze degli Iberi, penetrò con le sue truppe fino alle falde del Caucaso, e conservò questo Paese mentre, che il giovane Almaz, conosciuto dopo sotto il nome di Pharnaos, nipote e successore di Samara se n'era fuggito nelle montagne colla sua madre, alcune Truppe, e coi principali del Paese. Ason, a cui ricadde l'Iberia, come sembra, per sua parte dopo la morte d'Alessandro, se ne fece eleggere Capo, e vi fece erigere due Idoli, uno de'quali d'oro chiamato Galzi, e l'altro d'Argento, cui pose il nome di Gaim, ed ordinò al popolo di adorare queste false divinità e di far loro per l'avvenire le offerte. Non tardò Ason ad esser ucciso da Pharnaos, che la storia cita come il primo Re degl'Iberi. I loro capi fin allora non avevano avuto altro titolo che di Mamasaklis, ossia capo delle case. Pharnaos era parente dello sventurato Dario per parte della sua madre che segretamente l'aveva allevato nel Caucaso dopo la disfatta

f. 390v:

di Ecbatana, ed aveva cambiato il nome d'Almaz in quello di Pharnaos, che dopo sempre ritenne, e che l'aveva messo al coperto di tutte le segrete ricerche de'suoi

nemici. Colpito vivamente da questa gran fortuna, stimò suo dovere di perpetuarne la memoria facendo fare un Idolo, a cui pose il suo antica nome d'Almaz. e lo fece collocare fra Galzi, e Gaim sul sepolcro di Kartlos. Questo Pharnaos riconosciuto per il primo Re degl'Iberi morì l'anno 299 avanti Gesù Cristo. Introdusse buone leggi nel suo Regno, divise in classi li suoi sudditi, e migliorò la scrittura usata anche al giorno d'oggi fra li sacerdoti Giorgiani.

Duranti le guerre d'Antioco Re di Siria contro gli Ebrei, un gran numero di questi ultimi venne a rifugiarsi nella Giorgia, ove si stabilì. O di loro discendenti sono ancora sparsi nelle diverse provincie del Paese. Si dicono per la maggior parte della famiglia di Ruben. Un antico manoscritto ritrovato presso Radja a piedi del Caucaso in Greco letterale, dice che Longino, il quale ferì colla lancia Gesù Cristo, era di Mschett

f. 391r:

anticamente Capitale della Giorgia, come si vedrà in appresso.

L'Apostolo di Gesù Cristo S. Andrea avendo scorso molte provincie dell'Asia, ove predicò il Vangelo, venne per la Cappadocia nella Mingrelia, propriamente la Colchide degli Antichi, e v'impiegò qualche tempo a predicar la Fede. Suppone la tradizione, che questo zelante Apostolo passasse di là al Caucaso da dove avendo penetrato fino alle rive del Don (Tanai), fu martirizzato dai Sarmati, popoli della Scizia dai quali i Cosacchi presenti traggono la loro origine.

Questo primo germe della fede pare, che non fosse comunicato agl'Iberi, e che Iddio ne lasciasse la cura a Santa Ninona una delle compagne di Santa Ripsima, e Gaiani, che furono disperse nel principio del quarto secolo, allorché l'Idolatria sempre nemica del Cristianesimo fece l'ultimo sforzo per estinguerlo, e terminò di stabilirlo. L'Imperatore Galerio motore principale dell'ultima persecuzione, costrinse Diocletiano suo collega a pubblicare un editto sanguinoso, con cui obbligò di perseguire

f. 391v:

L'autore di questa memoria, che ha cercato di adempire li desideri dell'Arcivescovo di Costantinopoli, occupandosi in raccogliere istruzioni relative alla religione cattolica fra i popoli della Giorgia, aggiungendovi il frutto delle sue osservazioni personali di più anni, che ha passati in quelle parti, non ha avuto altro scopo nel fare quest'opera, che la grandezza di Dio, e della di lui chiesa. Spera dunque, che si avrà per lui dell'indulgenza, se per un eccesso di zelo ha toccato qualche punto, che sembra non appartenergli, ma che ha creduto dovervi inserire per il bene di questa stessa chiesa, affinché

f. 413v:

possa andarsi alla sorgente, e riconoscere la verità, che si è fatto ogni scrupolo di non perdere mai di vista. Essendo sacro il soggetto, la verità e la semplicità dovevano essere inseparabili.

Ad Majorem Dei Gloriam

Finis

f. 414v:

Giorgia

Passato in Archivio

Da Mons.^e Pedicini Segretario

il 1° Ottobre 1819

Della Religione Cristiana nella Giorgia

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე

ქრისტიანული რელიგიის შესახებ
საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

DE LA RELIGION CHRÉTIENNE EN GÉORGIE
ET DANS LES PAYS CIRCONVOISINS

ფრანგული ტექსტი გაშიფრა და თარგმნა ირინა სანაშვილმა
კომენტარები დაურთეს
მურმან პაპაშვილმა და ელდარ მამისთვალიშვილმა

პროპაგანდა ფიდეის საისტორიო არქივი (ASPF)

ფონდი SC-Georgia, ტომი 5, ფურც. 369-384¹

f. 369r:

ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მიმდებარე ქვეყნებში

f. 370r:

სანამ იბერებში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლის ეპოქაზე გადავალთ, აუცილებელია, მიმოვიხილოთ ამ ბარბაროსი ხალხების წარმოშობისა და კულტის ძველი ისტორია იმდენად, რამდენადაც ანტიკურობის გაგება მასში შელწევის საშუალებას მოგვცემს.

საქართველოს ისტორია მოგვითხრობს, რომ მისი დამაარსებელი იყო ქართლოსი,² რომლის წინაპრები სემისა და იაფეტისაგან მომდინარეობენ. ამდენად, ისინი ნახევრად სომხური, ნახევრად ებრაული წარმოშობისანი იყვნენ. იაფეტის ერთ-ერთ ძეს, სახელად ავანანს, ჰყავდა ვაჟი, სახელად თარშისი, რომელიც იყო მამა თარგამოსისა, რომლისგანაც მომდინარეობენ სომხები და სხვადასხვა ხალხები, როგორიცაა ქართველები, მოვაკანები, ერიენები,³ ლეკები, მეგრელები და კავკასიის სხვა ხალხები.

იმ დროს, როდესაც ნოეს შვილები ერთმანეთს გაეყარნენ, საკუთარი ოჯახებისთვის სამოსახლო ადგილის მოძიების მიზნით, თორგამოსს ეკავა პატარა ტერიტორია, რომელიც მდებარეობდა თვით არარატის მთასა და მასისის სახელის მქონე მთათა ჯაჭვის ერთ პატარა მთას შორის. როცა მისი ოჯახი იქ ძალიან გამრავლდა, მან გადაიარა [მდინარე] არაქსი ოჯახის დიდ ნაწილთან ერთად და გაემართა ჩრდილოეთისკენ. აქ მან დაიკავა კავკასიის სამხრეთით მდებარე ყველა ადგილი და იმ მიზნით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟიშვილებს შორის რაიმე უთანხმოება არ შექმნილიყო, ეს ადგილები შვილებს გაუნაწილა. ისინი რვანი იყვნენ.

უფროსს, სახელად ჰაოსს, სომხები თავიანთ მესაძირკვლედ მიიჩნევენ და მას შემდეგ ისინი თავიანთ თავს დღემდე ჰაოსს უწოდებენ.

¹ ASPF, SC-Georgia, vol. 5, ff. 369r- 384v.

² ქართველთა ლეგენდარული წინაპარი, ბიბლიური ნოეს ძის იაფეტის შთამომავალი, თარგამოსის ძე, ძმათა შორის უხუცესი და მთავარი.

³ უნდა იყოს „ჰეროსი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე შვილი იყო ქართლოსი, ქართველების მესაძირკველი.

f. 370v:

თარგამოსმა ჰაოსს, როგორც პირველ შვილს, გადასცა სამხრეთით მდებარე თავისი საკუთრების ნახევარი, ტერიტორია, რომელიც შემდგომში, დიდწილად, სომხეთის სამეფოს წარმოადგენდა. ქართლოსს შეხვდა მხარე, რომელსაც დღეს საქართველო ჰქვია და მდებარეობს ამ სამეფოსა და კავკასიას შორის. დანარჩენმა ექვსმა ვაჟმა, სახელად ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასი⁴ და ეგროსი, თანაბარ წილად მიიღო მეზობელი ქვეყნები, რომელთა დეტალებზე საუბარს აქ აზრი არა აქვს, მხოლოდ ის უნდა დავამატოთ, რომ ქართულ ენაზე ხელნაწერ ისტორიაში ნათქვამია, რომ ეს ძმები შთამომავლების და ქვეშევრდომების გასახარებლად ყველაფერში უფროსი ძმის, ჰაოსის მაგალითს მისდევდნენ და ნიმროდ⁵ ასურელის ვასალებიც იყვნენ. ისტორია ასევე ჰყვება, რომ როდესაც ვასალებმა გადაწყვიტეს ნიმროდის მძიმე უღლის გადაგდება, მათი ძალები მის ქვეყანაში შეიჭრნენ, რომ სისხლიან ბრძოლაში ნიმროდი ჰაოსის მიერ გასროლილი ისრით მოკვდა. ამ გამარჯვების შემდეგ მათ განდევნეს ქვეყნიდან მტრები და ჰაოსმა თავი გამოაცხადა სომხეთის მამად ან უფროსად და მისი ძმები მისი ვასალები გახდნენ.

ქართლოსის შთამომავლები თავიანთ სცემდნენ მზეს, მთვარესა და ცეცხლს და მისი საფლავიც მალე გახდა ახალი თავყვანისცემის ობიექტი და როცა საქმე მათ შორის ეხებოდა ფიცის დადებას, ისინი ქართლოსის საფლავის სახელით დებდნენ ფიცს.

იმ ძველ საუკუნეებში ისინი რელიგიურად მკაცრად იცავდნენ მხოლოდ ერთ ქალზე დაქორწინების უფლებას. ამ საკითხის მიმართ შემდეგ, მრავალი საუკუნის განმავლობაში, მოადუნეს ყურადღება მანამდე, სანამ მათში ქრისტიანული რელიგია არ შემოვიდა.

იმ პირველყოფილ დროში ქართველები ანთროპოფაგები იყვნენ და თავიანთ ღვთაებებს ხშირად სწირავდნენ მონებსა და ბავშვებს. მხოლოდ

f. 371r:

ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნის მიწურულს მეფე რეფმა,⁶ რომელიც ყველასადმი კეთილგანწყობით მეფობდა, აკრძალა მონებისა და ბავშვების ღვთაებებისადმი შეწირვა და ბრძანა, რომ მომავალში მათ ნაცვლად ცხოველები

⁴ უნდა იყოს „კავკასოსი“.

⁵ ნიმროდი / ნებროთი / ნიმრუდი / ნიმვროდი – ბიბლიური გმირი, ქამის ძის ხუსის მითიური შვილი. მას მიეწერება ბაბილონის სამეფოს დაარსება. მან მთელი ქვეყნიერება დაიპყრო.

⁶ საუბარია რეფ I მართალზე. ქართლის (იბერიის) მეფე III საუკუნის II ნახევარში. ლეონტი მროველის მიხედვით, რევი მფარველობდა ქრისტიანობას. მან აკრძალა ზოგიერთი წარმართული ჩვეულება, განსაკუთრებით, ადამიანთა მსხვერპლშეწირვა. ამის გამო მას „რეფ მართალი“ უწოდეს.

შეენირათ. ეს ხალხი, ძირითადად, მზის, მთვარისა და ცეცხლის თაყვანისცემას მისდევდა. ეს კულტი ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. სწორედ მაშინ დაემატა კერპები.

იგივე ისტორია⁷ ჰყვება, რომ მაკედონელთა ჯარის მეთაური, სახელად ასონი,⁸ გაგზავნილი იქნა იბერიელების დასამორჩილებლად. ეკატანის, დღევანდელი ჰამადანის, ალების შემდეგ, ეკატანში მოკლეს იბერიელების წინამძღოლი, სამარა ქართლოსიანი და მისი ძმა, სადაც ისინი დარიოს კოდომანის⁹ ჯარში დამხმარეებად მსახურობდნენ. აზონმა, მას შემდეგ, რაც დაარბია იბერების სხვადასხვა ძალა, თავისი ჯარით შეაღწია კავკასიის ძირამდე და მთლიანად შეინარჩუნა ეს ქვეყანა, ხოლო ახალგაზრდა ალმაზი, სამარას ძმისწული და მემკვიდრე, შემდეგში ცნობილი ფარნაოზის სახელით, დედასთან, რამდენიმე რაზმთან და დიდგვაროვანთან ერთად მთებში გაიქცა. აზონმა, რომელმაც ჩათვალა, რომ იბერია ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ დანაწევრდა, თავი აარჩევინა მათ წინამძღოლად და იქ ორი კერპი აღმართა, რომელთაგან ერთი ოქროსი იყო, მას გაცი უწოდა, მეორე კი – ვერცხლისა და მას გაიმი უწოდა. [აზონმა] ხალხს უბრძანა, თაყვანი ეცათ და ამიერიდან შესანიშნავი შეენირათ ამ ცრუ ღმერთებისათვის. დიდხანს არ დააგვიანა აზონის სიკვდილმა ფარნაოზის ხელით, რომელსაც ისტორია მოიხსენიებს, როგორც იბერთა პირველ მეფეს, რომლის მთავრებს იქამდე მამასახლისის, (ანუ სახლის უფროსის) გარდა სხვა ტიტული არ ჰქონდათ. ფარნაოზი იყო უიღბლო დარიოსის ნათესავი დედის მხრიდან, რომელმაც იგი ფარულად გაზარდა

f. 371v:

კავკასიაში, ეკატანში დამარცხების შემდეგ და სახელი ალმაზი ფარნაოზით შეუცვალა, რომელსაც მას შემდეგ სულ ატარებდა და რომელიც მას იფარავდა ნებისმიერი მტრისგან. ამ გასაოცარი ბედნიერებით ღრმად შეძრულმა, გადაწყვიტა რომ მისი სახელი სამუდამოდ უკვდავეყო კერპის შექმნით, რომელსაც დაარქვა თავისი პირველი სახელი ალმაზი¹⁰ და ქართლოსის საფლავზე, გაცისა და გაიმს შორის აღმართა. ეს ფარნაოზი, იბერთა პირველ მეფედ მიჩნეული, გარდაიცვალა ძვ. წ 299 წელს.¹¹ მან თავის სამეფოში შემოიღო კარგი კანონები, დაყო ქვეშევრდომები კლასების მიხედვით და გააუმჯობესა ის დამწერლობა, რომელსაც დღესაც იყენებს ქართველი სამღვდელოება.

⁷ ავტორი, ცხადია, გულისხმობს ქართულ ენაზე არსებულ ხელნაწერ ისტორიას.

⁸ იგულისხმება აზო.

⁹ იგულისხმება აქემენიანთა დინასტიის სპარსეთის მეფე დარიოს III (კოდომანი) ძვ. წ. 336-330 წწ.

¹⁰ უნდა იყოს „არმაზი“. იგი წარმოადგენდა სამეფოს მთავარ ღვთაებას.

¹¹ მეფე ფარნავაზის მეფობის ზუსტი წლები უცნობია. მიღებული დათარიღებაა ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული და III საუკუნის I ნახევარი. დასახელებულია კონკრეტული თარიღებიც: ძვ. წ. 302-237; ძვ. წ. 299-234; ძვ. წ. 284-219; ძვ. წ. 272-206.

სირიის მეფის ანტიოქეს¹² ებრაელთა წინააღმდეგ ომების დროს, ებრაელთა დიდმა ნაწილმა საქართველოს შეაფარა თავი და იქ დასახლდა, მათი შთამომავლები დღესაც მიმოფანტული არიან ამ ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში. მათი უმეტესობა ამბობს, რომ ისინი რუბენის¹³ მოდგმიდან არიან. სალიტერატურო ბერძნულით დაწერილი ძველი ხელნაწერი, რომელიც აღმოაჩინეს რაჭის მახლობლად, კავკასიონის ძირში, ამბობს, რომ ლონგინუსი,¹⁴ რომელმაც იესო ქრისტე თავისი შუბით დაჭრა, იყო მცხეთიდან, საქართველოს უძველესი დედაქალაქიდან, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები.

იესო ქრისტეს მოციქულმა წმინდა ანდრიამ მოიარა აზიის ბევრი პროვინცია, სადაც სახარება იქადაგა, კაპადოკიიდან სამეგრელოში ჩავიდა, რომელიც წინათ კოლხეთი იყო, იქ გარკვეული დრო დაჰყო სარწმუნოების ქადაგებაში. ტრადიციის თანახმად, ეს გულმოდგინე მოციქული იქიდან კავკასიაში გადავიდა აბაზებთან, საიდანაც შეაღწია დონის (ტანაისის) ნაპირებამდე, იქ მონამებრივად აღესრულა სარმატების ხელით. სარმატები სკვითი ხალხია, რომელთაგან მომდინარეობენ დღევანდელი კოზაკები.¹⁵

რწმენის პირველ ჩანასახს, როგორც ჩანს, იბერები მისგან არ ეზიარნენ. იბერიის გაქრისტიანების პატივი ხვდა წმინდა ნინოს – წმინდა რიფსიმესა და

f. 372r:

გაიანეს ერთ-ერთ თანამგზავრს. IV საუკუნის დასაწყისში მათ მიაშურეს იმ [ადგილებს], სადაც კერპთაყვანისმცემლობა, ქრისტიანობის მუდმივი მტერი, უკანასკნელი ძალებით ცდილობდა მის ჩახშობას, თუმცა [ეს მცდელობანი ქრისტიანობის] გავრცელებით დასრულდა. იმპერატორმა გალერიუსმა,¹⁶ ქრისტიანთა ბოლო დევნის მთავარმა მამოძრავებელმა ძალამ, აიძულა თავისი კოლეგა დიოკლეტიანე, გამოექვეყნებინა იესო ქრისტეს მონაფეთა სისხლიანი დევნის ედიქტი. მაქსიმიანე, კიდევ ერთი იმპერატორი და მათი კოლეგა, რომელსაც ასევე სძულდა ეკლესია და რომელსაც არასოდეს შეუწყვეტია მისი წამება, ხელს უწყობდა და აქეზებდა მაგისტრატებსა და ჯალათებს, რომლებიც ყოველდღე იგონებდნენ ახალ წამებებს. სარწმუნოებაზე არანაკლები საფრთხე ემუქრებოდა ქალწულთა მორცხვობას. ასეთ დროს შემოვიდა წმინდა

¹² იგულისხმება ანტიოქე IV ეპიფანე (ძვ. წ. 175-164).

¹³ უნდა იყოს „რუბენი“, რომელიც იყო ისრაელთა მოდგმის ერთ-ერთი პატრიარქის იაკობის ვაჟი.

¹⁴ წარმოშობით კაპადოკიელი, წმინდა მონამე ლონგინუსი იყო რომაელი ცენტურიონი. საეკლესიო გადმოცემით, მან ჯვარზე გაკრულ და უკვე აღსრულებულ იესო ქრისტეს ფერდში შუბი უგმირა და ჭრილობიდან გარდამოსულმა სისხლმა და წყალმა მისი სწეული თვალები განკურნა.

¹⁵ უნდა იყოს „კოზაკები“.

¹⁶ რომის იმპერატორი გალერიუსი (305-311) სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს, თუმცა უშედეგოდ. სასიკვდილო სარეცელზე მან 311 წელს გამოსცა ბრძანება, რომლითაც შეწყდა ყოველგვარი დევნა.

ნინო მცხეთაში 312 წელს. ეს ქალაქი მაშინ საქართველოს დედაქალაქი იყო, რომელიც მდებარეობდა კურისა (კიროსის)¹⁷ და არაგუას (არაგუსი)¹⁸ შესართავთან. იგი მისდევდა წმინდა და მკაცრ ცხოვრებას, ეწეოდა ავადმყოფების მოვლასა და განკურნებას, მან რამდენიმე ადამიანი სასწაულებრივად განკურნა, მათ შორის, იბერიელთა მეფის, მირიანის ცოლი, სახელად ნანა ულისტრაპონტე,¹⁹ რომელიც უკურნებელი სენით იყო დაავადებული. თითქმის იმავდროულად ნინო დაიბარეს მძიმე სენით შეპყრობილ მოხუცთან, რომელიც იყო მეფის სატრაპი, ერთ-ერთი პროვინციის გამგებელი და მის კარზე დაახლოებული პირი. ნინო წავიდა მოხუცთან და, იესო ქრისტეს რწმენისმიერი გმირული მონდომებით აღჭურვილმა, ამ მომაკვდავ კაცს უთხრა, რომ თუ არ იწამებდა იესო ქრისტეს, ყველა საშუალება უძღური იქნებოდა მის განსაკურნებლად. ნინოს შეგონებით შეძრულმა მოხუცმა გაიმეორა მისი სიტყვები: „სახელითა მამისათა და ძისათა“ და ა.შ. პირჯვარი გადაიწერა და სრულიად განკურნებული ადგა სანოლიდან. მოხუცი დაუყოვნებლივ წავიდა მეფესთან მომხდარის მოსახსენებლად. მეფე უკვე კეთილგანწყობილი იყო მისი მეუღლისა და კიდევ რამდენიმე ადამიანის განკურნების, ასევე იმ სასწაულების გამო, რომლებიც ნინოს მეგობრებმა მოახდინეს სომხეთის სამეფო კარზე, სადაც თავად მეფე და

f. 372v:

სამეფოს რამდენიმე დიდებული სასწაულებრივად განკურნეს. ამას დაემატა კიდევ ის საოცრება, როცა დაინახა მასთან მისული ეს მოხუცი, რომლის გამოჯანმრთელების იმედი აღარავის ჰქონდა. მირიანს სურდა, გაეგო, როგორ ასრულებდა არაჩვეულებრივ განკურნებას ნინო ასეთი წარმატებით და ის თავისთან დაიბარა. იგი მივიდა და უპასუხა მის კითხვებს: რომ ეს ხდებოდა სახარების რწმენით და ყველა ადამიანისთვის ჯვარცმული იესო ქრისტეს სახელით და არა გამოყენებული სამკურნალო საშუალებებით და ისინი, ვის დარწმუნებასაც [ნინო] შეძლებდა მისადმი [ქრისტესადმი] რწმენაში, უეჭველად განიკურნებოდნენ.

განგების ნებით, მეფეს, რომელიც ერთ დღეს სანადიროდ წავიდა გაუვალ და ციცაბო ადგილებში, გზა აებნა. უცებ მის გარშემო დაბნელდა და დღის შუეი გაქრა. მეფე თავიდან ამ სიბნელემ შეაშინა, რასაც იგი ჭეშმარიტი სინათლის შეცნობამდე უნდა მიეყვანა, მაგრამ გაახსენდა, რა დაემართა მეფე

¹⁷ იგულისხმება მდინარე მტკვარი.

¹⁸ იგულისხმება მდინარე არაგვი.

¹⁹ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთას“ მიხედვით, დედოფალი ნანა არის ოლილოტოსისის ასული. ვახუშტი ბატონიშვილი მას მოიხსენიებს შემდეგი ფორმით – „ასული ულიოტორისა პონტოდან“. ვფიქრობთ, ამ ფორმების დამახინჯებულ ვერსიასთან უნდა გვეკონდეს საქმე.

ტირიდატს²⁰ ნადირობისას და შეეშინდა, მსგავსი უბედურება არ გადახდენოდა, მხურვალედ შეევედრა ღმერთს, რომლის სახელითაც ნინომ იმდენი სასწაული მოახდინა, კერპთაყვანისმცემლობის მიტოვებას და ამიერიდან მის თაყვანისცემას დაჰპირდა. ცა მაშინვე მოიწმინდა, დღის სინათლე დაბრუნდა და მან შეძლო იმ გაუვალი ადგილის დატოვება, სადაც აღმოჩნდა. შინ დაბრუნებულმა, სახარების ჭეშმარიტებაში დარწმუნებულმა მირიანმა მიიღო ქრისტიანული რელიგია.

ისტორია დასძენს, რომ გარკვეული ხნის შემდეგ მან თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ბიზანტიაში, რათა იმპერატორისთვის ეთხოვა ეპისკოპოსის გამოგზავნა იბერიაში რელიგიის გასაძლიერებლად და გასავრცელებლად. [იმპერატორმა] კონსტანტინემ რამდენიმე საეკლესიო პირის თანხლებით გაგზავნა ევსტათი ანტიოქიელი.²¹ ამ ეპისკოპოსს ევალებოდა მირიანისთვის იმპერატორისა და უფლუსწულის კეთილგანწყობის ჩვენება და იმ კმაყოფილების სამახსოვროდ, რომელიც მისმა რწმენაზე მოქცევამ მოჰგვარა, ჭეშმარიტი ჯვრის ერთი ლურსმანი²² და კიდევ რამდენიმე რელიკვია გადასცა. ზოგიერთი მათგანის ხილვა დღესაც შეიძლება რუისის ეკლესიაში, ქართლში, საქართველოს პროვინციაში. კონსტანტინემ ასევე უკან გამოუგზავნა მისი ვაჟი ბაქარი,²³ რომელიც კაპადოკიაში აჯანყების დროს იყო აყვანილი და კონსტანტინოპოლში მძევლად ჰყავდათ წამოყვანილი. საქართველოში დიდხანს საგულდაგულოდ შემონახული

f. 373r:

წმინდა ჯვრის ლურსმანი მოსკოვში გადაასვენეს, როდესაც ეს ქვეყანა რუსეთს შეუერთდა 1802 წელს და ახლა ამ ქალაქის საკათედრო ტაძარშია დასვენებული.

მეფე მირიანი და მისი ოჯახი, ისევე როგორც იბერები, რომლებიც ნინომ მოამზადა ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად, დიდი ხნის განმავლობაში დარჩნენ კათაკმეველებად და მხოლოდ ეპისკოპოს ევსტათესა²⁴ და მისი სასულიერო პირების მოსვლის შემდეგ ჩატარდა ნათლობა წყალში შთაფლვით.

²⁰ ალბათ, იგულისხმება სომეხთა მეფე თრდატი (ტირიდატე) III (298-330), რომელმაც სომეხ დიდკაცობასთან ერთად მიიღო ქრისტიანობა 301 წელს და იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

²¹ ცხადია, საუბარია ანტიოქიის პატრიარქ ევსტათი ანტიოქელზე (280-360). ის იყო ანტიოქიის პატრიარქი 324-330 წლებში.

²² მხედველობაშია ლურსმანი, რომლითაც უფალს მილურსმული ჰქონდა ხელები.

²³ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთას“ თანახმად, ბაქარ მირიანის ძე რომის იმპერატორს კონსტანტინე I დიდს მძევლად ჰყავდა წაყვანილი. როდესაც მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და თავისი საბრძანებელი ახალ სარწმუნოებაზე განამტკიცა, იმპერატორმა ქართველი უფლისწული სამშობლოში დააბრუნა. ბაქარ I ქართლის (იბერიის) მეფე იყო IV საუკუნის 50-60-იან წლებში.

²⁴ იგულისხმება ევსტათი ანტიოქელი.

ნინომ რამდენიმე მორწმუნე გაგზავნა წმინდა გრიგოლთან,²⁵ რომელიც მაშინ ვალარზაპატში იმყოფებოდა და დაკავებული იყო მონასტრის მშენებლობით, რომელსაც ახლა ერმიადინი ჰქვია, რათა ეცნობებინა თავისი პირველი წარმატებები, გამოეცხადებინა, რომ იბერები, ძირითადად, განწყობილნი იყვნენ ქრისტიანობის მისაღებად და ეთხოვა მისთვის მითითებები და რჩევები. წმინდა გრიგოლმა უბრძანა, დაენერია კერპები, როგორც თვითონ გააკეთა ეს და მათ ადგილას აღემართა წმინდა ჯვრის ნიშანი. ისტორია მოგვითხრობს, რომ ნინომ მაშინვე დაამხო არამაზდეს²⁶ ჭექა-ქუხილის ქანდაკება, რომელსაც ტაძარი ჰქონდა ქალაქის აღმოსავლეთით, მაღლობზე, იმ ადგილას, რომელსაც ქალაქისგან [მდინარე] არაგუა²⁷ ჰყოფდა. აქაურ მოსახლეობას წესად ჰქონდა, ყოველ დილით თაყვანი ეცათ მისთვის საკუთარი სახლების სახურავებიდან. თუ რომელიმე მათგანს სურდა ამ კერპისთვის მსხვერპლშენიშვნა, გადადიოდა მდინარეზე და მსხვერპლს იქ სწირავდა. ეს ადგილი შემდეგ მონასტრად იქცა, მაგრამ დღეს ის მიტოვებულია. თავიდან დიდგვაროვნებმა გამოავლინეს უკმაყოფილება, მალე დანარჩენმა ხალხმა ღიად დაიწყო ჩურჩული და კითხვის დასმა იმის შესახებ, თუ რისთვის უნდა ეცათ თაყვანი მათი კერპის ნაცვლად. მათ ნინომ უპასუხა, რომ თაყვანი უნდა სცენ ქრისტეს ჯვარს. როგორც ჩანს, ისინი დასთანხმდნენ და მან ჯვარი დაადგმევინა სწორედ იმ ადგილას, სადაც კერპი

f. 373v:

დაანგრის და ხალხი ყოველ დილით მაინც თაყვანს სცემდა თავიანთი სახლების სახურავებიდან. მაგრამ შემდეგ, როცა გორაკის მოსანახულებლად წავიდნენ და იქ ნახეს მხოლოდ უბრალო ხის ჯვარი, ცუდად გაპრიალებული და ორნამენტების გარეშე გაკეთებული, ზოგიერთმა აბუჩად აიგდო ის და ეუბნებოდა, რომ ტყეები სავსე იყო ასეთი ხეებით. მაღლობზე ასულმა ხალხმა ხის ჯვარი ყოველგვარი თაყვანისცემის გარეშე დატოვა. მუდამ მოწყალე ღმერთმა, დაინახა რა მათი ურწმუნოება, ზეციდან ჩამოუშვა მანათობელი სვეტი, რომელიც საამო სურნელით ავსებდა გარემოს, იმავდროულად გაისმა მრავალი ხმის ჰარმონია, რომელიც გალობდა საგალობლებსა და ფსალმუნებს და გამოჩნდა კაშკაშა სინათლის ჯვარი, მსგავსი იმ ჯვრისა, რომელიც გამოეცხადა კონსტანტინეს. თორმეტი ვარსკვლავით გარშემორტყმული ჯვარი დაეშვა ბორცვზე. ამ სასწაულის შემდეგ ჯვარს პატივს სცემდნენ, იბერთა მოქცევამ დიდი პროგრესი განიცადა და მრავალი სასწაულებრივი განკურნება მოხდა.

²⁵ იგულისხმება გრიგოლ განმანათლებელი (დაახლ. 239-326) სომხეთის ქრისტიანული ეკლესიის ფუძემდებელი და პირველი ეპისკოპოსი. ზოგჯერ მისი სახელის მიხედვით სომხურ ეკლესიას გრიგორიანულსაც უწოდებენ.

²⁶ ცხადია, არმაზი – ქართლის (იბერიის) სამეფოს უზენაესი წარმართული ღვთაება. მისი კერპი მცხეთის სამხრეთით მთაზე იდგა.

²⁷ ცხადია, მდინარე არაგვი.

წმინდა ნინომ სხვადასხვა მოგზაურობა მოაწყო საქართველოს პროვინცი-ებში და კავკასიაში, სადაც იქადაგა სახარება. როგორც ისტორია ამბობს, შეი-ნარჩუნა სუფთა ენა, ცხოვრობდა მორთულობების გარეშე, შორს სამყაროსგან და მისი ყოველდღიურობისგან, მხოლოდ ჯვარს მინდობილი. მან სიცოცხლე ღმერთს მიუძღვნა. მას სამართლიანად უწოდებენ იბერიის მოციქულს, რადგან მან დაამკვიდრა ქრისტიანული სარწმუნოება ამ ქვეყნებში, სადაც ეკლესიის ერთობა შენარჩუნებული იყო ბერძნების მხრიდან სქიზმის დაწყების საბე-დისწერო პერიოდამდე. იბერები მაშინ ძალიან ადვილად ცდუნდებოდნენ იმ მჭიდრო ურთიერთობით, რომელსაც მათი მეფეები ინარჩუნებდნენ კონსტან-ტინოპოლის იმპერატორებთან, როგორც მათი სულიერი, ასევე მინიერი ინ-ტერესებისთვის. ისინი ბაძავდნენ ბერძნებს როგორც კარგი, ასევე ცუდი თვალსაზრისით. საქართველოს მეფე ვახტანგ I,²⁸ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მეორედ დაქორწინდა ლეონ დიდის ასულ ელენეზე და მას შემდეგ, ამ იმპერატორის მიბაძვით, საქართველოს „ცარებსა“ თუ მეფეებს ტახტზე ასვლისთანავე გვირგვინს ყოველთვის თავიანთი პატრიარქები ადგამდნენ.

წმინდა ნინო გარდაიცვალა ჩვენი წელთაღრიცხვით 315 წელს,²⁹ 14 იანვარს, ბერძნული სტილით, 2 იანვარს – ახალი სტილით, თავის დაარსებულ ქალ-თა მონასტერში, სილნალთან ახლოს მდებარე ადგილას, რომელსაც დღესაც ნინოწმინდას უწოდებენ. მისი საფლავი არის სამლოცველოში, მთავარი სა-კურთხევის მარჯვნივ.

f. 374r:

საფლავს ადევს წითელლაქებიანი თეთრი მარმარილოს დიდი ქვა, რომელიც ცნობილია როგორც Lapis Sancti Stephani (წმინდა სტეფანეს ქვა). ეს ქვა მიწი-დან ათი დუიმის სიმაღლისაა. მას ზოგიერთ ადგილას ქრისტიანთა მუხლმოდ-რეკისაგან გაცვეთის კვალი ატყვია, რომლებიც ამდენი საუკუნის მანძილზე სტუმრობდნენ საფლავს. ერთად შეკრებილი ყველა კლასის ქრისტიანთა ნახვა განსაკუთრებით ნინოს გარდაცვალების წლისთავის დღეს არის შესაძლებელი.

წარსულში ბარბაროსების შემოსევებმა გამოიწვია ამ მონასტრის დარბე-ვა და მონაზვნების გაფანტვა. მათ მონასტერს შემდგომში ემსახურებოდნენ წმინდა ბასილის ორდენის სქიზმატი ბერძენი ბერები. იქ ცხოვრობს პროვინ-ციის მთავარეპისკოპოსი.

რამდენიმე ეკლესიის გარდა, დღემდე არსებობს ამ წმინდანის მიერ დაარსე-ბული ორი მონასტერი. ერთი არის კავკასიაში, ხაშაურთან,³⁰ ხოლო მეორე – თორმეტი ლიეს მანძილზე ტფილისიდან, საგარეჯოსთან.

²⁸ ცხადია, იგულისხმება ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა.

²⁹ წმინდა ნინოს გარდაცვალების რამდენიმე წელი სახელდება. უფრო გაზიარებულია, რომ მოციქულთასწორი ნინო გარდაიცვალა 338 წელს.

³⁰ დაზუსტება ვერ ხერხდება. შეიძლება იგულისხმებოდეს სოფელი „ხოშური“, რომე-ლიც კავკასიის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს.

ადრე შემონახული იყო ჯვარი, რომლითაც ეს წმინდანი ქადაგებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. ჯვრის ორი ნაწილი დამზადებული ვაზის ლერწები-საგან, თმით არის შეკრული, რომელიც, ამტკიცებენ, რომ ღვთისმშობლისაა. კავკასიის ბარბაროსი ხალხების შემოსევებმის გამო ეს მონასტერი მიტოვებულია. ეს ჯვარი წამოიღეს და ტფილისის სამიტროპოლიტო ეკლესიაში ვერცხლის ყუთში ინახება. ის ორ-ნახევარი ფუტი სიგრძისა და ორი ფუტის სიგანისაა.

უძველესი ლოცვა, რომელშიც ამ წმინდანს ევედრებიან საქართველოში და რომელიც უძველესი დროიდან ყოველთვის იკითხებოდა ქართულ ეკლესიებში ღვთისმსახურების დროს, ქვემოთ მოყვანილ ტექსტში სიტყვასიტყვით ლათინურად ასე ითარგმნება:

„Servorum verbi Dei socia, et praedicationis Sancti Andreae propagatrix, Iberorumque illuminatrix, atque Tuba Sancti spiritus, Nino, roga Christum Deum ut te rogantium animarum misereatur. Amen.“³¹

f. 374v:

ზოგიერთი ქართველი და სომეხი ავტორი, რომელიც საუბრობს ამ წმინდანის მცხეთაში ჩამოსვლაზე, ამბობს, რომ მას ჰყავდა თანამგზავრი, სახელად მანია, რომელიც მის მსგავსად სასწაულებს ახდენდა იბერების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევისას. სხვები ამბობენ, რომ მას თან ახლდა მისი წმინდა და სიდონია და წმინდა კაცი, სახელად აბრატა.³² ტფილისში არსებული ხელნაწერი ქართულ ენაზე, ისევე როგორც სხვა საეკლესიო ტრადიციები, არ იუწყება, რომ ნინოს სამოციქულო ქადაგებისას ვინმე სხვა ახლდა.

ზემოთ უკვე ნახსენები ბერძნული ხელნაწერი ადასტურებს იმას, რასაც ტრადიციები მოგვითხრობს წმინდა ნინოს წარმოშობის შესახებ. ის ასევე ამბობს, რომ მისი მამა იყო ზაბულონი, რომელთა სამსახურში მყოფი სამხედრო მეთაური, დაბადებული კაპადოკიაში და მონათლული ესპანეთში, ბარსელონაში, როდესაც იქ რომის ჯარში მსახურობდა.

მთელი IV საუკუნის განმავლობაში საქართველოში ქრისტიანული რელიგია დიდ პროგრესს განიცდიდა. ამ რელიგიის მუდმივმა მტრებმა, სპარსელებმა არაერთი შემოსევა მოაწყვეს ამ ქვეყნის დასაპყრობად, მაგრამ ვერ შეძლეს ქრისტიანობის წაშლა. თუმცა, აქ ცეცხლის თაყვანისცემა კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ყოველთვის ფარულად.

³¹ ღვთის სიტყვის მსახურთა თანამოაზრეო, წმინდა ანდრიას ქადაგების განმავრცელებლო, იბერთა განმანათლებლო და საყვირო სულიწმინდისა, ნინო, ევედრე ქრისტე ღმერთს, შეიწყალოს შენდამი მავედრებელთა სულეხი („სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო დედაო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“).

³² უნდა იყოს „აბიათარის“ დამახინჯებული ფორმა.

მეხუთე საუკუნის დამდეგს კახეთში, საქართველოს აღმოსავლეთ მხარეში, ასურეთიდან ჩამოვიდა წმინდა კაცი, სახელად იოსები,³³ რამდენიმე თანამოაზრის, რაოდენობით თორმეტნი, თანხლებით. მათ იქ დიდი მონდობით იქადაგეს ქრისტიანული სარწმუნოება და მოაქციეს მრავალი ბარბაროსი დალესტნის მთებში, სადაც წმინდა ნინომ ვერ შეაღწია. იოსების საფლავის ხილვა დღესაც შესაძლებელია ალავერდის საპატრიარქო ტაძარში. სქიზმატი ქართველები მას დიდი თავდადებით სცემდნენ თაყვანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი მოძღვრება ნაწილობრივ დაავადებული იყო იმ სქიზმით, რომელმაც იმდროინდელი ეკლესია გაყო.

იმპერატორ იუსტინიანეს³⁴ საჭურისი, სახელად ფრუმენტუსი, ასევე ჩავიდა **f. 375r:**

იმერეთში, კოლხეთის პროვინციაში და იქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც იქ თითქმის ჩამქრალი იყო კავკასიელი ბარბაროსების მრავალრიცხოვანი შემოსევების შედეგად.

ცოტა მოგვიანებით საქართველოს ერთი ნაწილი მრავალი წლის განმავლობაში სპარსელების შემოსევებს იგერიებდა, რომლებმაც სასტიკად გაანადგურეს და ააოხრეს იქაურობა. მათ დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყანას და, განსაკუთრებით, ქრისტიანულ რელიგიას, რომელსაც ყოველთვის მთელი სიმკაცრით სდევნიდნენ. მხოლოდ 642 წელს შეძლო სტეფანოზ I-მა³⁵ მათი განდევნა. თუმცა სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა. იმავე საუკუნის შუა ხანებში ხალიფები, მუჰამედის ვიკარები და მემკვიდრეები, თავიანთი იარაღით ყველგან შიშს ავრცელებდნენ. საქართველო მალე გახდა მათი ამბიციების ობიექტი. სპარსეთმა, რომელიც ასე გააფთრებით დევნიდა ქრისტიანულ რელიგიას, მასში არსებული განხეთქილების გამო ადვილად, წინააღმდეგობის გარეშე ჩაიგდო ხელში ეს დიდი სამეფო. მათ საქართველოში გაგზავნეს მუჰამედის ერთ-ერთი ძმისშვილი, სახელად მირვან³⁶ ყრუ. ამ მხედართმთავარმა იცოდა, როგორ მოეტყუებინა ცრუ დაპირებებით სამეფო ოჯახის ორი მთავარი, სახელად – დავითი და კონსტანტინე, და აიძულა ისინი, უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე. მაგრამ შემდეგ ნახა რა, რომ მათ მხოლოდ მოჩვენებით უარყვეს თავიანთი რელიგია, რათა თავი დაეღწიათ მისი მუქარისთვის, ცოტა ხნის შემდეგ ისინი არაადამიანურად, ყელის გამოჭრით დახოცა. მან ჩაიდინა ყველანაირი საშინელება საქართველოში, ანადგურებდა ეკლესიებს და აოხრებდა ყველაფერს, რაც ქრისტიანულ სახელს ატარებდა. მეფე მირმა

³³ იგულისხმება ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, იოსებ ალავერდელი.

³⁴ იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I დიდი (527-565).

³⁵ ის იყო ქართლის ერისმთავარი (დაახლ. 590/591-604/605).

³⁶ იგულისხმება მურვან ყრუ.

(მირმანი),³⁷ რომელიც იმ დროს მეფობდა, ვერ გაუძლო ამხელა ძალებს და ასეთ ფანატიკოს მეომრებს, კავკასიაში გადავიდა თავისი სამღვდელოებით, ქვეყნის დიდებულებით, ჯარის ნაწილთან და ხალხთან ერთად. მან თავისი ჯარებით დაიკავა მთების შესასვლელი და ისინი განათავსა ძლიერ პოზიციებზე. მანამდე დარჩა იქ, სანამ მტერი, მარაგის ნაკლებობის გამო, იძულებული არ გახდა, უკან დაეხია და საქართველო დაეტოვებინა. მეფე მირი მოგვიანებით დაბრუნდა მცხეთაში და იქ გარდაიცვალა. ცოტა ხნის შემდეგ ტახტზე არჩილ II, სტეფანოზის ძე ავიდა. საქართველო

f. 375v:

რამდენიმე წელი მშვიდად იყო, მაგრამ, დანაკარგების შემდეგ ძლივს ფეხზე დამდგარი, ახალი შემოსევის მუქარის წინაშე აღმოჩნდა. VIII საუკუნის დასაწყისისათვის მუჰამედის კიდევ ერთმა ნათესავმა ან შთამომავალმა გამ გამ ასიმმა³⁸ ახალი შემოსევა განახორციელა იქ და მახვილით ხელში, ყველგან აიძულებდა მოსახლეობას, უარი ეთქვათ თავიანთ რელიგიაზე. მან არჩილი ეშმაკურად ხელთ იგდო და არც დაპირებები და არც მუქარა არ დაიშურა, რათა დაეყოლიებინა, მაჰმადიანი გამხდარიყო. მან ვერ გატეხა ქართველი მეფის სიმტკიცე, რომელმაც საშინელ ტანჯვაში სიკვდილი ამჯობინა ქრისტეს შობიდან 718 წელს.³⁹ ქართულ და სომხურ ეკლესიაში მას პატივს მიაგებენ, როგორც მონამეს. ამავე საუკუნის მიწურულს ერთ-ერთი სარკინოზი, სახელად აბულ კასიმი, შემოესია და კიდევ ერთხელ ააოხრა საქართველო. მან იქ ასზე მეტი ტყვე აიყვანა – თავადები და დიდებულები და გაგზავნა სპარსეთის შაჰთან, რომელიც ცდილობდა, მათთვის უარი ეთქმევინებინა სარწმუნოებაზე, მაგრამ ამაოდ. სამეფო ოჯახის თავადმა, სახელად გობრონმა, მათ სიმტკიცისა და უდრეკელობის მაგალითი მისცა. ფანატიკოსმა ტირანმა ისინი ყველა მახვილით განგმირა.

საქართველო საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა მშვიდობიანი ცხოვრებით ბერძენი იმპერატორების დახმარებითა და მფარველობით, რომლებმაც ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი წვლილი შეიტანეს ურწმუნოთა ყველა შემოსევის ჩაშლაში.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლოსა და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში ურწმუნოებმა სცადეს რამდენიმე შემოსევის განხორციელება საქართველოში, მაგრამ ისინი, საბედნიეროდ, მოიგერია ცნობილმა მეფემ დავით II-მ,⁴⁰ რო-

³⁷ საუბარია VIII ს-ის I ნახევარში ქართლის ერისმთავარ მირი სტეფანოძის ძეზე (გარდ. 738).

³⁸ ამ სახელის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არმენიის ამირა ასიმ იბნ ნუმან ალ-ბაჰილი, რომელიც არმენიის ამირად იჯდა 712-720 წლებში.

³⁹ არჩილ მეფის ცხოვრებისა და მისი მონამეობრივი აღსასრულის შესახებ ზუსტი თარიღი არ გაგვაჩნია. ასახელებენ 718, 745, 761, 784, 787 წლებს. ავტორი, როგორც ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მითითებულ 718 წელს ემყარება.

⁴⁰ საუბარია დავით IV აღმაშენებელზე (1089-1125).

მელმაც დაამარცხა დურბეზი, არაბი უფლისწული, სარკინოზთა ჯარის მეთაური. ამ მეფის ხსოვნას საქართველოში ძალიან დიდ პატივს სცემენ. მას ეკლესიათა აღმშენებელს უწოდებენ და სამართლიანადაც ასეა, რადგან ამ ნაგებობათა უმეტესობა, როგორც საქართველოში, ისე იმერეთში, მისი მეფობის დროინდელია და მხოლოდ მამინ გაუქმდა ცეცხლის თაყვანისცემა და ქრისტიანობა საყოველთაო რელიგიად იქნა აღიარებული. სამწუხაროდ, ქართული სამღვდლოება დასნებოვნდა საძაგელი ფოტიოსის მიერ,

f. 376r:

რომელმაც ქართველების, ისევე როგორც ბერძნებისა და რუსების, გონებაში ჩანერგა განხეთქილების თესლი, რასაც ერთ დღეს მათ ლათინებისგან გამოყოფა უნდა მოჰყოლოდა.

დავით II გარდაიცვალა დაახლოებით 1130⁴¹ წელს და დაკრძალეს გელათის ულამაზეს მონასტერში, კოტაისთან⁴² ახლოს, რომელიც მან დააარსა. მის საფლავთან ახლაც ჩანს დარუბანდის ცნობილი რკინის კარის ნაწილი, რომელიც მან აქ მოიტანა, როცა ეს ქალაქი ურწმუნოთაგან გაათავისუფლა.

წინამდებარე ტექსტში ჩვენ ვახსენეთ მხოლოდ ის შემოსევები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ქრისტიანულ რელიგიაზე თავდასხმა და მოხსენების მთავარი თემიდან გადახვევა იქნებოდა თვით ბერძენი იმპერატორების არაერთი სხვა ომისა და შემოსევების შესახებ ინფორმაციას მოწოდება, რომლებიც მოხდა სხვადასხვა დროს. საკმარისია, აღვნიშნოთ, რომ ქვეყანას, რომლის ისტორიის განხილვას მხოლოდ რელიგიურ ჭრილში შევეცადეთ, პირველი საუკუნეებიდან დღემდე არასოდეს უცხოვრია ზედიზედ ორმოცდაათი წელი სრულყოფილი სიმშვიდით, რამაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი წინსვლა და რამაც დიდად შეუწყო ხელი მისი და სომხების სამღვდლოების ჩარჩენას იმ ღრმა უმეცრებაში, რომელშიც ისინი დღესაც იმყოფებიან და რის გამოც მათ დიდი ხნის განმავლობაში ადვილად ითანხმებდნენ, მიეღოთ ის შეცდომები, რომლებიც ამოიღებდა მათ ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და ეკლესიას.

დაახლოებით გასული საუკუნის შუა ხანებში ღმერთმა მათ⁴³ გამოუგზავნა პატრიარქი, რომელიც ახლოს იყო კათოლიკურ ეკლესიასთან მათი გაერთიანების განხორციელებასთან. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუშალა ასეთი ჯანსაღი ჩანაფიქრის შესრულებას.

ამ დაუსრულებელი შემოსევების შედეგად, ჯერ კერპთაყვანისმცემელი სპარსელების, შემდეგ კი მუჰამედის მიმდევრების მხრიდან, რომლებიც ლამის ჩვენს დღეებამდე გაგრძელდა და სასტიკი ნგრევა და სიკვდილი მოჰქონდა სა-

⁴¹ ეს შეცდომაა. უნდა იყოს 1125 წელი.

⁴² ცხადია, ქუთაისი.

⁴³ ე.ი. ქართველებს.

ქართველოსთვის როგორც ერთი, ისე მეორე თავდამსხმელისგან, მოსახლეობა ხშირად დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა სულიერი მწყემსის გარეშე, რამაც გამოიწვია ის, რომ მათი გარკვეული ნაწილი თითქმის კერპთაყვანისმცემელი გახდა. რამდენიმე მორწმუნე, რომლებიც ლათინური წესის ეკლესიის ერთგული დარჩნენ, თავიანთ უცვლელ შეუპოვრობას რწმენისადმი უმაღლოდა იმ საერო პირთა

f. 376v:

მითითებებს, რომლებიც მუდამ მათთან იყვნენ ისე, რომ ზოგჯერ თითქმის საუკუნის განმავლობაში ადგილზე არ ჰყავდათ ნანახი ერთი კათოლიკე მღვდელიც კი, რომელიც მათ რწმენას დაუჭერდა მხარს.

მხოლოდ XIII საუკუნეში ვაჭრობამ მიიზიდა გენუელები შავ ზღვაზე და მორწმუნეებმა შეძლეს მიეღოთ სულიერი დახმარება, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში მოკლებული იყვნენ. ჩამოვიდნენ მღვდლები და არა მარტო საქართველოში, არამედ შეაღწიეს კავკასიაშიც, სადაც აღადგინეს ჭეშმარიტი რელიგიის კულტი. აბაზებმა, რომლებიც დღეს ისევ კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნდნენ, მონდომებით მიიღეს ისინი.

გორში ინახება XV საუკუნით დათარიღებული სახლების ნასყიდობის აქტები, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ტიფლისის ქუჩას მაშინ ეწოდებოდა ფრანკების ქუჩა. დღესაც შეიძლება იქ, წისქვილიდან არცთუ ისე შორს, ნანგრევების ხილვა, რომელთა შორის შეიძლება გამოვარჩიოთ ერთი მოზრდილი ქვა, რომელზედაც მოსახლეობა სანთლებს ანთებს და ღმერთის წინაშე ლოცულობს, როცა მათ ციებ-ცხელება ეწყებათ. ამბობენ, რომ სწორედ ამ ადგილას იყო კათოლიკური ეკლესია, რომელსაც გენუელი მღვდლები ემსახურებოდნენ და რომელიც შემდეგ თურქებმა თავიდან ბოლომდე გაანადგურეს. მთებში ბევრი მიტოვებული ეკლესია და სამლოცველოა, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული, მოსახლეობა მათ დღესაც წმინდად მიიჩნევს და ამბობენ, რომ ზოგიერთ ამ ეკლესიაში პერგამენტზე დანერილი ლათინური წესის წიგნები აქვთ შენახული. ერთი რამ ცხადია, რომ აბაზი მოსახლეობა ინახავს ამ წიგნებს და ზოგჯერ აჩვენებენ იმ უცხოელებს, რომლებიც მათ დასახლებამდე შეღწევას ახერხებენ. ისინი უცხოელებს ეუბნებიან, რომ ეს წიგნები მათი წინაპრების წმინდა წიგნებია და რომ როდესაც მოვა მღვდელი, რომელმაც იცის მათი წაკითხვა, ისინი მიიღებენ მის მოძღვრებას. როდესაც თურქი მოლა ერთ დღეს მათთან წარსდგა, მათ აჩვენეს წიგნები, მაგრამ გახსნის შემდეგ, მან ვერ წაიკითხა, აბაზებმა დაასკვნეს, რომ მათი წინაპრები არასოდეს ყოფილან მაჰმადიანები და არ უნდა მიეღოთ ყურანი. რა თქმა უნდა, თურქები დიდი ხანია ცდილობდნენ აბაზების მოქცევას თავიანთ რჯულზე, მაგრამ ვერასოდეს მიაღწიეს დიდ წარმატებას. მათ შორის ჯერ კიდევ კარგად არის ცნობილი გენუელების სახელი და დღესაც მთებში ნახავთ რამდენიმე დანგრეულ ციხეს, რომლებიც გენუე-

ლებს ეკავათ. სწორედ სენიორის ტიტულით შევიდა გენუელი ბატონი რაფაელ სკასი, რუსეთის სამეფო კარის მრჩეველი, 1814 წელს მათთან და როდესაც აბაზებმა ამდენი ხნის უნახავი იხილეს,

f. 377r:

იკითხეს: რა ბედი ეწიათ გენუელებს?

კავკასიის მრავალრიცხოვან ხალხებს შორის ოსები, რომლებიც ცხოვრობენ ამ უზარმაზარი მთათა მასივის ცენტრისკენ, ძველად ასევე ქრისტიანები იყვნენ. მათ სოფლებში ჩვენ ვხედავთ მრავალ ეკლესიას, რომელთა მიმართ ისინი დღემდე ინარჩუნებენ დიდ თაყვანისცემას და როდესაც საქმე ეხება სიტყვის მიცემას ან რაიმე საზეიმო დაპირებას, ვინაიდან მათ არ იციან არც წერა და არც კითხვა, მიდიან ერთ-ერთ ამ ეკლესიასთან და ორივე მხარის წარმომადგენელი კარში შეჰყოფს ხელებს და ამგვარად დაპირება ხდება წმინდა და ხელშეუხებელი.

იმპერატორ ეკატერინე II-ის მეფობის დროს რუსი სამღვდელთა შეეცადა ამ ხალხის მოქცევისა და გაქრისტიანებას, მაგრამ მისიონერები მოიქცნენ ისე ცუდად და იმდენად მცირე წინდახედულობით, რომ ზოგიერთი მათგანი დაჭრეს, დანარჩენები ქვეყნიდან გააძევეს უკანმოუხედავად. ამ ხალხებში პირველი შთაბეჭდილება ყველაფერს ნიშნავს. ამ უბედურმა შემთხვევამ მეტი ასპარეზი მისცა თურქ მოლებს, რომლებმაც ოცი წლის განმავლობაში ამ ხალხებს შორის დიდი პროგრესი განიცადეს. მათ შეძლეს თავიანთი გამძლეობითა და ლიდერებისთვის საჭირო დროს დარიგებული საჩუქრებით დაემკვიდრებინათ თავიანთი რწმენა ყველა ურდოსა და ხალხებში, რომლებიც სახლობდნენ შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. სწორედ ანაპაში გადმოსხდნენ ისინი, რათა შეეღწიათ ამ უზარმაზარ მთიანეთში მობინადრე ისეთ ხალხებში, რომლებსაც ჯერ არ ვიცნობთ.

ახლა დავუბრუნდეთ იმ დროს, როცა ღმერთმა, თავის განსჯაში მიუწვდომელმა, ურწმუნოებს ნება დართო ქრისტიანობის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი ხელში ჩაეგდოთ, რამაც გამოიწვია გენუელთა დაცემა შავ ზღვაზე. მათი სიმაგრეები და ციხე-სიმაგრეები, რომლებიც სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა, ერთიმეორის მიყოლებით განადგურდა. თურქომანთა წინამძღოლმა, ტირანმა და ბარბაროსმა დამპყრობელმა მეჰმედ II-მ, ანატოლიის ნაწილის გავლით აიღო ტრაპიზონი, რომლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი კათოლიკე იყო. ხმლით ხელში აიძულა თითქმის მთელი ლაზისტანი კავკასიონის ძირამდე, მიეტოვებინა საკუთარი რელიგია, იმდენად რომ დღეს მის კვალს

f. 377v:

აღარ ვპოულობთ ამ იძულებითი რენეგატების შთამომავლებს შორის.

კონსტანტინოპოლიდან მოყოლებული კავკასიამდე მხოლოდ ამ ქალაქში ვხედავთ ჭეშმარიტი რელიგიის ბრწყინვალეების ნაშთებს, მიუხედავად ყველა სახის დევნისა და ტანჯვისა, რაც განიცადეს არა მხოლოდ თურქების მხრიდან, არამედ სომხებისგანაც, უმეცარი და უზენაესის მიერ დასჯილი ერისგან,

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო მისი შურისძიების იარაღი მართალ-
თა გამოსაცდელად; არ არსებობს რაიმე სახის შეურაცხყოფა, რაც მათ არ
გამოიყენეს ამ ქალაქის კათოლიკეების წინააღმდეგ, სადაც სხვადასხვა დროს
წაართვეს სამი ეკლესია და მონასტერი იქ მმართველი თურქების მოსყიდვით.
კათოლიკეებს დღემდე აქვთ ეკლესია, რომელიც ამ სამარცხვინო და ეჭვიანმა
მდევენელებმა ვერასოდეს ვერ წაართვეს მათ. იგი მდებარეობს მათი დიდი და
უძველესი სასაფლაოს შუაში, სადაც განისვენებს ბევრი მოწამე, რომლებმაც
სხვადასხვა დროს თავი განირეს, როგორც ეს მრავალ წარწერაშია აღნიშნუ-
ლი. გარდა ამისა, ეკლესიის შესასვლელი კარის წინ დადებულ ქვაზე იკითხება
სომხურ ენაზე ამოტვიფრული წარწერა:

„აქ არის უმანკო ყმანვილის, კარაბელის⁴⁴ საფლავი, რომელიც ოცი წლის
ასაკში იტანჯა და ენამა იესო ქრისტესთვის. ღმერთმა მას სატუსალოში დიდი
გამძლეობა უბოძა, იგი მოწამეობრივად აღესრულა 1698 წელს“.

ეს ეკლესია, რომლის წინამძღვარი ვენეციის წმინდა ლაზარეს თემის
მღვდელი, პატივცემული დონ მინას მედიესია, არის ქრისტიანობის დიდება
ამ ბარბაროსულ ქვეყანაში, სადაც ის მარტო და იზოლირებულად ახერხებს
პროგრესს ურღვევ სიმშვიდეში, არის რა საფრანგეთის საკონსულოს უშუალო
მფარველობის ქვეშ, რომლის დაცვა მისმა უდიდებულესობამ, უქრისტიანესმა
მეფემ⁴⁵ იწება, ალბათ, ჭეშმარიტი რელიგიის დასაცავად და ამავდროულად
ასევე წმინდა ლუის⁴⁶ დღესასწაულის აღსანიშნავად რომელიც შეიძლება
საფრანგეთში ასეთი დიდი ხალისითა და პატივისცემით არ ყოფილიყო აღნიშ-
ნული. საფრანგეთის კონსულს, ბ.-ნი დუ გრეს, ნაკლები წვლილი არ მიუძღვის
ამ ყველაფრისთვის სათანადო ბრწყინვალეების მინიჭებაში. ამ საზეიმო დღეს
ეკლესიაში მიდის ყველა, ბავშვიდან მოხუცამდე,

f. 378r:

მუხლზე ემხობიან საკურთხევის წინ და უზენაესს შესთხოვენ მისი უდიდე-
ბულესობის⁴⁷ სიცოცხლის დაცვას, რომელიც მათი ერთადერთი მფარველია
ურწმუნოებს შორის.

თუმცა, მიზანშეწონილია აქვე დავამატოთ, რომ სომეხი სქიზმატიკოსე-
ბი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უფრო დაუახლოვდნენ მათ, ვინც
ამდენი დევნის შემდეგ მაინც დარჩა რომის წმინდა საყდრის ერთგული და
არსებობს კარგი საფუძველი ვიმედოვნოთ, რომ მათი გაერთიანება შორს არ
არის. და ისიც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათ პირველ სამღვდე-

⁴⁴ სავარაუდოდ, კარაპეტის.

⁴⁵ იგულისხმება საფრანგეთის მეფე, თუმცა ძნელია ითქვას, რომელ მეფეზეა საუ-
ბარი.

⁴⁶ საუბარია საფრანგეთის მეფე ლუი IX წმინდაზე (1214-1270). მისი ხსენების დღეა
25 აგვისტო.

⁴⁷ ე.ი. საფრანგეთის მეფის.

ლოებას ამის დიდი სურვილი ჰქონდა. მეტიც, ხალხი გააფრთხილეს, რომ მათი მღვდლები უცოდინრები და რელიგიური კულტის ნივთებით მოვაჭრენი არიან და ამიტომ მათ მეტად აღარ ანდობენ თავიანთი შვილების აღზრდას. დიდ საკლასო ოთახში, რომელსაც ვხედავთ ტრაპიზონის კათოლიკე მღვდლების რეზიდენციაში და რომელიც უფრო გიმნაზიას ჰგავს, ვიდრე სკოლას, სქიზმატიკოსი სომხების შვილებს უფასოდ იღებენ. პატივცემული დონ მინასის ხელმძღვანელობით, მისი გახსნის დღიდან მხოლოდ დიდ წარმატებას უნდა ველოდოთ ეკლესიის სადიდებლად, რადგან სწავლების გზამ, რომელიც ამ ღირსეულმა წინამძღვარმა იქ შემოიტანა, იქამდე მიიპყრო ყველას გონება, რომ შეურაცხყოფა, რომელსაც ოდესღაც ერეტიკოსები აყენებდნენ კათოლიკეებს და მათ საჯაროდ უნდა ჩამოენმინდათ, ახლა ღრმა და გულწრფელ პატივისცემაში გადაიზარდა. როდესაც ვხედავთ, რომ ზოგჯერ სულიწმინდის ძალა მოქმედებს მის მწყემსებზე, არ შეგვიძლია არ გამოვიყენოთ სახარების სიტყვები და არ შევძახოთ: *“Qualis est hic, quia ventu[s] et mare oboediunt ei.”* („ვინ არის იგი, რამეთუ ქარი და ზღვა ემორჩილებიან მას“).

მკითხველის ღვთისმოსავი ცნობისმოყვარეობის სრულად დასაკმაყოფილებლად საჭიროდ მივიჩნიეთ, კიდევ რამდენიმე დეტალი დაგვემატებინა უძველესი ძეგლების შესახებ, რომლებსაც საუკუნეებია, დღემდე პატივს მიაგებენ. ჯერ კიდევ ვხედავთ ტრაპიზონში ბევრ ძეგლს, რომელიც მიუთითებს ამ ქალაქში ქრისტიანული რელიგიის უძველეს ბრწყინვალებაზე, მათ შორის მშვენიერი და დიდი ეკლესია მის შემოგარენში, რომელიც აშენდა იმპერატორ იუსტინიანეს დროს და ეძღვნება წმინდა სოფიას. ამ ბრწყინვალე ეკლესიის ნაწილი 1461 წელს თურქების მიერ ამ ქალაქის აღების შემდეგ მეჩეთად გადაკეთდა; ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი უძველესი საკათედრო

f. 378v:

ტაძარი, რომელიც მდებარეობს ქალაქის შუაგულში, სადაც დღესაც შეგვიძლია დავინახოთ მოზაიკის საკმაოდ თვალსაჩინო ნაშთები, რომელზეც წარმოდგენილია ღვთისმშობელი თორმეტ მოციქულთან ერთად, ისიც ასევე გადაკეთდა მეჩეთად.

წმინდა გრიგოლისადმი მიძღვნილი ბერძნული სამიტროპოლიტო ეკლესიის გვერდით ნაპოვნია 1815 წლის 19 თებერვალს გარდაცვლილი იმერეთის მეფე სოლომონ II-ის საფლავი, რომლის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

წმინდა ბასილის ბერძნული ეკლესია აშენდა იოანე პალეოლოგოსის დროს კარდინალ ბესარიონის თხოვნით, რომელიც ამ ქალაქში იყო დაბადებული.

ქვაში გამოკვეთილი ბერძნული ეკლესია, სახელად თეოსკეპასტო (*Theos-Kepasto*), რომელიც ზემოდან გადაჰყურებს ტრაპიზონს. ამბობენ, რომ იქ არის დაკრძალული ალექსი კომნენოსი.

არის ასევე რამდენიმე უძველესი ეკლესია, რომელთა მფლობელებად დარჩნენ ბერძნები, ასევე ოთხი უძველესი ეკლესია და სომხური კათოლიკური წესის მონასტერი, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

ძველი აკვედუკი, რომელიც ოდესღაც ევგენი მონამის წყალსადენის სახელს ატარებდა, თალურად კვეთს ხეობას და ქალაქს გამოყოფს გარეუბნებისგან. ეს აკვედუკი კარდინალმა ბესარიონმა შეაკეთა და პატივით არის მისი სახელი მოსახსენებელი. აკვედუკი შესანიშნავად არის შემონახული და ამტკიცებენ, რომ მანამდე მის ადგილას მხოლოდ ხის არხი იყო.

დიდებით გასახსენებელი ურბან VIII-ის პონტიფიკატის დროს წმინდა პროპაგანდამ მისიონერები გაგზავნა საქართველოში, სამეგრელოსა და ახალციხის საფაშოში თავად მცხოვრებთა თხოვნით, რომლებმაც არ დაივინყეს, რომ მათ წინაპრებს მღვდლები ჰყავდათ ევროპიდან და ამას დიდი ხნის განმავლობაში სთხოვდნენ რომის კურიას, რადგან მათი სომეხი მღვდლები ხშირად განდგომილნი, უფრო მეტიც, დაქორწინებულები იყვნენ. ისინი ვერასოდეს შეძლებდნენ მათთვის იმ ნდობის შთაგონებას, რომელიც განსაკუთრებით აუცილებელია ქრისტიანებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ურწმუნოთა შორის და რომლებიც, გარდა სულიერი დახმარებისა, მათგან ყოველგვარ რჩევასა და მინიერ დახმარებას ელიან. მათ სჭირდებოდათ განათლებული, თავიანთი სტატუსისადმი სრულიად თავდადებული ადამიანები, რომლებსაც სხვა ინტერესი არ აქვთ, გარდა თავიანთი სამწყსოს უსაფრთხოებისა

f. 379r:

და სიკეთისა, ანუ ისეთი მისიონერები, რომელთაც რომის კურია მათი თხოვნით აგზავნიდა დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში ამ იზოლირებულ და ბარბაროსულ ქვეყნებში. პირველი [მისიონერები] საქართველოში⁴⁸ ჩამოვიდნენ დაახლოებით 1626⁴⁹ წელს, მას შემდეგ, რაც ახალციხეში რამდენიმე მამა დატოვეს, რომლებმაც იქ ააშენეს მონასტერი. ექვსნი ჩავიდნენ გორში, ესპანელი დონ პიეტრო ავიტაბილეს მეთაურობით, ყველა თეატინელთა ორდენის ბერი იყო. ისინი იქ დამკვიდრდნენ თეიმურაზ-ხანის,⁵⁰ სამეფო ოჯახის უფლისწულისა და ამ პროვინციის გამგებლის უშუალო მფარველობით, როგორც ექიმები. ეს წოდება, წმინდა ნინოს მსგავსად, სრულად შეეფერება მათ, ვინც ეწევა სულების განკურნებას. ასევე დევნის დროს მათ ძალუძოთ მოძებნონ მფარველები თავიანთი წმინდა იდეის მოწინააღმდეგეებს შორის. ბერებმა იქ ააგეს ეკლესია და ხის მონასტერი.

მამა პრეფექტმა იმავე წელს ორი მამა, ერთი საერო ძმის თანხლებით, გაგზავნა ქუთაისში, სადაც ემერეთის⁵¹ მეფემ მათ მიწა გამოუყო ქალაქის შუა-

⁴⁸ იგულისხმება ქართლის სამეფოში.

⁴⁹ ავტორი აქ ცდება. პირველი თეატინელი მისიონერები საქართველოში, ქართლის სამეფოში, კერძოდ ქ. გორში, 1628 წლის 14 დეკემბერს ჩამოვიდნენ (იხ. ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, თბილისი, 1987, გვ. 80).

⁵⁰ ცხადია, იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I (1625-1632).

⁵¹ ე.ი. იმერეთის.

გულში, რიონის (ფასის) პირას. აქ მათ ანალოგიურად ხისგან ააშენეს ეკლესია და მონასტერი ქვის საძირკველებით, რომელთა ნახვაც დღესაც შეიძლება.

1648 წელს⁵² თეატინელი მამები შეცვალეს წმინდა ფრანცისკეს ორდენის კაპუცინებმა და მათი პირველი პრეფექტი იყო მამა ბონავენტურა დე სერვიენტო.⁵³ 1661 წელს მათ მიიღეს ნებართვა, ტფილისშიც დამკვიდრებულიყვნენ, სადაც 1678 წელს მათ ჰქონდათ ეკლესია და მონასტერი, რომელიც მაშინ შედგებოდა ცხრა მამისა და სამი მორჩილისაგან. მას შემდეგ კათოლიკეების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეთორმეტე პრეფექტმა მამა კლაუდიო და რეჯომ, რომელმაც 1741 წელს მეფისგან მიწის ნაკვეთის გაფართოების ნებართვა მიიღო, იქ ააგო იტალიური არქიტექტურის ძალიან ლამაზი ეკლესია გუმბათით და ქვის მონასტერი. მათ სასაფლაო გადაიტანეს იმ მიწაზე, რომელიც თეიმურაზ მეფემ მათ მისცა ქალაქგარეთ, მთის ფერდობზე, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ის დღემდე არსებობს.

საქართველოს კათოლიკეები ამ მშვენიერი ეკლესიით

f. 379v:

დიდხანს არ დამტკბარან, რადგან დაახლოებით 1752 წელს მეფემ მათ ის წაართვა მონასტერთან ერთად, იგივე გააკეთა გორში და ბოლოს მამები საერთოდ გაუშვა საქართველოდან,⁵⁴ ამიტომ ისინი ახალციხეში, თავიანთ მონასტერში გადავიდნენ. ამ ავანტიურის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს პატრიარქმა ფარულად მიიღო რომაული კათოლიკური რელიგია. ეს სახელგანთქმული წინამძღვარი, სახელად ანტონი,⁵⁵ მეფე იესეს⁵⁶ ვაჟი და თეიმურაზ⁵⁷ მეფის ნათესავი, იშვიათი ნიჭის მქონე ადამიანი იყო. ის მრავალი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ საუბრობდა [კათოლიკე] მამებთან და განზრახ ამკვიდრებდა მკაცრ წესებს თავის სასულიერო პირებს შორის და ღიად ქადაგებდა სახელოვანი პრეფექტის, ჯიროლამო და ნორჩას⁵⁸ მაგალითზე, მღვდლების დაუქორწინებლობაზე, რომელიც მათ წმინდა ფუნქციებს შეესაბამებოდა. მაგრამ ერთი ბოროტი ბერი, მეფის მოძღვარი, იყო მიზეზი იმისა, რომ ქართველები არ შეერთებოდნენ მამათა თავდაპირველ რელიგიას. იგი პატრიარქის მოსანახულებლად მივიდა, აღსარების საბაბით. როგორც ჩანს,

⁵² ეს შეცდომაა. თეატინელი მისიონერები კაპუცინებმა შეცვალეს 1661 წელს.

⁵³ უნდა იყოს ბონავენტურა სორენტოელი. ამ უკანასკნელს არც კი დასცალდა პრეფექტობა. ის სამეგრელოდან ქართლის სამეფოსკენ მომავალ გზაზე ერთ-ერთი მდინარის გადალახვისას წყალში ჩავარდა და დაიხრჩო (იხ. პაპაშვილი მ. საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბილისი, 1995, გვ. 201).

⁵⁴ ე.ი. ქართლის სამეფოდან.

⁵⁵ იგულისხმება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დიდი ბაგრატიონი (1744-1756; 1763-1788)

⁵⁶ ქართლის მეფე იესე, ალი ყული-ხანი (1714-1716; 1724-1727).

⁵⁷ იგულისხმება მეფე თეიმურაზ II (1733-1762).

⁵⁸ საუბარია გორში კაპუცინთა მისიონის პრეფექტ ჯიროლამო და ნორჩაზე.

მან [ანტონმა] აღსარებაში გამოთქვა სამომავლო ცვლილებების სურვილი. ამ გზით გამოსტყუა პატრიარქს მისი საიდუმლო და მაშინვე მივიდა მეფესთან ამის შესატყობინებლად. ამ ამბის გაგონებით განრისხებულმა მეფემ ბრძანა, რომ ეკლესია და მონასტერი მისი სახელით წაერთმიათ, იგივე გაეკეთებინათ გორში და სკანდალურად გააძევა იქ მცხოვრები მამები. შემდეგ კათოლიკეების დევნა საყოველთაო გახდა, მაგრამ ისინი ყველანი მტკიცედ იდგნენ და მათ დაპირებებსა და მუქარას არანაირი გავლენა არ მოუხდენია მათზე. პატრიარქი რუსეთში გადაასახლეს, რამდენიმე ეპისკოპოსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ორივე სქესის ბევრმა დიდებულმა, მათ შორის მეფის ასულმა, ფარულად უკვე უარყვეს სქიზმატიური დოგმატის შეცდომები. და ბოლოს, ერთადერთი, რაც აკლდა, იყო ხელსაყრელი მომენტი, რათა მეფეც იმავე შეხედულებამდე მისულიყო, რომელიც ასე სასარგებლო იყო მისთვის და მისი ხალხისთვის, მაგრამ ამ საზიზღარმა მღვდელმა ეს ყველაფერი ჩაშალა.

პატრიარქი ანტონი ისეთი იშვიათი ღვანლის კაცი იყო, რომ

f. 380r:

ქართველთა შორის „დიდის“ მეტსახელი შემორჩა. არ არსებობს ისეთი საშინელებანი, რაც მათ არ ჩაედინათ ამ კეთილი მამებისა და, განსაკუთრებით, ამ გულმოდგინე პრეფექტის წინააღმდეგ. სომხებმა შთამბეჭდავად გამოიყენეს ეს შესაძლებლობა, რათა გამოეველინათ კათოლიკეების მიმართ თავიანთი შეურიგებელი სიძულვილი. მათი წვლილი მცირე არ იყო კათოლიკეთა დევნის გამძაფრებაში – იმდენად, რომ საქმე სკანდალში გადაიზარდა. მათ ეგონათ, რომ დადგა შურისძიების მომენტი ძალიან ღირსეულ პრეფექტზე, მამა ჯიროლამო და ნორჩაზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ღიად ქადაგებდა იმ სკანდალური ცხოვრების წინააღმდეგ, რომელსაც სქიზმატიკოსი ბერძენი და სომეხი სასულიერო პირები ეწოდნენ. მათ თავში ჩაიდეს ბოროტი იდეა და ახალციხის მონასტერში გაგზავნეს კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, იქ წარედგინა ბიჭუნა და ეთქვა, რომ ის იყო მამათა პრეფექტი. ასევე ნათქვამისათვის დაემატებინა, რომ მას უკან აბრუნებდნენ, რადგან არ სურდათ მეტად მისი შენახვა და მრავალი სხვა მსგავსი უხამსობებით ცდილობდნენ მის წინააღმდეგ თურქების გამოწვევას. ეს მამები, პირიქით, სრულ სიმშვიდეში დარჩნენ და მოთმინებით იტანდნენ შეურაცხყოფას, მორჩილებდნენ ღმერთს, რომლის სიყვარულისთვისაც იტანჯებოდნენ.

ჭირმა საქართველო ამ წელს⁵⁹ ისევ გაანადგურა. ეს იყო ღვთის რისხვის თვალსაჩინო ნიშანი. მან თავისი მაცხოვრებლების მესამედი წაართვა და ბოროტი ბერი, მეფის მოძღვარი, ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო. რამდენიმე კათოლიკე გადაურჩა ძალადობრივ დევნას და თავის შესაფარებლად ყველამ ახალციხეს მიაშურა.

⁵⁹ უნდა ვიგულისხმოთ 1755 წელი, როცა გორსა და თბილისში კაპუცინ მამებს წართვეს ეკლესია, მონასტერი და ქონება.

